

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

## ნინო ბაკურაძე

სილოვან ხუნდაძე როგორც მწერალი,  
ლიტერატურათმცოდნე და პუბლიცისტი

0232 – ქართული ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისი

2024

## შინაარსი

შესავალი .....	2
თავი I სილოვან ხუნდაძის ცხოვრება და საზოგადოებრივი ღვაწლი .....	11
თავი II სილოვან ხუნდაძის მხატვრული შემოქმედება შესაბამისი პერიოდის ქართული მწერლობის კონტექსტში .....	52
თავი III სილოვან ხუნდაძე როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი .....	91
თავი IV კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები .....	130
დასკვნა .....	152
გამოყენებული ლიტერატურა .....	156
დანართი .....	170

## შესავალი

სილოვან ხუნდაძე XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო, აქტიური წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა. გარდა აქტიური საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობისა, იგი წარმატებულ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქუთაისსა და მთელ დასავლეთ საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ წამოწყება, რომელშიც მას მხურვალე მონაწილეობა არ ჰქონოდა მიღებული. იგი იყო დიდი მოჭირნახულე ქართული სკოლისა, ახალგაზრდობის ერთგული მეგობარი და მისი კეთილდღეობისათვის დაუღალავად მებრძოლი მამულიშვილი.

სილოვან ხუნდაძეს უდიდესი დამსახურება აქვს, ეროვნული განათლებისა და კულტურის წინსვლის საქმეში. იგი თავისი დროის საქართველოს ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც გამოჩენილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ქართული ეროვნული სკოლის დიდი მოამაგე. ჩვენი ხალხის წინაშე სილოვან ხუნდაძის ღვაწლის შეფასების დროს მთავარია არა მარტო მისი მწერლური ნააზრევის გაანალიზება, არამედ მრავალწახნაგოვანი საზოგადოებრივი და პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობის წარმოჩენაც. იგი იყო ერთ-ერთი უნარიანი მესაჭე ეპოქალური მნიშვნელობის ისეთი დიდი საქმისა, როგორცაა სკოლის, სახალხო განათლების გაეროვნულება. ამ სფეროში სილოვან ხუნდაძის დამსახურება უაღრესად მნიშვნელოვანია. ყოველივე თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ, საჭირო იქნება ზოგი რამ (მთავარი მაინც) გავიხსენოთ და გავაანალიზოთ ამ საქმის ისტორიიდან.

სილოვან ხუნდაძის სახელი ქართული აზროვნების ისტორიაში დარჩება, როგორც გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ქართული ეროვნული სკოლის, სახალხო განათლების დიდი მოამაგე. ქართველი ერი მაღლიერებით მოიხსენიებს მის უკვდავ სახელს.

**კვლევის მიზანი.** სადისერტაციო ნაშრომის მიზანია იმ საკითხებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის საფუძვლიანი ანალიზი, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის სილოვან ხუნდაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე.

დისერტაციის საკვლევ მასალას წარმოადგენს სილოვან ხუნდაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა: ლექსები, პოემები, მოთხრობები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები. ასევე გაანალიზდება მისი ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები და საზოგადოებრივ-პედაგოგიური საქმიანობა.

დღესდღეობით სილოვან ხუნდაძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად არაა მოძიებული და საფუძვლიანად შესწავლილი. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია შევავსოთ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ეს ხარვეზი და მონოგრაფიულად შევისწავლოთ როგორც მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ისე აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობაც, რაც ნათელს მოჰფენს ხუნდაძის ღვაწლს ამ მიმართულებით.

ამ მიზნის მისაღწევად, მუშაობა წარვმართეთ შემდეგი მიმართულებებით: შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ ყველა ლიტერატურული თუ საარქივო მასალა, რომელიც გზამკვლევი იქნებოდა შემდგომი მუშაობისათვის. გავეცანით მის წიგნებს, პრესაში გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, პირად წერილებს. ასევე, შევისწავლეთ მისი საოჯახო არქივი, რომელიც გადმოგვცა სილოვან ხუნდაძის შვილთაშვილმა მზია ხუნდაძემ. ამ არქივში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა დაცული მისი ლექსები და სხვადასხვა შინაარსის წერილები.

**თემის აქტუალობა.** საკვლევ თემის აქტუალობას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ სილოვან ხუნდაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ასე ყოვლისმომცველად დღემდე არაა შესწავლილი.

დისერტაციაში განხილულია, თუ როგორ დაუღალავად იღვწოდა სილოვან ხუნდაძე XX საუკუნის პირველი ათეული წლების ქუთაისში, როგორც პუბლიცისტი და ლიტერატორი, როგორც პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. დასაბუთებულია, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ არაა შეფასებული ის ღვაწლი, რომელიც მან ეროვნულ კულტურას

დასდო თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით გაჟღენთილი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებით.

სილოვან ხუნდაძეს ეკუთვნის 1880-1920-იანი წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მრავალი პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილი. მათი საერთო რიცხვი ორ ასეულს აღემატება. თითოეული მათგანი მეტად მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესასწავლად.

სილოვან ხუნდაძის ღვაწლი მრავალმხრივი და გამორჩეულია. იგი იყო უმცროსი მეგობარი და თანამებრძოლი იაკობ გოგებაშვილისა, რომელიც დღენიადაგ ზრუნავდა ქართული ეროვნული სკოლის წინსვლისათვის. მისი ყოველი სიტყვა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით იყო გაჟღენთილი. უაღრესად პრინციპული და შეურიგებელი იყო ბოროტებისა და მლიქვნელობისადმი, არავის აპატიებდა ეროვნული ღირსებისა და ქართული ენის სიწმინდის ხელყოფას. ასეთი უტეხი და ზნემაღალი იყო იგი სიცოცხლის ბოლომდე. ვინ მოთვლის, რამდენი სიმწარე და უსამართლო დევნა განიცადა მან ყოველივე ზემოთქმულის გამო.

სილოვან ხუნდაძის ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლასთან, შემდეგ კი გიმნაზიასთან არის დაკავშირებული, სადაც იყო მასწავლებელიც, მოძღვარიცა და ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის სახელმძღვანელოების შემდგენელიც.

ჩვენი ნაშრომის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს სილოვან ხუნდაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა. როგორც ითქვა, ის წერდა ლექსებსა და მოთხრობებს და იყო მრავალი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილის ავტორი. ასევე ფრიად საყურადღებოა მისი ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რომლებშიც განხილულია ჩვენი მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენელთა შემოქმედება. ამ წიგნებს იგი აქტიურად იყენებდა სწავლების პროცესში და სანამ მათ ბეჭდურ სახეს მისცემდა, ხელნაწერების სახითაც ავრცელებდა.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** როგორც ითქვა, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს სილოვან ხუნდაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის და პედაგოგიურ-

საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძვლიანი შესწავლა. ის არის ქართული ენის გრამატიკაში პირველი სახელმძღვანელოს შემქმნელი. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სილოვანის „ქართული გრამატიკითა“ და „ლიტერატურის სახელმძღვანელოებით“ იზრდებოდა და იწრებოდა ახალი თაობები. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ ზრუნავდა იგი ახალგაზრდობის კეთილდღეობისათვის. ის ასევე წერდა საინტერესო პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს ქვეყნის საჭიროებებზე და საკითხებზე.

საყურადღებოა ს. ხუნდაძის პუბლიცისტური წერილების პოლემიკური ტონი, რომელიც მეტ სიცხარეს მატებს ავტორის მამხილებელ პოზიციას. მისთვის, როგორც პატრიოტისათვის, მხოლოდ ერთადერთი პრინციპი არსებობდა: „მოყვარეს პირში უძრახე!..“ მიუხედავად იმისა, რომ მანკიერებათა ამგვარ მხილებას მოწონებისა და გამამხნეველი შემახილების მაგივრად ძალზე ხშირად გაცხოველებული კამათი და ავტორის უმართებულო შევიწროებაც სდევდა თან, ს. ხუნდაძეს შეკაზმული ცხენი არასოდეს უძებნია ბრძოლის ველიდან გასაქცევად (ნიკოლეიშვილი 1982:199).

იგი ერთგული დარჩა თავისი მამულიშვილური პრინციპებისა და „უსახელო ჯარისკაცივით შეეწირა მას. მის ნაწერებში გამოვლენილი საბრძოლო განწყობილება იმ ჯანსაღი ეროვნული თვითშეგნების დასამკვიდრებლად იყო მიმართული, რისთვისაც თავდადებით იღწვოდნენ გასული საუკუნის მხატვრული სიტყვის ჩვენი მესაძირკვლენი“ (იქვე 200).

ს. ხუნდაძე უდიდეს შემოქმედებით ენერგიას ხარჯავდა, რათა თანამემამულეებისათვის რწმენისა და იმედის ხმა მიეწვდინა. საამისოდ იგი იყენებდა როგორც კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, ისე პოეტურ სიტყვას. აქედან გამომდინარე, ის ჩვენ წინაშე წარმოდგება როგორც მკაფიოდ გამოკვეთილი მისწრაფებების შემოქმედი, რომელიც განურჩევლად ჟანრისა - პოეტური სიტყვით, კრიტიკითა და პუბლიცისტიკით - ხმალადმართული იდგა ეროვნული ინტერესების დამცველთა შორის.

სილოვან ხუნდაძემ თავისი კრიტიკული წერილებით საგულისხმო წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტური აზროვნების განვითარების პროცესში.

საკითხის შესწავლის ისტორია. როგორც ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ სილოვან ხუნდაძის, როგორც მწერლისა და პუბლიცისტის, ღვაწლი ნაკლებადაა შესწავლილი, მის შესახებ შექმნილ საარქივო მასალებში უფრო მოიპოვება მისი საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტური მასალა. თუმცა, როგორც ითქვა, მისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მემკვიდრეობა დღემდე მონოგრაფიულად არავის გამოუკვლევია.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები: ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ნაკადები, ქუთაისი, 1982. თამაზ მეძველია - სილოვან ხუნდაძის ბიოგრაფია, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები ტ. XXXIV, ქუთაისი, 1971, გვ. 372-382. ომარ გვეტაძე - ლიტერატურული წერილები, ქუთაისი, 1993 წ. ლევან ურუშაძე - „უდიდესი პედაგოგი და მამულიშვილი“, თბილისი, 2014 წ. მაია ახვლედიანი - ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ქუთაისი, 2009 წ. ლუკა დვალიშვილი - „ილია ჭყონიას ცხოვრება და შემოქმედება“, ქუთაისი, 2006. ლიტერატურული მატიანე, თბილისი, 1985. მადონა ნიჟარაძე - ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება 1909-1917 წლებში, ქუთაისი, 2005. რუსუდან საღინაძე - სილოვან ხუნდაძე და სალიტერატურო ქართული, მოამბე, აწსუ, 1996 წ. №1, გვ. 30-34. ნანა შენგელია - ქუთაისის პერიოდული პრესის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006 წ. ეკა თხილავა - პოლემიკა სილოვან ხუნდაძესა და აკაკი წერეთელს შორის. „განთიადი“, 2001 წ. №5-6. გვ. 138-143. მარინე ჭეიშვილი - სილოვან ხუნდაძის სახელმძღვანელოები, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XX. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 318-322. რაფიელ შამელაშვილი, სილოვან ხუნდაძე: ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ქუთაისი, გაზ. „სტალინელი“, 1959. რომანოზ ფანცხავა - ხუნდაძე სილოვან, „ლექსები“ 1983 წ. რეცენზია. „კვალი“, 1893. №23. გვ. 13-14. სტეფანე ჭრელაშვილი - ქართული მწერლობა, „ივერია“, 1893 წ. 5 სექტ. №1903. გვ. 1-3. დავით წერეთელი - გაზეთი „კოლხიდა“ (1911-1913 წწ.). ქუთაისი, 1994 წ. უშანგი ობოლაძე - ქართული სკოლის დიდი მოამაგე. ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, №10, თბ. 1970. ტრიფონ ხუნდაძე - ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან. თბ. 1976.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ს. ხუნდაძის ცხოვრებისა და შემოქმედების

შესწავლის დროს ძალიან დამეხმარა ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის წევრთა ნაშრომები, ასევე ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში არსებული სილოვან ხუნდაძის რედაქტორობით გამოცემული წიგნები და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის არქივში დაცული მისი პირადი მასალები. ასევე, სილოვან ხუნდაძის ოჯახის წევრთა თანადგომით შესაძლებლობა მქონდა გულდასმით შემესწავლა სილოვან ხუნდაძის საოჯახო არქივი, რომელიც გადმომცა ს. ხუნდაძის შვილთაშვილმა მზია ხუნდაძემ.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** როგორც ითქვა, სილოვან ხუნდაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და მრავალმხრივი მოღვაწეობა დღემდე არ გამხდარა მონოგრაფიული კვლევის საგანი. ჩვენი დისერტაციის დაწერის მიზანია სრულყოფილად წარმოვაჩინოთ სილოვან ხუნდაძის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

**გამოყენებული მეთოდები.** კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა მეთოდების გამოყენება დაგვჭირდა. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, კომპარატივისტულ, კულტურულ-ისტორიულ მეთოდებს. ნაწარმოებების და კრიტიკული სტატიების შესწავლისათვის გამოვიყენეთ სოციოლოგიური და ანალიზის მეთოდები.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ნაწილობრივ მაინც შეავსებს იმ დანაკლისს, რაც ამ მხრივ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს.

**თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ს. ხუნდაძის მოღვაწეობისა და შემოქმედების მეცნიერულად შესწავლის საქმეში. იგი ასევე დახმარებას გაუწევს ამ პიროვნების ღვაწლისა და ზოგადად შესაბამისი ეპოქის კვლევით დაინტერესებულ მკითხველებს.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი პერიოდის ქართული ლიტერატურის, კერძოდ კი ს. ხუნდაძის შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისათვის.

ნაშრომი, ვფიქრობთ, დაეხმარება ლიტერატურის მკვლევრებს სილოვან



ხუნდაძის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ობიექტური აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ასევე იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც უმაღლეს, ასევე საშუალო საფეხურზე ქართული ლიტერატურის სწავლების პროცესში.

### **სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 182 გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი დებულებებისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი.

დისერტაციის **შესავალში** დასაბუთებულია არჩეული თემის აქტუალობა, მიმოხილულია მოცემულ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, წარმოდგენილია ნაშრომის თითოეული თავის მოკლე ანოტაცია, დაფიქსირებულია კვლევის მეცნიერული სიახლე.

**დისერტაციის I თავი - სილოვან ხუნდაძის ცხოვრება და საზოგადოებრივი ღვაწლი** ეძღვნება სილოვან ხუნდაძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პედაგოგიური ღვაწლის წარმოჩენას, მის როლს მაშინდელი ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. მიმოხილულია სილოვან ხუნდაძის მრავალმხრივი საზოგადოებრივ-ლიტერატურული საქმიანობა. კერძოდ:

- საკითხის შესწავლის ისტორია;
- მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები;
- ს. ხუნდაძის, როგორც პედაგოგის, უანგარო და დაუღალავი საქმიანობა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში;
- ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების მნიშვნელობის წარმოჩენა...

**დისერტაციის II თავში - სილოვან ხუნდაძის მხატვრული შემოქმედება შესაბამისი პერიოდის ქართული მწერლობის კონტექსტში** განხილულია სილოვან ხუნდაძის მხატვრული შემოქმედება შესაბამისი პერიოდის ქართული მწერლობის კონტექსტში, თერგდალეულთა და ცისფერყანწელთა ნაწარმოებებთან მისი შემოქმედების იდეური მსგავსება-განსხვავება. აქვე განხილულია მწერლის

შემოქმედების პრობლემატიკა. მოცემულ თავში ასევე საუბარია სილოვან ხუნდაძის სიტყვიერი ხელოვნების უმთავრეს თავისებურებებსა და მის ენობრივ მახასიათებლებზე.

**დისერტაციის III თავში - სილოვან ხუნდაძის ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები** განხილულია სილოვან ხუნდაძის ლიტერატურათმცოდნეობითი სახელმძღვანელოები.

მისი ლიტერატურათმცოდნეობითი სახელმძღვანელოები, სადაც ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვათა შემოქმედებებია გაანალიზებული, წარმოადგენს ამ მწერალთა შემოქმედების კვლევას, რაც მაშინ გამიზნული იყო სკოლაში შესასწავლად. მწერლის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები იმ საჭირობოროტო საკითხებს ეხება, რომელიც იმ პერიოდში მეტად აქტუალური იყო.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

## თავი I

### სილოვან ხუნდაძის ცხოვრება და საზოგადოებრივი ღვაწლი

სილოვან თომას ძე ხუნდაძე დაიბადა 1860 წლის 16 აპრილს გურიაში, ოზურგეთის მაზრის (ამჟამად ჩოხატაურის რაიონის) სოფელ კალაგონში მღვდლის თომა ხუნდაძის მრავალშვილიან ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ჯერ მარტვილის სკოლაში, შემდეგ კი ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში მიიღო. საყურადღებოა, რომ აღნიშნულ სასწავლებელში მის დროს სწავლობდნენ შემდგომში მეცნიერების სახელოვანი მოღვაწენი, აკადემიკოსები: ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი. 1871 წელს 11 წლის სილოვანი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შედის, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1880 წელს. გიმნაზიაში სწავლისას სილოვანი გამოირჩეოდა თანატოლებში თავისი ნიჭიერებითა და მონდომებით. გიმნაზიის დამამთავრებელ წელს მისი თაოსნობითა და რედაქტორობით გამოვიდა მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „სამშობლოს“ ოთხი ნომერი, რომლებშიც მოთავსებული იყო მისივე რამდენიმე ლექსი და წერილი. ეს იყო სილოვანის პირველი ნაბიჯები, როგორც პოეტისა და ნიჭიერი პუბლიცისტისა. იმავე 1880 წელს სილოვან ხუნდაძე ცოდნის გაღრმავების მიზნით პეტერბურგს მიემგზავრება და სწავლას აგრძელებს ამ ქალაქის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ისმენს გამოჩენილი მეცნიერების, მათ შორის, პ. ერნშტედტის, თ. ზელინსკის, დ. ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარელისა და სხვათა ლექციებს. უნივერსიტეტში სწავლისას სილოვან ხუნდაძე აქტიურ მონაწილეობას იღებს პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი ლიტერატორისა და მოღვაწის ი. მანსვეტაშვილის მოგონება, სადაც იგი იხსენებს, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს მის მიერვე დადგმულ სპექტაკლში – ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ვ. მაჩაბელთან, დ. კეზელთან, გ. ანდრონიკაშვილთან და სხვებთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ როლს სილოვანიც ასრულებდა. ეს იყო მისი პირველი და, როგორც მისი ქალიშვილი ფატი ხუნდაძე აღნიშნავდა, უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე. 1884 წელს სილოვანმა დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. ამის შემდეგ იწყება მისი

ორმოცწლოვანი, მეტად ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში „თერგდალეულთა“ თაობიდან მოყოლებული ბევრი ქართველი იღებდა უმაღლეს განათლებას, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი იმით განსხვავდებოდა სხვა ფაკულტეტებისაგან, რომ ეს ერთადერთი დარგი იყო, სადაც ქართველი სტუდენტები სწავლობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ამ ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა დავით ჩუბინაშვილი. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ს. ხუნდაძე კარგად სწავლობდა და საგნებსაც წარჩინებით აბარებდა. მან პეტერბურგის უნივერსიტეტი კანდიდატის ხარისხის დიპლომზე დაამთავრა. მის სახელზე გაცემულ დიპლომში აღნიშნულია: „მიეცა ესე ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს სილოვან ხუნდაძეს, დაბადებიდან 25 წლისა, მართლმადიდებელს სარწმუნოებით, რომელიც ჩაირიცხა სტუდენტად უნივერსიტეტში 1880 წლის 17 ოქტომბერს. მოისმინა სრული კურსი აღმოსავლურ ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებისა, რომელმაც გამოცდების დროს გამოიჩინა შემდეგი წარმატება: სომხურ ენაში, ისტორიაში და ლიტერატურაში, ქართულ ენასა, ისტორიასა და ლიტერატურაში, აღმოსავლეთის ისტორიაში, რუსულ სიტყვიერებაში და სპარსეთის ისტორიაში - ფრიადი. რუსეთის ისტორიაში, ღვთის მეტყველებასა და ფრანგულ ენაში - კარგი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასებულ იქნა დადებითად და ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის წესდების №42 მუხლის საფუძველზე, რუსეთის უნივერსიტეტების 1863 წლის დამტკიცებულ დებულებისა პეტერბურგის სამიპერატორო უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე მიენიჭა სილოვან თომას ძე ხუნდაძეს „კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი“ (სსრცს არქივი, ფ. 162, არქივი 1, აღწერა 1).

პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსზე სწავლის დროს, ს. ხუნდაძეს თხოვნით მიუმართავს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორისათვის, ამავე სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დანიშვნის თაობაზე.

ს. ხუნდაძე მისი განცხადების საფუძველზე 1884 წლის პირველ სექტემბერს მართლაც დაინიშნა ქუთაისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში ქართული ენისა და

ლიტერატურის მასწავლებლად. ამ დღიდან დაწყებული, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, იგი ამ საგანს ასწავლიდა მოსწავლეებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ს. ხუნდაძე არ იყო რიგითი მასწავლებელი. ის როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე, ღრმა ცოდნასთან ერთად, დიდ პატრიოტულ გრძნობასაც უნერგავდა ახალგაზრდობას. თანაც სისტემატურად ადგენდა სახელმძღვანელოებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

სამწუხაროდ, ს. ხუნდაძე ფიზიკური ჯანმრთელობით გამორჩეულ პიროვნებას არ წარმოადგენდა, რის გამოც სასწავლო პროცესის შეწყვეტაც უხდებოდა ხოლმე დროებით. ამის გამო მუშაობის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ, 1887 წელს, სკოლის ხელმძღვანელობას მან ასეთი შინაარსის განცხადებით მიმართა: „მე ძლიერ კარგად მესმის, თუ რამდენად დამაბრკოლებელი არის სწავლის წარმატებისათვის არა თუ თვეების, რამდენიმე საათის გამოშვებაც კი, სწავლების შეწყვეტა. მაგრამ ავადმყოფობა მაიძულებს რამდენიმე ხნით თავი დავანებო შრომას და შევისვენო ფიზიკურადაც და სულიერადაც. ამ ერთი კვირის განმავლობაში გამოვცადე თავი, შევძლებ თუ ვერა სწავლებას თქვა და აღმოჩნდა, რომ დღეში სამი საათის შრომას გაჭირვებით გაუძელ და ისიც ორი დღის ამგვარი შრომის შემდეგ ისე დავსუსტდი, რომ კლასში სწავლებაც ვეღარ შევძელი... უმორჩილესად გთხოვთ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს, გამათავისუფლოს ორი თვის ვადით... ჩემი ხვედრი ჯამაგირის დატოვებით“ (სსსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საქმე 1717, გვ. 4).

სათანადო საექიმო ცნობის წარდგენის შემდეგ ს. ხუნდაძე დროებით მართლაც გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან ხელფასის შენარჩუნებით. ასეთივე განცხადება მას სხვა დროსაც წარუდგენია სასწავლებლის ხელმძღვანელობისათვის.

1888 წელს ს. ხუნდაძე გადაყვანილ იქნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სენაკის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა და 1889 წელს ისევ დაბრუნდა ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში მასწავლებლად.

საინტერესოა ისიც, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო პროგიმნაზია 1905 წელს გადაკეთდა ქუთაისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიად, რომელშიც ს. ხუნდაძე დაინიშნა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და ამავე სკოლის

ინსპექტორად.

1886 წელს ს. ხუნდაძე დაქორწინდა პარასკევა (პატკუ) მიქელაძის ასულზე, რომელთანაც შეეძინა 6 შვილი: გიორგი, ლეონი, ელენე, ფატმანი, თამარი და მარიამი.

სილოვან ხუნდაძეს იმ დროს მოუწია საზოგადოებრივ-ლიტერატურული საქმიანობა, როცა რუსი რეაქციონერი ჩინოვნიკები ქართულ ენას არასრულფასოვან ენად თვლიდნენ და მასზე ლაპარაკსაც კი კრძალავდნენ. ამას ისინი იმიტაც ამართლებდნენ, თითქოს ქართულად მეცნიერული აზრის გადმოცემა შეუძლებელი იყო, რადგან იგი მდაბიურ ენად მიაჩნდათ. სულ მალე რუსი ჩინოვნიკების საწინააღმდეგოდ ქართული სახელმძღვანელოები დაიბეჭდა, რომლებსაც ორმაგად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. ჯერ ერთი, ქართველ ახალგაზრდებს მშობლიურ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელო საგნის ათვისებას უადვილებდა და მეორე მხრივ ეს ფაქტი ამტკიცებდა იმასაც, რომ ქართულ ენაზე მეცნიერული აზრის გამოთქმა შეიძლებოდა.

ს. ხუნდაძე თავისი პირადი მაგალითით მოსწავლე ახალგაზრდობას დიდ ზნეობრივ სიმტკიცეს უნერგავდა. გაკვეთილებზე და პირად საუბარში იგი მოსწავლეებს დიმიტრი თავდადებულის, ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძის, ქეთევან წამებულის და სხვათა სახელოვანი ცხოვრების შესახებ ესაუბრებოდა და სამშობლოსათვის თავგანწირვის გრძნობას უღვივებდა.

ს. ხუნდაძე თავისი პრაქტიკული საქმიანობით ბევრ სასიკეთო ნაბიჯს დგამდა, რომელიც ახალგაზრდობისათვის სამაგალითო იყო. ამის დასადასტურებლად შეიძლება გავიხსენოთ ერთი შემთხვევა - შავრაზმელ კორიკვისთან მომხდარი კონფლიქტი.

როგორც ცნობილია, ქუთაისში XX საუკუნის დასაწყისში კლასიკურ გიმნაზიასთან ერთად, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიაც არსებობდა, რომლის დაფინანსება სახელმწიფოს ხარჯზე არ ხდებოდა. ამ გიმნაზიის დირექტორი იყო ცნობილი პედაგოგი, ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი - იოსებ ოცხელი, ინსპექტორი კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სილოვან ხუნდაძე. ეს გიმნაზია თავისი სასწავლო რეჟიმითა და სააღმზრდელო მუშაობით განსხვავდებოდა კლასიკური გიმნაზიებისაგან. გარდა იმისა, რომ სწავლება ამ

გიმნაზიაში ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, იქაური მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი პატრიოტული მოქმედებითა და თავისუფალი აზროვნებით. გიმნაზიის დირექტორი ი. ოცხელი და ინსპექტორი ს. ხუნდაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ცარიზმის რეაქციონერი ჩინოვნიკები მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ ასეთი ეროვნული მისწრაფებებით განწყობილი პიროვნებების მიმართ. ყოველივე ამის გამო, ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი სკოლის შესამოწმებლად ქუთაისში აგზავნიდა ყველაზე რეაქციონერ რევიზორებს.

მართლაც, 1914 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში გამოცდებზე დასასწრებად გამოგზავნილ იქნა შავრაზმელი კორიცი, რომლის მთავარი მიზანი იყო გიმნაზიაში გამოსაშვები გამოცდების ჩაშლა და დამტკიცება იმისა, რომ ქართული გიმნაზიის არსებობისათვის არ იყო სათანადო საფუძველი.

საკმარისი აღმოჩნდა გამოცდების პირველი დღე, რომ კორიციის გამოველინებინა თავისი მტრული დამოკიდებულება გიმნაზიის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისადმი. მოსწავლეთა დიდი ნაწილი კორიციმ ჩაჭრა, რამაც გიმნაზიის ხელმძღვანელებისა და მოსწავლეების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მეორე დღეს, როდესაც კორიცი გამოცხადდა გიმნაზიაში გამოცდების გასაგრძელებლად, ს. ხუნდაძემ მას ხელი არ ჩამოართვა და ასეთი სიტყვებით მიმართა: „ხეპრე თავი მეტისმეტად მაღლა აგიწევიათ, ახალგაზრდობა ჩვენი უპირველესი საზრუნავი და საფიქრალია, მათ მსხვერპლად ვერასგზით ვერ შემოგწირავთ. ასეთ ატესტატებს არ ვსაჭიროებთ, საიდანაც მობრძანებულხართ, იქ შეგიძლიათ მიბრძანდეთ“ (ობოლაძე 1970:76) (ურუშაძე 2014:33).

როგორც უ. ობოლაძე გადმოგვცემს, ამ კონფლიქტის შესახებ მისთვის პროფ. ვ. ბერიძეს უამბუნია. ამ შემთხვევის შესახებ საინტერესო დოკუმენტებს ვხვდებით ს. ხუნდაძის პირად საქმეში, რომელიც მოთავსებულია ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ფონდში. ჩანს, ამ საქმეს სერიოზული ხასიათი მიუღია. კავკასიის ნამესტნიკსა და სასწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს სპეციალური კომისია გამოუყვია და მკაცრი ზომებიც გაუტარებია - სკოლის დირექტორი ი. ოცხელი და ინსპექტორი ს. ხუნდაძე მოუხსნიათ სკოლიდან, რასაც გიმნაზიის მმართველ წრეებში

და მასწავლებელთა შორის დიდი წინააღმდეგობა გამოუწვევია.

ამის თაობაზე ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის წევრს, ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლს, სიმონ წერეთელს ახსნა-განმარტებითი ბარათი გაუგზავნია კავკასიის ნამესტნიკის სახელზე, წერილში აღნიშნულია, რომ ყოველთვის, როდესაც კი ჩამოვიდოდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან გამოგზავნილი კომისია ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შესამოწმებლად, ამ კომისიის წევრები კმაყოფილი მიდიოდნენ. „სამწუხაროდ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს 1914 წელი, როდესაც სიმწიფის ატესტატზე გამოცდებისათვის მერვე კლასში სათავადაზნაურო გიმნაზიაში კავკასიის სასწავლო ოლქმა გამოგზავნა ახალციხის პროგიმნაზიის ინსპექტორი გ. მ. კორიცი, რომელმაც ჯერ კიდევ გამოცდების დაწყებამდე გამოავლინა თავისი მტრული დამოკიდებულება და რომელიც არა იშვიათად ღებულობდა გამაღიზიანებელ ხასიათს, რომელსაც არ შეეძლო არ გამოეწვია უკმაყოფილება, როგორც ადმინისტრაციის, ისე საზოგადოების მხრივ“ (სსსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საბ. 1717, გვ. 29).

ამის შემდეგ ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ სკოლის დირექტორმა ი. ოცხელმა და ინსპექტორმა ს. ხუნდაძემ შეწყვიტეს გამოცდები და კორიციის მიანდეს მისი ჩატარება. ხოლო მეორე დღეს, როდესაც კორიცი ეწვია სკოლას, მან ს. ხუნდაძეს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მაგრამ ხუნდაძემ საპასუხოდ არ გაუწოდა ხელი, რის გამოც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კორიცი იძულებული გახდა გამოწვდილი ხელი, ნიშნად გაწბილებისა, უკანვე წაეღო, რის შემდეგ სკოლის დირექტორი ი. ოცხელი და ინსპექტორი ს. ხუნდაძე მოხსნილი იქნენ თანამდებობიდან.

ამავე ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია ისიც, რომ დირექტორი ი. ოცხელი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე, ხოლო ს. ხუნდაძე, რომელმაც 30 წელი იმსახურა სათავადაზნაურო სასწავლებელში და ითვლება იშვიათ მასწავლებლად, მოკლებულია შესაძლებლობას, გააგრძელოს მისთვის საყვარელი მუშაობა მისთვის ძვირფას სასწავლო დაწესებულებაში“ (სსსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საბ. 1717, გვ. 30).

ამავე დოკუმენტში ს. წერეთელი თხოვს კავკასიის ნამესტნიკს, გასცეს



განკარგულება, რათა ს. ხუნდაძე აღდგენილ იქნას ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში მასწავლებლად. ასეთივე თხოვნა ს. წერეთელს გაუგზავნია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლოფისადმი (სსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საბ. 1717, გვ. 30).

როგორც ვხედავთ, რუსი ჩინოვნიკის შეურაცხყოფა, რაშიაც თვით კორიცი იყო დამნაშავე, ისეთ დიდ საქმედ გადაიქცა, რომ საქმის მოგვარებისათვის საჭირო გახდა კავკასიის ნამესტნიკის ჩარევა.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, კავკასიის ნამესტნიკმა და სასწავლო ოლქის მზრუნველმა ს. ხუნდაძის სასწავლებელში აღდგენა შესაძლებლად არ ჩათვალეს. ახლა სკოლის დირექტორი ი. ოცხელი აგზავნის განცხადებას ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის სახელზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ს. ხუნდაძესაც გაუგზავნია თხოვნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის - რუდოლოფის სახელზე, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დარჩა და სილოვან ხუნდაძე სასწავლებელში არ აღუდგენიათ.

თვით საქმის არსის გაგებისათვის საინტერესოა ს. ხუნდაძის განცხადების შინაარსი. იგი ცდილობს დაარწმუნოს სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლოფი, რომ მის მოქმედებაში ისეთი, რომელიც დაამცირებს და შეურაცხყოფას მიაყენებს ხელისუფლებას, არაფერია.

მიუხედავად ს. ხუნდაძის დაბეჯითებით თხოვნისა და ადგილობრივი თავადაზნაურობის და დირექციის ჩარევისა, იგი მაინც არ აღუდგენიათ გიმნაზიაში მასწავლებლად. თავადაზნაურთა წინამძღოლის წერილში წერია: „ამასთან ერთად მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს ბრწყინვალეობას ცნობად იმ ახსნა-განმარტების ასლის შესახებ, რომელიც ჩემდამი რწმუნებული გიმნაზიის ყოფილმა მასწავლებელმა სილოვან თომას ძე ხუნდაძემ გაგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის სახელზე 1916 წლის 5 თებერვლის თარიღით“ (სსრცსა, ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საქ. 1717, გვ. 31).

აქვე წარმოდგენილია ს. ხუნდაძის ახსნა-განმარტებითი ბარათის ასლი, რომელიც მას განმეორებით გაუგზავნია რუდოლოფისათვის. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კავკასიის ნამესტნიკსა და სასწავლო ოლქის მზრუნველს მოუთხოვნიათ

ს. ხუნდაძისათვის კორიკვისთან წინასწარი შერიგება და ამ შემთხვევებში შეიწყნარებდნენ მის თხოვნას და აღადგენდნენ თანამდებობაზე, მაგრამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის საჭირო იყო ხუნდაძე შერიგებოდა კორიკვის, რისი წინაარმდეგიც ყოფილა. აი რას წერს ამის შესახებ თავად ს. ხუნდაძე: „... იმის გამო, რომ მე აღდგენილი ვიქნე ჩემს თანამდებობაზე ქუთაისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში, გამოირკვა, რომ ამ დირექტორს, ი. ოცხელს, ისევ მიუმართავს განცხადებით ქუთაისის გუბერნიისათვის. ამჟამად ჩემთვის ზნეობრივად შეუძლებელია შეურიგდე ბატონ კორიკვის, მით უმეტეს, როცა ეს შერიგება უკავშირდება ჩემს თანამდებობაზე აღდგენას“ (სსრცსა, ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საქ. 1717, გვ. 31).

ასეთ პრინციპულობას იჩენდა ს. ხუნდაძე. ორი წელი იყო გასული იმ ამბიდან და ის კიდევ არ აღადგინეს. ხუნდაძეს ქედი არ მოუხრია არც ნამესტნიკისა და არც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე. მისთვის მთავარი იყო ის, რომ არ უნდა ეღალატა არც პიროვნული და არც ეროვნული პრინციპებისათვის. სწორედ ეროვნული სიამაყე არ აძლევდა სილოვანს საშუალებას, ქედი მოეხარა უხეში რუსი მოხელეების წინაშე.

ერთ-ერთ თხოვნაში, რომელიც ს. ხუნდაძეს სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის კომიტეტისათვის გაუგზავნია, აღნიშნულია: „აგერ ორი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩემი სამსახურის გამო შუამდგომლობაა აღძრული მთავრობის წინაშე და დღემდე ამ საქმეს დასასრული არ მიეცა... ამიტომ იძულებული ვარ მივმართო პატივცემულ მზრუნველ კომიტეტს შემდეგი უმორჩილესი თხოვნით: თუ რომ პატივცემული მზრუნველი კომიტეტი ამ საქმეს ჩემს კერძო საქმეთა თვლის, უმორჩილესად ვთხოვ ყოველგვარ შუამდგომლობაზე უარი განაცხადოს და საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩათვალოს, რადგან მე, თავინადვე ჩვენს მიერ ჩადენილი ინციდენტი საპირადო საქმედ არ მიმაჩნია და არც ვისთვისმე მითხოვია, რომ ჩემი პირადი ინტერესი დაეცვათ“ (სსსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საქ. 1717. გვ. 37).

ს. ხუნდაძე ქედს არ იხრიდა ნამესტნიკისა და სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე. ის 1914 წლიდან 1917 წლამდე მოწყვეტილი იყო თავის საყვარელ პროფესიას.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, გიმნაზიის ადმინისტრაცია თავის საამაყო

მასწავლებელს სათანადო მატერიალურ დახმარებას უწევდა. როგორც ჩანს, მას გაკვეთილებსაც ატარებინებდა და ხელფასის ნაწილსაც აძლევდა. მაგრამ ეს მხოლოდ მატერიალური მხარე იყო და მორალურად გამოწვეულ სულიერ ტკივილებს ვერ გაანელებდა. ს. ხუნდაძის ასეთი დევნა 1917 წლამდე გაგრძელებულა. მხოლოდ 1917 წლიდან მისცემია საშუალება, მისთვის საყვარელ პროფესიას დაბრუნებოდა.

1917 წელს კავკასიის ოლქის მზრუნველი რუდოლფი ასეთი შინაარსის დეპეშას უგზავნის თავად აბაშიძეს: „თანახმად თქვენი დეპეშის ნამესტნიკის ალიშევსკის სახელზე ჩემი მოხსენების საფუძველზე ნამესტნიკმა ნება დართო ხუნდაძეს დაიკავოს მასწავლებლის ადგილი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. გთხოვთ გვაცნობოთ ამ დეპეშის მიღების შესახებ“ (სსსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საქ. 1717, გვ. 37).

როგორც ამ დეპეშიდან ჩანს, 1917 წელს კავკასიის ნამესტნიკს ალიშევსკის და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს უნდა აღედგინათ ს. ხუნდაძე თავის უფლებებში, მაგრამ პატრიოტი და თავმოყვარე ს. ხუნდაძე ასეთ საპასუხო დეპეშას უგზავნის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს: „თბილისი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მ. გ. რუდოლფს. თქვენი სურვილის გარეშე მე აღდგენილი ვარ ჩემს თანამდებობაზე. თქვენ მიაღწიეთ ჩემს დამცირებას თქვენი სამარცხვინო ჩინოვნიკების წინაშე კავკასიის ყოფილ დეპუტატებთან. თქვენისთანა მოსამართლე არ არის ღირსი იყოს ხელმძღვანელი განათლების წმინდა დარგისა, თქვენ რომელიც ამცირებთ ადგილობრივ ადამიანებს, რომლებიც ემსახურებიან ხალხს, დარწმუნებული ვარ თვითონ იქნებით დამცირებული და დასჯილი“ (სსსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საქ. 1717, გვ. 44).

ახალგაზრდა თაობისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ვინ იცის კიდევ რამდენი კეთილშობილური ნაბიჯი გადაადგმევინა მშობელი ერის მოჭირნახულე კაცს. 1908 წელს სილოვანის წინადადებითა და მეცადინეობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ფინანსური დახმარება გაეწია უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა ჯგუფისათვის. ამის ერთი მაგალითია, 1900-იანი წლების მეორე ნახევარში უმაღლესი განათლების მისაღებად მიუნხენში მყოფი დამწყები მხატვარი, შემდგომში კი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და ქართული

ხელოვნების დიდი ქომაგი დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე უსაზღვრო სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებდა სილოვანს. სამადლობელი ბარათიც კი მისწერა მას. შევარდნაძის სამადლობელი ბარათის პასუხად ხუნდაძე წერს: „შენს ბარათში შენ თვითონ ამბობ და ჭეშმარიტებაა, რომ შენის მხრივ მადლობა საზოგადოებისადმი, თუ ამ უკანასკნელს რაიმე ზრუნვა კი მიუძღვის შენზე, იმაში უნდა გამოიხატოს, რომ კურსის დასრულების შემდეგ ჩვენი საზოგადოების გონიერი წევრი იქნები და შეძლებისდაგვარად ერთიანად და ერთიასად დაუბრუნებ იმას, რაც მისგან მიგიღია. ასე რომ არ იყოს, ცხოვრება წინ ვერ წავა. დიდი აზრია შოთას სიტყვებში - „უხვად გასცემდე, ზღვასაცა შესდის და გაედინების“. საზოგადოება ვალდებულია უხვად გასცეს ახალგაზრდობის აღზრდისათვის, რადგან განათლებული, ნიჭიერი ადამიანები შეადგენენ ხალხის სიმდიდრეს, მის შვენებას“ (ურუშაძე 2014:42). გარდა დ. შევარდნაძისა, სილოვანის დახმარებით უცხოეთში სწავლა დაუფინანსდა შ. ნუცუბიძეს, გ. ჩუბინაშვილს, დ. უზნაძეს, ბ. რამიშვილს და სხვა.

1919 წლის 28 მარტს სილოვან ხუნდაძემ ქუთაისიდან განათლების მინისტრს დეპეშა მისწერა, რომ 27 მარტს, საღამოს 5 საათზე პარტახტიანი ტიფით გარდაიცვალა II გიმნაზიის დირექტორი - იოსებ ოცხელი. იოსებ ოცხელი ამ დროს 54 წლისა იყო. მისი ნეშტი 1 აპრილს დაკრძალეს ჩვეულებრივ სასაფლაოზე, საიდანაც შემდეგში მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაიტანეს. გვირგვინები, განსვენებულის ანდერძის მიხედვით, არავის მიუტანია, გვირგვინებისათვის განკუთვნილი ფული დამკრძალავი კომისიის თავჯდომარეს - გერასიმე ცაგარეიშვილს გადაეცა, რომელმაც ეს თანხა ოცხელის სტიპენდიის ფონდში ჩარიცხა.

ოცხელის ადგილზე, 1919 წლის 9 აპრილს პედაგოგიური კოლექტივის მიერ სილოვან ხუნდაძე იქნა არჩეული. პედსაბჭოს სხდომაზე 3 წევრის გარდა ყველამ მისცა ხმა მის კანდიდატურას. საბჭოს გადაწყვეტილებაში ეწერა, რომ „იგი იყო საუკეთესო პედაგოგი, ამავე გიმნაზიასთან მთელი თავისი წარსული მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობით დაკავშირებული, ნდობითა და პატივისცემით აღჭურვილი მასწავლებელი მოწაფეთა და საზოგადოების მიერ“ (ქსსა, ფონდი 1717, ფ. 44).

პედაგოგიური საბჭო იმედოვნებდა, რომ იგი უნარიანად გაუძღვებოდა ხსენებული გიმნაზიის საქმეებს. სილოვან ხუნდაძეს დიდხანს არ დასცალდა ამ თანამდებობაზე ყოფნა. იგი დაავადმყოფდა და ვეღარ შესძლო სამსახურის გაგრძელება. ძალიან უჭირდა 6 შვილის მამას, მაგრამ იძულებული იყო მაინც გაენებებინა თავი სამსახურისათვის.

1920 წლის 8 ივნისს იგი თხოვნით მიმართავდა სახალხო განათლების მინისტრს: „1920-21 სასწავლო წლიდან, ავადმყოფობის გამო, იძულებული ვარ სამსახურს თავი დავანებო. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით - მოახდინოთ განკარგულება, რათა მომავალი სექტემბრიდან სრულიად თავისუფალი ვიქნე დღევანდელი ჩემი თანამდებობისაგან“ (ქსსა, ფონდი 1717, ფ. 54). თხოვნაში იგი განმარტავდა თავის ოჯახურ მდგომარეობას, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: პენსიის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო, ერთადერთი იმედი იყო - ე. წ. „სასურსათო მაგიდა“, ანუ მთავრობის მიერ პედაგოგთათვის გამოყოფილი პროდუქტების მიღება, რაც გარკვეულ შეღავათს აძლევდა მათ. ეს ყველაფერი კარგად ჩანს სილოვან ხუნდაძის განცხადებაში: „ოზურგეთის მაზრაში, სოფელში პატარა მიწის ნაჭერი და იმერული ოდა მაქვს, - წერდა იგი მინისტრს, - მაგრამ მათით არ ვსარგებლობ, რადგან იქ ცხოვრობენ მეტად მოხუცებულნი და ფიზიკურად დაავადებულნი ჩემი ძმა და რძალი, რომლებსაც იქით ვუჩენ ნივთიერ დახმარებას, ქუთაისში მაქვს ხუთი თვალი სახლი, სადაც ვცხოვრობ ახლა, მაგრამ იმდენი გადასახადი და ხარჯი მოსდევს მას, რომ თითქმის დაქირავებულად ჩაითვლება, ნორმალურ პირობებში შესაძლებელი იყო ჩემი სახელმძღვანელო წიგნები შემოსავლის წყაროდ გამხდომოდა, მაგრამ დღეს, ქაღალდის უქონლობისა და საზოგადოთ გამომცემლობის უკიდურესათ დუხჭირი მდგომარეობის გამო, ეს წყაროც მეტად უიმედოდ შეიქმნა. რაც შეეხება ოჯახის საჭიროებას, იგი შემდეგი გარემოებით განისაზღვრება: სამ შვილს ჯერ სწავლა არ დაუმთავრებია და ძნელი იქნება უმაღლესში არ ვასწავლო, რადგან ნიჭიერები არიან, მე და ჩემი ცოლი ხნიერები ვართ და ვუძლებთ...“ (მისი ცოლი იყო პარასკევა მიქელაძის ასული, დაქორწინდნენ 1886 წლის 1 ივნისს, შვილები: გიორგი, ლეონი, ელენე, ფატმანი და ტყუპი დები - თამარი და მარიამი).

„სექტემბრიდან სამსახურიდან გამათავისუფლეთ და დღიდან განთავისუფლებისა, ერთი წლის განმავლობაში იმდენი საშუალება მიბოძეთ, რამდენიც დღევანდელ პირობებში ოჯახის ზომიერი ხარჯების გასაძღოლადაა აუცილებელი. ამ პირველ წელს ნუ ჩამაგდებთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, ხოლო წლის განმავლობაში ვეცდები რაიმე წყარო გავიჩინო და პატივცემული სამინისტრო კვლავ აღარ შევაწუხო“ (ქსსა, ფონდი 1717, ფ. 55).

სილოვან ხუნდაძე დახმარებას თხოვდა ასევე ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარს, წერდა - სასურსათო მაგიდით სარგებლობის უფლება გამიგრძელებო“ (იქვე). მის დასახმარებლად 1920 წლის 8 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე ქუთაისის გიმნაზიაში გაიხსნა კრედიტი - 3000 მანეთი“ (ქსსა, ფონდი 1717, ფურცელი 57). საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებობდა ფონდი - „დახმარება საზოგადო მოღვაწეთ“, საიდანაც, 1920 წლის ოქტომბერში, ერთდროული დახმარების სახით მას გადასცეს 4 ათასი მანეთი“, 1920 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით კი განათლების სამინისტრო ქუთაისის ხაზინაში მას უხსნიდა კრედიტს - 12 ათასი მანეთის რაოდენობით“.

ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზიამ სამჯერ შეიცვალა ბინა, მესამედ იგი ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე გადავიდა ჯაი-ანის სახლიდან, გიორგი ზდანოვიჩის ყოფილი მამულის გვერდით, თავადაზნაურთა ქონების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შემდეგ ეს მამულიც სახელმწიფოს ხელში გადავიდა“ (ქსსა, ფონდი 1717, ფურცელი 58). გიმნაზიის დირექციამ მოითხოვა ზდანოვიჩის მამულისა და სახლის გადაცემა. ქალაქის გამგეობა, დაეთანხმა იმ პირობით, თუ სასწავლებელი წარადგენდა პედსაბჭოს დასაბუთებულ მოთხოვნას“. ამ დროს დირექტორი ჯერ კიდევ სილოვან ხუნდაძე იყო. 1919 წლის 5 იანვარს სილოვან ხუნდაძე მიმართავდა სამინისტროს: „განსვენებულის გიორგი ზდანოვიჩის მამული ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, რომელიც ქ. შ. წ. კ. ვ. საზოგადოებას ჰქონდა ნაანდერძევი, სრულიად მოულოდნელად გაიყიდა და არა სასურველი კერძო პირის ხელში გადავიდა. ამ გარემოებამ ადგილობრივ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმიტომ, რომ აღნიშნულ ადგილთან ბევრნაირად არის დაკავშირებული საზოგადოების ინტერესი. ზნეობრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ამ მამულთან დაკავშირებულია

სახელმწიფოებრივი ინტერესიც, ვინაიდან იგი ფასადის მხრით ეკვრის სახელმწიფოს კუთვნილ მამულს, ვაჟთა გიმნაზიის ეზოს, რომელშიც ისეა შექრილი, რომ ამით გიმნაზიის ეზო-მიდამოს ფასი და ღირსება ნახევრად ერთმევა. ამ გარემოებამ გამოიწვია ამ საქმეში გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს ჩარევა: პედაგოგიურმა საბჭომ ამ საკითხის გამო განსაკუთრებულ სხდომაზე იმსჯელა და ერთხმად დაადგინა: იშუამდგომლოს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მან გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განმარტებული მნიშვნელობა დასახელებული მამულისა და იზრუნოს იმისათვის, რომ ეს მამული საზოგადოებას დაუბრუნდეს გიმნაზიის მამულთან შესაერთებლად. პედაგოგიური საბჭო აზრს გამოთქვამს, რომ II გიმნაზიის დღევანდელი მდგომარეობის გამორკვევა მინდობილი აქვს ამავე საბჭოს წევრს ბატონ ვარლამ იმნაძეს.

სასწავლებელს მართლაც გადაეცა ზდანოვიჩის მამული და სახლი, ქუთაისის ვაჟთა II გიმნაზია, როგორც მემკვიდრე ქართული გიმნაზიისა, დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ძეგლი იყო.

1919 წლის 8 აპრილს გიმნაზიის საბჭოს სხდომის ოქმში აღნიშნულია: „ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ ერთხმად დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მეორე გიმნაზიის დირექტორად დანიშნულ იქნას ს. ხუნდაძე“ (სსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9, საქ. 1717, გვ. 44).

ქუთაისის სათავადაზნაურო ქართულმა გიმნაზიამ ბევრი რამ გააკეთა ქართველი ხალხისათვის. მან სულ 12 წელი იარსება და მრავალრიცხოვანი მოღვაწეები აღუზარდა სამშობლოს. ამ გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების საქმეში. საკმარისია მათი სახელების გახსენება, რომ მთელი შესაძლებლობით წარმოგვიდგეს თვალწინ ამ სასწავლებლის ღირსება და დამსახურება.

ეს გიმნაზია დაასრულეს მეცნიერებმა: კონსტანტინე ერისთავმა, პეტრე ქავთარაძემ, გიორგი ახვლედიანმა, გიორგი წერეთელმა, ვარლამ თოფურიამ, არნოლდ ჩიქობავამ, ირაკლი მიქელაძემ, დავით ლორთქიფანიძემ, ვარლამ დონდუამ, პლატონ შუშუანიამ, ტროფიმე ხუნდაძემ, ბორის ფურცხვანიძემ, გრიგოლ ფხალაძემ და

სხვებმა. ამ გიმნაზიის კედლებში სწავლობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, ბესარიონ ჟღენტი, სერგო კლდიაშვილი, დია ჩინელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მჭედლიძე, კინორეჟისორი დავით რონდელი და სხვები.

სამართლიანად აღნიშნავს ამ გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე გარსევანიშვილი, რომ ეს სკოლა კი არა აკადემია იყო. და ამ ეროვნული დაწესებულების სულისჩამდგმელი, პატრიოტული აღზრდის დიდი მოამაგე ს. ხუნდაძე გახლდათ.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე სილოვან ხუნდაძის ზრუნვის საგანი იყო, ჩაენერგა მოსწავლეებში ქართული ლიტერატურის სიყვარული. ამ მიზნით საგანს თავისი შედგენილი კონსპექტებით ასწავლიდა, რადგან შესაბამისი სახელმძღვანელო არ არსებობდა.

როდესაც 1917 წელს სილოვან ხუნდაძე აღადგინეს სათაყვანებელ პროფესიაზე, იგი ჩვეული ენერგიით შეუდგა თავის საყვარელ საქმეს, მაგრამ მალევე ავადმყოფობის გამო დაანება თავი მასწავლებლობას. ამის შესახებ მისი ქალიშვილი ფატი ხუნდაძე იგონებს: „მამამ ქართულ გიმნაზიაში შეწყვიტა მუშაობა ავადმყოფობის გამო. ბოლო წლებში საგრძნობლად მოეძალა ნერვიული ასტმა, რომელიც ახალგაზრდობიდან ტანჯავდა“ (ურუშაძე 2014:51). ავადმყოფობის მიუხედავად სილოვანს მუშაობა არ შეუწყვეტია. ის აქტიურად იყო ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში. 1914 წელს მან გამოაქვეყნა ლექსების კრებული, თავისი ჩანაწერების საფუძველზე 1914-21 წლებში ქუთაისში დასტამბა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები 7 წიგნად, 1927 წელს დაბეჭდა სახელმძღვანელო „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“, 1928 წელს კი გამოსცა პოემების და მოთხრობების კრებული, რის შემდეგაც მალე გარდაიცვალა.

სახელოვანმა პედაგოგმა თავისი პირადი ინტერესები შესწირა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ქედი არ მოუხრია. იგი შემდეგაც დაუნდობლად ებრძოდა თვითმპყრობელობის დამქაშებს, იცავდა ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის, მთელი ხალხის ინტერესებს.

სილოვან ხუნდაძე თავისი ცხოვრებითა და აქტიური საზოგადოებრივი



საქმიანობით XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქუთაისსა და მთელ დასავლეთ საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ წამოწყების ერთ-ერთი ორგანიზატორი ან მონაწილე იყო.

უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობის გარდა, სილოვანი ფართო საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. ასე მაგალითად, მისი დიდი შემწეობით 1900-იანი წლების შუა ხანებში ქუთაისში გაიხსნა მოზრდილი წიგნთსაცავი საჯარო ბიბლიოთეკაში, რომლის საშუალებითაც ბიბლიოთეკას ბევრი საჭირო წიგნი შეემატა.

იგი იყო დიდი მოჭირნახულე ქართული სკოლისა, ახალგაზრდობის ერთგული მეგობარი და მისი კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1914 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობასთან მომხდარი შეხლა-შემოხლის გამო მას ერთხანს გიმნაზიის დატოვება მოუხდა.

სილოვან ხუნდაძე იყო აქტიური წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და სარგებლობდა მისი თავკაცის, დიდი ილიას პატივისცემით. ილიას გარდა სილოვანს მეტად ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ქართველი ერის ისეთ ბუმბერაზ შვილებთან, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი. მათთან ურთიერთობამ დიდი ზეგავლენა იქონია მის მთელ შემდგომ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

სილოვან ხუნდაძე გიმნაზიაში დიდ ყურადღებას აქცევდა ნიჭიერ მოსწავლეებს, ზრუნავდა მათ განათლებაზე და ყველანაირად უწყობდა ხელს სამომავლო გზების გაკვალვაში.

ამის ნათელი მაგალითია მისი ზრუნვა ყმაწვილ ნიკო ლორთქიფანიძეზე. სილოვანის ხელმძღვანელობით ემზადებოდა იგი გიმნაზიაში შესასვლელად. ენისა და ლიტერატურის მისმა სახელმძღვანელოებმა, შესანიშნავმა კერძო გაკვეთილებმა უსაზღვროდ შეაყვარა მომავალ მწერალს სამშობლო, ქართული ლიტერატურა... დიდი პედაგოგის ხელში ასევე იზრდებოდნენ მისი მოწაფეები, შემდგომში ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსები – გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ნუცუბიძე, ვარლამ თოფურია, სიმონ ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე ერისთავი, პეტრე ქავთარაძე, გიორგი

წერეთელი, ილია აბულაძე, დავით ლორთქიფანიძე, ირაკლი მიქელაძე, მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია; პროფესორები – კარპეზ დონდუა, ვარლამ დონდუა, ალექსანდრე წერეთელი, ტროფიმე ხუნდაძე, მწერალი აკაკი ბელიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მსახიობი კ. აბესაძე და მრავალი სხვა, რომელნიც მუდამ დიდი მადლიერებით მოიხსენიებდნენ საყვარელ მასწავლებელს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რამდენიმე მათგანი მოგვიანებით სილოვანთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მშობლიურ გიმნაზიაში.

სილოვან ხუნდაძის ყოფილი მოწაფე, მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც 1911 წელს დაასრულა ქუთაისის ქართული გიმნაზია, მრავალი წლის შემდგომ გულთბილად იგონებდა, რომ მის არჩევანზე – მწერალი გამოსულიყო, უდიდესი გავლენა მოახდინა სილოვანმა, რომ სწორედ მან შეაყვარა მშობლიური ლიტერატურა და ქართველ კლასიკოსთა მხატვრული სამყარო. გამსახურდია იმასაც აღნიშნავდა, რომ დიდი მგოსნების შემოქმედების, მათი ნაწარმოებების სტილისა და ენის შეფასებისას იგი მუდამ ერთგული იყო თავისი მასწავლებლის შეხედულებებისა.

სილოვანის სახელმძღვანელოები კი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარებისა და განათლების საქმეში. აი, რას წერს თავად ხუნდაძე ერთ-ერთი სახელმძღვანელოს პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაში: „...დიდი ხანია ჩემს მოწაფეებს ქართულ ლიტერატურას ჩემ მიერ შედგენილი ხელნაწერი კონსპექტებით ვასწავლი. სამწუხაროდ, დღესაც არ მოგვეპოვება იმისთანა წიგნი, რომ მოწაფეებისათვის სახელმძღვანელოდ გამოდგეს და მწადია, ხსენებული კონსპექტებით ვისარგებლო და ნაწილ-ნაწილ შევაკო და გამოვცე თითოეულის ჩვენი მწერლის ცხოვრებისა და ნაწერების მიმოხილვა“ (ხუნდაძე 1917:43). ამ სიტყვებიდანაც თვალნათლივ ჩანს სახელოვანი პედაგოგის ზრუნვა ახალგაზრდობისათვის ქართული ლიტერატურისადმი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებისადმი სიყვარულის ჩანერგვისათვის. აღნიშნული სახელმძღვანელოების, ნარკვევების გამოცემა დიდი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოების კულტურული და სულიერი ცხოვრებისა, რამეთუ ეს გახლდათ პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ქართული ლიტერატურის ქრესტომატიის

შესადგენად. სილოვანს განზრახული ჰქონდა ქართული სიტყვაკაზმული კლასიკური ლიტერატურის ყველა ძირითადი წარმომადგენლის ცხოვრება-მოღვაწეობის წარმოდგენა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების (საფიქრებელია, ჯანმრთელობის შერყევის) გამო თავისი ჩანაფიქრის სრულად განხორციელება მას ვერ მოუხერხებია, მაგრამ ის, რაც მან ამ ჩანაფიქრის ნაწილის განხორციელების, ხორცშესხმის შედეგად დაგვიტოვა, ყოვლად საკმარისია მისი სახელის არდავიწყებისა და უკვდავყოფისთვის. ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვასთან ერთად ამ სახელმძღვანელოთა შექმნისას სილოვან ხუნდაძის მიზანს შეადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ჩაესახა ეროვნული თვითშეგნება. სილოვან ხუნდაძის მიერ გადადგმულ ამ კეთილშობილ ნაბიჯს – ახალგაზრდობისათვის ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენას – მშობელი ერისადმი წრფელი, წმინდა სიყვარული ედო საფუძვლად. თითოეული ნაკვეთის აგებულება ლოგიკურ ძაფს მისდევს, მათში თანმიმდევრულად არის გაშუქებული მწერლის ბიოგრაფია, მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარე, მოცემული შემოქმედების კრიტიკულ-მხატვრული ანალიზი.

საყურადღებოა სილოვან ხუნდაძის ერთი გამონათქვამი: „...თითოეული პიროვნება, მწერალ-მგოსანია თუ მკვლევარი, შეუძლებელია შეუცთომელი იყოს...“ და თუ სილოვანი სავსედ, სრულად, ლამაზად ლაპარაკობს ქართველი მწერლის ღირსებაზე, ქვეყნისათვის გაწეულ დამსახურებაზე, იგი თვალს არ ხუჭავს არც მის სისუსტეზე, რაც დიდად ფასეულია – უმჯობესია ადამიანმა სხვის „სისუსტეებზე“ ისწავლოს ჭკუა“ (ხუნდაძე 1926:10).

აღსანიშნავია ს. ხუნდაძისა და მის თანამოაზრეთა დაუღალავი ზრუნვა მოსწავლე-ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც მათ სურდათ აღეზარდათ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი და ერის მოყვარე, რაც იმხანად, მეფის რუსეთის ბიუროკრატის მხრივ საოცარი აღვირახსნილობისა და შევიწროვების პირობებში, ერისშვილთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ამაზე ნათლად მეტყველებს მრავალრიცხოვანი ლიტერატურული დილა-საღამოები, სხვადასხვა სახის კლასგარეშე ლექციები, რომლებიც ქართული გიმნაზიის მესვეურთა ხელმძღვანელობით იმართებოდა და რომელთა მიზანსაც მოსწავლეთათვის სამშობლოსადმი, ერისადმი უსაზღვრო

სიყვარულისა და ერთგულების ჩანერგვა შეადგენდა.

ს. ხუნდაძის მოსწავლე ვერიკო კილასონია იგონებს: „სილოვანი არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა მოსწავლეს ქართული ენის დამახინჯებას, ან უცხო სიტყვის გარევას. მახსოვს, ერთხელ გაკვეთილს ვპასუხობდი, სილოვანი კი თავჩაღუნული იჯდა. მე უნებლიეთ წინადადებაში ვახსენე „სტოლი“. სილოვანი სწრაფად მოტრიალდა, შემაჩერა და წინადადება, რომელსაც სიტყვა მაგიდა უნდა მებხენებინა რამდენჯერმე გამამეორებინა“ (კილასონია 1948:12).

იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე და გიმნაზიის სხვა მასწავლებლები გიმნაზიისა ყოველმხრივ ცდილობდნენ ადრეული ასაკიდანვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაებათ ახალგაზრდები. ერთი ასეთი მაგალითია 1910 წელს მათი თაოსნობით მოწყობილი ქუთაისის მოსწავლეთა შეხვედრა აკაკი წერეთელთან მისი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნის საზეიმო დღეებში. ხუთი წლის შემდეგ კი, 1915 წელს, მგოსნის გარდაცვალების გამო, მათივე ხელმძღვანელობით ჩატარდა აკაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დღია, რომელიც პოეზიის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა. სწორედ ამგვარ შეხვედრა-საღამოებზე შედგა ჩვენი ლიტერატურის მრავალი სახელოვანი წარმომადგენლის დებიუტი. ახალგაზრდები სცემდნენ საკუთარ ხელნაწერ კედლის გაზეთს, რომლის ფურცლებზეც, მოგვიანებით, ბევრი ნიჭიერი პუბლიცისტი თუ კრიტიკოსი დაოსტატდა. მასწავლებლები ყოველგვარ პირობებს ქმნიდნენ იმისათვის, რომ თითოეულ მათ აღსაზრდელს ნიჭის სრულად გამოვლენა შეძლებოდა.

ასევე არანაკლებია სილოვანის დამსახურება ახალგაზრდა, მძლავრი პედაგოგიური კადრების აღზრდისა და შერჩევის, მათი დახელოვნების საქმეში. მისი სიძე, მიუნჰენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამი ათეული წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ენის ლექტორი ნესტორ გაბილაია აღნიშნავდა: „...სილოვანის ხელში დაოსტატება მეორეჯერ უმაღლესი განათლების მიღების, მეორე უნივერსიტეტის ტოლფასი იყო. ბევრს არ შეეძლო მთელ ლექციაში იმის თქმა, რაც მის ერთ წინადადებას ძალუძდა. მიუხედავად იმისა, რომ მე მას ცოცხალს ბოლოში მივუსწარი, მასთან გატარებული ეს სამიოდე წელიწადიც ჩემთვის დიდი ცხოვრებისეული სკოლა იყო“ (ურუშაძე 2014:67). 1911 წელს სწორედ ამაგდარი

პედაგოგის მონდომების შედეგად ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მათემატიკის მასწავლებლად მიიწვიეს შემდგომში პედაგოგიური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი ანდრო შუბლაძე. მისივე ხელში გაიარეს პედაგოგიური წრთობა იმხანად გიმნაზიის მასწავლებლებმა, მოგვიანებით კი ჩვენი ეროვნული მეცნიერების კორიფეებმა: გიორგი ახვლედიანმა, დიმიტრი უზნაძემ, ალექსანდრე წერეთელმა, ცნობილმა ლიტერატორმა ჯაჯუ ჯორჯიკიამ და სხვებმა.

ზემოთ რამდენჯერმე აღვნიშნეთ ს. ხუნდაძის მჭევრმეტყველების შესახებ, რის დასტურადაც გვსურს მოვიშველიოთ ერთი ნაწყვეტი მისი ლიტერატურის სახელმძღვანელოდან: „... შოთას პოეზია შეუდარებელია: თვისი გმირების სულის მოძრაობას მგოსანი ისეთი სინამდვილითა და სისრულით გვიხატავს, რომ ვერც ერთი მსოფლიო გენიოსი-პოეტი, ჰომეროსია იგი თუ შექსპირი, მას ვერ გადაუდგება. შოთას პოეტურ სტრიქონებში მოჩუხჩუხე წყაროსავით ჩქეფს გრძნობა მხიარული გულისა და ჭექა-ქუხილივით მოისმის სევდიანის, დამწვარი ცემა გულისა“ (ხუნდაძე 1921:23).

ჩვენი ხალხის წინაშე სილოვან ხუნდაძის ისტორიული დამსახურების განსაზღვრისათვის მთავარია მისი მწიგნობრული და მრავალწახნაგოვანი პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, ნაყოფიერი საქმიანობა სასკოლო განათლების დარგში. სილოვან ხუნდაძე იყო ერთ-ერთი უნარიანი მესაჭე ეპოქალური მნიშვნელობის ისეთი დიდი საქმისა, როგორსაც სკოლის, სახალხო განათლების გაეროვნულება წარმოადგენდა. ამ სფეროში სილოვან ხუნდაძის დამსახურება და ღვაწლი ნამდვილად პირველხარისხოვანია და რომ იგი, ასე თუ ისე, თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, საჭირო იქნება ზოგი რამ (მთავარი მაინც) გავიხსენოთ ამ საქმის ისტორიიდან.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალურ და ეროვნულ ინტერესებთან შეხამებული და დედაენაზე მოქმედი სკოლის შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო მუხლს წარმოადგენდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 1905 წლის რევოლუციისათვის მზადებისა და მიმდინარეობისას და მის მომდევნო წლებში, ვიდრე თვითმპყრობელობის დამხობამდე, სკოლის გაეროვნებულებისათვის ბრძოლა ახალი სისხლით შეივსო, მან ახალი ხორცი შეისხა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ბრძოლა დედაენისათვის, ეროვნული

კულტურისათვის, ეროვნული სკოლისათვის მტკიცედ დაუკავშირდა საერთო სახალხო ბრძოლას სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ მძლავრად გააღვივა იმედის თესლი. ხალხის სხვადასხვა ფენა მტკიცედ დარწმუნდა იმაში, რომ თვითმპყრობელობის საძირკვლები დამპალია და მასზე დაფუძნებული ჩაგვრაც უახლოეს ხანში უნდა მოისპოს. ამ შეგნებითა და ამ რწმენით გამსჭვალული და გამხნეებული ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია განსაკუთრებული გულმოდგინებით იღვწოდა საიმისოდ, რომ ასე სანატრელი ქართული სკოლის დაარსებას მომზადებული შეხვედროდა.

სილოვან ხუნდაძემ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული ეროვნული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაფუძნებისა და მისი შემდგომი განვითარების კეთილშობილურ საქმეს. და საერთოდ, ქართული სახალხო განათლების სისტემას, მეცნიერული პედაგოგიკის შესწავლას.

სილოვანი მუდამ ტრიალებდა ქუთაისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების შუაგულში. 1916 წელს როდესაც „ცისფერყანწელთა“ დაჯგუფება შეიქმნა, სილოვანმა რიგი წერილებისა უძღვნა კიდეც ცისფერყანწელთა შემოქმედებას. 1910-იანი წლების მეორე ნახევარში მისი უშუალო მონაწილეობით იქმნება მწერალთა კავშირის დღევანდელი ქუთაისის განყოფილების წინამორბედი - ქუთაისის ხელოვან მწერალთა წრე, შემდეგ კი - კავშირი.

სილოვან ხუნდაძის მრავალმხრივ ცხოვრება-მოღვაწეობაზე მოვიყვანოთ ფატი ხუნდაძის (მისი ქალიშვილის) მოგონება, რომელიც ამ უკანასკნელმა გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე დაწერა, მოგონება, რომელიც ერთ მთლიანობად წარმოგვიდგენს დიდი პედაგოგის პიროვნებას:

„მამა იყო ჩვენთვის, შვილებისათვის, პატიოსნების, პრინციპულობის, ადამიანურობის, სიდარბაისლისა და, საერთოდ - ყოველგვარი ამადლებულის განსახიერება; ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი გახლდათ საოცრად სადა, წყნარი, მუხლჩაუხრელი, მოწინააღმდეგე ყოველგვარი გადამეტებულისა, მეტად გულისხმიერი და მგრძნობიარე, მაგრამ ამავე დროს მტკიცე, მკაცრი და ფიცხი იქ, სადაც საქმე სამართლიანობის დაცვას, მომავალი თაობის აღზრდას შეეხებოდა. ასეთ შემთხვევაში თავის თავს მუდამ უკანა პლანზე აყენებდა, არად აგდებდა რა საკუთარ

სამსახურებრივსა თუ ეკონომიურ მდგომარეობას. ხმამალა ლაპარაკი არ იცოდა, სამაგიეროდ, როცა გაგულისდებოდა, სავსებით საკმარისი იყო მისი ერთი შემოხედვაც კი. მამას ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდა – ბავშვთან ბავშვი იყო, დიდთან – დიდი; მუდამ ცდილობდა, რომ მასთან მოსაუბრეს არ ეგრძნო უხერხულობა, გარკვეული ასაკობრივი და რანგობრივი სხვაობანი. საოცრად მომთხოვნი გახლდათ საკუთარი თავისადმი. სწორედ ასე აღგვზარდა შვილებიც – არასოდეს გამოგვარჩევდა სხვა ჩვენი თანატოლებისაგან, არ გვაძლევდა არავითარ შეღავათს და თუ თითოეულმა ჩვენგანმა ცხოვრებაში რაიმე წარმატებას მივაღწიეთ, ეს უპირველესად ყოვლისა სილოვანის დამსახურებაა“ (ხუნდაძე 1960:45).

ქართული იდენტობის ჩამოყალიბებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში კონკრეტული მოღვაწეების მხრებზე გადაიარა, რომელთა დიდი ნაწილი ასევე უცნობია. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე არის სილოვან ხუნდაძე. ქუთაისის გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარული მასწავლებელი და განმანათლებელი. იგი არა მხოლოდ წარმატებით ებრძოდა რუსეთის იმპერიის იმ დროისათვის გამძაფრებულ რუსიფიკაციას, არამედ ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტების მნიშვნელოვან დამდგენადაც გვევლინება. ენის სტანდარტიზაცია და „ჰომოგენიზაცია“ კი თანამედროვე ერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი წინაპირობაა (ურუშაძე 2014:5).

გარდა იმისა, რომ სილოვან ხუნდაძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ აქტიურ წევრს წარმოადგენდა, იგი იყო ქართული ენის და მეტყველების თავგამოდებული და უკომპრომისო დამცველი. შეცდომებს მეტყველებასა თუ წერაში არავის პატიობდა. ხშირად ამას მკაცრად და უხეშადაც კი აკეთებდა და მხედველობაში არ იღებდა არც ასაკსა და არც საზოგადოებრივ მდგომარეობას. სწორედ ამიტომ, სილოვან ხუნდაძე იმდროინდელ სკოლებში სალიტერატურო ქართულის დამკვიდრების ერთ-ერთი მესაჭეა.

სილოვან ხუნდაძის საგანმანათლებლო მოღვაწეობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან და ნაკარნახევია ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალიზმის მიზნებით. ილიას მიერ დასახული და მისი მიმდევრების მიერ გაზიარებული სტრატეგიული მიზნის - თანამედროვე

სახელმწიფოს შექმნის მიღწევა - ცხადია შეუძლებელი იქნებოდა განათლებული, ერთ ენაზე მოლაპარაკე და პატრიოტული იდეებით განმსჭვალული აქტიური საზოგადოების გარკვეული კრიტიკული მასის გარეშე. სილოვან ხუნდაძეს სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს. მისი საგანმანათლებლო საქმიანობის კონტექსტი სწორედაც რომ პოლიტიკურია. ამას ემატება მისი აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა პატრიოტულ ორგანიზაციებში და, რა თქმა უნდა, ეროვნული დისკურსის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილის მქონე სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მისი აქტიური საქმიანობის შესახებ საქართველოს ეროვნულ არქივში არის დაცული ორი უმნიშვნელოვანესი საქმე, პირველი, რომელიც „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ საქმიანობას შეეხება, მეორე საქმე კი 1914-1915 წლებით თარიღდება და უკავშირდება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობას. სილოვან ხუნდაძე, როგორც ხსენებული დოკუმენტებით დასტურდება, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს 1890-იანი და 1910-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1896 წლის 1 მარტს „საქართველოს თავისუფლების ლიგასთან“ შესაძლო კავშირის გამო ს. ხუნდაძე დაკითხა ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა დე ბილმა (1, ფურც. 33). ხუნდაძემ დაკითხვაზე განაცხადა, რომ არაფერი იცოდა მათი საქმიანობის შესახებ. თუმცა, სილოვანს ამ გაერთიანების თითქმის ყველა წარმომადგენელთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. და თუ გავითვალისწინებთ სილოვანის მგზნებარე ეროვნულ სულისკვეთებას, რომლითაც იგი ყოველთვის გამოირჩეოდა, მის უკომპრომისობას ეროვნულ საკითხში და იმ ფაქტს, რომ მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა გიორგი გვაზავასთან, თედო სახოკიასთან, გიორგი დეკანოზიშვილთან, არჩილ ჯორჯაძესთან, იაკობ ფანცხავასთან, ნიკო ჯაყელთან და სხვებთან, ძნელი საფიქრებელია, რომ მას არ ჰქონოდა კავშირი „საქართველოს თავისუფლების ლიგასთან“ და მის საქმიანობასთან. სამწუხაროდ, მასალის სიმწირე არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ამ ურთიერთობის კონკრეტულ დეტალებზე ვისაუბროთ. აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ 1880-იანი წლების დამლევიდან ქუთაისში არ ჩატარებულა ეროვნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არც ერთი ღონისძიება, რომ მასში არ მიეღო მონაწილეობა ს.



ხუნდაძეს.

რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, იგი ეძღვნება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობას. ამ პარტიის აქტიური წევრი, დღიდან მისი დაარსებისა, იყო სილოვან ხუნდაძე. აღნიშნული პარტიის სათავეში იდგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი გიორგი და ანდრო დეკანოზიშვილები, არჩილ ჯორჯაძე და ეს პარტია ღრმად ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკების მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართველ ფედერალისტთა ძირითადმა ბირთვმა ჩამოაყალიბა მემარჯვენე ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაცია და მკვეთრად დაუპირისპირდა საოკუპაციო რეჟიმს.

ქუთაისში არსებობდა ფედერალისტების ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდნენ სახელოვანი მამულიშვილები: გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), კიტა აბაშიძე, სილოვან ხუნდაძე, გრიგოლ ლალიძე, იოსებ დადიანი, პეტრე ყიფიანი, იასონ ბაქრაძე და სხვანი (2, ფურც. 21-24). ამ ორგანიზაციის წევრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“, რომელიც აქტიურ საქმიანობას ეწეოდა თურქეთსა და გერმანიაში 1914-1918 წლებში.

არაერთი საყურადღებო მაგალითის გახსენება შეგვიძლია სილოვან ხუნდაძის ეროვნულ-პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

1912 წლის შემოდგომისათვის დანიშნული იყო მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. აკაკი წერეთელმა კენჭი იყარა საჩხერეში რწმუნებულობის კანდიდატურაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. აკაკიმ მარცხი განიცადა, რამაც პოეტის თაყვანისმცემელთა აღშფოთება გამოიწვია. სილოვან ხუნდაძე უყოყმანოდ, აქტიურად შეუერთდა აკაკის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს. სილოვან ხუნდაძის, არჩილ ჯორჯაძისა და სხვათა წერილში ნათლად იყო მითითებული, რომ არჩევნები პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზია და პოეტის პიროვნული თვისებები ამ დროს მხედველობაში არ არის მისაღები. აკაკის მიმართ უკმაყოფილებას განსაკუთრებით ამძაფრებდა ის, რომ იგი კენჭს იყრიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, იმ პარტიიდან, რომლის ორივე ფრთა - ბოლშევიკებიც და მეშენევიკებიც -

კატეგორიულად უარყოფდნენ მცირე ერების დამოუკიდებლობის აუცილებლობას და რომელსაც უკავშირებდნენ ქართველი ერის ბელადის - ილიას მკვლელობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება სილოვან ხუნდაძის უდიდესი დამსახურება მშობელი ერის, ეროვნული კულტურის წინსვლის საქმეში. როდესაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა, სილოვან ხუნდაძე ოკუპანტთა წინააღმდეგ მორალური წინააღმდეგობის ერთგვარი „სულიერი ფრონტის“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა. ევროპული საქართველოს ეროვნული იდეა მისი და სხვათა მოღვაწეობის წყალობით გადაურჩა საბჭოთა ოკუპაციის სისხლიან ათწლეულებს.

იოსებ ოცხელის სახელობის მეორე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესია ქუთაისში. იგი სილოვან ხუნდაძემ დააარსა 1884 წელს. მას მდიდარი წიგნადი ფონდი აქვს, მათ შორის 300-მდე მე-19 საუკუნის 60-90-იან წლებშია დაბეჭდილი რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ლათინურ ენებზე.

1918 წელს ღვაწლმოსილი პედაგოგი დიდი სიხარულით შეხვდა ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა ჯგუფის თაოსნობით თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. იგი ქართული მეცნიერების ტაძრის დაარსების სამზადისის უშუალო მონაწილეც იყო: 1917 წლის 17 მაისს ქუთაისში ქართული გიმნაზიის შენობაში შედგა სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა მომავალი უნივერსიტეტის დაარსების საორგანიზაციო საკითხები. ივანე ჯავახიშვილისა და კრების თავმჯდომარის – იოსებ ოცხელის გარდა, სხდომას ესწრებოდა 23 პირი, რომელთაგან სილოვან ხუნდაძე იყო ერთ-ერთი ინიციატორი ამ სხდომის ქუთაისში ჩატარებისა. სწორედ ამ მნიშვნელოვან სხდომაზე შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება – პირველი გაერთიანება, რომელსაც მომავალი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისთვის ზრუნვა ევალებოდა.

1907 წელს, 1900 წლიდან თბილისში არსებული საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა სამეცნიერო წრის საფუძველზე, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953) თაოსნობით დაარსდა (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგ) ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ეროვნული კულტურის

უმნიშვნელოვანესი კერა – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (1907-1927), რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის, საქართველოს სიძველეთა დაცვისა და კვლევის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საზოგადოების მოღვაწეობის მიზნები იმდროინდელი მოთხოვნებიდან მომდინარეობდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ საზოგადოების საქმიანობაში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ცაგარელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, თედო სახოკია, კოტე მაყაშვილი, დავით სარაჯიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ვასილ წერეთელი, მოსე ჯანაშვილი, დავით კარიჭაშვილი, დავით კაკაბაძე, კორნელი კეკელიძე, ლადო გუდიაშვილი, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე წერეთელი და სხვა სახელგანთქმული მოღვაწენი.

სწორედ ამ მნიშვნელოვანი მეცნიერულ-კულტურული კერის შექმნამ აფიქრებინა ქუთაისის საზოგადოებას, რომ ქალაქში გახსნილიყო აღნიშნული საზოგადოების განყოფილება. ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის ეს მოსაზრება ერთსულოვნად აიტაცა მთელმა ქალაქმა, შემდეგ კი მთელმა საქართველომ. წამომწყები ამ დიდი საქმისა კი იყო ქუთაისის ქართული გიმნაზიის ხელმძღვანელობა.

1911 წლის დამდეგიდან გიმნაზიასთან შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი იოსებ ოცხელის, სილოვან ხუნდაძის, ტრიფონ ჯაფარიძის, ჯაჯუ ჯორჯიკიასა და რამდენიმე სხვა მოღვაწის შემადგენლობით. ამ პერიოდს დიდი სითბოთი იხსენებდა სილოვანის ქალიშვილი ფატი ხუნდაძე: „მაშინ გიმნაზიაში ვსწავლობდი. როგორც გიმნაზია, ისე ჩვენი ბინა ნამდვილ სააქტო დარბაზს წარმოადგენდა. აქ გიმნაზიის ხელმძღვანელობის გარდა იყვნენ ხოლმე კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), გრიგოლ გველესიანი, სიმონ ქვარიანი, ვუკოლ ბერიძე, ბიძაჩემი - რაჟდენ ხუნდაძე და სხვანი... მახსოვს, რამდენიმე შეკრებას აკაკი წერეთელიც დაესწრო. ხსენებული შეხვედრები იოსებ ოცხელის ბინაზეც იმართებოდა. ჩვენ -

ახალგაზრდობა - აღფრთოვანებულები შევყურებდით ამ სჯა-ბაასს, რომელიც ქუთაისის მომავალი საისტორიო საზოგადოების დაარსების საჭირობორტო საკითხებს შეეხებოდა. თუმცა ამგვარი სტუმრობების საქმიანი ნაწილის დროს მამა ოთახში შესვლას გვიკრძალავდა ხოლმე. მე მაინც ვახერხებდი მომესმინა მათი კამათი. შეკრებების უმეტესობა, ჩვეულებრივ, მხიარულად, იმედიანად სრულდებოდა. იმხანად ახალგაზრდა თაობას თავში ქარი გვიქროდა და ალბათ ვერ ვაფასებდით რეალურად ყოველივეს მნიშვნელობას. მოგვიანებით კი სავსებით ნათელი გახდა, რომ მომსწრენი ვიყავით ეროვნული მნიშვნელობის მოვლენებისა“ (ურუშაძე 2014:78).

1911 წლის ნოემბერში იოსებ ოცხელი ექთიმე თაყაიშვილს წერდა: „ისტორიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულმა რამდენიმე პირმა სურვილი გამოთქვა - კარგი იქნება, ქუთაისში დაარსდეს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების განყოფილება.

ვინაიდან არ ვიცით, შესაძლებელია თუ არა წესდების ძალით ხსენებული განყოფილების გახსნა, გვსურს, ვიცოდეთ: ხომ არ შეუძლის ხელს ქუთაისში განყოფილების დაარსება თქვენს საზოგადოებას. უმორჩილესად გთხოვთ, გვაცნობოთ ამის შესახებ თქვენი აზრი და შეხედულება. ამასთან საჭიროდ ვთვლით მოგახსენოთ, რომ ჩვენი სურვილია თქვენის ხელმძღვანელობითა და რჩევით თქვენთან ერთად მუშაობა“ (1, ფურც. 45).

იმავე წლის 4 დეკემბერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შედგა ქალაქის მოწინავე ინტელიგენციის შეკრება, რომელზეც ოფიციალურად იქნა განხილული ქუთაისის საისტორიო საზოგადოების – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების განყოფილების დაარსების საკითხები. ამავე შეკრებაზე დამსწრეთ გააცნეს ექვთიმე თაყაიშვილის საპასუხო წერილი. კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება აღნიშნული საზოგადოების დაფუძნების თაობაზე. არჩეულ იქნა სპეციალური საორგანიზაციო კომისია წესდების შესადგენად: სვიმონ ქვარიანის, სილოვან ხუნდაძის, ტრიფონ ჯაფარიძის, ალექსანდრე თორაძის, გრიგოლ გველესიანისა და ჯაჯუ ჯორჯიკიას შემადგენლობით. წესდების საბოლოო ვარიანტი, შედგენილი 1912 წლის გაზაფხულის დამლევს, კომისიამ მთავრობას წარუდგინა. ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ წესდება დაბრუნებული იყო თითქმის

უცვლელი სახით.

1912 წლის 17 ივნისს წესდება ცენზურის მიერ იქნა დამტკიცებული. 1913 წლის 18 თებერვალს გაიმართა დამფუძნებელი კრება, არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: გამგეობის თავმჯდომარე – ტრიფონ ჯაფარიძე, წევრები: ვიქტორ ასათიანი, ვუკოლ ბერიძე (მდივანი), გრიგოლ გველესიანი (მუზეუმის გამგე), რაჭდენ დათეშიძე, ვლადიმერ ვეკუა (მოლარე), სპირიდონ ლეკვეიშვილი, სვიმონ ქვარიანი, სილიბისტრო მარგველაშვილი, სამსონ ყიფიანი, ვლადიმერ წერეთელი, სილოვან ხუნდაძე, კონსტანტინე (ჯაჯუ) ჯორჯიკია. დამფუძნებელი კრების შემდეგ, თებერვლამდე, გაზეთ „იმერეთში“ გამოქვეყნდა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრის სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი მიმართვა, რომელშიც ვკითხულობთ: „წარსულის კულტურის შესწავლას ერის წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ერის ნამოქმედარი თვალწინ გვაქვს, რაც მასში კარგი მოიპოვება, იმით ვსარგებლობთ ხოლმე და თან ახალი გამოცდილებით ვავსებთ და ვაუმჯობესებთ, ხოლო თუ რაიმე ცუდი და შეცდომა ყოფილა, იმას გვერდს ვუვლით და ვერიდებით, ვასწორებთ და ამ სახით წარსული ცხოვრების ავიც და კარგიც ჩვენთვის ჭკუის მასწავლებელია, აწმყოს ცხოვრების მოწესრიგებისათვის და, აგრეთვე, მომავალი იდეალის დასახვისა და გათვალისწინებისათვის. ქალაქ ქუთაისში დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის მიზანსაც შეადგენს ჩვენი ძველი კულტურის კვლევა-ძიება, ხოლო დღეს-დღეობით, უმთავრესად, ძველი დროის სიმდიდრის, ხელნაწერებისა და სხვადასხვა სახის ნივთების მოძიება, შეგროვება და შენახვა. ამგვარივე საზოგადოება რამოდენიმე წელია თბილისშიც არსებობს და შეგნებულ ქართველთა ზნეობრივი მოვალეობაა ამ „საზოგადოებათა“ დიდ მიზანს ყოველნაირად ხელი შეუწყონ. ძვირფასო თანამემამულენო! გულითადი თხოვნით მოგმართავთ ყველას, ვისაც ძველი ხელნაწერები, ან ძველი დროის ნივთები მოგეპოვებათ, ან სადმე გეგულებათ, მოაწოდოთ ყველაფერი ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და საზოგადოება ყოველ ღონეს იხმარს დღეიდან ღირსეულად დაიცვას ისინი და ჩვენი ქვეყნის მომავლის სასარგებლოდ და სასახელოდ გამოიყენოს“ (ხუნდაძე 1919:12). ამ მოწოდებიდან თვალნათლივ ჩანს საზოგადოების გამგეობის და, კერძოდ, სილოვან

ხუნდაძის ეროვნული სულისკვეთება, მოქალაქეობრივი მრწამსი. ამ მიმართვამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მთელ დასავლეთ საქართველოში. მალე მუზეუმსა და წიგნთსაცავში თავი მოიყარა მრავალფეროვანმა შემოწირულებამ იმერეთისა და სამეგრელოს, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის სხვადასხვა კუთხიდან. ეს კოლექცია დაამშვენა თვით სილოვანის მიერ შეწირულმა არაერთმა მნიშვნელოვანმა ექსპონატმა. გარდა სიძველეთა შევსებისა, საზოგადოებამ თავისი არსებობის ცხრა წლის მანძილზე (1912-1921) მეტად შრომატევადი, შეიძლება ითქვას, ტიტანური შრომა გასწია ისტორიული ძეგლების: დასავლეთ საქართველოს ციხეების, ძველი ხიდებისა და ეკლესია-მონასტრების დაცვის, რესტავრაციისა და ნაწილობრივი შესწავლის მხრივ. საბოლოო ჯამში საზოგადოების არსებობის მანძილზე უკვე შექმნილი იყო მდიდარი წიგნთსაცავი და მუზეუმი. 1916 წლის დამლევსათვის ნამდვილ წევრთა საერთო რაოდენობა 250-ს აღწევდა.

1922 წელს საზოგადოების ბაზაზე დაარსდა ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც დღეს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელს ატარებს. არც ამ დროს ყოფილან პასიურნი საზოგადოების დამაარსებელნი... 1900-იანი წლების დამლევს სილოვან ხუნდაძისა და ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლების ინიციატივით მუშაობას შეუდგა იმთავითვე საკმაოდ პოპულარული ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, რომელმაც საგრძნობი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ფართო მასების საერთო განათლებისა და გონებრივი განვითარების საქმეში.

1916 წელს სილოვანი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ჩამოყალიბებისა, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგ ქართული სკოლის წინსვლისა და აღორძინების უმძლავრეს კერად იქცა. ცნობილია, რომ სილოვანი იყო ერთ-ერთი ინიციატორი ქუთაისში გამომცემლობა „მერანის“ დაარსებისა, რომელიც XX საუკუნის 10-20-იან წლებში აქვეყნებდა სასკოლო სახელმძღვანელოებსა და რიგ სხვა სახის ლიტერატურას. „მერანმა“ შეიმუშავა და გამოსცა თავისი მუშაობის გეგმა-წესდება, რომლის თანახმადაც: „...ამხანაგობის მიზანია გამოცემა ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოების – სასწავლო წიგნების, სახელმძღვანელოების და ყოველნაირი სახით

მათი გავრცელება სტამბის, ლითოგრაფიისა და სხვა საშუალებით“ (1, ფურც. 65). ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოგებიდან მიღებული მოზრდილი თანხა სისტემატურად ხმარდებოდა საქველმოქმედო მიზნების განხორციელებას. თითოეული სახელმძღვანელოს სტილისტური რედაქტორის უმძიმეს მოვალეობას საკუთარი ინიციატივით სილოვანი ასრულებდა, ყურადღების მიღმა არ ტოვებდა არც ერთ წიგნს, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განვითარებას უნდა მოხმარებოდა.

სილოვან ხუნდაძის მოღვაწეობაში აუცილებლად უნდა გამოიყოს მისი საქმიანობა, როგორც ქართული საერთო-სახალხო ენის დამკვიდრებისა და სალიტერატურო ენის ნორმების დასაცავად მებრძოლისა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საფუძველთა საფუძველს, როგორც ცნობილია, დიდი ილიას, აკაკისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ შემუშავებული ენობრივი სტრუქტურა წარმოადგენს თავისი გრამატიკული წესებითა და უმდიდრესი ლექსიკური ფონდით.

ქართული ენის სიწმინდის დასაცავად ჯერ კიდევ 1890-იან წლებში „კვალისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე მწვავე სჯა-ბაასი და კამათი გაიმართა, რომელშიც იაკობ გოგებაშვილთან, გიორგი წერეთელთან, მოსე ჯანაშვილთან, დუტუ მეგრელთან, აკაკი წერეთელთან ერთად სილოვანიც იღებდა მონაწილეობას. მას მტკიცედ სწამდა, რომ ჩვენი სალიტერატურო ენა არის უმთავრესი იარაღი იმისათვის, რომ განსწავლული, ფართოდ განათლებული იყოს თითოეული ქართველი, რომ სალიტერატურო ქართულის ნორმათა მტკიცედ დადგენის გარეშე გარდაუვალია პარალელური, დიალექტური ხასიათის ფორმათა არსებობა. ყოველივე ამისათვის კი, მისი აზრით, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტად იქნეს ლიტერატურაში გამოყენებული ენა ჩვენი კლასიკოსებისა, უნდა ვერიდოთ ცოცხალი, საერთო-სახალხო ენისაგან დაცილებული ხელოვნური ფორმების ხმარებას (ურუშაძე 2014:91).

სილოვანის ქალიშვილი ფატი ხუნდაძე იგონებს: „საოცრად მკაცრი და გოროზი იყო მამა, როდესაც საქმე ქართული ენის სიწმინდეს შეეხებოდა, მის შელახვას არავის აპატიებდა. თუ სადმე ქართველი კაცისგან თქმულ ჟარგონს მოკრავდა ყურს, ისე განიცდიდა, როგორც დიდ უბედურებას... ასეთივე სულისკვეთებით აღზარდა

თავისი მოსწავლეებიც. ისინიც, თავისი მასწავლებლის მსგავსად, ისეთი მშვენიერი ქართულით მეტყველებდნენ, რომ, ალბათ, დღევანდელი ახალგაზრდისათვის მათ მიერ ნათქვამი სანახევროდ გაუგებარი იქნებოდაო“ (ურუშაძე 2014:81).

ქართულ ენასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს პედაგოგის თხზულებანი: „ქართული მართლწერა“ (ქუთაისი, 1913), „ქართული გრამატიკა“ (თბილისი, 1921), „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ (ქუთაისი, 1927). ქართული ზმნისადმი, მისი კანონზომიერებისადმია მიძღვნილი სილოვან ხუნდაძის მონოგრაფიული ხასიათის შრომა „ქართული ზმნები“, რომელიც ქართული ენის გრამატიკის ამ საკითხისადმი მიძღვნილ პირველ ვრცელ გამოკვლევას წარმოადგენდა და 1891 წელს დაისტამბა ქუთაისში. სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი თავისი დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „ქართული გრამატიკა“ (ნაწ. I, II) გამოიცა 1921 წელს თბილისში. მისი პირველი გამოცემა განხორციელდა 1904 წელს ქუთაისში და პირველ ცდას წარმოადგენდა აღნიშნულ დარგში სახელმძღვანელოს შედგენისა. ოთხი წლის მანძილზე ეუფლებოდნენ მოსწავლეები აღნიშნული წიგნით ქართულ ენას, სწავლობდნენ მის გრამატიკულ სტრუქტურას, სახელმძღვანელო V-VIII კლასების მოსწავლეთათვის იყო განკუთვნილი. ოთხივე სასწავლო წლისათვის თანმიმდევრულად, სასწავლო პროგრამის ზედმიწევნით გათვალისწინებით იყო იგი განაწილებული. პირველ წელს შეისწავლიდნენ სახელებსა და მათ ბრუნვას, ზმნებს, სინტაქსს, მათ კანონზომიერებებს; მეორე წელს – ფონეტიკურ წესებს, ზედსართავსა და ნაცვალსახელებს. შედარებით ვრცლად და ფართოდ იყო წარმოდგენილი ზმნა (გვარი, სახითა და კილოთი). მოსწავლეები ამჯერად უფრო ღრმად შეისწავლიდნენ სინტაქსს. მომდევნო წელს კვლავ ზმნები და სინტაქსი შეისწავლებოდა. მეოთხე – კურსის დამამთავრებელ წელს ბავშვები საფუძვლიანად ეუფლებოდნენ ფონეტიკის ძირითად მოვლენებსა და წესებს, და რაც განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია, რაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – სხვა არც ერთ სახელმძღვანელოში არ გვხვდება – ხუნდაძის გრამატიკის კურსის ბოლოში გარკვეული ადგილი ეთმობა რიგ საკითხებს პოეტიკისა, ძველი ქართული სამწერლობო ენის ძირითად ფორმებს და, საერთოდ – ძველი ქართული ენის მიმოხილვას. ამ დღევანდელ სახელმძღვანელოებთან შედარებით მცირე მოცულობის კურსში საოცრად კონცენტრირებული სახით,



თანმიმდევრობის მტკიცე დაცვით იყო წარმოდგენილი ქართული ენის ძირითადი გრამატიკული კანონზომიერებანი.

აქვე უნდა აღინიშნოს სილოვან ხუნდაძის მიერ ქუთაისში 1927 წელს გამოცემული მოზრდილი ნაშრომი „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“, რომელიც 1901 წ. გამოცემული მისი „სალიტერატურო ქართულის“ შევსებულსა და შესწორებულ გამოცემას წარმოადგენს. ეს გახლდათ ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებული უკანასკნელი შრომა (როგორც ითქვა, იგი 1928 წელს გარდაიცვალა).

სილოვან ხუნდაძე გრამატიკის სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში წერს: „...არც ერთს სალიტერატურო ენაში არ არის ფორმების იმისთანა მრავალგვარობა, როგორც დღეს ქართულში არსებობს. ძველად ჩვენი მწერლების ენა თითქმის არ ყოფილა ერთმანეთისაგან განსხვავებული, და დღეს კი რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმაა და სიტყვების თუ წინადადებათა სხვადასხვაგვარი წყობა.

ამ მრავალფეროვნების მიზეზი ის არის, რომ ხალხს ენის ფორმები თანდათან შეუცვლია, მწერალნი კი ამ თანდათანობას არ მიყოლიან: ზოგი უძველეს ფორმებზე შეჩერებულა, რადგან იმათთვის შეუჩვევია თვალ-ყური, ზოგს კი უახლესი ფორმები შეუთვისებია და იმათ აძლევს უპირატესობას.

ზემოხსენებულ მწერალთა შორის დიდად შემცთარი არიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ახლანდელი სამწერლო ენის ფორმები ძველებურ წიგნებში უნდა ვეძებოთ, თუგინდ ის წიგნი „ვეფხის-ტყაოსანი“ იყოს. ძველ სახელოვან მწერალთა ენით, რასაკვირველია, უნდა ვიხელმძღვანელოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ენის განვითარებას, მის პროგრესულ წინსვლას არ ეწინააღმდეგებიან. როგორც ხალხის ცხოვრება, მისი სოციალური წყობილება დროთა ბრუნვის მიხედვით იცვლება, – ისე იცვლება ხალხის ენაც... „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“-ო – ამბობს გრ. ორბელიანი თავის ლექსში. უკუღმა უნდა ვთქვა: „ერი დაეცეს, – ენაც წახდეს“-ო, რადგან, როგორც ახლა ვთქვი, ენის სიკეთე თუ სიცოცხლე ერის აკვარგიანობაზეა დამოკიდებული“ (ხუნდაძე 1926:9). წიგნის ეს წინასიტყვაობა, რომელიც პატარა შესავალი-ექსკურსია, ნათლად მეტყველებს წიგნის მთელ შინაარსზე, მის აგებულებაზე, თვალნათლივ მიგვანიშნებს ავტორის ჩანაფიქრსა და საწადელზე, ასევე

მისი მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრწამსზე.

ფორმათა მრავალგვარობის ერთ-ერთ მიზეზს ავტორი საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა არსებობაში, მის გეოგრაფიულ პირობებშიც ხედავს, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს ურთიერთისაგან განსხვავებული კილოკავების არსებობას. მაგრამ, ამავე დროს, ავტორი როდი ეწინააღმდეგება, როდი „ილაშქრებს“ კილოკავების არსებობის წინააღმდეგ, არამედ მიუთითებს, რომ ამავე დროს საჭიროა ჩამოყალიბდეს, დამკვიდრდეს ყველა კუთხისათვის საერთო ქართული სალიტერატურო ენა (ურუშაძე 2014:45).

„...ჩვენი მწერალნიც თავის თხზულებებში ხშირად იმ ფორმებს ხმარობენ, რომლისთვისაც პატარაობიდან სმენა შეუჩვევიათ, ე. ი. თავისი კუთხის ენას. ამ მხრით განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილის მწერალნი იქცევიან თავისუფლათ, და რა სიტყვასაც ან ფორმას თავის სოფელში ყურს მოკრავენ, ყველაფერი ლიტერატურულ ენაში შეაქვთ. ეს მათი საქციელი იმ ცრუ აზრზეა დამყარებული, რომ ლიტერატურული ენა თავიდანვე ჩვენი კუთხის ენა ყოფილაო და დღესაც ის უნდა იქნესო.

ჩემი აზრიც ლიტერატურული ენის შესახებ ეს არის: 1) ქართველი ლიტერატორი რომლისაჲმე ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ ყურადღებას საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს და იმათგან უსაჭიროესი სიტყვები უნდა გამოკრიფოს და უკეთილხმოვანესი ფორმები იხმაროს; 2) ჩვენი მწერალნი აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ – სიტყვების ცვალებასა და წინადადებათა წყობაში ერთგვარი ფორმები იხმარონ, ერთგვარი კანონებით იხელმძღვანელონ (ხუნდაძე 1926:10). ხუნდაძეს მტკიცედ სწამდა, რომ ახლო მომავალში ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა, რომ ქართველი მწერლები არ დატოვებდნენ უყურადღებოდ ამ საკითხს.

„მაშ ვიზედ ან რაზე დავემყაროთ, იკითხავს გაოცებული მკითხველი“, – წერს წინასიტყვაობის დასასრულს ავტორი – „ჩემი პასუხია: არავიზე და ყველაზე. არავიზე, რადგან თითოეული პიროვნება, მწერალ-მგოსანია თუ მკვლევარი, შეუძლებელია შეუცთომელი იყოს, და ყველაზე, ვინაიდან თითოეულ მათგანს ენის რომელიმე დარგში შესაძლოა თვალსაჩინო წვლილი ჰქონდეს შეტანილი. საქმე – და სერიოზული

საქმე ის არის, რომ ეგ თვალსაჩინო წვლილები სრული შეგნებითა და წმინდა სინდისით შევაფასოთ და ავარჩიოთ, სხვადასხვა წალკოტში გაფანტულ ია-ვარდებს თავი მოვუყაროთ – და ამ სახით შევადგინოთ და შევკონოთ ის მშვენიერი სურნელოვანი თაიგული, რომელსაც სალიტერატურო, სამწერლო ენა ეწოდება...“ (ხუნდაძე 1926:11).

ამ წინასიტყვაობის წაკითხვისას ყველასათვის ნათელი გახდება წიგნის ძირითადი მიზანი, მისი მეტად საპატიო მისია ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა ჩამოყალიბება-დაცვის მამულიშვილურ, საერო საქმეში. ავტორი ზედმიწევნით აშუქებს ქართული ენის გრამატიკის, მართლწერის წვრილმან საკითხებსაც კი, წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ეტიმოლოგიას. არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი და ნაცვალსახელი, ზედსართავის არსებით სახელთან ერთად ბრუნება, თანდებულები, ზმნები, სინონიმები, ფონეტიკა – თანხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია და თვისებანი; ცალკე თავად არის გამოყოფილი კეთილხმოვნება, რომელსაც ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს. იგი წინასიტყვაობაშივე დასძენს: „...იმის უარყოფაც შეუძლებელია, რომ ყოველის კულტურული ერის სალიტერატურო ენაში კეთილხმოვნებას, როგორც მუსიკაში ჰარმონიას, მცირე ადგილი არ უჭირავს...“ (იქვე). ავტორი ასე განმარტავს სიტყვის კეთილხმოვნებას: „კეთილხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოსათქმელად ადვილია და სმენისათვის სასიამოვნო“. აქვე გვაძლევს ქართული ენის კეთილხმოვნობისათვის არსებულ წესებსა და კანონებს. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა სინტაქსის კანონებს (შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან, მსაზღვრელი სიტყვა, დროთა შეთანხმება). სილოვან ხუნდაძე ყურადღებას ამახვილებს რუსიზმებზე ქართულ ენაში, უცხო წარმოშობის სიტყვებზე, საუბრისა და კითხვის კილოზე, პოეტიკის საკითხებზე, კერძოდ კი „ლიცენცია პოეტიკაზე“, ფრაზეოლოგიაზე. ყოველ თავსა და ქვეთავს ერთვის დამატებანი, რომლებიც ქართულ გამოთქმათა, სიტყვათა მართლწერას ეხება. ავტორი უხვი რაოდენობით იშველიებს ქართული მხატვრული სიტყვის კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

სილოვანის შეხედულებებს ქართულ ენაზე, მის კანონებზე არც თუ იშვიათად ეყრდნობოდნენ და იყენებდნენ ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწენი.

ერთ-ერთ მათგანია უახლესი ქართული პოეზიის პატრიარქი გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც ახლოს იცნობდა სილოვან ხუნდაძეს: „ჩვენში გამეფებულა აზრი, რომ ქართული სიტყვები გამოთქმაში ხმით ამაღლებას თხოულობს, მაგრამ ისე გამოჩენილად არა, როგორც, მაგალითად, ფრანგულსა, რუსულსა და სხვა ენებში“. სიტყვებში ხმის ამაღლებას შემდეგი კანონი აქვს: 1) ორმარცვლოვან სიტყვებში ხმის ამაღლება ბოლოდან მეორე მარცვალზე მოხვედბა ხოლმე, 2) სამმარცვლოვანსა და საზოგადოთ მრავალმარცვლოვან სიტყვებში კი ბოლოდან მესამე მარცვალზე (კაცი, ქალი, კაცები, ქალები). პირველი მკრთალია, მეორე კი არა (ს. ხუნდაძე, გრამატიკა), (ტაბიძე 1975:163). ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად, გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი თავის ნააზრევში არც თუ იშვიათად სწორედ სილოვან ხუნდაძის დებულებებს ეყრდნობოდა.

ამრიგად, ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა სილოვან ხუნდაძე ქართული სიტყვის, ქართული ენის სიწმინდესა და შეურყვნელობას. ზემოთქმულს თვალნათლივ ადასტურებს ორ გამოჩენილ მოღვაწეს - სილოვან ხუნდაძესა და აკაკი შანიძეს შორის პაექრობა, დავა, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლების დამლევსა და 30-იანი წლების დამდეგს შედგა და ქართული გრამატიკის საკითხებს, სილოვანის „ქართული გრამატიკის“ გამოცემის საკითხს ეხებოდა. მიუხედავად აკაკი შანიძის იმჟამად უკვე საკმაოდ დიდი ავტორიტეტისა, ს. ხუნდაძემ შეძლო დაემტკიცებინა თავის რიგ დებულებათა და მოსაზრებათა მართებულობა.

ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად იგი შიგადაშიგ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის“ მისეული ქართული თარგმანი, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა ქუთაისში 1925 წელს. მანვე შეასრულა სულხან ბარათაშვილის ცნობილი ნაშრომის „საქართველოს ისტორიის“ შესანიშნავი თარგმანი. „ქართული სიტყვიერების მოყვარულმა ქუთათურმა წრემ“ თარგმნა მიანდო ე. მჭედლიძესა და სილ. ხუნდაძეს, პირველი რვეული 1895 წელს გამოვიდა ქუთაისში, მეორე - 1896 წელს, ხოლო III რვეული - 1913 წელს. თარგმანი შესრულებულია მშვენიერი ქართულით. თარგმანი კარგი საჩუქარი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. ასე რომ, ორმოცი წლის

შემდეგაც საზოგადოებამ დიდი სიხარულით მიიღო სულ. ბარათაშვილის ნაშრომი. „კვალმა“ ის ქართული ისტორიული ლიტერატურის დიდ განმად გამოაცხადა. (გაზ. „კვალი“ 1895:53). როგორც ვხედავთ აღნიშნულ მამულიშვილურ საქმეში სილოვან ხუნდაძის წვლილი დიდია.

ხუნდაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა უკრაინელ პოეტ ქალთან ლესია უკრაინკასთან. 1910 წელს ლესია უკრაინკა სტუმრად ყოფილა ქუთაისში. რამდენიმე ხანი გაუტარებია ხუნდაძის ოჯახშიც. მათი საუბარი და მსჯელობა მუდამ ტრიალებდა სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხის გარშემო. ლესია უკრაინკა შემდეგ იგონებდა, თუ როგორ აღაფრთოვანა სილოვან ხუნდაძის პიროვნებამ, მისმა ადამიანობამ, ჰუმანიზმმა და საღმა აზროვნებამ.

სილოვან ხუნდაძე მკაცრი და მომთხოვნი პიროვნება იყო. ყველასაგან და, ცხადია, მოსწავლეებისაგანაც მოითხოვდა განსაკუთრებულ ზნეობრივ სისპეტაკეს. ის ვერ ურიგდებოდა მოსწავლეთა ზარმაცობას, მოვალეობის პირნათლად შეუსრულებლობას და თუ რომელიმე მათგანს შეამჩნევდა რაიმე სიყალბეს, უწესობას, ამას ძალიან განიცდიდა. თუმცა იშვიათად, მაგრამ ხანდახან ისე განრისხდებოდა, რომ მოსწავლეს სასტიკად გაუჯავრდებოდა. ამ დროს ფერმკრთალი მივიდოდა კლასის ღია ფანჯარასთან და ღრმად სუნთქავდა, რადგან სული ეხუთებოდა. როცა ეს გულის მოსვლა გაუვლიდა და დაწყნარდებოდა, სანანებლად უხდებოდა მოსწავლისადმი ასეთი მოპყრობა.

სილოვანი მკაცრი, მომთხოვნი იყო, მაგრამ ამავე დროს ძალიან გულჩვილიც. ამას ამჩნევდნენ მისი მოწაფეები. ისინი გრძნობდნენ, რომ ეს გულისწყრობა არ იყო გამოწვეული მათდამი სიძულვილით, არამედ ეს იყო მამობრივი და კიდევ რაღაც უფრო მაღალი, საპატიო გრძნობით გამოწვეული გულისწყრომა. ამიტომ მოსწავლეებს უყვარდათ იგი და ყოველთვის მოკრძალებით იყვნენ მის წინაშე.

სილოვანის ასეთი ბუნება საკმაოდ მჟღავნდებოდა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. თუ ვინმეს შეამჩნევდა რაიმე ნაკლს, მოურიდებლად შეედავებოდა მას განურჩევლად იმისა, დიდი იყო თუ პატარა. ცნობილია მისი პოლემიკა აკაკისა და ილიასთან, რომელთაც ის უაღრესად აფასებდა. აღსანიშნავია პრესაში გამოქვეყნებული მისი წერილი, მიმართული თავადაზნაურთა მარშლის დავით

ნიჟარაძის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია სილოვან ხუნდაძის სრულიად გამორჩეული, უნიკალური თვისება - მისი პირდაპირობა, სიმართლის შეუღამაზებლად, ბოლომდე თქმის უნარი. ასე იყო, როცა სილოვანმა დაუნდობლად გაკიცხა გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილთან დაკავშირებით. გრიგოლი საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი ადამიანი იყო, არ ჰყავდა მემკვიდრე და ეკუთვნოდა დისშვილის მეურვეობა. სილოვანი სათქმელს ამბობს მკაცრად, დაუნდობლად, არ პატიობს მას გენიოსი დისშვილისადმი გულგრილ დამოკიდებულებას: „კარგადაა ცნობილი, რომ ნივთიერად შეძლებულ „ძიას“ ფიქრადაც არ მოსვლია ნიჭიერი დისწულის წყურვილი სწავლა-განათლების განგრძობის სფეროში დაეკმაყოფილებინა და მისი წარჩინებული ნიჭის განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის ხელი შეეწყო“ (ხუნდაძე 1916:43). და კიდევ: „სამსახურში დიდად დაწინაურებულსა და მთავრობის სფეროებში გავლენიან ბიძას, როგორც ჩანს, იმაზეც არ უზრუნია, რომ სიღარიბეში მყოფი დისწული-მგოსანი სამსახურში მაინც დაეწინაურებია. ნიკოლოზი გულნატკენი ყოფილა ბიძის მხრით მისადმი უყურადღებობის გამო...“ (იქვე). ხუნდაძეს ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილიც მოჰყავს, სადაც იგი ბიძას სწერს თავის თხოვნას, რომელიც უპასუხოდ დატოვა გრიგოლმა. „...ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რეენკამფთან დამანიშვნირო, ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის! ვიცი, დაგავიწყდა... მაგრამ არ დაგვიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“... (იქვე).

1905 წლის რევოლუციის დროს სილოვანი ახალგაზრდობას ეხმარებოდა მოსწავლეთა რევოლუციური თვითმმართველობის, ეგრეთ წოდებული ბიუროს (ბიურო ეწოდებოდა ამ თვითმმართველობის კომიტეტს) წესდების შედგენაში. სკოლის დერეფანში მოსწავლეთა კრება მიმდინარეობდა, დასამტკიცებლად იხილავდნენ ამ წესდების პროექტს. როცა მოსწავლეს გაუჭირდა კრების თავმჯდომარეობა, ის შეცვალა სილოვანმა და მისი თავმჯდომარეობით მოსწავლეთა წესდება დამტკიცებულ იქნა.

გიმნაზიაში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები. მოსწავლეები გამოდიოდნენ მოხსენებებით, რომელთა შემდეგ საინტერესო, გაცხოველებული

კამათი იმართებოდა. ასეთ მოხსენება-კამათში აქტიურად მონაწილეობდნენ სერგო ჟორჯოლიანი, გიორგი ჭუბაბრია, შოთა დადიანი, კარპეზ დონდუა, დავით ჩხეიძე (დია ჩიანელი), კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი და სხვ. ლიტერატურული წრის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს სკოლის დირექტორი იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, სერგო რობაქიძე და სხვ.

როცა მთავრობის სკოლებში მშობლიური, ქართული ენის სწავლება განდევნილი იყო ან ზოგი გულშემატკივარი მასწავლებლის მოხერხებით უკანასკნელ, მეექვსე ან მეშვიდე კაკვეთილზე იყო გადატანილი, გიმნაზიაში მაშინ ქართული ენის სწავლება თავის სიმაღლეზე იდგა სილოვან ხუნდაძის თავდადებული შრომითა და ამაგით. მაშინ ქართული ენის სახელმძღვანელოებს მოკლებული იყო მოსწავლეები. მათ მაგივრობას მათ უწევდა სილოვანის მიერ შედგენილი ხელნაწერი „კონსპექტები“, სადაც განხილული იყო სახელოვანი მწერლების მხატვრული შემოქმედება. ეს კონსპექტები მოსწავლეებში გადაწერით ვრცელდებოდა (შემდეგ ეს კონსპექტები დაიბეჭდა). კაკვეთილის გამოკითხვის დროს მოსწავლეს უნდა სცოდნოდა მწერლის ბიოგრაფია, მისი ნაწერების გარჩევა, აგრეთვე ზეპირად უნდა ეთქვა ადგილები. სწავლობდნენ და კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანს“, ეცნობოდნენ რუსთველოლოგების აზრებსა და შეხედულებებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ, კომენტარს უკეთებდნენ და არჩევდნენ ტექსტს. ქართულ ლიტერატურასთან ერთად სილოვანი ასწავლიდა თავის მიერ შედგენილ ქართული ენის გრამატიკას. მაშინ ეს იყო ქართული გრამატიკის ერთადერთი სახელმძღვანელო. სილოვანს თავისი საკუთარი შეხედულებები ჰქონდა გრამატიკისა და მართლწერის წესებზე. ამ წესების დაცვას მოსწავლეებისაგან ის მკაცრად მოითხოვდა.

სკოლაში სილოვანს ბევრი სამუშაო ჰქონდა: იყო დირექტორის მოადგილე, განაგებდა სკოლის ბიბლიოთეკას და ამავე დროს უფროს კლასებში ასწავლიდა ქართულ ენას. ადვილად წარმოსადგენია, რამდენი შრომა დასჭირდებოდა მას, ამ წმინდა მოვალეობის თავდადებულად და პირნათლად შესრულებისათვის. ავიღოთ, მაგალითად, საკლასო რვეულების გასწორება. საკლასო წერას ის ხშირად აწყობდა, ხშირად მოჰქონდა გულდასმით გასწორებული წერითი ნაშრომები და კლასში

საუბრობდა ტიპური შეცდომების შესახებ (ურუშაძე 2014:89).

ხშირად, დილით ადრე, მოსწავლეები ხედავდნენ სილოვანს რვეულებით ხელში ქუჩაში, ჩქარი ნაბიჯით სკოლაში მიმავალს. ეს სურათი ნათლად წარმოაჩენს ამ დიდსულოვანი კაცის შრომისმოყვარეობასა და უბრალოებას. იმ პირობებში, როცა ის ასე თავდადებულად შრომობდა და იღვწოდა სკოლაში ახალგაზრდობის პატრიოტულად და ღირსეულად აღზრდისათვის, მას ჰყოფნიდა ენერჯია სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის, თავდადებულად იბრძოდა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ის დრო იყო, როცა ცარიზმის გამარუხებელი პოლიტიკა დაპყრობილ ერთა მშობლიურ ენას დევნიდა. სკოლებში ყველა საგანს რუსულ ენაზე ასწავლიდნენ და ასეთ სკოლაში ნასწავლი ახალგაზრდობა ეროვნული გადაგვარების გზას ადგებოდა. ზოგიერთი არისტოკრატიული ოჯახის შვილები მშობლიურ ენას ივიწყებდნენ, რუსულ ენაზე ლაპარაკით ამყოფდნენ და განათლებულობას თითქოს ამით ამტკიცებდნენ. ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ სილოვანი ყოველთვის იბრძოდა სიტყვით და კალმით.

სილოვანმა პედაგოგიური მოღვაწეობის პირველ წლებიდანვე დაიმსახურა პატივისცემა მოსწავლეთა და პედაგოგთა შორის. მომდევნო, ჭარმაგობის წლებში კი იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, მას თავიანთ ნუგეშად და საიმედო კაცად თვლიდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ამაში, ცხადია, დიდი როლი მიუძღვის იმას, რომ სილოვანს საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული – ღრმად განსწავლული ფილოლოგი და საერთოდ დიდად ერუდირებული პიროვნება იყო. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. რაც მთავარია, მისთვის სამშობლო სალოცავი ხატი იყო, დედაენისა და თავისი ხალხის სიყვარული, მისი უკეთესი მომავლისადმი რწმენა მას შინაგანად განსაკუთრებული ძალით ჰქონდა მომადლებული და თავის მამულს კალმით და საქმით სიკვდილამდე გულმხურვალედ ემსახურებოდა.

სილოვან ხუნდაძის, როგორც პიროვნებისა და მოღვაწის, ჩამოყალიბება-განვითარებაზე დიდი გავლენა მოუხდენია უფროს ძმას - რაჟდენ ხუნდაძეს (1845-1929). იგი იყო სასულიერო პირი, თავისი დროისათვის უგანათლებულესი პიროვნება, იმჟამინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო



წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ლიტერატორი, სახელგანთქმული ლოტბარი. რაჟდენ ხუნდაძე „ქართველიშვილისა“ და „საჯაოხელის“ ფსევდონიმებით აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესაში, ლექსებს, ფელეტონებს, პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა „ივერიის“, „კვალის“, „მწყემსის“, „თემის“, „კოლხიდის“, „იმერეთის“, „ჩვენი ქვეყნის“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ისიც ქუთაისში მოღვაწეობდა. რ. ხუნდაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიდ ილიასთან, აკაკი წერეთელთან, დიმიტრი ყიფიანთან, ვანო მაჩაბელთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან და სხვებთან. დაბეჭდილია მისი ლიტერატურული ნაწარმოებები. გარდა ამისა, რაჟდენი იყო ცნობილი ლოტბარი, ქართული ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო საგალობლების დაუღალავი შემკრები და თავადაც ავტორი იმხანად გახმაურებული ოპერისა „უცნაური ქორწილი“. დიდი დამსახურება მიუძღვის რ. ხუნდაძეს ქართული ხალხური მუსიკის პოპულარიზაციაში. სწორედ მას ეკუთვნის 1902 წელს ქუთაისში დასტამბული კრებული „ქართული საეკლესიო გალობა გურულ-იმერულ სადა კილოზე“, თბილისში 1911 წელს გამოცემული „ქართული გალობა ლიტურდია“, და ბოლოს – 1922 წელს ქუთაისში გამოსული მოზრდილი კრებული ქართული ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო გალობებისა.

1923 წელს მოწინავე ქართველი საზოგადოება ემზადებოდა სახელოვანი მამულიშვილის სილოვან ხუნდაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად. ქუთაისურ და თბილისურ პრესაში გამოქვეყნდა კიდევ რამდენიმე წერილი ამ საკითხთან დაკავშირებით. გაზეთ „ტრიბუნის“ 1923 წლის 578-ე ნომერში დაიბეჭდა სილოვანის წერილი „იუბილეს შესახებ (ჩემი პასუხი)“, რომელშიც კატეგორიული უარი განაცხადა ყოველგვარი ზარ-ზეიმისა და საიუბილეო საღამოების მოწყობაზე, აღნიშნა რა, რომ მისადმი ერთადერთი გამოხატულება და გაწეული ამაგის დაფასება იქნებოდა მისი ნაწერების კრებულის სახით გამოცემა.

სილოვანი უხმაურო მოღვაწე იყო. მას არ უყვარდა თავის თავზე წერა და ლაპარაკი, არც ცალკე კრებულებში და არც სხვა პერიოდულ გამოცემებში ს. ხუნდაძეს თავისი მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერი დაუწერია და ცდილობდა არც სხვას დაეწერა. მისი სამტომეულის პირველი წიგნის

წინასიტყვაობაში იგი წერს: „საზოგადოთ მწერლის სრულ თხზულებათა გამოცემას, დღევანდელ ჩვეულებისამებრ, წინ უძღვის ხოლმე ავტორის სურათი, ბიოგრაფია და მის თხზულებათა ვისიმე კრიტიკული მიმოხილვა. როგორც ხედავთ, არც ერთი, არც მეორე ჩემს თხზულებას წინ არ მიუძღვის (ხუნდაძე 1914:3). ს. ხუნდაძის აზრით, ცოცხალი მწერლის ბიოგრაფიის წერა არ უნდა იყოს აუცილებელი. „ჩემი ბიოგრაფია, ჩემი ცხოვრება?! მაგრამ, როგორც ვიცით, ცოცხალი მწერლის და მოღვაწის ცხოვრება არავის არაფრად ეპიტნავენა. თითქმის ყველა იმას ფიქრობს: აცა, აგერ მოკვდება და მაშინაც კი მოვესწრებით მისი ბიოგრაფიის გაცნობასო... როგორც მოგახსენეთ, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, და როცა საუკუნოთ მოგშორდებით, მაშინ გაიგებთ რა ტანჯვითა და წამებითაც ცხოვრება გამომივლია, რა უსამართლობაცა და შეურაცხყოფაც ამიტანია (იქვე). თავმდაბალი ცხოვრებით იცხოვრა სილოვან ხუნდაძემ, თუმცა საქმე ბევრი გააკეთა და კვალიც ღირსეული დააჩნია.

სილოვან ხუნდაძემ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. იგი საქართველოს, ქართული აზროვნების ისტორიაში დარჩება როგორც გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ქართული ეროვნული სკოლის დიდი მოამაგე. ქართველობა მუდამ მაღლიერებით მოიხსენიებს მის უკვდავ სახელს.

სილოვან ხუნდაძე გარდაიცვალა 1928 წლის 12 მაისს 68 წლის ასაკში. მან ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში დაწერა ანდერძი, რომლის მიხედვითაც იგი მოითხოვდა უბრალოდ და უცერემონიოდ დასაფლავებას. პროცესია უნდა ჩატარებულიყო სიტყვებისა და გვირგვინების გარეშე. დასაფლავებული უნდა ყოფილიყო საფიჩხიის სასაფლაოზე. მის საფლავზე დადეს უბრალო ქვა დაბადება-გარდაცვალების თარიღების აღნიშვნით.

1956 წელს ს. ხუნდაძის ნეშტი საფიჩხიის სასაფლაოდან გადასვენებულ იქნა მწვანე ყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ხოლო ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის, ახლანდელი იოსებ ოცხელის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის ეზოში მაღლიერმა მოწაფეებმა ძეგლი დაუდგეს იოსებ ოცხელსა და სილოვან ხუნდაძეს.

## თავი II

### სილოვან ხუნდაძის მხატვრული შემოქმედება შესაბამისი პერიოდის ქართული მწერლობის კონტექსტში

სილოვან ხუნდაძე თუმცა XX საუკუნეშიც მოღვაწეობდა, მაინც XIX საუკუნის მწერლად და მოღვაწედ გვევლინება. იგი დარჩა სამოციანელთა შემოქმედებითი პრინციპების ერთგულ მიმდევრად. ქართულ ლიტერატურას დასაკარგი მწერალი არა ჰყავს. სწორედ ისინი ქმნიდნენ იმ გარემოს, რომელზეც XX საუკუნის დასაწყისში დიდი ლიტერატურა აღმოცენდა. მათგან ერთ-ერთი სილოვან ხუნდაძეცაა. როდესაც იგი ქართულ პრესაში აქვეყნებდა თავის პოეტურ ნაწარმოებებს, ეს იყო დრო, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოდიოდნენ „ციხერყანალები“, გალაკტიონი წერდა თავის შედევრებს. ყველაფერმა ამათ სილოვანის გვერდით ჩაიარა, თუმცა მისი შემოქმედებიდან არ ჩანს, რომ ამ ახალი ტენდენციებისადმი მას ოდნავი შეხებაც კი ჰქონდა. მაშ, რატომ არის დღევანდელი გადასახედიდან მისი შემოქმედება შესწავლის საგანი? სწორედ ამ კითხვაზე პასუხს წარმოადგენს აღნიშნული დისერტაცია.

ს. ხუნდაძის შემოქმედებით მემკვიდრეობას დღესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რადგანაც იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარი მის ლექსებში, მოთხრობებში, პოემებში არაერთ საინტერესო მასალასაც იპოვის, სადაც ჩანს მგზნებარე ქართველი მამულიშვილის, ქართული სკოლის მოამაგის, მუხლჩაუხრელი საზოგადო მოღვაწის შეხედულებები, განცდები, პოზიცია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. ამავდროულად მისი მხატვრული შემოქმედება იძლევა ერთგვარ სურათს XX საუკუნის დასაწყისის ქართული რეალური სინამდვილისას. ს. ხუნდაძის ლექსების, პოემების, მოთხრობების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, ისევე როგორც მთელი მისი ცხოვრებისა, ქართველი ხალხისადმი, ახალგაზრდა თაობისადმი, მშობლებისადმი უსაზღვრო სიყვარული, სინამდვილისადმი ნატურალისტური მიდგომა წარმოადგენს.

სილოვან ხუნდაძის, როგორც ლიტერატორისა და პოეტის, შესახებ არც თუ ისე ბევრი კრიტიკული მასალა მოიპოვება და ნაკლებადაა სამეცნიერო ლიტერატურაში

შესწავლილი. ხუნდაძის ლექსები და პოემები არასოდეს ქცეულა საფუძვლიანი განსჯისა და მსჯელობის საგნად. არადა, მისი შემოქმედების ამ ნაწილის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგან მას ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით და იმ პერიოდის ეპოქალური სინამდვილის შესასწავლად საგულისხმო მნიშვნელობა აქვს.

სილოვან ხუნდაძეს რუსული იმპერიალიზმის ეპოქაში მოუწია საზოგადოებრივ-ლიტერატურული საქმიანობა. იგი XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში გამოვიდა სარბიელზე და ამ დროიდან მოყოლებული აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „კვალი“, „თემი“, „სახალხო ფურცელი“, „ხომლი“, „განათლება“, „კოლხიდა“, „სამშობლო“, „იმერეთი“, „ჩვენი ქვეყანა“), სადაც „სილოვანის“, „ს.ხ“-სა და სხვა ფსევდონიმებით აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, მოთხრობებს, პოემებსა და ლექსებს. მის კალამს რამდენიმე პოეტური კრებული ეკუთვნის.

სილოვან ხუნდაძეს იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა არ სწყალობდა, ამით გულნატკენი პოეტი წერდა: „ლანძღვა-გინება ბევრი მსმენია როგორც მტერთაგან, ისე მოყვრისგანაც“. თავის „აღსარებაში“ აღნიშნავს, რომ მეგობრებიც კი აღმაცერად უყურებდნენ მის ლექსებს, თუმცა თავად თვლიდა, რომ ორიოდე ლექსი მაინც ჰქონდა დაწერილი თანაგრძნობისა და ყურადღების ღირსი (ხუნდაძე, 1914:37).

სილოვან ხუნდაძეს რედაქციები ლექსების მხოლოდ მცირედ ნაწილს უბეჭდავდნენ, რის გამოც დროგამომშვებით ახერხებდა დაუბეჭდავი ლექსების კრებულებად გამოცემას. მისი ლექსების თემატიკა მრავალფეროვანი იყო. იგი „თერგდალეულების“ მიერ დამკვიდრებული პატრიოტული და სოციალური თემატიკის გამგრძელებელია ქართულ ლიტერატურაში (ნიკოლეიშვილი, 1982:190).

იგი თავის ლექსებსა და პოემებში აკრიტიკებს საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებს და ჩინოვნიკთა საქმიანობას. მისი შემოქმედების თემატიკა აგრეთვე მოიცავს უიმედობისა და წუხილის განცდას, პოეტისა და პოეზიის დანიშნულების გაანალიზებას, სატრფიალო და დიდაქტიკურ მოტივებს, მიძღვნილ ლექსებს. პოეტისათვის ბიძგის მიმცემი ყოველდღიურობა იყო, რაიმე ამბავი, შემთხვევა, რომლის გამოც იწერებოდა ძირითადად ესა თუ ის ლექსი, პოემა, მოთხრობა. მის

პოეზიაში ნაკლებად ვნახავთ სიახლეთა ძიებას პოეტურ ფორმათა თვალსაზრისით; არც მხატვრულ სახეთა სფეროში შეინიშნება დიდი სიახლე. წმინდა მხატვრული ფანტაზია ნაკლებად მონაწილეობს ქმნადობაში და ფაბულური თხრობა მთლიანად იმორჩილებს ლექსს (გვეტაძე 2010:166). პოემების თემატრიკა ტრივილურია, თუმცა მათში იგრძნობა სიუჟეტური მთლიანობისაკენ სწრაფვა.

შეიძლება ითქვას, რომ ს. ხუნდაძის შემოქმედებას პოეტიკის თვალსაზრით არ შეხება ის სიახლეები, რითაც XX საუკუნის დასაწყისის ქართული (და არა მარტო ქართული) პოეზია ხასიათდებოდა. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ს. ხუნდაძის ლექსები და პოემები, როგორც გარკვეული დროის, ეპოქის მხატვრული მატრიანე, არ იყოს საინტერესო, გარკვეული აზრით მნიშვნელოვანი და ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით გასათვალისწინებელი. დიდ ადგილს უთმობს ს. ხუნდაძე თავის შემოქმედებაში პოეტისა და პოეზიის დანიშნულების გარკვევას. მისი აზრით, პოეზიის დანიშნულებაა კაცთმოყვარეობა, ჰუმანური მისწრაფებების ქადაგება. პოეტის გულს იგი მღელვარე ზღვას ადარებს, რომელიც ხან დამშვიდდება და დაწყნარდება, ხან კი მღელვარებს და შფოთავს. ლექსში „პოეტი“ ნათქვამია:

პოეტს უნდა გული ჰქონდეს გრძნობით სავსე, ზღვისა დარი:  
ხან დაატკბოს თვისი ძგერა - ვითა წყნარი, ჩუმი, მტკბარი,  
ხან აღელდეს და აშფოთდეს - ზღვა მკვნესარი, ზღვა მშფოთვარი!  
ხან მკვდარს სისხლი გაუღვიძოს, ხან ცოცხალი შექმნას მკვდარი!

(ხუნდაძე 1914:54).

პოეტისათვის სხვისი ცრემლის, მწუხარების, სიხარულის განცდა, გათავისება სულის მოთხოვნილება უნდა იყოს. იგი ღვთაებრივი ცეცხლით უნდა იწვოდეს, თუ უნდა, რომ რამე ღირებული შექმნას. მომძისათვის თავდადება, მისთვის ჭირში და ლხინში ყოფნა ს. ხუნდაძეს შემოქმედის არსებობის ფორმად მიაჩნია. ლექსში „პოეტი“ იგრძნობა რუსთაველისა და ვაჟას დიდი გავლენა. მისი აზრით, პოეზია არ არის ჩვეულებრივი დარგი, იგი საზეოა, სიბრძნესთან წილნაყარია, ეს დიდი მისია პოეტს კარგად აქვს გათავისებული.

როგორც ილია წერდა ლექსში „ჩემო კალამო“, პოეტს არ სჭირდება ტაში, შექება, მისი მოვალეობაა ერთგულად მსახურება ერისა. იგივე პოზიციაა დაფიქსირებული

სილოვან ხუნდაძის ლექსებში, რომლებიც პოეტის და პოეზიის დანიშნულებას ეძღვნება.

მისი აზრით, მწერალი ბრბოს ტაშს არ უნდა აჰყვეს და ყალბმა დიდებამ გონება არ უნდა დაუბნელოს:

ნურც ტაშს აჰყვები ბრბოს ტაშსა:  
არ ესმის შეუგნებელსა -  
და აქებს ხშირად მბილწავსა,  
კიცხავს თვით გამნათლებელსა  
გულდინჯად ასწონ-გაზომე  
თვით შენი ავლადიდება:  
ავისთვის ტაში ნუ გინდა,  
ნუ გინდა ყალბი დიდება (ხუნდაძე 1914:32).

1901 წელს ქუთაისში გამოვიდა ს. ხუნდაძის წიგნი „ჩემი აზრი და ფიქრები“. წიგნში შეტანილი არის პოეტის რამდენიმე ლექსი, პოლიტიკური ხასიათის წერილი და გარჩეულია ილია ჭავჭავაძის ლექსები. შესავალში ავტორი გულისტკივილით წერს იმ უსამართლობაზე, რაც ზოგიერთი ქართველი კრიტიკოსისთვისაა დამახასიათებელი: „ჩვენში ჭეშმარიტი კრიტიკა არ არსებობს“ (ხუნდაძე 1901:5). ავტორის აზრით, კრიტიკა უნდა იყოს საფუძვლიანი, სწორი, გულწრფელი და ჯანსაღი. წიგნში არის ლექსი, რომელიც ეძღვნება ფრანგ მწერალ ემილ ზოლას, რომელსაც საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი. ხუნდაძე კი გამოდის 1894 წელს საფრანგეთში დაპატიმრებული სამხედრო შტატების კაპიტნის ალფრედ დრეივერის დამცველად. მისი უდანაშაულობა დაამტკიცა ემილ ზოლამ, რომელმაც მტკიცე აზრით და წმინდა ზნეობით დაადგინა სიმართლე უდანაშაულო ადამიანისა.

საინტერესოა ამ წიგნში დაბეჭდილი ლექსი „რისთვის ღვრიან სისხლს“. მასში ავტორი გვეუბნება, რომ ინგლისელებს სურთ დაიმონონ მამაცი ბურები. იქ იღვრება ბურების წმინდა სისხლი, ისინი ვაჟკაცურ წინააღმდეგობას უწევენ ინგლისელებს და გააფთრებული იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას. „რა მნიშვნელობა აქვს ისეთ პროგრესს, კითხულობს ავტორი, თუ ადამიანი სისხლს ღვრის და ადამიანს ბედნიერება არ ეღირსება“ (ხუნდაძე 1901:19). ინგლისელებისგან განაწამები ბურები

ღალადებენ:

მე ვიცავ ჩემსა სახლ-კარსა,

მე ვარ პატრონი სრულიო,

არ დავანებებ არავის,

სანამ კი მიდგას სულიო! (ხუნდაძე 1914:65).

ისინი იბრძვიან, იბრძვიან და ჯერათ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებას მიაღწევენ, რადგან სიმართლე მათ მხარეზეა. ლექსში „მარჯორი ვაროდროპის ასული“ გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის მომაჯადოებელი სილამაზე და თვალწარმტაცი ბუნება. საქართველოს სილამაზით აღტაცებული პოეტი ასე ამბობს:

მაშ რაღა გასაკვირია,

რომ მას ეტრფოდა მრავალი,

რომ მისკენ მოიმართოდა

ყველასი გზა და სავალი (ხუნდაძე 1914:54).

სილოვან ხუნდაძე თავისი პოეტური ნაწარმოებებით გამოხატავს დიდ სიყვარულს, თანადგომას მაშინდელი ქართველი ახალგაზრდობისადმი. ლექსების სტრიქონებიდან იღვრება ქართველი ხალხისადმი უზომო სიყვარული, სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომა, კაცთმოყვარეობის გრძნობით გულანთებული პოეტის ტოლერანტული შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე, სხვა ეროვნების ადამიანებისადმი გულწრფელი თანადგომის გამოხატვა:

და თუ შეგხვდეთ ცხოვრებაში

უცხო ლეკი, გინდ სპარსელი,

დაჩაგრულს და გაჭირვებულს

გაუწოდეთ ძმურად ხელი...

ამ მოძღვრებით გაიმსჭვალოს

დე ყოველი ცალკე ერი,

და ქვეყანა მაშინ მთელათ

შეიქმნება ბედნიერი (ხუნდაძე 1914:45).

ამ და ამ ტიპის სხვა ლექსებიდან გამოსჭვივის ის აზრი, რომ ეროვნული და ნაციონალური გადასახედიდან არ უნდა მოხდეს ადამიანთა გარჩევა. გაჭირვებულს

გვერდით დგომა სჭირდება, არა აქვს მნიშვნელობა, ის ქართველი იქნება თუ სხვა ეროვნებისა.

ს. ხუნდაძის ლექსებისათვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, ქართველი ხალხისადმი, ახალგაზრდა თაობისადმი, მშობლებისადმი უსაზღვრო სიყვარული, სინამდვილისადმი ნატურალისტური მიდგომაა. თავისი მრწამსით, შემოქმედებით იგი მემკვიდრეა ქართველი სამოციანელებისა:

დიახ, ბუნება მრავალფერობით -

არის დიადი და მშვენიერი!

ისევ ადიდებს კაცობრიობას

სხვადასხვა ენა, სხვადასხვა ერი!

მაშ, გაუმარჯოს კაცობრიობას,

თან ყველა ერის სამშობლო ენას!

და თქვენც, მოძმენო, ნუ დაივიწყებთ

თქვენს ენას, თქვენს ერს! ნუ, ნუ, თქვენს ლხენას! (ხუნდაძე 1914:23).

იმედიანი განწყობილება გამოსჭვივის ს. ხუნდაძის ერთ-ერთ ლექსში, რომელიც საახალწლოდ დაწერა და სათაურადაც „იმედი“ დაარქვა. პოეტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ წუთისოფელი კარგ ამბებს არ გვახვედრებს, წვიმა, გრგვინვა და ქარის ქროლვაა უმეტესად, ხვალ აუცილებლად გამოიძარებს, ღრუბელს მზე შეცვლის და დიდებით ამოვა ცაზე:

დღეს წვიმს და გრგვინავს, დღეს ქარი ბერავს,

ზღვა გემებს ამსხვრევს, შფოთავს და ღელავს,

ხვალ მზე დიდებით აღმობრწყინდება -

ქარიც დაცხრება, ზღვაც დამშვიდდება (ხუნდაძე 1914:31).

ერთადერთი, რაც აძლებინებს ადამიანს ამ სამყაროში, არის იმედი, რომელსაც მწერალმა სულის სიმხნევე უწოდა.

ს. ხუნდაძის შემოქმედებას თან სდევს მარტოსულობის განცდა და სევდა-მწუხარების გამოხატვა. თუმცა, ეს სევდა არ არის პირადული, იგი ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ტკივილებს უკავშირდება. ამ სევდის გამომწვევ მიზეზად ისიც იკვეთება, რომ მოძმე დაჩაგრულია, ქვეყანაში უსამართლობა და ბოროტება სუფევს.



მიუხედავად ამისა, ის პესიმისტი მაინც არ არის და მის გულში ცოცხლობს იმედი იმისა, რომ ხვალ მზე დიდებით ამობრწყინდება, ქარი დაცხრება და ზღვა დაწყნარდება, შეჭირვებული ადამიანი კი გაიხარებს:

იმედით ცხოვრობს ყოველი კაცი:

გლახაკი, მეფე, სუსტი, მამაცი...

გულსუსტი იხრჩობს თავს ბაწრით, ღვედით

ქვეყანა ცხოვრობს ხვალის იმედით (ხუნდაძე 1914:31).

სილოვან ხუნდაძის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პატრიოტულ თემატიკას. პოეტს აფიქრებს სამშობლოს წარსული, მისი აწმყო და მომავალი. მას, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, საფიცრად გაუხდია საქართველოს დიდი შვილების სახელები და ცდილობს შოთა რუსთაველის, პატარა კახის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა ღვაწლი პოეტური სტრიქონებით გააცოცხლოს და წარმოაჩინოს.

ლექსში „მეგლი შოთა რუსთაველს“ ხუნდაძე დიდებული შარავანდედით მოსავს უკვდავი პოეტის სახელს, რომელმაც თავისი არსებობით ყველა ქართველის გულში სამუდამოდ გაიდგა ფესვები:

მინამ ქართველსა ჰქვია ქართველი

და სამშობლოსა შენს საქართველო,

საქებრათ გვეთქმის შენი სახელი,

დიდო პოეტო ჩვენო რუსთველო! (ხუნდაძე 1914:47).

პოეტის აზრით, ჩვენმა სიამაყემ, რუსთაველმა - თავისი პოემით კაცობრიობის ისტორიაში ქართველი ერი გააუკვდავა:

შენ მოგვეც ქართველთ ქება-სახელი,

დიდო პოეტო ჩვენო რუსთველო!

მადლობას გწირავს ყოვლი ქართველი,

მადლობას გიძღვნის შენ საქართველო (ხუნდაძე 1914:47).

ს. ხუნდაძის პატრიოტული ლექსები ძირითადად აგებულია პოეტის უშუალო, გულწრფელ განცდებზე და განწყობილებებზე. როგორც ზემოთ ითქვა, იგი განიცდის XIX ს-ის 60-იანელთა შემოქმედებითი ტენდენციების გავლენას.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პოეზიაში აქტიურად დადგა გმირის პრობლემა, გმირისა, რომელიც იხსნიდა ქართველ ხალხს ეროვნული და სოციალური ტანჯვისაგან. ილია ჭავჭავაძე წერდა: „მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომლისთვის ვტირით“. აკაკი: „მოვა დრო და თავს აიშვებს იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი“. ისევ ილია: „იქნებ აკვანში ის ყმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღედაღამ ნატრულობს, ჩუმის ნატვრითა ქართველი“ და ა. შ.

ს. ხუნდაძის პოეზიაშიც აირეკლა მესიანისტური იდეა და იგი რიტორიკული კითხვებით მიმართავდა წმინდა ნინოს, რომ არ ჩანდა გმირი, რომელიც ქვეყანას დაიხსნიდა:

დღეს ქართველთ შორის არსად ჩანს ისეთი გმირი,  
რომ გზააბნეულთა წინ გაუძღვეს, მით შეაერთოს,  
სდევნოს და გმობოს ქვეყნის მტერი, ხალხის გამგმირი,  
და რაც ერს ამკობს, იმას ეტრფოს, იგი აღმერთოს! (ხუნდაძე 1914:48).

სილოვან ხუნდაძის პოეზიაში „ზამთარი“, „ძილი“ ჩნდება, როგორც სიმბოლო დროებითი უმოქმედობისა და ინერტულობისა, რომელიც თავის თავში მალავს აღორძინების, განახლების დაფარულ პოტენციას (გავიხსენოთ ისევ ილია: „ო, ღმერთო ჩემო სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“. აკაკი: „არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს და ისევე გაიღვიძებს...“). სილოვან ხუნდაძე ამ სიმბოლოს იყენებს თავისი სათქმელის გადმოსაცემად ლექსში „ქვიშხეთის მთებში“:

სძინავს დედა - მთას შუა გაწოლილს  
თავი ღრუბლებში აუწევია,  
მძინარე მთების კალთებს და ფერხთა  
ეამბორება ალერსით მტკვარი (ხუნდაძე 1914:61).

ძილი, უმოქმედობა, პასიურობა ქვეყნისათვის საზიანო და დამღუპველია. ეს აზრია გატარებული ლექსებში „ძინავს ქუთაისს“, „არ მომკვდარა“, „მოგვილოცავს გაღვიძება“, „ზამთრის პირას“. პოეტს აინტერესებს „საკაცობრიო ყანაში“ ქართველთა კუთვნილი „სახნავ-სათესი“, რომელიც მისი აზრით ქვა-კლდითაა მოფენილი და გუთნის დედას უჭირს მასზე კვალის გავლება („მომავალი ჩვენია“).

ს. ხუნდაძე სასტიკად აკრიტიკებს სამშობლოს მოღალატეებს, ცრუ პატრიოტებს,

ცრუ დემოკრატებს. მძაფრი სატირაა გამოხატული ლექსებში: „ქართველი ორატორები“, „ჩვენებური დუელი“, „ქართველებს“. ქართველებს დაუკარგავთ თავიანთი სახე და დროსტარებასა და ქეიფს გადაჰყოლიან:

ოჰ, ვხედავ! აი, აქა-იქ ქართველთა მცირე გუნდები:

ზოგს ხელთ ყანწები უჭირავთ, ზოგსაც სტვირისა გუდები.

„ქართველებს გაუმარჯოსო!“ ყანწებს ზედიზედ იცვლიან -

და უმისოდაც თხელ ჯიბეს - სხვების დახლებში იცლიან (ხუნდაძე 1914:52).

პატრიოტულ თემატიკაზე შექმნილი ლექსებიდან გამოვყოფთ კიდევ ერთს: „კრწანისის ბრძოლა“. ავტორს გადმოცემული აქვს მტკივნეული დღე ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან. 1795 წელს კრწანისის ველზე ერეკლე მეფემ განიცადა პირველი და უკანასკნელი დამარცხება. მცირერიცხოვანი ლაშქრით პატარა კახმა შეძლო განსაცდელის ჟამს მრავალრიცხოვანი ლაშქრის თავმოყრა:

პატარა კახი დაღონდა,

ქართველთა ბედი შავდება,

ფიქრობს: „ასს ერთი მტვერს ადენს

ათასს ვერ გაუმკლავდება (ხუნდაძე 1914:59).

პატარა კახმა ომახიანი შეძახილებით გაამხნევა მეზობლნი, რამაც მორალურად განამტკიცა ისინი. ამხედრებული ჯარი ერეკლეს სთხოვდა:

გაგვიძეხ მეფემ გვიჩვენე

ბანაკი წუნკლებისაო!

ვაგემოთ მკლავთა სიმაგრე

სიმაგრე ჩვენი ხმლისაო (ხუნდაძე 1914:59).

ლექსში დეტალურადაა აღწერილი ომის სცენა, პირველი დღის გამარჯვება და დიდი მსხვერპლის გამო მეფის წუხილი. ასევე ლექსში გადმოცემულია ერეკლეს ვაჟკაცობა, თავდადება და სამშობლოს სიყვარული.

ს. ხუნდაძე მკაცრად გმობს მათ, ვინც ფიქრობს, რომ ენები და ერები მომავალში გაერთიანდებიან და ერთმანეთში აითქვიფებიანო:

რის დედა-ენა! რა ეროვნება!

კაცობრიობას გაუმარჯოსო.

გაერთიანდნენ ხალხნი, ენები, -  
ცხოვრებისათვის ერთობა სჯობსო!  
აი, უგნური აზრი! ოხ, ღმერთო  
რა გულსაკლავი გასაგონია!  
ამისი მთქმელი, ასე მოაზრე -  
ჭკუაში მყოფი მე არ მგონია (ხუნდაძე 1914:78).

იგი პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ განათლებული, დიპლომიანი ახალგაზრდები არ კადრულობენ ქართულად ლაპარაკს. რუსთაველის შაირი და ქართული ენის მუსიკალობა მათ სმენას არ ატკბობს და არც აინტერესებთ ქართული ენის ისტორია და ღირსება.

იგი მთელი სიცოცხლე იბრძოდა ქართული ენის იგნორირებისა და ეროვნული ღირებულებების გაყალბების წინააღმდეგ. მის ლექსებში სატირის მახვილით არიან მხილებული ცრუ პატრიოტები, ქართული ენის ღირსების შემლახველნი.

მისი ეს ლექსები ხშირად იბეჭდებოდა XX საუკუნის დასაწყისის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში. მას, როგორც პოეტს, როგორც მოქალაქეს, აქტიური პოზიცია ეკავა იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავისი შემოქმედებით იგი დიდ საქმეს აკეთებდა მკითხველის პატრიოტული და ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით. ს. ხუნდაძე, როგორც XIX ს-ის ლიტერატურული ტრადიციების მიმდევარი, ახალი დროის მიმართ კონსერვატორულად იყო განწყობილი. მას არ მოსწონდა ვაი-სოციალისტები, ხალხის წინამძღოლის ნიღაბს ამოფარებული უსაქმურები და ლაქიები.

ეროვნულ თემატიკაზე შექმნილ ლექსებში ჭარბობს მიმდევნითი ხასიათის პოეტური ნაწარმოებები. მისი სალექსო სტრიქონები არის დიდი პატივისცემის გამოხატულება იმ დიდი ქართველებისადმი, რომელთაც თავიანთი სიტყვით და საქმით გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. კერძოდ, სილოვანმა ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, არჩილ ჯორჯაძეს, ანტონ ლორთქიფანიძეს, გრიგოლ ორბელიანს, რაფიელ ერისთავს, ილია წინამძღვრიშვილს, დავით ჩუბინაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, მამია გურიელსა და სხვებს. ამ ლექსებში

იგი წარმოაჩენს ხალხის წინაშე მათ დამსახურებას.

სილოვანი თავისი ლექსებით ასევე ეხმაურებოდა საერთაშორისო რეზონანსის მოვლენებსაც, ამხელდა ძალადობას და ექომაგებოდა სიმართლესა და სამართლიანობას. ასეთია, მაგალითად, ინგლისური დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი ბურებისადმი მიძღვნილი ლექსი, ლექსები ფინეთისადმი, ემილ ზოლასადმი, რომელმაც ვაჟკაცური ქომაგობა გაუწია უდანაშაულო დრეიფუსს და სხვ. ამ ლექსების მამოძრავებელ მოტივს ხალხთა შორის ძმური ურთიერთგაგება და ინტერნაციონალური მეგობრობა წარმოადგენს.

ლექსების მთელი ციკლი უძღვნა პოეტმა ილია ჭავჭავაძეს. როდესაც ილია მუხანათურად მოკლეს, დაკრძალვის დღეს სიტყვასთან ერთად მან მისდამი მიძღვნილი ლექსიც წარმოთქვა:

ხორციტ მოკლული, სული კი  
მარად მეტყველი, ხმოსანი,  
მარად ჩვენს შორის მფრინავი  
ვით ანგელოზი ფრთოსანი (ხუნდაძე 1914:93).

ეს სტრიქონები ერთგვარი წინასწარმეტყველებაა ილია მართლის წმინდანად აღიარებისა. ილიას მოწამებრივი სიკვდილით შეძრწუნებულმა ხუნდაძემ შექმნა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებშიც აუგად მოიხსენიებს პოეტის მკვლელებს, სამშობლოს გამყიდველებს, მაგრამ სჯერა, განგება გაასამართლებს მათ.

ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადისადმი, მშობელი ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარული და თავყვანისცემა გამოსჭვივის ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ შემდეგ ლექსშიც, რომელიც წიწამურის ტრაგედიის შემდეგ დაიწერა:

მგოსანო, ბედმა ჩვენს ერსა მრავალი ტანჯვა არგუნა,  
თავისუფლება დაუხშო, ფრთა შეაკვეცა, დასთრგუნა, –  
მაგრამ, ვერ მოსპო იმაში ნიჭი საქვეყნო, ქებული –  
და ებადება კვლავ შვილი, შენებრ ცით მირონცხებული...  
ჰე, დიდებულნო ქართველნო! თქვენა ხართ ბურჯნი უფლების!

ვისაც თქვენებრი შვილნი ჰყავს, ღირსია თავისუფლების!“

(ხუნდაძე 1914:96).

როგორც ცნობილია, სილოვან ხუნდაძეს ქართული გრამატიკის საკითხებთან დაკავშირებით აკაკი შანიძესთან ჰქონდა დავა პრინციპულ საკითხებზე, თუმცა ამ დავაში არ დაუკარგავს ზომიერება, იგი კარგად გრძნობდა გრამატიკოსის სიმაღლეს, სიკეთესა და სამართლიანობას:

არ სურს სხვისი დამოწმება,  
არც თვით წელში გაიხაროს,  
ვის რა უნდა? დე იცოცხლოს,  
აყვავდეს და გაიხაროს (იქვე).

სილოვან ხუნდაძემ ლექსები უძღვნა არა მარტო ქართველ, არამედ სხვა ერების სახელოვან მამულიშვილებსაც. ერთ-ერთი მათგანია უკრაინელი ხალხის გამოჩენილი პოეტისა და მოაზროვნის, უკრაინაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის, ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსი:

...მან უკრაინა შეამკო, თვისი სამშობლო ბედკრული:  
მას უძღვნა გულის სიმები, ღვთივ-ზეცით შემკული!  
მოყვარეს სულში ჩაუძვრა და ისარი ჰკრა მტერს მტრული,  
მით მოიხვეჭა სახელი დაუვიწყარი, ზესრული! (ხუნდაძე 1914:95).

ქართველი საზოგადოების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ხვდა წილად დიდ ერისკაცსა და მოღვაწეს, ილია ჭავჭავაძის ერთგულ თანამებრძოლს დიმიტრი ყიფიანს. მთელი ერი იყო თანამებრძობი მისი დაუღალავი, მუხლმოუხრელი მოღვაწეობისა ცარიზმის ბიუროკრატიისაგან ქართველთა შელახული თავმოყვარეობის აღდგენის, მშობელი ერის კეთილდღეობისათვის.

ერთ-ერთი პირველი, ვინც აღტაცებით, ამადლებული სტრიქონებით გამოეხმაურა დიდი მამულიშვილის პროტესტს მეფის რუსეთის მჩაგვრელი პოლიტიკისადმი, სწორედ სილოვან ხუნდაძე იყო. 1885 წელს დიმიტრი ყიფიანს მან ასეთი ლექსი უძღვნა:

წრფელი გმირი იგი არის, ვინც თვის მოძმეთ თავსა სწირავს,  
თვით მზად არის სასიკვდილოდ, და მოძმეთ კი არ გასწირავს!

წრფელი გული იმას უცემს, წმინდა სული იმას უდგას,  
თვის დიდებას ვინც უარყოფს – ჩაგრულ მოძმეთ გვერდში უდგას.  
გვწამს, მოხუცო, შენი ერის სიყვარულით გიბგერს გული  
და მხცოვანსა გაყმაწვილებს უანგარო სიყვარული! (ხუნდაძე 1914:95).

დიდი სითბოთი და უსაზღვრო პატივისცემით იხსენებს პოეტი გენიალურ ქართველ მგოსანს – ნიკოლოზ ბარათაშვილს და სამარადჟამო უკვდავების სამოსელში მოსავს მას ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილის სახსოვრად“, რომელიც საქართველოში პოეტის ნეშტის გადმოსვენებას უძღვნა:

...ჰოი, სამშობლო! დღეს შვილი შენი, უცხო მიწაში მტვრათა ქცეული,  
მოდის შენთავე, მთელს სიცოცხლეში შენი ტრფობითა აღტაცებული.  
შენი სიშორე მის მკვნესარ გულსა, ჩანს, მეტად ვეღარ აუტანია,  
სურს აწ აქ იყოს, სადაც შენ გამო ცრემლებით დაწვნი დაუბანია.  
ჰე, მიიბარე აწ მისი ძვლები, მშობლური კალთა გადააფარე  
და რაც დააკლდა მას ცრემლი შენი, სამაგიერო დღეს დააღვარე

(ხუნდაძე 1914:96).

სილოვანის ერთ-ერთი ლექსი - „დედა და შვილი“, რომელიც დედაშვილობის მარადიულ, გაუხუნარ გრძნობას ეძღვნება, იაკობ გოგებაშვილმა 1912 წელს „ბუნების კარის“ გამოცემაში შეიტანა:

რაც უნდ ვიცოცხლო, დედა მე არ დამავიწყდება,  
მე მისი სახე ახლაც ცოცხლად წარმომიდგება.  
მახსოვს, მე დედა ღამე გულზე მიმიხუტებდა  
და წმინდა ლოცვებს ტკბილად, წყნარად მიფუჩუნებდა (ხუნდაძე 1914:98).

ეს სტრიქონები დედის ხსოვნისადმი მიძღვნილი და გამოხატავს პოეტის სათუთ და თბილ დამოკიდებულებას მშობლისადმი.

საინტერესოა თავადის ქალ თეოდოსიასადმი მიძღვნილი ლექსი „ქალი“, სადაც ჩანს ზოგადად მისი დამოკიდებულება ქართველი ქალებისადმი. პოეტს, ყველაზე მეტად კლდემამოსილება და უბრალოება იზიდავს და ხიბლავს ქართველ ქალში, რომელიც გულით უმანკო სიყვარულს ატარებს, ოჯახზე მზრუნველია და შვილების კარგად აღმზრდელი. მისთვის ქალურ სინაზესთან ერთად არც მამაკაცური შრომაა

სათაკილო. ქალი შრომობს, მაგრამ ნებისმიერ სიტუაციაში ქალურ სინაზესაც არ ჰკარგავს:

ქალი ის არის, ვინც ოჯახს უვლის,  
შრომით აშვენებს თვის სილამაზეს,  
ვინც ვაჟს გვერდს უდგას, შრომაში ვაჟობს,  
მაგრამ არ კარგავს ქალის სინაზეს (ხუნდაძე 1914:100).

დედობა, შვილის ღირსეულად აღზრდა არის ქალის უმთავრესი ფუნქცია და სილოვან ხუნდაძე ბუნების მშვენებას უწოდებს ქალს, რომელიც ამ ფუნქციას თავს კარგად გაართმევს.

ქალი ის არის, წმინდა გრძნობებით  
ვინც გვასპეტაკებს, გვამხნეებს მარად,  
ვინც ჩვენს დატანჯულს, შეწუხებულ სულს  
მოევლინება დავითის ქნარად! (ხუნდაძე 1914:100)

პოეტის სატირა მიმართულია მათკენ, ვინც ივიწყებს მშობლიურ ენას, ვისაც გამორჩენის მიზნით უცხო წეს-ჩვევები შეუძენია.

მისი სატირული ხასიათის ლექსები მიმართულია იმ ადამიანებისადმი, ვინც მშობლიურ ენას ივიწყებს, ვისაც წინაპართა ანდერძი აღარ ახსოვს:

ჩვენ კი რას ვშვრებით? ვფიცავ, არ ვიცი,  
დღეს ჩვენ ქართველი რათ გვეწოდება.  
როს დავივიწყეთ ენა ქართული -  
და სულიც, გულიც არ გვეკოდება (იქვე).

საინტერესოა მისი ერთი ლექსი, სადაც დიალოგია გამართული პოეტსა და მამას შორის. მამა საყვედურობს შვილს, რომ რუსულის სწავლას ჯობს ქართული ენა კარგად შეისწავლოს და არ დაივიწყოს.

სილოვან ხუნდაძე კატეგორიული წინააღმდეგი იყო ენებისა და ერების აღრევისა. ის უგუნურ აზრს უწოდებდა ამ საკითხს და ასკვნიდა, რომ ისეთი მცირე ერისათვის, როგორც ქართველი ხალხია, ეს პროცესი დამანგრეველად იმოქმედებდა.

ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე საუბრის დროს, ის ლექსებში ეხება შოთა რუსთაველის პოემას, მის ენას, რუსთველურ შაირს და ქართული ენის მუსიკალურ



ბუნებას. „ვეფხისტყაოსნის“ მცირედი განხილვის ფონზე ავტორს სურს წარმოაჩინოს ქართული სიტყვის ძალა და მადლი, რწმენა იმისა, რომ ამ ენაზე შექმნილა და კიდევ მრავალი საუკუნე უნდა შეიქმნას ქართული ნაწარმოებები. იმდროინდელი რეალობა კი სულ სხვა ბედს უქადდა ქართულ ენას. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ზოგიერთ ქართულ ოჯახში სათაკილო იყო ქართულად საუბარი:

ქართველი დედა აგერ შვილს უზის,

უცხო ენითა ესაუბრება,

ქართულად სიტყვას არ ათქმევინებს,

თუ რამ წამოცდა, - სტუქსავს, უწყრება! (ხუნდაძე 1914:104).

სილოვან ხუნდაძის ლექსებში მხილებულნი არიან ცრუ პატრიოტები, ქართული ენის ღირსების შემლახველნი. მათში ნათლად იგრძნობა პოეტის განწყობილება და განცდები, რაც უკავშირდებოდა იმ დიდ ტკივილებს, რომლითაც ასე დატვირთული იყო XIX-XX საუკუნეების მიჯნა. ეროვნული გმირის ძიება ჩანს მის პოეტურ სტრიქონებშიც, გმირისა, რომელიც აუცილებლად უნდა მოსულიყო და ქვეყანა განსაცდელისაგან ეხსნა. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილი ეს ლექსები იყო ერთგვარი გაფრთხილება და გამოფხიზლება მაშინდელი ქართველი საზოგადოებისა.

უმოქმედობა და ინერტულობა კარგი არაფრის მომტანი იყო, ის საზიანოდ და დამღუპველად მოქმედებდა ერის ცოცხალ სხეულზე. ლექსებში „ძინავს ქუთაისს“, „არ მომკვდარა“, „მოგვილოცავს გაღვიძება“, „ზამთრის პირათ“, „ზამთარი“ და სხვა არის ძიება იმ პრობლემის აღმოფხვრისა, რამაც ქვეყანა ასეთ უძრაობაში ჩააგდო. პირველ ხელისშემწყობ ფაქტორად ის სამშობლოს მოღალატეებს, ცრუ პატრიოტებს მიიჩნევს. იმისათვის, რომ სათქმელისთვის მეტი გამომსახველობითი ძალა მიეცა, სატირული ხასიათი შესძინა თავის სათქმელს. ლექსებში: „ქართველი ორატორები“, „ჩვენებური დუელი“, „ქართველებს“ ჩანს სავალალო მდგომარეობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც დაუკარგავთ ნამდვილი სახე და დროსტარებასა და ქეიფს გადაჰყოლიან.

ლექსში „ქართველთ მეფის ერეკლეს დროისაგან“ საუბარია საქართველოს მაშინდელ სავალალო მდგომარეობაზე. პოეტს ის გულისტკივილი, რაც მას აწუხებს, უნდა, რომ ლექსად წარმოთქვას. მისი თანამედროვენი აღარ ჰგვანან წინაპარ

ქართველებს, ლანდად ქცეულან, ძველად ლომგული გმირები დღეს უღელ ქვეშ  
საცოდავად გმინავენ. სულით დაცემა და გულით დაჯაბანება მას მიაჩნია ყველაზე  
დიდ ეროვნულ უბედურებად. ამიტომაცაა, რომ ვეღარ გვიგვრძვინია, როგორ  
დედაწულიანად გვმუსრავს მტერი. თუკი ვინმე გამოჩნდება ისეთი, ვინც ეროვნულ  
გულისტკივილზე დაიწყებს საუბარს, ვინც ნამდვილ სახეს დაგვანახებს  
თანადროულობისას, მას თანაგრძნობის მაგიერ დავცინით და მისი სახვალიო  
გულწრფელი იდეების არ გვჯერა. იმის მაგალითად, რომ ხალხმა გმირს ვერ გაუგო,  
პოეტს მოჰყავს ერეკლე მეფის სახე, რომელსაც ვერ გაუგეს და შვილებისგანაც კი  
დასაცინი გახდა. მამულიშვილური გული უმგერდა მას მკერდში, აბუჩად აიგდეს მისი  
ფიქრებიც და შეუგინეს ჭადარა:

თუ მკერდს ქვეშ გული გიცემდათ,  
რათ არ დაკარით ნალარა,  
როს შეაფურთხეს მოხუცსა  
და შეუგინეს ჭადარა? (ხუნდაძე 1914:71).

ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება კი იმან გამოიწვია, რომ წარსული  
დავივიწყეთ, მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან ვეღარ გავარჩიეთ, ძველი ღონე აღარ  
შემოგვრჩა და გავხდით „სხვისი ჭური-გულები“. თავის მართლებაც დავიწყეთ, მტერი  
ბევრი იყო და ამიტომ მოგვერია, ძალა ხომ აღმართს ხნავს და ჩვენც არსებულ  
სიტუაციას შევეგუეთ. პოეტი ასეთ საქციელს ცუდ ზნეს უწოდებს, რადგანაც ასეთი  
საუბარი მხოლოდ მშიშრებს და ლაჩრებს სჩვევიათ და შესადარებლად მოჰყავს სუსტი  
კრუხის ბრძოლა წიწილების დაცვის დროს ძლიერ ქორთან, კრუხი, რომელიც  
საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავს თავის შვილებს და არანაირი საფრთხე არ აშინებს.  
ჩვენ კი შავ ბედში ჩავარდნილთ, ვერც საფრთხე გვიგვრძვინია, ვერც ძალა გვიპოვინია  
მტერთან გასამკლავებლად და უფრო უარესი, მხიარულებაში და სიხარულში ვართ  
ჩავარდნილნი.

სული გეხუთვის, ქართველო,  
კვდები და კიდევ არ გჯერა?  
წამალს არ სძებნი, არ სწუხხარ:  
მითხარი, რამ გაგაჩერა? (ხუნდაძე 1914:72).

ავტორისთვის ერთადერთი იმედი, ვინც შეიძლება ასეთი რთული სიტუაციიდან გამოგვიყვანოს, არის უფალი, ამიტომ, გულმხურვალედ უნდა ვევედროთ მას, მოვუყვეთ ჩვენი საწუხარი და ის დაგვეხმარება და წყალობის თვალთ გადამოგვხედავს.

ამ ლექსის კითხვისას გვახსენდება ილია ჭავჭავაძის ლექსები და მათში გაჟღერებული პატრიოტული თემატიკა. საუკუნო ძილიდან რომ უნდა გამოვიღვიძოთ, ძილი რომ ახლა ყველაზე საშიშია და თავის გამართლება არ შეიძლება. უზრუნველ ძილში ცხოვრება უარესობისკენ მიდის, პირად სატკივარს და პრობლემებს გადაყოლით საქვეყნო ჭირი გვავიწყდება და კუჭგამამდარ ადამიანებს ქვეყანა ფეხებზე გვკიდია:

და თუ გაძლომას მოელი,  
ქვეყანა ფეხზე გკიდია:  
თუ გინდ წიწილი მოგიკლავს,  
გინდ მოძმე გაგიყიდია! (იქვე).

ისედაც მძიმე და სავალალო მდგომარეობას ის კიდევ უფრო ამძაფრებს, რომ მოძმე მოძმეს ჰყიდის, უბრალო რამისთვის შეუძლიათ ერთმანეთის გამეტება, დანაშაულზე თვალებს ხუჭავენ და დუმილს ინარჩუნებენ. უსუსურ ბავშვებს ადარებს სილოვან ხუნდაძე ასეთ ადამიანებს, რომელთაც წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ აქვს. ისე მარტივად იყიდება სინდისი და სახელი, თითქოს ეს დიდი ტრაგედია არ იყოს. და ამ დროს წელზე ხანჯალშემორტყმულები დავდივართ, ხმალიც ხელში გვიჭირავს და სინამდვილეში არაფრის მაქნისები არა ვართ. პოეტის აზრით, ასეთი ტარება მამაკაცი იარაღისა სირცხვილია, როცა მას დანიშნულებისამებრ ვერ ვიყენებთ.

სილოვან ხუნდაძის ლექსებში წარმოჩენილია ჩვენი ქვეყნის წარსული თავისი ღირსეული ადამიანებით. წარსულმა დაგვიტოვა დიდი მემკვიდრეობა, „სათაყვანო და წმიდა-წმიდათა“, რომელსაც აწმყო ვერ უფრთხილდება და ფიქრობენ წარსული წაშალონ:

და თქვენ რას ფიქრობთ: გსურთ, წაშალოთ მთელი წარსული?  
თამარის, შოთას დაგვიმტკიცოთ არარაობა?

თქვენ გსურთ, მოგვიკლათ თვით იმედი, გული და სული,  
წარხოცოთ ჩვენი ისტორია და ვინაობა?! (ხუნდაძე 1914:110).

თავის თანამედროვეებს მიმართავს პოეტი, რომ მათ არ უნდა შეახონ წარსულს მანკიერი და ბილწი ხელი. ვინც ცდილობს, წარსულის და აწმყოს ერთიანობა გააქროს, პოეტი მათ ქვეყნის ორგულებს უწოდებს. ისინი ერისთვის საშიშნი არიან და საკუთარი აზრებით და საქციელით ვერაფერს დააკლებენ და ვერც დააზიანებენ მამულს, არამედ თავად გაითხრიან სამარეს:

ქვეყნის ორგულნო! მომავალი თქვენს ხელთ არ არი!

შორს ჩვენგან! ანკი ამას შემდეგ რა გვაქვს საერთო?!

თვისი ხელითვე გაითხარეს იმათ სამარი...

არა იციან, რას შვრებიან: შეუნდე, ღმერთო! (ხუნდაძე 1914:112).

სილოვან ხუნდაძე თავის ერთ-ერთ ლექსში - „პოეტის გოდება“ საუბრობს ადამიანის მწარე და დაჩაგრულ ხვედრზე. იგი წუხს, რომ ერის სათაყვანო შვილებს ხედავს ჩაგრულებს, დამონებულებს და გადაგვარებულებს, ქართველებმა დაივიწყეს ქვეყნის გმირული წარსული, სულით დაეცნენ, გულით დაძაბუნდნენ, წაერთვათ წინააღმდეგობის ძალა. ლექსში ჩნდება გმირი, რომელიც ხმას აიმაღლებს უსამართლობის წინააღმდეგ. თუმცა ის ამ ბრძოლაში მარტოა, გასანადგურებლად განწირული. ცენზურისაგან თავის დაღწევის მიზნით პოეტს მოქმედება წარსულში, ერეკლე მეფის დროს აქვს გადატანილი (დimitრი ყიფიანის ვინაობის დაფარვის მიზნით ლექსის დაწერის თარიღად 1896 წლის დეკემბერია მითითებული. დimitრი ყიფიანი კი მოკლეს 1887 წლის 24 ოქტომბერს). პოეტს ვერ უპატიებია გმირი მოხუცის თანამედროვეთათვის, რომ მათ პასუხი არ გასცეს მკვლელებს და ამიტომაც ჰკადრებს თანამემამულეებს:

ხართ სხვისი ჭური-გუდები,

არ გეფიცებათ ულვაში,

აღარ გახურავთ ქუდები (ხუნდაძე 1914:109).

ყოველი ადამიანისათვის თავისი ქვეყნის სიყვარული იმ ადგილიდან იწყება, სადაც გაიზარდა და ცხოვრების ბედნიერი წლები - ბავშვობა გაატარა. სილოვანის ცხოვრება და მოღვაწეობა კი თითქმის მთლიანად ქუთაისს უკავშირდება. ამიტომაც

მის პოეზიაში ამ ქალაქს გამორჩეული ადგილი უჭირავს. პოეტს ამ ქალაქისადმი სიყვარულით აღძრული განცდები აქვს გამოხატული ლექსში „ქუთაისს“:

რატომ მიყვარხარ, რათ გეტრფი მარად,  
უშენოდ გული რად არი მკვდარი?  
ერთი მით ჩემო, რომ სამშობლო ხარ,  
მეორეც - მზგავსი რომ არსად არი (ხუნდაძე 1914:120).

როგორც აღვნიშნეთ, სილოვან ხუნდაძის შემოქმედება ახლო კავშირს ამყარებს ქართველ 60-იანელთა ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან. იგი გამგრძელებელია მათ მიერ დამკვიდრებული შეხედულებებისა. თავისი მრწამსი სამშობლოსა და დედაენის შესახებ ხუნდაძეს შემდეგი სახით აქვს გადმოცემული ერთ-ერთ ლექსში:

შეხედეთ ცასა: მას რა ამშვენებს? არა მარტო მზე გაბრწყინებული,  
არამედ მთვარეც და ვარსკვლავები, აქ-იქ გუნდ-გუნდათ ჩამწკრივებული!  
ზოგი კამკაშობს, ზოგი ძლივს ბჟუტავს, ხან მიიმალვის, ხან გამოჩნდება...  
და ყველა ერთად ახარებს სულსა; - თვალი ერთობა და გული სტკბება!  
დიახ, ბუნება მრავალფერობით არის დიადი და მშვენიერი!  
ესევე ადიდებს კაცობრიობას, სხვადასხვა ენა, სხვადასხვა ერი!  
მაშ გაუმარჯოს კაცობრიობას, თან ყველა ერის სამშობლო ენას!  
და თქვენც, მოძმენო, ნუ დაივიწყებთ  
თქვენს ენას, თქვენს ერს! ნუ, ნუ, თქვენს ლხენას (ხუნდაძე 1914:124).

ერის და ენის დაცვა, ილიას თაობის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა და ყოველი სტრიქონი თერგდალეულთა შემოქმედებიდან ზუსტად ამის გამოძახილია. სილოვანიც აგრძელებდა მათ მიერ დასახული გეგმის განხირციელებას, არა მარტო შემოქმედებით, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც. ზუსტად ამის გამოხატულება იყო მისი აქტიური მოღვაწეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

\*\*\*

ს. ხუნდაძის შემოქმედებაში დიდ ადგილს იჭერს ბუნებისადმი მიძღვნილი ლექსები. იგი ბუნებასთან განმარტოებით პოულობს სულიერ შვებას, რითაც რომანტიკოს პოეტებს ენათესავება. ბუნების ჰარმონიას სილოვანი ყოველთვის უპირისპირებს იმდროინდელ საზოგადოებაში არსებულ დისჰარმონიას - ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, უუფლებობას, სამშობლოს დამონებულ მდგომარეობას. ბუნების წიაღი პოეტისათვის ის ადგილია, სადაც იგი სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებს და საკუთარ თავს ეკუთვნის:

ჰე, ბუნებავ, ჩემი გული ცხოვრებას ვერ შეეთვისა -  
მხოლოდ შენი ტრფობა სწყურის ქვეშ ხმელეთის, ზევით ცისა.  
ადამიანთ როცა გესლი დამამიწებს, დამანელებს -  
მაშინ შენკენ მოვეშურვი გადავხედათ შენს მთებს, ველებს!

(ხუნდაძე 1914:126).

ბუნებასთან ს. ხუნდაძის მიახლოების სურვილი სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული, ერთ-ერთი, საზოგადოებრივი ცხოვრების უკულმართობით არის ნაკარნახევი, მეორე - მისი პირადი სევდა-მწუხარებით, მარტოობის მძაფრი განცდით და ზოგადად ადამიანური ტკივილებითაც.

პოეტი წერს:

არ მინდა ხალხში ცხოვრება! - ტყეში მოვიწნავ კარავსა,  
ფოთლებისაგან შევკერავ ტანისა დასაფარავსა (ხუნდაძე 1914:130).

გავიხსენოთ გალაკტიონი:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები  
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,  
სადაც იქნება ცოფი ნაკლები  
და უფრო ნაკლებ ადამიანი (ტაბიძე 1919:50).

ბუნების სურათების აღწერისას მის ლექსებში ასევე იკვეთება მარტოსულობის განცდა, სევდა-მწუხარება, რომელიც ზოგადასაკაცობრიო ტკივილებს უკავშირდება. ზოგიერთ ლექსში კი ეს სევდა უფრო პირადულია, რომელიც ოცნებების მსხვრევამ გამოიწვია:

ნეტა თუა ქვეყანაზე ჩემებრ კიდევ უბედური?  
გული მარად მტირალი მქავს, მთლათ ცხოვრება უგემური;  
არვისგან არ მაკლია მე დაცინვა, მტრობა, შური -  
და ამიტომ, შავო დებო, მარად გწყევლი და გემდური (ხუნდაძე 1914:129).

აქ არის ალუზია თანამედროვე მწერლობასთან და არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ნოე ჩხიკვაძის ლექსი „ვინ მკითხულობს“:

ვინ მკითხულობს? ვინ დამემებს? ვის ვუყვარვარ მე?  
აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი, ხმა გამე!  
ირგვლივ ცივა, სისხლიანი ღამეა, ღამე,  
გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე (ხუნდაძე 1914:130).

ასეთი ალუზიები ხშირად გვხვდება ხუნდაძის პოეზიაში მისი დროის მწერალთა შემოქმედებიდან.

ამ პერიოდში მოღვაწე მწერალ იროდიონ ევდოშვილისა და სილოვან ხუნდაძის შემოქმედებითი სიახლოვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ სოციალურ თემატიკაზე დაწერილი ლექსების გამოდახილი მსგავსია. ს. ხუნდაძის „მეხრე“ და ი. ევდოშვილის „გლების ფიქრები“ ერთი და იმავე სატკივარზე დაწერილი სტრიქონებია, ორივეგან გლების თავდაუზოგავ და დაუფასებელ შრომაზეა საუბარი.

სილოვან ხუნდაძის მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობისადმი მიძღვნილ ლექსებში ბევრ მსგავსებას ვიპოვით იროდიონ ევდოშვილის მსგავსი შინაარსის პოეტურ ნაწარმოებებთან.

ს. ხუნდაძე, როგორც ვიცით, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგე, აქ მის გვერდით მოღვაწეობდნენ დომენტი თომაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, იროდიონ ევდოშვილი და სხვები. ისინი არა მარტო საზოგადოებრივი საქმიანობით, არამედ შემოქმედებითი სიახლოვითაც გამოირჩეოდნენ.

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებიდან ზოგიერთი ლექსი ალუზიურად გვახსენებს სილოვანის იმ ლექსებს, სადაც ყურადღება ეროვნულ პრობლემატიკაზეა გამახვილებული. ორივე მათგანის მიერ ამ თემაზე შექმნილი ლექსები არა მარტო იდეურ მემკვიდრეობას ამჟღავნებს მათ წინამორბედ დიდ ქართველ მწერალთა

შემოქმედებასთან, არამედ ისინი თავისი ლექსების ტექსტოლოგიური მიმართებითაც არიან დაკავშირებული ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან (ნიკოლეიშვილი 2023:33).

სილოვან ხუნდაძის და ვარლამ რუხაძის პოეტურ სიახლოვეზე მეტყველებს ბუნებისადმი დაწერილი სტრიქონები, სადაც სამყარო გასულიერებულია.

მაგალითად, ვარლამ რუხაძე თავის ლექსში „ნიავეს“ გამოხატვის თვალსაზრისით სილოვანის ამ თემატიკაზე შექმნილ ლექსებს ენათესავება:

ოხ! თუ ასეა ცელქო ნიავე!

გემუდარები შემასხი ფრთები,

თან წამიტანე, ლაღად მფრინავო

გადამატარე ზღვები და მთები (რუხაძე 1903:34).

ბუნების სურათები მრავლადაა სილოვანის ლექსებში. იგი როგორც რომანტიკოსი პოეტი, ისე გვიხატავს ადამიანის და ბუნების დამოკიდებულებას ერთმანეთთან. ბუნების ჰარმონია დაპირისპირებულია იმდროინდელ საზოგადოებაში არსებულ დისჰარმონიასთან. დისჰარმონია კი ის იყო, რომ ადამიანი იჩაგრებოდა, უუფლებობას განიცდიდა, დამონებულ სამშობლოში ცხოვრობდა. ბუნების წიაღი ის ადგილი იყო, სადაც ადამიანი სულიერ სიმშვიდეს პოულობდა, საკუთარ თავს ეკუთვნოდა:

ადამიანთ როცა გესლი დამამიწებს, დამანელებს -

მაშინ შენკენ მოვეშურვი, გადავხედავ შენს მთებს, ველებს...

(ხუნდაძე 1914:130).

ზოგჯერ პოეტს პესიმიზმი შემოეპარება ხოლმე:

მე მხოლოდ იგი მაჯავრებს, იმით მისკდება გულია,

საუკეთესო სიცოცხლე რომ ტყვილა დაკარგულია! (ხუნდაძე 1914:131).

სილოვან ხუნდაძის ლექსების ერთი ნაწილი გამსჭვალულია არსებული სოციალური სინამდვილის მძაფრი კრიტიკით. როგორც ომარ გვეტაძე აღნიშნავს, სილოვან ხუნდაძის პოეტური შესაძლებლობები და აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია ყველაზე მეტად სწორედ ასეთი ტიპის ლექსებში გამოვლინდა. მეფის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში იგი ახერხებდა ემხილებინა იმდროინდელი ცხოვრების უსამართლობა, რაც შემოქმედის მემამოხე სულზე



მეტყველებს. ის არა მარტო თავისი ლექსებით, არამედ საზოგადოებრივი საქმიანობითაც უპირისპირდებოდა ამ რეჟიმს და არასოდეს დაუხვევია უკან ამ ეროვნულ-პოლიტიკურ ბრძოლაში (გვეტაძე, 2010:173). პოეტი ლექსში „ვედრება წმინდა ნინოსადმი“ წერს:

შურით, სიცრუით, სიძულვილით აივსო მხარე,  
ძმა ძმასა დაკლავს და გმირობათ ეს მიაჩნია!  
ხალხისა ტანჯვამ დააბნელა თვით მზე და მთვარე  
და მას მოწყალე ცის ქვეშ არვინ არ გააჩნია (ხუნდაძე 1914:132).

ს. ხუნდაძის კალამს ეკუთვნის საახალწლო მილოცვები, სადაც სატირული ტონით არის მხილებული ყველა ის ადამიანი, რომელთაც ყველაფერი წმინდა დაუკარგავთ, მომხვეჭელობისა და გამდიდრების წყურვილს დაუმახინჯებინა მათი მორალური სახე. პოეტი მიმართავს ეკლესიის ვაიმსახურთ:

როგორც ვხედავთ, მისთვის გინდათ თქვენ ეს „ავტოკეფალია“,  
რომ მიზანი - საკუთარი ცხვარი, ზუთხი, კეფალია (ხუნდაძე 1914:132).

ერთ-ერთ საახალწლო მილოცვაში, რომელსაც „ცოცხლები“ ეწოდება, გაკრიტიკებულნი არიან ექიმები, ვექილები, ქუთათური ჯეელი ყმაწვილები, რომლებიც სოფელს, შრომას გამოქცევინა და დილიდან საღამომდე გამოწყობილნი ბულვართან უსაქმოდ დგანან.

ს. ხუნდაძე არ ერიდება სოციალ-დემოკრატების გაკრიტიკებასაც და ასე მიმართავს მათ:

საქართველო არ უხსენოთ, თვარა შემოგაკურთხებენ!..  
ქართველთ წარსულს და მომავალს სუყველაფერს აფურთხებენ!  
მუშებისთვის ზრუნვენ, უნდათ ყველა გააპროლეტარონ,  
უსახლკაროთ, უპატრონოთ ქუჩაში რომ დაეყარონ (ხუნდაძე 1914:134).

ს. ხუნდაძის სოციალური ლირიკა მოკლებულია მებრძოლურ პათოსს. იგი მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციით კმაყოფილდება. მიუხედავად იმისა, რომ პოეტის თვალწინ ეპოქის მღელვარე დღეებმა ჩაიარეს, ამ ამბებით გამოწვეული შეხედულებები და აზრები სოციალურ ლირიკას ნაკლებად მსჭვალავს. მართალია, იგი მჩაგვრელებს ამხელს, მაგრამ ამ მხილებას არა აქვს ორიგინალური ფორმა და

კონკრეტული მისამართი.

სილოვან ხუნდაძის პოეზიაში გვხვდება, აგრეთვე, დიდაქტიკურ-აღმზრდელი ნაკადი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი წლების განმავლობაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს პრაქტიკულად ემსახურებოდა. სწავლა-ცოდნის შეძენას პოეტი ქვეყნის, ერის კეთილდღეობას უკავშირებს:

ნასწავლმა თვისი ცოდნა და სწავლა  
ხალხის საცარცვად კი არ იხმაროს,  
არამედ რაც აქვს, რაც შეიძინოს  
ხალხს მოახმაროს, იგი ახაროს (ხუნდაძე 1914:135).

ლექსში „ქართველ მოსწავლეებს“ პოეტი მოუწოდებს ახალგაზრდებს ცოდნის შეძენისაკენ, მშობლიური ენისა და კულტურის პატივისცემისაკენ:

მშობელ მხარეს ასარგებლეთ თქვენი ცოდნა, თქვენი სწავლა,  
მშობელ ერსა შეალიეთ თქვენი ნიჭი, თქვენი ძალა (ხუნდაძე 1914:136).

სწავლა, ცოდნის შეძენა მიაჩნია პოეტს ყველა ბოროტების დამარცხების იარაღად. ადამიანი ბრწყინავს, როცა ზნეობა და ცოდნაა მასში თავმოყრილი. ლექსში „მოსწავლე“ წერს:

ისწავლე და თან გახსოვდეს,  
რომ მართო ცოდნა არ კმარა -  
ნეტავი იმას, სწავლასთან  
ვინც ზნეობითაც დამტკბარა (ხუნდაძე 1914:137).

ლექსი „განათლების ჰიმნიც“ ამ პათოსითაა გამსჭვალული:

განათლდით, ყრმანო, განათლდით,  
გამრავლდით ქვეყნის მფლობელათ -  
და მოეფინეთ, ვით მზესა  
სხივნი, მთბობ-მანათობელად! (ხუნდაძე 1914:138).

სილოვან ხუნდაძემ, როგორც პედაგოგმა და სკოლის დიდმა მოამაგემ კარგად იცოდა, რომ ცოდნა და განათლება იყო უპირველესი იარაღი უზნეობასთან ბრძოლისა, რომ განათლებულ ადამიანს შეეძლო, დაპირისპირებოდა იმ უსამართლობას, რაც

მაშინდელ ეპოქაში იყო გამეფებული (ურუმაძე, 2014:57).

სიყვარულის თემაზე დაწერილ მის ლექსებში სიხარულზე მეტად ტკივილი და სევდა ჭარბობს. ლექსებში: „სატრფოს“, „უბედური სიყვარული“, „მე ვინც მიყვარს“, „გამოსალმება“, „ვერ დაგივიწყებ“, „სიყვარული“ საუბარია ამ მარადიული გრძნობის სიმძაფრეზე, რომელსაც ადამიანის გული ზოგჯერ ვერ იტევს და ყოველგვარ საზღვრებს და ჩარჩოებს ამსხვრევს.

სიყვარული გამაკეთილშობილებელი ძალაა, თუმცა სატრფოსთან განშორება მტანჯველია. ხალხურ მოტივზე აგებული მისი ლექსი „მიჯნურის კვნესა“, პოეტი დაშორებული მიჯნურის შესახებ გვიზიარებს თავის ფიქრებს:

მთაო, გადმიშვი! მოსისხარს ბრძოლას ავუტეხ ცხარესა,

ან შევაკვდები, ან მოვკლავ, დავიხსნი ჩემსა მთვარესა...

მაგრამ, ვაი თუ მიჯნურმა გამცვალა თავისი ნებითა -

და თავის ახალ სატრფოსა გულში ეკონვის ვნებითა (ხუნდაძე 1914:140).

სიყვარულის თემის ასახვის საკითხში ს. ხუნდაძე არც ფორმით, არც იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ახალს არაფერს ამბობს. ამ ლექსებში პოეტის უშუალო განცდებია გადმოცემული. მათ აკლიათ განზოგადება და ისინი შორს არიან მხატვრული სრულყოფილებისაგან.

ს. ხუნდაძის პოეზიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მიძღვნილი ლირიკა. ეს ლექსებია: „გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე“, „დ. ჩუბინაშვილის 50 წლის იუბილის გამო“, „მამია გურიელის საფლავზე“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის სახსოვრად“, „მგოსანს“, „რაფიელ ერისთავის საიუბილეოდ“, „გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო“, „მარჯორი უორდროპის ასულს“, „ილია წინამძღვრიშვილს“, „ილია ჭავჭავაძის ხსოვნას“, „ტარას შევჩენკოს საიუბილეოდ“ და ა. შ. ამ ლექსთა სათაურების დასახელებითაც კარგად ჩანს, რომ სილოვან ხუნდაძე პოეტურ სტრიქონებს არ უძღვნის შემთხვევით პიროვნებებს, იგი სახელოვან მოღვაწეთა სახეებს აცოცხლებს, რათა მათი ღვაწლი კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს და ამით თანამედროვეთა ყურადღება მიაპყროს დიდ მამულიშვილთა სახელოვანი საქმეებისაკენ. ასე იბრძოდა სილოვან ხუნდაძე თანამედროვე პატრიოტული თვითშეგნების ამალღებისათვის.

ამ თავში ასევე საუბარია სილოვან ხუნდაძის იმ ლექსებზე, რომლებიც ჯერ საზოგადოებისათვის ცნობილი არაა და მისი საოჯახო არქივიდან მოვიძიეთ. ეს ლექსები მოგვაწოდა მისმა შვილთაშვილმა მზია ხუნდაძემ.

მათი თემატიკა მიჰყვება იმ მიმართულებას, რომელიც დამახასიათებელია ზოგადად მისი პოეტური ნაწარმოებებისათვის. ესენია: სამშობლოს ბედ-იღბალზე ჩივილი, სოციალური გასაჭირი, ბატონყმობით გამოწვეული უთანასწორობა.

ლექსში „დასელების სიმღერა“ განხილულია ის საკითხები, რაც მაშინდელმა საგანმანათლებლო რეფორმამ მოიტანა საქართველოში, წარმოჩენილია მისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. ყურადღება გამახვილებულია უფრო ცუდ შედეგებზე. პოეტის შეფასებით, მარქსისა და ენგელსის თეორიების დაზეპირება მომავალი თაობისათვის არაფერი სასიკეთოს მომტანი არ იყო. ზეპირი ფორმით სწავლება აფერხებდა და არაჯანსაღს ხდიდა სასწავლო პროცესს. ადამიანები ერთმანეთის მტრებად და მოღალატეებად ვიქცევით, თუმცა „ეროვნული ქურქი“ შემოვიცვით და ასე ვეცადეთ საკუთარი მანკიერებანი დაგვემალა. ლექსს რეფრენად გასდევს ილია ჭავჭავაძის ლექსის სათაურიდან ფრაზა: „რა ვაკეთეთ, რას ვშვებოდით?“, რომელიც ქვეყანაში გამეფებულ იმდროინდელ პრობლემატიკას უფრო გამოკვეთს და დაგვაფიქრებს. ტყუილში ცხოვრებამ, მარცვა-გლეჯვამ ხალხი გააღატაკა და ყოფნა-არყოფნის ზღვართან მიიყვანა. რას ვაკეთებთ, რას ვშვებთ? - სვამს კითხვას ხუნდაძე და თავადვე პასუხობს: „ხალხი „გავაპროლეტარეთ“, მით ვსტკებოდით, ვნეტარობდით“ (ხუნდაძე 1914:144).

პოეტი დაუფარავად ამხელს ყველა იმ მანკიერ მხარეს, რაც მაშინდელ საქართველოში იყო გამეფებული. კრიტიკა მწვავეა და შეულამაზებელი:

რა ვაკეთეთ, რას ვშვებოდით,

- ეროვნებას უარყოფდით,

და ცენტრალიზმს ვემხრობოდით! (ხუნდაძე 1914:145).

როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობას სილოვან ხუნდაძემ ლექსების მთელი ციკლი უძღვნა სილოვან ხუნდაძემ, სიტყვითაც გამოვიდა პოეტის დაკრძალვაზე. მის პირად არქივში აღმოჩნდა ერთი ლექსი, რომელიც ნაწილია ამ ციკლისა. ესაა ლექსი „ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო“:

მოკლეს, გაგმირეს მგოსანი ქვეყნისა მაშენებელი,

ქართველი ერის სახელის დამცველი, დამშვენებელი (ხუნდაძე 1914:146).

პოეტი ხალხის მტრებსა და ქვეყნის მოღალატეებს უწოდებს ილიას მკვლელებს და მათ შხამიან გველებად მოიხსენიებს. ილიას მკვლელობა მას შეფასებული აქვს, როგორც ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი ქმედება. ამიტომაც ხალხმა, ვინც ეს ჩაიდინა, წაგვიბილწა აწმყო და განძი გაგვინადგურა:

თვით ჩვენვე დავგმეთ, შევმუსრეთ

ჩვენი განძი და ქონება (იქვე).

მისი ლექსი „ნატვრა“, რომელიც პატარ-პატარა ტაეპებადაა დაწერილი, გადმოგვცემს პოეტის სურვილს, ჩიტად გადაიქცეს, ცაში გაფრინდეს და მთებში ფრენით დროებით მაინც დააღწიოს თავი მტკივნეულ ყოველდღიურობას. ბუნების სურათები ლექსში ერთმანეთს ენაცვლება და ქმნის კონტრასტს, თუ რა ლამაზია ბუნებასთან ზიარება და რა მწარეა ყოველდღიურობა ადამიანისა.

სოციალურ პრობლემატიკას ეძღვნება მისი ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი „თავი ასე უნდა იწყებოდეს“, სადაც საუბარია მატერიალურად გასაჭირში ჩავარდნილ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაზე. პოეტის აზრით, სახელმწიფოში თითქოს ყველაფერი კეთდება, სიტყვითაც გამოდიან, კანონებსაც ადგენენ, გეგმასაც იმუშავებენ, მაგრამ მოსახლეობას უჭირს, ლუკმა-პური ენატრება, მათ სასიკეთოთ არაფერი კეთდება და ადგილობრივი მმართველობა უფრო დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას, ვიდრე გარეშე მტერი. ძალზე თვალშისაცემია ის ეკონომიკური პრობლემები, რაც გამეფებული იყო მაშინ ჩვენს ქვეყანაში.

„შინაური მტერ-მოყვრები. საახალწლოდ, ქუთაისის საადგილ-პამპულო ბანკს“ - ასე ჰქვია მის ერთ ფელეტონს, რომელშიც მაშინდელი ბანკის თანამშრომლები არიან განქიქებული. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ბანკის განვითარება „წელში ერთობ მოიკუზა“:

ქვეყნის ბანკი, „საწველ ფურათ“ მათ გახადეს და აქციეს,

განათლების კარგი წყარო და ოჯახი დააქციეს,

მოწაფები გამოყარეს, და ქუჩაში გააქციეს (ხუნდაძე 1914:147).

პოეტის აზრით, არასწორად დაგეგმილი რეფორმა სწავლასაც შეეხო, მოწაფეებს

სწავლა გაუძნელეს, რის შედეგადაც რიგითი ადამიანის შვილისათვის სკოლის კარი დაიხურა.

ერთ-ერთ ლექსში, რომელიც ილიას მკვლევლობას ეხება, ამ ტრაგიკულ მოვლენას პოეტი იესოს ჯვარცმას ადარებს.

ს. ხუნდაძის აზრით, ის, ვინც ილია სასიკვდილოდ გაიმეტა, ერიც მოკლა. ბრბოდ ქცეულმა საზოგადოებამ ზურგი შეაქცია სიკეთეს და ბოროტება აზეიმა. ასეთ ადამიანებს პოეტი ბრბოს და მაწანწალა გმირებს უწოდებს, რომელთაც ერი გარყვნეს და დაამცირეს.

ასეთი მდგომარეობა ქვეყნის დეგრადირების მაჩვენებელია და დაღუპვისაკენ მიმართავს საზოგადოებას. პოეტი თვლის, რომ დროზე უნდა შევიგნოთ, ვებრძოლოთ არა ქვეყნის მოკეთებებს, არამედ ავის მოსურნეთ:

მე მესმის ქრისტეს მოძღვრება -

ნუროდეს ვსდევნით პირად მტერს,

მაგრამ ქვეყნისა ორგულებს

ნუ ვაპატიებთ ნურაფერს (ხუნდაძე 1914:148).

„ბრწყინვალე“ თავადაზნაურობის „წარმომადგენლებს“ - ასეთი სათაურით არის ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი, რომელიც კრიტიკაა თავადაზნაურების ფენისა. ავტორი მათ საყვედურით მიმართავს: თითქოსდა მოჩვენებითად სიკეთის მკეთებელნი, სინამდვილეში ხალხის მყვლეფელნი, მუქთახორებო, როგორ ბედავთ და დავით აღმაშენებელს ეტოლებით. თქვენი ცხოვრება სამარცხვინოა და ღარიბ ადამიანთა ბედის დაცინვაზეა გათვლილი:

„დავით აღმაშენებლებო“,

მუქთახორა ბობოლებო,

„დავით აღმაშენებელსა“

მიკვირს, როგორ ეტოლებით?! (1914:150)

ლექსში „გამოცანის ეპიგონობა“ ენის მიტან-მოტანის შესახებ საუბრობს. მტყუან-მართალი ერთმანეთში ირევა და პოეტი მიმართავს მკითხველს, თქვენ უნდა გამოიცნოთ, თუ ვის ვგულისხმობ მე ასეთ ენების მიმტან ხალხშიო. „წუთისოფლის სამართალიც“ ერთი პატარა ცხოვრებისეული სურათია, მოხუცებულ ბაბუასა და მის

შვილიშვილზე.

სილოვან ხუნდაძის ლექსების თემატიკას განსაზღვრავს ქვეყნის მაშინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რომელთა აღწერისას სილოვან ხუნდაძე არის პირდაპირი და შეუვალი. მას არ ეშინია საზოგადოების რეაქციისა, იმისა, რომ შეიძლება ასეთი მამხილებელი ტონის გამო დაუპირისპირდნენ.

სილოვან ხუნდაძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პოემა და მოთხრობა, რომელნიც ცალკე წიგნად გამოსცა მწერალმა 1926 წელს. პოემა „მეწისქვილე“ მან 1883 წელს დაწერა და საბოლოო სახით 1894 წელს გამოაქვეყნა. პოემის სიუჟეტი მარტივია. აქ აღძრულია ერთგვარი „ბუკოლიკური“ სიყვარულის თემა - მოთხრობილია მეწისქვილე კობტაიას, ელენესა და ანას თავგადასავალი.

ამ პოემაში სოფლის ცხოვრებაზეა ყურადღება გამახვილებული, სოფელზე, სადაც სიმშვიდე და სიმარტოვე შეუძლია ადამიანს. პოემაში გაშლილია სასიყვარულო ამბავი მეწისქვილე კობტაიასა და ერთ სოფელელ გოგონას, ქვრივი გლეხის - სიმონას ქალიშვილს - ელენეს შორის. კობტაიას თუმცა ელენე უყვარს, იგი გასართობად სხვა გოგონებსაც ეკვლუცება. ერთი გოგონა ანა, რომელსაც უყვარდა კობტაია და შურდა ელენესი, მუდამ ამბობდა, რით მჯობია ელენე, კობტაიამ ის რად არჩიაო.

ანასა და კობტაიას სიყვარულზეა მთელი მოთხრობა. თუ როგორ დააშორა ისინი ბედისწერამ ერთმანეთს და მერე კვლავ შეაერთა. რომ სიყვარული, როცა ის გულწრფელი და ნამდვილია, ყოველთვის იმარჯვებს ცხოვრებისეულ მანკიერებებზე.

პოემის ბოლოს ყველა წინააღმდეგობა გადალახული იქნება და ელენე და კობტაია კვლავ შეერთდებიან:

აუსრულდათ, რაც მათ სურდათ;

დაიწერეს ჯვარი...

ლხენა, შვება - მათ ცხოვრება

ქონდათ დიდხანს მტკბარი. (ხუნდაძე 1926:23)

საბოლოოდ იქორწინეს კობტამ და ელენემ, შექმნეს ტკბილი ოჯახი და ცხოვრობდნენ ბედნიერად. ანა მოხუც ქვრივს მისთხოვდა. ხუთ თვეში ეყოლა ვაჟი და ყველა ამბობდა, კობტას ჰგავსო.

პოემაში აღწერილი ამბავი, რომელიც ზემოთ მოკლედ გადმოვეცით, როგორც

ვხედავთ, ტრივიალურია. ნაწარმოების ეპილოგიც ამართლებს ამ აზრს. პოემაში არის ცდა, სიყვარული წარმოჩენილი იყოს, როგორც ცხოვრებაში უმთავრესი მამოძრავებელი ძალა, გამაკეთილშობილებელი გრძნობა.

პოემაში ასევე ბედისწერის შესახებ საუბრობს ავტორი, იღბალი როგორც გაქვს, ის არ აგცდება. თუმცა, ბედი იმას უღიმის, ვინც ლაქიაა, ვინც სხვას ფეხქვეშ ეგება, ვინც ძლიერთან მეგობრობას არჩევს.

პოემა „ქობულელი“ (1894 წ.) ზღვის მიდამოების აღწერით იწყება. პოეტი აქ ახსენებს იმ მითს, რომლის მიხედვითაც ზღვის ტალღები სცემდა ვანის მთებს. შემდეგ საუბრობს იმ სატკივარზე, აჭარის მხარე რომ მუსულმანური თურქეთის ბატონობის ქვეშ იყო და „ალაჰ, ალაჰ“ ხშირად გვესმოდა. ყველაფერს გვართმევდნენ, მაგრამ ენა ვერ დაგვავიწყეს და ამით გვქონდა მტკიცე ერთობა შენარჩუნებული ჩვენს მუსლიმ ძმებთან. პოეტი ევედრება უფალს, აცილოს მის სამშობლოს შავბნელი დღეები. მართალია, ქობულეთი, ციხისძირი, შეკვეთილი ბევრჯერ გამხდარა მტრის შემოსევის მოწმე, ბევრჯერ უთელიათ მისი ქვიშიანი ნაპირი, მაგრამ გადავრჩით და მომავალი უკეთესი იქნება.

პოეტის ხაზგასმით, ქობულელი თავის მიწა-წყალზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტია. იგი ამბობს:

მაგრამ მთები, ჩემი მთები და ზღვა ფართოდ გადაშლილი,

ოჰ! მე ამათ ვერ ვშორდები ამათი ვარ მკვიდრი შვილი! (ხუნდაძე 1926:25).

პოემის სიუჟეტური ხაზი მთავრდება იმით, რომ მშობლიური ბუნებაც თანაუგრძნობს ქობულელს. იგი საიდუმლო ენით ეუბნება მას:

ნუ გეშინის, ქობულელო, ნუ გეკარგვის სასოება,

კვლავ აღსდგება საქართველო, შენი მხარეც აყვავდება! (ხუნდაძე 1926:27).

პოემაში „გემის დაღუპვა“ (1984 წ.) ნამდვილი ამბავი აღუწერია პოეტს. კერძოდ, 1984 წელს ზღვაში გემ „ვლადიმერის“ დაღუპვა. ამბავს მოგვითხრობს გადარჩენილი მგზავრი. პოემაში ს. ხუნდაძე დიდი ექსპრესიით აღწერს ზღვაში გემის ჩაძირვის შემდეგ ბედის ანაზარა მიტოვებული ადამიანების განწირულ მოქმედებას. პოემაში ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება ემოციურად მოგვაწოდოს სათქმელი - გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების ქცევის დეტალურად აღწერის ხარჯზე, რაც ბანალურს ხდის



პოემის სიუჟეტს. ნატურალისტურად დახატული სცენები არ არის გაცოცხლებული მხატვრულად წარმოსახული ფანტაზიით.

ამბავი იწყება მოთხრობით იმისა, თუ როგორ წავიდა ოჯახი გემით, რომელიც შუაგულ ზღვაში მოჰყვა საშინელ შტორმსა და ქარიშხალში. შუადღით ქარიშხალი ჩადგა და ნანერვიულებ მგზავრებს ჩაეძინათ. თუმცა შუადღით გემი მეორე ხომალდის ქიმს შეასკდა და წყლით ავსება დაიწყო. ყველა შველას ითხოვდა. დედამ გულში ჩაიკრა თავისი შვილი და უფალს თხოვდა დახმარებას. ზღვაში გადაცვენილები ძლივს მიცურავდნენ. ქალი ხედავდა, თუ რა დღეში იყვნენ წყალში ჩავარდნილები, რომლებიც ზღვაში გადმოხტნენ გადასარჩენად. ბოლოს გემი აფეთქდა. ცეცხლის ალი იქაურობას ანათებდა. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი შველას ითხოვდა, მაგრამ მაშველი არსად იყო. ტრაგედიას ძლივსძლივობით გადარჩნენ დედა და შვილი შემდეგ მტკივნეულად იხსენებდნენ ამ მწარე დღეს.

პატრიოტულ თემაზეა აგებული პოემა „კრწანისის ბრძოლა“ (1885 წ.). იგი ეხება ერეკლე მეფის გამირულ ბრძოლას ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. სიყვარულით გვიხატავს ს. ხუნდაძე ერეკლე მეფის სახეს. პოემის დასაწყისი ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ დასაწყისის ასოციაციას ბადებს. აქაც, ისევე როგორც ბარათაშვილთან, ერეკლე ბრძოლის დაწყების წინ პატრიოტული სიტყვებით მიმართავს ხალხს და მებრძოლებიც ერთგულებას უმჟღავნებენ სათაყვანო მეფეს:

გაგვიძებ მეფევ! გვიჩვენე ბანაკი წუნკალებისა,

ვაგებოთ მკლავთა სიმაგრე სიმახვე ჩვენის ხმლებისა...

უშენოდ, მეფევ, არ გვინდა სიცოცხლე, გვექცეს მზეზნელად...

ჩვენ გავწყდეთ, შენ კი იცოცხლე სამშობლოს სადიდებელად

(ხუნდაძე 1926:31).

„კრწანისის ბრძოლაში“ დახატულია ბატალური სცენები. აქაც სილოვან ხუნდაძე მხოლოდ ისტორიულ ფაბულას ლექსავს და ახალი კუთხით არ არის გახსნილი კრწანისის ბრძოლის ეპოპეა.

კრწანისის გამირულ ბრძოლაში საარაკოდ იბრძოდა მეფე ერეკლე, იგი შიშის ზარს სცემდა ყველას. ყაენმა ბრძანება გასცა, ერეკლე შეეპყროთ და მიეყვანათ მისთვის. მაგრამ ქართველებმა არ დაანებეს მეფე მტერს. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით

დასრულდა. მეფე მაინც მოწყენილია, რადგან ბევრი მეომარი დაეხოცა. ეს პოემა ნათლად გვანახებს ს. ხუნდაძის გულწრფელ და ამაღლებულ დამოკიდებულებას პატარა კახისადმი.

პოემა „აკრძალული სამოთხე“ (1909 წ.) თავისებური კომპოზიციის ნაწარმოებია. აქ ცალკე თავებადაა დაყოფილი პოეტის ნაფიქრ-ნააზრევი საზოგადოებრივი ყოფის ცალკეულ საკითხებზე. ავტორი რიტორიკული კითხვების დასმით ცდილობს წინ წამოსწიოს ის პრობლემები, რომლებიც ერს და ამ შემთხვევაში პოემის ლირიკულ გმირს აწუხებს:

თუ ღმერთმა შექმნა ადამიანი,  
თუ ყველა მისი გაჩენილია,  
რით არის ზოგი მეტად მამლარი,  
ზოგიც - ულუკმოდ დარჩენილია?!  
და თუ ბუნების შვილი ვართ ყველა -  
დედამ შვილთ სწორად უხადოს ვალი -  
რად უნდა იყოს ზოგისთვის დედა -  
და ზოგისთვის კი - დედინაცვალი?! (ხუნდაძე 1926:36).

პოემის პირველ თავში აღწერილია ბუნება ღამით. ყველაფერი ბუნების ერთ დიდ ფერხულშია ჩაბმული. მაგრამ ამ სრულყოფილებაში ს. ხუნდაძე ვერ ხედავს ადამიანს:

ფერხულს აბმენ... მაგრამ ღამით ვერსად ვამჩნევ ადამიანს  
ან კი რაღა გაახარებს სისხლმოწამლულს, გულშხამიანს?! (ხუნდაძე 1926:36).

მართალია, გამოჩნდება მუშა, მაგრამ მას - ქედმოხრილს, შავი ფიქრებისაგან გულშეწუხებულს - ბუნებისათვის აღარ სცალია, რადგან „ცოლ-შვილს შიმშილს ვერ ამორებს, თუმცა სულ შრომობს ის ბეჩავი“... მეორე თავში დღის სინათლით განათებული ბუნებაა აღწერილი. ს. ხუნდაძე ბოროტების ბურუსში გახვეული ადამიანის საქმიანობას ბუნების ჰარმონიას უპირისპირებს:

ხარბია, ადამიანო, შენი გული და გონება:  
მამლარიც იყო, კვლავ ელტვი, რაც თვალში მოგეწონება,  
გინდა საკუთრათ ჩაინთქა მთელი ქვეყნისა ქონება,  
მსურს თვისი გაბატონება, სხვისი დაჩაგვრა, მონება... (ხუნდაძე 1926:40).

პირველ თავში ბუნების ტრფიალების აღწერასთან ერთად ადამიანური ტკივილებიც იკვეთება. მშრომელი ადამიანი განცალკევებით დგას ბუნების სრულყოფილებისგან, რადგან მას შია, სწყურია, ცივა... ამიტომაცაა, რომ ქვეყნიური სამოთხე ღარიბი ადამიანის გულში სიამეს ვერ ჰპოვებს:

მაშ რისთვის ან ვისთვისაა ცის და მიწის მშვენება?

რისთვის გვინდა თვით ნეკტარი, თუ სამსალათ გვეჩვენება?

რას, რას აქნევთ ამ სიმდიდრეს, თუ არ გექნათ მოსვენება?!

ღმერთო!... როდის ამობრწინდეს მზე, გვეღირსოს გათენება?!... (ხუნდაძე 1926:41).

ბუნების ჰარმონიისა და ადამიანთა საზოგადოებაში გამეფებული უსამართლობის დაპირისპირება ქართულ ლიტერატურაში ყველაზე კარგად რომანტიკოსთა შემოქმედებაში გამოიხატა. სილოვან ხუნდაძეც ამ გზას მიჰყვება, რითაც იგი ქართულ მწერლობაში რომანტიკოსთა მიერ დამკვიდრებული გზის მიმდევარია.

რატომ გავჩნდით ამ წუთისოფელში, რისთვის მოვედით? თუკი ბედნიერება უნდა მივიღოთ, მაშინ რატომ არ გვაცლის ეს წუთისოფელი მოლხენას? პოეტი საუბრობს ადამიანური ბედნიერების განმაპირობებელ ფაქტორზე - სულისა და სხეულის სინთეზზე.

სოციალური პრობლემატიკა - რატომ არის ისე ეს ცხოვრება მოწყობილი, რომ ზოგი ძალიან მდიდარია, ზოგს კი ლუკმა-პური ენატრება.

პოემაში პოეტი საუბრობს ადამიანთა თანასწორობასა და კეთილდამოკიდებულებაზე. ხალხის სულთამხუთავეს, რომელნიც საზოგადოების ჯანსაღ განვითარებას ხელს უშლიან, იგი ამ სიტყვებით უპირისპირდება:

თანასწორობა, თავისუფლება!

აი, ქვეყნისა სიმდიდრე მთელი! (ხუნდაძე 1926:42).

სიმბოლურად აქ შემოტანილია ზღაპრული თემატიკა: ორი მზეთუნახავი ცხრაკლიტულში ჰყავთ გამოკეტილი დევებს, არ ჩანს გმირი, რომელიც მათ ამ მნათობებს მოსტაცებს და წუთისოფელში სასუფეველ რეალობას დაამყარებს:

როს ეს მნათობნი მოსტაცოს დევთა

და გაანათოს ქვეყანა ბნელი -

და დაამყაროს წუთისოფელში

ჯოჯოხეთის წილ - სასუფეველი!.. (ხუნდაძე 1926:43).

პოეტი წუხს, რომ ისიც ამ ავბედითი ცხოვრების მონაწილეა, მოწამლულია ამ წუთისოფლის უკუღმართობით. ამიტომაც რომ მას მხეცებთან და ფრინველებთან ყოფნა ურჩევნია ადამიანებში დარჩენას.

ბუნება პოეტის თავშესაფარია, აქაც იგი რომანტიკოსებთან ახლო კავშირს ამჟღავნებს. პოემაში აღწერილია, როგორ წაუკიდეს ადამიანებმა ტყეს ცეცხლი. მათი ბუნება ხარბია და გაუმაღმარი. ის ტყესაც მისწვდა. ადამიანს პოეტი თავისუფლების მტარვალს უწოდებს. ტყე კი სიმშვიდის, სრულყოფილების, ბედნიერების სავანეა.

პოემაში „ავტომობილი - ხალხის ძმობილი“ (1920 წ.) ს. ხუნდაძე ამხელს „ხალხის ძმობილ“ სოციალისტს, რომელიც ავტომობილს აღმა-დაღმა დააქროლებს, საქვეყნო საქმე კი არ ადარდებს - „გვერდს უზის ვიღაც კეკლუცი ქალი და ძმობილს მისკენ უჭირავს თვალი“. ეს დემოკრატი ოხუნჯობაში, ქეიფში, ბანქოს თამაშში ატარებს დროს. ამ ნადიმებს, ფუფუნებით ცხოვრებას კი ფული უნდა, მაგრამ „დემოკრატი“ აქაც პოულობს გამოსავალს - ქრთამს იღებს, ხაზინის ფულებს ხარჯავს. პოემის სიუჟეტში ავტორს შემოჰყავს მკითხველი და მისი თვალთ აფასებს ამ მოვლენას:

მაშ დემოკრატიზმს რაღას ვუწოდებთ

ერთი მითხარი რა ამბებია?

მაშასადამე, რისთვის ვიბრძოდით?

ზღვას რისთვის, შევრთეთ სისხლისა ღვარი?

ნუთუ ეს არის, ყურს რომ გვიჭედენ

რევოლუციის მონაპოვარი? (ხუნდაძე 1926:50).

პოემა იწყება „ხალხის ძმობილი“ სოციალისტი ადამიანის დახასიათებით, რომელიც მთელ დღეებს დროსტარებაში ატარებს. თავისი სურვილების მიხედვით აქეთ-იქეთ დაატარებს ეს „საქმოსანი“ ავტომობილს. მანქანას ენა რომ ჰქონდეს, დაიყვირებდა, დავიღალეო. ბენზინი უზომოდ იხარჯება, მაგრამ სახელმწიფოს ხარჯზე.

ეს სახელმწიფო მოხელე ქრთამსაც იღებს, უზნეოდაც ცხოვრობს, სარგებლობს თავისი სამსახურებრივი უპირატესობით და იმ დროით, რომელიც მის

სასარგებლოდაა მომართული. ასეთი ბოზოლები სამწუხაროდ ბევრია, რომლებიც ამღვრეულ წყალში იჭერენ თევზებს. ეს ქვეყანა მათია, მართავენ ყველაფერს, თუმცა ჭკუა არა აქვთ. ბრძანებას ჭკუა, ცოდნა რათ უნდა?!

პარტიაც ხელს უწყობს მათ პარპაშს, არჩევნებამდე ხალხი ტყუილში ჰყავთ, ხოლო არჩევნების დროს მიმართავენ მათრახს და თოფს, რომლის საშუალებითაც ხმებს აგროვებენ ხალხში. ასეთ ადამიანებითაა სავსე წუთისოფელი.

მტკივნეულ კითხვას სვამს პოეტი: თუკი ასეთი დემოკრატია უნდა დამყარებულიყო, რისთვის დაიღვარა ამდენი ქართველის სისხლი?! რისთვის ვიბრძოლეთ ამდენი?!

ნუთუ ეს არის, ყურს რომ გვიჭედენ,

რევოლუციის მონაპოვარი? (ხუნდაძე 1926:52)

ასეთია სილოვან ხუნდაძის პოემების თემატიკა და იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობა. ეს პოემები ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით მხოლოდ იმითაა საინტერესო, რომ პოეტმა, როგორც თავისი დროის „გარემოების საყვირმა“, მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერით დასვა ის პრობლემები, რომლებიც იმდროინდელ საზოგადოებას აწუხებდა და ამით გამოეხმაურა ორი დიდი ეპოქის მიჯნაზე მცხოვრებ ადამიანთა ფიქრებსა და განწყობილებებს.

სილოვან ხუნდაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე როცა ვსაუბრობთ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს მისი მოთხრობებიც, რომელთა პრობლემატიკაც იმ საზოგადოებრივი საკითხების გარშემო ტრიალებს, რაც ასე აწუხებდათ XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველ ინტელიგენციას.

მოთხრობები: „მეზობლები“, „თოთოლას სიზმარი“, „კრავის აღსარება“, „მიშიკოს ქუდი“, „ტრფობის ვარდ-ეკლები“ სხვადასხვა თემატიკაზეა შექმნილი. „მეზობლებში“ (სურათი ხალხის ცხოვრებიდან) საუბარია შურიან და გაუტანელ ადამიან ზურაბ ანწლამეზე. ის და მისი ცოლი გულქანი მუდამ იმის ჯიბრში არიან, სხვამ არ აჯობოს, თავს ბედნიერად გრძნობენ, თუკი მეზობელი ცუდადაა და ლუკმა-პური ენატრება. მათ გვერდით ცხოვრობს კეთილი, მაგრამ ღარიბი ოჯახი - სოსია და სოფიო. ისინი კეთილსინდისიერად უძღვებიან ცხოვრებას და საბოლოოდ ბედნიერებაც მათ მხარესაა. შურმა და სიხარბემ ზურაბი მოკლა, სოფიომ და სოსიამ კი თავიანთი

სიკეთით გაიმარჯვეს.

„თოთოლას სიზმარში“ მოთხრობილია ობოლი ბიჭის - თოთოლას შესახებ. ის ორი წლის დაობლდა. მამა ანტონი უდედოდ ზრდის ბავშვს და პატარა ძალიან განიცდის უდედობას. რამდენიმე ხნის შემდეგ ანტონმა მოიყვანა ერთი ქვრივი ქალბატონი, რომელიც თოთოლამ დედობრივი სიყვარულით მიიღო. მოთხრობა ძირითადად თოთოლას სიზმარზეა აგებული, სადაც ბავშვი დედას დაემებს და პოულობს.

„კრავის აღსარება“ სააღდგომო მოთხრობაა, სადაც აღდგომისთვის სამზადისის გამო სასაკლაოა გამართული ბაზარში. ადამიანები უწყალოდ ხოცავენ პირუტყვს. პატარა კრავი ყველაფერ ამას უყურებს და გული უწუხს. მოთხრობა გვიამბობს, თუ რას განიცდის ცხოველი სიკვდილის წინ, მისი ფიქრები და ტკივილი ადამიანის გამო, თუ როგორ გაყიდა გოგიამ კრავი და მისი დედა ბაზარზე. ცხოველის ბაზარში ერთმა ოჯახმა იყიდა დედა-შვილი ცხვარი და როცა აღდგომისათვის დაკვლა დაუპირეს დედას, პატარა ბავშვები წინ გადაუდგნენ, არ დაკლავ. მაინც მოუკლეს კრავს დედა და კრავს შესმაგდა ადამიანები. გამწარებული პატარა კრავი სახლიდან გაიქცა და ტყეს შეაფარა თავი. ტყეში მართალია მგლებია, მაგრამ ბეკეკას ადამიანების უფრო ეშინია, ვიდრე მგლების. ურჩევნია დაუცველ და საშიშ გარემოში იცხოვეროს, ვიდრე იქ, სადაც დედა მოუკლეს, სადაც თავადაც სიკვდილი ელის ადამიანთა ხელიდან. ხუნდაძე თემატური თვალსაზრისით აქ ვაჟა-ფშაველასთან სიახლოვეს ამჟღავნებს. სადაც ადამიანთა სასტიკი სამყარო ცხოველის თვალითაა დანახული.

„მიშიკოს ქუდი“ რამდენიმე თავისაგან შედგება. მდიდარი და „დიდი“ ადამიანების გამო იჩაგრება ჭკვიანი და კეთილსინდისიერი გლეხის ბიჭი მიშიკო, რომელსაც უზომო სურვილი აქვს გიმნაზიაში ისწავლოს და შესაფერისი განათლება მიიღოს. სწავლის წყურვილი და მონდომება არ აღმოჩნდა საკმარისი, ვერც მშობლების თანადგომამ გამოიღო სასურველი შედეგი. ძალა აღმართსა ხნავსო და მიშიკოს ადგილი სხვამ დაიკავა. გამოცდის დღეს სამართალი უკუღმა დატრიალდა. მიშიკომ საუკეთესოდ უპასუხა, მაგრამ ვისაც პატრონი ჰყავდა, ვინც დირექტორის ახლობელი იყო, ის აღმოჩნდა ჩარიცხულთა სიაში. ეს დიდი ტრაგედია შეიქნა მიშიკოსათვის და მისი მშობლებისათვის. ვერც ხვეწნა-მუდარამ, ვერც ჩხუბმა ვერავითარი შედეგი

გამოიღო და ნიჭიერი ბიჭი სკოლის კედლებს გარეთ აღმოჩნდა. „მწიფეს ესროდენ - მკუხე ცვიოდაო“, ასეთი სათაური შეურჩია ხუნდაძემ ამ თავს, როცა მიშიკოს სხვა, გავლენიანი ხალხის გაუნათლებელმა შვილებმა აჯობა.

ეს მოთხრობა იმდროინდელი ნეპოტიზმის ერთგვარი კრიტიკაა, სადაც მხოლოდ ძალა და ფული ფასობს, სადაც ცოდნას და ნიჭიერებას არად აგდებენ, რიც გამოც იჩაგრება თაობა, რომელმაც უკეთესი ხვალე უნდა შეუქმნას ჩვენს ქვეყანას. „ძალა აღმართს ხნავსო“ და გამწარებულმა მიშიკომ გიმნაზიისთვის გამზადებული ქუდი მოისროლა ძირს, თვალები ცრემლებით აევსო და იქაურობას გაეცალა.

მოთხრობაში „ტრფობის ვარდ-ეკლები“ თემატიკა გაშლილია ისეთი სიყვარულის ფონზე, რომელიც აკრძალულია და არანაირი გამართლება არა აქვს, თუმცა, სიყვარული არც ჩარჩოებს ცნობს და არც საზღვრებს. უცნაურად დაწყებული სიყვარული უცნაურადვე დასრულდება. ისინი ერთმანეთისაგან შორი-შორს აგრძელებენ სიცოცხლეს. სატრფიალო ლირიკის მსგავსად, ამ მოთხრობის ბოლოც სევდიანია. ამ მიმართულებით, ეს ხუნდაძის დამახასიათებელი სტილია.

სილოვან ხუნდაძე სალიტერატურო ქართული ენის დიდი მოამაგე იყო. ის ზედმიწევნით იცავდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, თუმცა თავის პოეზიაში სიტყვის ესთეტიკური გრძნობა, მუსიკალური კეთილხმოვანება არ გამოუყენებია. ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის ენის გვერდით ს. ხუნდაძე - პოეტი ხშირად იყენებს დაუხვეწავ პოეტურ სტრიქონებს, ხელოვნურად შემოკლებულ სიტყვებს, გაუმართავ გამოთქმებს. ამის შესახებ ს. ხუნდაძე თხზულებათა პირველი ნაწილის შენიშვნებში თვითონვე აღნიშნავდა. ლექსებში „ზოგან ენის იმგვარი ფორმებია ნახმარი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩემ მიერ შემოღებულ კანონებს... ენის კანონების ამგვარი წინააღმდეგობა სხვა ჩემ ლექსებშიც მოიპოვება. ეს იმით აიხსნება, რომ ეს ლექსები უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე კანონებს შევიმუშავებდი. ესეც უნდა ვთქვა, რომ ჩემი გრამატიკის მიხედვით, ლექსებში, ლექსის განსაკუთრებული წყობისა და ზომის გამო, შესაძლებელია იშვიათად იხმარებოდეს, როგორც „ლიცენცია პოეტიკა“, ჩვენ ლიტერატურაში მიღებული სხვადასხვა ფორმები“ (ხუნდაძე 1926:9).

სილოვან ხუნდაძის ლექსების, მოთხრობების და პოემების დიდი ნაწილი დაწერილია იმერული დიალექტით, რაც, რა თქმა უნდა, ნაკლად ვერ ჩაითვლება.

ძალიან ბევრგან გვხვდება ფრაზეოლოგიზმების მაგალითებიც: თითოს თვალთან ვერ მიიტანდი, ისე ბნელოდა; ეკალი რომ შიგ ძირში მოსჭრა, ზედ ეკალი ამოვაო; ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად; თავი ქუდში აქვსო; მწიფეს ესროდენ, მკვახე სცვიოდაო; ძალა აღმართსა ხნავსო და ა. შ. დიალექტური მეტყველება და ფრაზეოლოგიზმები უფრო საინტერესოს ხდის ნაწარმოებების წაკითხვას. თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით ისეთ ტექსტებზე, სადაც გრამატიკული შეცდომები და ბარბარიზმებია: დედა-მისმა, სახურავათ, ობლათ, თათფირი, ბავში, ხთებოდა... ბალკონი, პარმადი, ეგზამენი, ბლუზა...

როგორც წინამდებარე ანალიზითაც ჩანს, სილოვან ხუნდაძის პოეზია იმ ტენდენციათა გამომხატველია, რომელიც XIX საუკუნის მე-2 ნახევრის ჩვენი დიდი მგოსნების შემოქმედებას ახასიათებდა. სილოვანის პოეზია პატრიოტულ-მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული პუბლიცისტური პოეზიაა ამ ცნების პირდაპირი გაგებით, თავისი ლექსებით იგი დაუფარავად ამხელდა და მკაცრად ამაგებდა უსამართლობას, სიძუნწეს, სიხარბეს, ქვეყნის ორგულთ და საერთოდ ყველა იმათ, ვინც ხალხისა და ქვეყნის ხარჯზე პირადი კეთილდღეობისაკენ მიისწრაფოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სილოვან ხუნდაძის პოეზია და პროზა ვერც შინაგანი შთაგონების სიღრმით და ვერც პოეტური სამკაულების ბრწყინვალეობით გვერდით ვერ ამოუდგება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ჩვენს კლასიკურ პოეტურ მემკვიდრეობას, მისი ლექსები მნიშვნელოვანია იმით, რომ მამხილებლურ-პოლემისტური ხასიათისაა და მტკივნეულად ეხმაურებოდა მწვავე საზოგადოებრივ პრობლემებს, თავის დროზე მათ მაინც ჰყავდათ არცთუ მცირერიცხოვანი მკითხველი. ამ შემთხვევაში აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის შემოქმედებით მემკვიდრეობას დღესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რადგანაც სილოვან ხუნდაძის პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარი მის ლექსებში მრავალ საინტერესო მასალას იპოვის. პოეტის ლექსებში ჩანს მგზნებარე ქართველი მამულიშვილის, ქართული სკოლის მოამაგის, მუხლჩაუხრელი საზოგადო მოღვაწის შეხედულებები, განცდები, პოზიცია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე. ამავედროულად მისი ლექსები იძლევა ერთგვარ სურათს XX საუკუნის



დასაწყისის ქართული რეალური სინამდვილისას.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ს. ხუნდაძის შემოქმედებაში დასმულია და გაშუქებული ბევრი ისეთი საკითხი, რომელნიც მნიშვნელოვანია იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეპოქალური სინამდვილის შესასწავლად. მის ყოველ ნაწარმოებში ნათლად ჩანს ავტორის რწმენა და შეხედულებანი ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე, ნათლად ჩანს იმ ეპოქის ხასიათი, რომელშიც მას მოუხდა მოღვაწეობა. მათში გამოხატულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით გამოწვეული ალტყინება, ავტორის საზოგადოებრივი ინტერესები, მისი სწრაფვა მშობელი ერის კეთილდღეობისათვის, უკეთესი, ბედნიერი მერმისისათვის. ლექსების გარდა სილოვანის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პოემაცა და მოთხრობაც, რომელთა თემაც ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს უკავშირდება.

თავის პოეზიას სილოვანი საკუთარი მოქალაქეობრივი და პატრიოტული მრწამსის გამოხატულებად თვლიდა და მის მიჩქმალვას მტკივნეულად განიცდიდა. მისი შემოქმედება პატრიოტულ-მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული პუბლიცისტური პოეზია იყო, სადაც პოეტი დაუფარავად ამხელდა და უკომპრომისოდ ებრძოდა უსამართლობას, სიძუნწეს, სიხარბეს, ქვეყნის ორგულთ და საერთოდ ყველა იმათ, ვინც ხალხისა და ქვეყნის ხარჯზე პირადი კეთილდღეობისაკენ მიისწრაფოდა.

### თავი III

## სილოვან ხუნდაძე როგორც ქართული ლიტერატურის

### ისტორიის მკვლევარი

ქართული კულტურის ისტორიაში ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთი საზოგადო მოღვაწეები, რომელთა შემოქმედება და საზოგადოებრივი ღვაწლი ეროვნული კულტურის საგანძურში სათანადოდ შესწავლილი და შესაბამისად წარმოჩენილი არაა. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნება სილოვან ხუნდაძე. იგი იყო სანიმუშო პედაგოგი, დიდად ერუდირებული პიროვნება, ენათმეცნიერული ალღოთი დაჯილდოებული მკვლევარი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი, უაღრესად პრინციპული და მართალი ადამიანი.

სილოვან ხუნდაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიური და ლიტერატურული ნაღვაწის მეცნიერული შესწავლა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და 1900-1920-იანი წლების ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ნათელს მოჰფენს. ამ თვალსაზრისით იგი უდავოდ უნდა მივიჩნიოთ დიდი ქართველი 60-იანელების საქმეებისა და იდეების თანამოაზრედ და გამგრძელებლად. ის „დაგვიანებული“ 60-იანელია, რომელმაც თავისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლით, სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემითა და პრინციპული მამულიშვილური პოზიციით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის კულტურული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

სილოვან ხუნდაძეს ბოლოქარ ეპოქაში მოუწია ცხოვრება. მიუხედავად უამრავი განსაცდელისა თუ მატერიალურ-ფიზიკური საცდუნებლისა, იგი ბოლომდე დარჩა უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მკვლევარ-პედაგოგად და საზოგადო მოღვაწედ. თავისი დროის მეცნიერული და პედაგოგიური განათლების საფუძვლებს დაუფლებული სილოვან ხუნდაძე თავდაუზოგავი შრომით სრულყოფდა ქართულ სკოლას. იგი ერთ-ერთი პირველია იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან, რომელიც მყისიერად გამოეხმაურა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის იდეას და პირადი მაგალითით ყველას დაანახა, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და პრინციპულობით როგორ უნდა ემსახურო მომავალი თაობის აღზრდას. რუსული იმპერიის ჩინოვნიკური აპარატი, რა თქმა უნდა, მთელი შესაძლებლობით ცდილობდა

მშობლიურ ენაზე სწავლება აეკრძალა დაპყრობილი ერის შვილებისათვის. მაგრამ როცა იმპერიის მესვეურები ამას პირდაპირი გზებით ვერ ახერხებდნენ, მაშინ შემოვლითი, უფრო ვერაგი და მუხანათური საშუალებებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. ამის ნათელი მაგალითია იანოვსკი, რომლის წაქეზებით წახალისდა სახელმძღვანელოების შექმნა მეგრულ ენაზე, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნიდა გარეშე და შინაური მტრების ქიშპობით ისედაც დაუძღვრებულ საქართველოს. თავის დროზე ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: რომ „გოგებაშვილმა თავის დედა ენაში აღადგინა დაცემული ენა ქართული“. მისი აზრით, ეს წიგნი გახლდათ „ყოველთა ქართველთა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამაერთიანებელი“. სილოვან ხუნდაძეც თავისი უაღრესად საინტერესო ქართული სახელმძღვანელოებით არის ქართული პედაგოგიური აზროვნების გამორჩეული ფიგურა, რომლის სასკოლო სახელმძღვანელოების როლი დიდია ქართული კულტურის ისტორიაში. ფაქტიურად ის გახლავთ ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც იმ დროის მოწინავე პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით შექმნა თანმიმდევრული კურსი ქართველ მწერალთა შემოქმედების სწავლებისათვის და გამოსცა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების სერიით.

სილოვან ხუნდაძე იყო მოჭირნახულე ქართული სკოლისა, ახალგაზრდობის ერთგული მეგობარი და მისი კეთილდღეობისათვის დაულალავად მეზრძოლი.

როდესაც ლაპარაკია სილოვან ხუნდაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ მისი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რომლებიც შვიდ ნაკვეთად იქნა გამოცემული ქუთაისში 1914-1921 წლებში. ეს არის კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევები გამოჩენილ ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე. ესენია:

- 1) „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1914 წ.
- 2) „რაფიელ ერისთავი“, 1918 წ.
- 3) „გრიგოლ ორბელიანი“, 1917 წ.
- 4) „ვახტანგ ორბელიანი“, 1918 წ.
- 5) „აკაკი წერეთელი“, 1918 წ.
- 6) „ილია ჭავჭავაძე“, 1919 წ.

7) „შოთა რუსთაველი“, 1921 წ.

ივანე გომელაურისა და სერგი გორგაძის სახელმძღვანელოების შემდეგ ეს გახლდათ მესამე ცდა ქართული ქრესტომატიის შედგენისა.

„... დიდი ხანია ჩემს მოწაფეებს ქართულ ლიტერატურას ჩემ მიერ შედგენილი ხელნაწერი კონსპექტებით ვასწავლი. სამწუხაროდ, დღესაც არ მოგვეპოვება იმისთანა წიგნი, რომ მოწაფეებისათვის სახელმძღვანელოდ გამოდგეს და მწადია, ხსენებული კონსპექტებით ვისარგებლო და ნაწილ-ნაწილ შევავსო და გამოვცე თითოეულის ჩვენი მწერლის ცხოვრებისა და ნაწერების მიმოხილვაო“ - წერდა სილოვან ხუნდაძე სახელმძღვანელოს პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაში (ხუნდაძე 1914:4). ამ სიტყვებიდანაც თვალნათლივ ჩანს სახელოვანი პედაგოგის ზრუნვა ახალგაზრდობისათვის ქართული ლიტერატურისადმი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებებისადმი სიყვარულის ჩანერგვისათვის. აღნიშნული სახელმძღვანელოების გამოცემა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოების კულტურული და სულიერი ცხოვრებისა, რამეთუ ეს გახლდათ პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ქართული ლიტერატურის ქრესტომატიის შესადგენად. როგორც ავტორის წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, სილოვანს განზრახული ჰქონდა კლასიკური ლიტერატურის ყველა ძირითადი წარმომადგენლის ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების (საფიქრებელია, ჯანმრთელობის შერყევის) გამო თავისი ჩანაფიქრის სრულად განხორციელება მან ვერ მოახერხა. მაგრამ ის, რაც მან ამ ჩანაფიქრის ნაწილის განხორციელების, ხორცშესხმის შედეგად დაგვიტოვა და ამით იმდროინდელი სახალხო განათლებისათვის გააკეთა, სრულიად საკმარისია მისი ღვაწლის უკვდავყოფისთვის. ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვასთან ერთად ამ სახელმძღვანელოთა შექმნისას სილოვან ხუნდაძის მიზანს შეადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ჩაესახა სამშობლოსადმი სიყვარული, გაეღვიძებინა მათში ეროვნული თვითშეგნება. სილოვან ხუნდაძის მიერ გადადგმულ ამ კეთილშობილ ნაბიჯს - ახალგაზრდობისათვის ქართული ლიტერატურის ქრესტომატიის შედგენას - მშობელი ერისადმი წრფელი, წმინდა სიყვარული ედო საფუძვლად. თითოეული ნაკვეთის აგებულება ლოგიკურ

მაფს მისდევს, მათში თანმიმდევრულად არის გაშუქებული მწერლის ბიოგრაფია, მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარე, შემოქმედების კრიტიკულ-მხატვრული ანალიზი, ეპოქის მოკლე დახასიათების შუქზე მოცემულია მწერლის მოღვაწეობის ანალიზი, ავტორის საერთო დასკვნები.

თითოეული ნარკვევის ღრმა შინაარსი, წერის მაღალი კულტურა თვალნათლივ მიგვითითებს ავტორის როგორც შესანიშნავ ლიტერატურულ და მჭერმეტყველურ, ასევე უზადო პედაგოგიურ ნიჭსა და ალღოზე, მის ბრწყინვალე მეთოდურ აზროვნებასა და მრავალმხრივ განსწავლულობაზე. თუმცა, მაინც საყურადღებოა და აღნიშნული ნარკვევები შეიძლება სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშად ჩაითვალოს.

ავტორი თითქმის ყოველ ნარკვევში მიმართავს ლიტერატურული პარალელების ხერხს. ასე, მაგალითად, მეექვსე ნაკვეთში, სადაც ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედებაა განხილული, სილოვანი ურთიერთს უპირისპირებს ილიასა და გიორგი წერეთლის რეალიზმს, ილიას „მუშასა“ და გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულამეს“ და სხვ. ამ შედარებებით იგი გვაძლევს ანალიზს თითოეული ლექსისას, სადაც ასევე აფიქსირებს თავის პოზიციას. სილოვანმა პედაგოგთაგან ერთ-ერთმა პირველმა ყოველ ნაკვეთს ბოლოში საკონტროლო საშინაო დავალებები დაურთო, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სკოლაში პედაგოგიური პრაქტიკის დასაწერად და გასავითარებლად.

სახელმძღვანელოებს წითელი ზოლივით გასდევს ავტორის ჰუმანური იდეები, რომელთა მიხედვითაც მკაცრადაა დაგმოხილი უმართებულო მოსაზრება ცალკეულ ეროვნებათა გაუქმების შესახებ. ავტორი, მართალია, წინააღმდეგია ყოველგვარი სოციალური უთანასწორობისა, მაგრამ, ამავე დროს, დარწმუნებულია, რომ როგორც ბუნებაა მრავალფეროვანი და თვალწარმტაცი თავისი ბორცვებითა და კორდებით, ათასნაირი მცენარეებით, მთებითა და ტყეებით, ტბებითა და ზღვებით, ასევე, სანამ კაცობრიობა არსებობს, სანამ დედამიწაზე ადამიანი სულდგმულობს, მანამდე იარსებებენ სხვადასხვა ენები, რომ ყოველ ერს რაღაც არნახული, განუმეორებელი შეაქვს კაცობრიობის საგანძურში.

ს. ხუნდაძეს ქართველ მწერალთაგან განსაკუთრებით უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი შემოქმედება. იგი მას ყველაზე დიდ პოეტად თვლიდა XIX ს-ის

ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამიტომაც პირველი სახელმძღვანელო ქართველ მწერალთაგან მას მიუძღვნა, მისი წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ 1914 წელს დაიბეჭდა.

წიგნი დაყოფილია თავებად. პირველი თავი ბარათაშვილის ბიოგრაფიის მიმოხილვაა, სადაც ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ბარათაშვილი განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. თავის ნაწერებში ნაღვლიანი და მწუხარე, იგი ოჯახსა და საზოგადოებაში მხიარულად ატარებდა დროს. დაკვრაც კარგად იცოდა, კიდეც მღეროდა, კიდეც ცეკვავდა. ს. ხუნდაძე ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოზარდის სულის ფორმირებაში ოჯახი იყო გადამწყვეტი. ტატოს ოჯახი კი მაშინდელი ინტელიგენციის თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. ხუნდაძე ბარათაშვილის ხუმრობას, რომელიც ზოგჯერ გესლიანიც იყო, ადარებს რუს პოეტს ლერმონტოვს. ყურადღებას ამახვილებს ბარათაშვილის უცნაურ ხასიათზე.

ნარკვევში საუბარია აგრეთვე რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო ფარულ წრეში ტატოს ყოფნაზე, მიუხედავად მისი მცირე ასაკისა, ის აქტიურად იყო ჩართული ანტისამთავრობო ღონისძიებებში.

სევდიანად საუბრობს ხუნდაძე ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრების შესახებ და აღნიშნავს, რომ დღეს ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ გენიოს ადამიანზე. თუმცა აშკარაა ისიც, რომ ტატოს თანამედროვე ქართველობა ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა „მის მოშაირობას და თითქოს კიდეც დასცინოდა“ (ხუნდაძე 1914:10). პოეტის სულისკვეთების წარმოსაჩენად იგი გვისახელებს მის პირად წერილებს და გამოკვეთს იმ აზრს, რომ მდიდარმა ბიძამ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სიღარიბეში მყოფ დისშვილს სამსახური მაინც ჰქონდა ნორმალური.

დასახელებულ წიგნში ვკითხულობთ: „მია გრიგოლს ხშირად უგზავნიდა ხოლმე გენიოსი დისწული თავის ახალ ლექსებს და თან შეკითხვის კილოთი წერდა: „არ ვიცი ეს ლექსი როგორ მოგეწონებაო“. არც ჩვენ ვიცით, ამ მხრით მაინც რა ყურადღებას აქცევდა და... როგორ ამხნევებდა უკვე გამოცდილებით სავსე ბიძა; ხოლო ის კი ვიცით, რომ ნივთიერად შეძლებულ ძიას ფიქრადაც არ მოსვლია, ნიჭიერი დისწულის წყურვილი სწავლა-განათლების განგრძობის სფეროში დაეკმაყოფილებინა და მისი წარჩინებული ნიჭის განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის ხელი შეეწყო (ხუნდაძე

1914:15).

ბარათაშვილი გულნატკენი იყო ბიძის მხრიდან მისადმი უყურადღებობის გამო. სილოვანს მოჰყავს ბარათაშვილის წერილი, რომელიც მან გრ. ორბელიანს მისწერა, სადაც პოეტის მეზობელი სული და იმედიანი სულისკვეთება გამოსჭვივის, აქვეა გამოთქმული გულისწყვეტაც არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის გამო.

ნარკვევში მეორე თავად გამოყოფილია „ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმი“. ნაღვლიანი ცრემლებით არის დანამული მისი ლექსები, წერს ხუნდაძე და ასკვნის „ბარათაშვილი პესიმისტი მგოსანია“ (ხუნდაძე 1914:17). სილოვანის აზრით, მისი სულის ნაღვლიანობა გამოწვეული უნდა იყოს სხვადასხვა გარემოებით, რომელიც განპირობებული იყო პირადი და საზოგადო მწუხარებით. სილოვანი აქ ახსენებს პლატონ იოსელიანის შეფასებას ბარათაშვილისადმი: „ტატო ბოლოს კარგი გამოვაო“, რომელიც რადიკალურად მიუთითებს იმ პერიოდის ინტელიგენციის დამოკიდებულებას მგოსნისადმი, თუმცა, თავის დროში დიდი შეფასებებით რომ არ გამოირჩეოდა, ამაზე დასაწყისშივე წერს სილოვანი.

ყველა კრიტიკოსი, ვინც ბარათაშვილზე წერდა, აღნიშნავდა მის უზომო ნიჭიერებას, ამ შეფასებას იზიარებს და ეთანხმება სილოვან ხუნდაძეც და მისი პიროვნული ბუნების წარმოსაჩენად მოჰყავს ტატოს წერილებიდან რამდენიმე ამონარიდი, სადაც კარგად ჩანს ტატოს შეხედულება წუთისოფლის ამაოებაზე, ხორციელისა და სულიერის დაპირისპირებაზე ადამიანის ბუნებაში. კრიტიკოსი განიხილავს ამ თემატიკაზე დაწერილ მის ლექსებს.

მესამე თავში ხუნდაძეს განხილული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი და მისი შემოქმედებითი კავშირი ბაირონთან. ხუნდაძე სანამ ამ ორი მწერლის შემოქმედებაზე საუბარს დაიწყებდეს, მოკლე მიმოხილვას აკეთებს რომანტიზმის შესახებ. რომანტიზმი იყო ლიტერატურაში კლასიკურისა და ფსევდოკლასიკური მიმართულების შემდგომი საფეხური. ქართულ მწერლობაში ეროვნულ ნიადაგზე ამოიზარდა და განსხვავებული ელფერი შეიძინა. რომანტიკული მიმართულება, რუსული მწერლობის საშუალებით, ნაწილობრივ ევროპიდანაც შემოიჭრა საქართველოში. აქედან გამომდინარე, საუბრობს რა ბარათაშვილის რომანტიზმზე, ს. ხუნდაძე ასკვნის, რომ მისი ტკივილი არ იყო მარტო პირადი გრძნობების

გამოხატულება, არამედ მასში თავმოყრილი იყო საქვეყნო აზრთა და გრძნობათა გასხვივოსნებული ბუნება. კრიტიკოსი სულიერ კავშირებს პოულობს ბარათაშვილის შემოქმედებასა და ბაირონის ნაწარმოებებს შორის და მსგავსებას მათ ფიზიკურ აღნაგობაშიც ხედავს, ორივე ხომ კოჭლი იყო.

ნარკვევის შემდეგი თავებიც ძალიან საინტერესოა. მათში თითქმის დეტალურადაა მიმოხილული ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების უმთავრესი ტენდენციები. ყურადღებაა გამახვილებული სულიერი ობლობის განცდაზე. სიმარტოვე აწუხებდა პოეტს, თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ეძებდა უკეთეს გზას, როგორმე თავი დაეღწია არსებული სასტიკი რეალობისათვის, ყველაფერი ჰქონდა მას იმისათვის, ბედნიერად ეცხოვრა, მაგრამ წუთისოფლის სიმუხთლემ აღარ დააცალა. კრიტიკოსის თვალთახედვით, ის ბოლომდე დარჩა ბედნიერი ცხოვრების მაძიებელ პოეტად, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ პატრიოტად. კრიტიკულ ნარკვევში ასევე ჩანს ბარათაშვილის გულანთებული სურვილი, მალე ენახა სამშობლო ერთიანი და თავისუფალი. სილოვან ხუნდაძეს უყურადღებოდ არც ის დარჩენია, თუ რა დიდი და მტკივნეული ადგილი ეჭირა ბარათაშვილის ცხოვრებაში სიყვარულს, რომ მას ამ გრძნობაში არ გაუმართლა და საფლავში ჩაიყოლა იმედგაცრუება.

ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ გრძელდება პოემა „ბედი ქართლისას“ განხილვით, სადაც საუბარია საზოგადო ჭირზე, ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობაზე და გამოსავლის ძიებისათვის ორ სხვადასხვა გზაზე. ამ განხილვას მოსდევს საზოგადო დასკვნა, სადაც ხუნდაძის შეფასებით ბარათაშვილი არის პოეტი-ფილოსოფოსი და მისი შემოქმედების სიღრმეები შედარებული აქვს „ვეფხისტყაოსანთან“.

სილოვან ხუნდაძე ასევე გულისტკივილით საუბრობს ბარათაშვილის უდროოდ დაღუპვის გამო. „სიკვდილშიც უიღბლო გამოდგა. დედა ეფემიამ შვილის საფლავზე მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოახერხა მისვლა“ (ხუნდაძე 1914:45).

ცალკე საუბრობს სილოვანი ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ვერსიფიკაციის შესახებ და მიუთითებს, რომ მისი ლექსების დიდი ნაწილი ჩახრუხაულისა და მუსტაზადის, ე. ი. ოცმარცვლოვანისა და თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის ზომით არის დაწერილი. დასასრულ მოტანილია პოეტის რამდენიმე ლექსი და ზოგიერთი სიტყვის ახსნა-განმარტება.



ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოების მეშვიდე ნაკვეთი, რომელშიც ორ ასეულ გვერდზე მეტი აქვს დათმობილი შოთა რუსთაველის პიროვნებასა და მისი უკვდავი ქმნილების - „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზს. წიგნში განხილულია ფეოდალური საქართველოს ისტორიის ის ბრწყინვალე ხანა, როდესაც ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ და მეცნიერებამ განვითარების ზენიტს მიაღწია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთი საუკეთესო რუსთველოლოგიური ნაშრომი და რაოდენ სამწუხაროა, რომ იგი, ისევე როგორც სახელმძღვანელოს სხვა ნარკვევები, საერთოდ, მათი ავტორის მეცნიერულ-პედაგოგიური და პუბლიცისტურ-სალიტერატურო მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი, დღევანდელი ქართველი საზოგადოების ყურადღების მიღმაა დარჩენილი (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ლექსსა და მოთხრობას, აგრეთვე, 1982 წელს გამოცემულ რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურის III წიგნს, სადაც ზემოხსენებული შრომის მხოლოდ მცირე მონაკვეთია წარმოდგენილი).

გადმოცემებისა და თვით პოემაში არსებული ცნობების მოშველიებით ავტორი ცდილობს მკითხველს წარუდგინოს გენიალური პოეტის შთაგონებული სახე, მისი ცხოვრება-მოღვაწეობა. შემდეგ იგი ეხება საკითხს პოემის ორიგინალობის შესახებ და გამოთქვამს საყურადღებო და მართებულ შეხედულებებს პოემის ირგვლივ: „... ეჭვი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ თვით ამ პოემიდან, მისი „წინასიტყვაობიდან“ წარმოდგა, სადაც შემდეგია ნათქვამი:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარაგლიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები,  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები (ხუნდაძე 1921:12).

შემდგომ ავტორს მოჰყავს საკუთარი შეხედულებანი პოემის ორიგინალობის შესახებ: „ა) პოემა რომ პირდაპირ სპარსულიდან ნათარგმნი იყოს, თუნდაც პროზიდან „ლექსად გარდათქმული“, ამისთანა საქმეზე არ ითქმის „საჭოჭმანები“ (ე. ი. სახელოვანი, სასახელო); ბ) სპარსულ ლიტერატურაში ვერც ვახტანგ მეექვსემ (სპარსული ენისა და ლიტერატურული მწერლობის ჩინებულმა მცოდნემ) და ვერც სხვებმა ვერ იპოვეს იმისთანა ნაწარმოები, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედნად ჩაითვლებოდეს; გ) სპარსულ ლიტერატურაში რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი,

ვთქვით, ოდესმე ყოფილიყო და დაკარგულიყო, შეუძლებელია სპარსეთის მაღალ წრეებში მაინც და მწერლობაში იმის შესახებ რაიმე გადმოცემა, ტრადიცია არ დარჩენილიყო, ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იქ არავითარი გადმოცემა არ არსებობს; დ) ამ სახით, რაკი „დედაენაზე“ ლაპარაკისათვის საფუძველი არ მოიპოვება, „წინასიტყვაობიდან“ ზევით მოყვანილი ხანა, შესაძლოა, ასე გავიგოთ: ჩვენმა მგოსანმა რაიმე სპარსული სიუჟეტით, „სპარსული ამბავით“, ზეპირთქმულობით ან პროზად დაწერილით ისარგებლა და მას ქართული „თარგმანება“ შეუფარდა, ე. ი. ქართული ეროვნული სული შთაბერა, იგი საკუთარი პოეტური ფანტაზიითა და შემოქმედებით განავითარა და შიგ საკაცობრიო აზრები და გრძნობები გამოსახა, საკაცობრიო ტიპები შექმნა. ამისთანა საქმე მართლაც „საჭოჭმანო საქმეა“, სასახელო დიდებული საქმე: ამისთანა საქმეს სრულიადაც არ ამცირებს და არ ჩრდილავს ის გარემოება, რომ მწერალი დედააზრს საიდანმე სესხულობს, როგორც არ დაუჩრდილავს ამ გარემოებას დიდებული შექსპირი, რომელმაც თავისი ტრაგედიებისათვის იტალიური ნოველებით (მოთხრობებით) ისარგებლა“ (ხუნდაძე 1921:19), მოცემული შეხედულებები საყურადღებო და ანგარიშგასაწევია. იგი სავსებით სამართლიანად უკავშირებს პოემაში აღწერილ ამბებს, მის შინაარსს რუსთველის დროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებას, მის ისტორიულ სინამდვილეს. ავტორი უკვდავ პოემასთან ერთად ზედმიწევნით იცნობს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, ისტორიკოსის თვალთახედვით აფასებს ამა თუ იმ მოვლენას.

ამავე შრომაში ავტორს მოჰყავს საკუთარი, ასევე სავსებით მართებული, დებულებანი თამარ მეფის პიროვნებასთან, მის ცხოვრებასთან „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის კავშირის დასამტკიცებლად. იგი პარალელურად ავლებს თამარსა და თინათინს, თამარსა და ნესტან-დარეჯანს, გიორგი რუსსა (თამარის პირველი მეუღლე) და ხვარაზმშას შვილს შორის და ა. შ.

სილოვან ხუნდაძე სამართლიანად დასძენს, რომ მიუხედავად სპარსული ლიტერატურის ძეგლებთან „ვეფხისტყაოსნის“ გარეგნული მსგავსებისა, შინაარსობრივად პოემა ღრმად ეროვნული ნაწარმოებია.

ავტორი პარალელურად ავლებს საბერძნეთის ფილოსოფიური აზროვნების

კლასიკოსის - პლატონის მოძღვრებასა და რუსთველის მსოფლმხედველობას შორის: „შოთა იცნობს დასავლეთის, საბერძნეთის ფილოსოფოსებს და, თანახმად პლატონის მოძღვრებისა, ქადაგებს, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (იქვე). აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორს მართებულად მიაჩნია ხმარება „რუსთაველისა“ და არა „რუსთველისა“.

ნაშრომში ვხვდებით კრიტიკოსის საყურადღებო შეხედულებებს „ვეფხისტყაოსანში“ - მეგობრობის, ქალის კულტის, მიჯნურობის, პოემის სიუჟეტის, ენა-სტილის შესახებ. ქალის კულტთან დაკავშირებით ავტორი წერს: „რაინდული წეს-ჩვეულება, სხვათა შორის, ქალისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას მოითხოვდა და ქალის კულტი ქართველ ხალხში მე-12 საუკუნეში იმდენად მომწიფებული ყოფილა, რომ ქალის გამეფება, ქვეყნის მმართველად დასახვა არავის წინააღმდეგობას არ იწვევს და „ვეფხისტყაოსანში“ ამასთან დაკავშირებით გამოთქმული აზრი დროის შესაფერისად უნდა ჩაითვალოს:

თუმცა ქალია ხელმწიფედ, - მართ ღვთისა დანაბადია,  
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია!

საყურადღებოა, აგრეთვე, სილოვან ხუნდაძის მოსაზრება რუსთაველის ნეოპლატონისტური შეხედულებების შესახებ. ავტორი რუსთველს ნეოპლატონისტ-ფილოსოფოსს, მის უკვდავ ქმნილებას კი ფილოსოფიურ მოძღვრებას უწოდებს. „თვით შოთა რუსთაველიც ხომ ფილოსოფოსია, პოეტი ფილოსოფოსი და მთელი მისი პოემა ნეოპლატონური მოძღვრების ერთგვარი განმარტება და გამოხატულებაა; ხოლო სენტენციების სახით ეს მოძღვრება განსაკუთრებით ავთანდილის „ანდერძშია“ გამოთქმული, სადაც ავთანდილი მეფე როსტევანს უმარტავს, თუ რას ავალებს ადამიანს სამართლიანი და პატიოსანი განწყობილება მოყვასის მიმართ (მოიგონეთ, რა არის აქ ნათქვამი სიყვარულსა, ძმობასა და სიმართლეზე)“ (ხუნდაძე 1921:25).

ს. ხუნდაძის „შოთა რუსთაველი“ 1921 წელს ქუთაისის პირველ სტამბაში დაიბეჭდა. წიგნი საინტერესოა როგორც შინაარსობრივი, ასევე მახვილგონივრული, ადვილად აღქმადი, მარტივიდან რთულისკენ გარდამავალი მასალების დალაგების პრინციპით. იგი 200 გვერდიანია. ავტორს გათვალისწინებული აქვს ის გარემოება, რომ იმ დროისთვის მხატვრული ტექსტები, წიგნის უკმარისობის გამო ქართველი

საზოგადოებისა და მოსწავლეებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო და ამიტომ გამოკვლევაში ჩართული არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გარკვეული მონაკვეთები (გვ. 39-დან გვ. 95-მდე). წიგნს თან ახლავს შენიშვნები და განმარტებები, საზოგადო დასკვნა და ძალიან საინტერესო ლექსიკონი, რომელშიც ნათლად იგრძნობა სახელმძღვანელოს ავტორის ერუდიცია, ნიჭიერება და განსწავლულობა.

წერილის დასკვნით ნაწილში სილოვან ხუნდაძე „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობასთან დაკავშირებით კვლავ დასძენს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ჩვენს ისტორიულ ცხოვრებასთან შედარებიდან გამომდინარეობს და ამტკიცებს, რომ პოემაში ბევრი იმისთანა ფაქტია მოხსენიებული, რომელიც თამარ მეფის ისტორიულ ცხოვრებას გვიხატავს. ავტორის თქმით, ეს აზრი პირველად პროფესორმა დავით ჩუბინიშვილმა გამოთქვა და სხვებმაც გაიზიარეს და საინტერესო პარალელებით შეავსეს. სილოვან ხუნდაძე თავისი მოსაზრებების დასტურად ისტორიიდან მოიხმობს საინტერესო არგუმენტებსა და საგულისხმო პარალელებს: 1) პოემაში ორი სხვადასხვა მეფის ასულია გამოყვანილი - ნესტან-დარეჯანი და თინათინი (ინდოეთისა და არაბეთის მეფის ასულები). არც ერთ ამ მეფეს ვაჟი არ ჰყავს. როგორც ჩანს ორივე ამ ასულის სახეში რუსთაველი თამარს და მის ეპოქას გულისხმობდა. „თამარიც ხომ ერთადერთი შვილია გიორგი მესამისა, ერთადერთი მემკვიდრე ტახტისა. 2) გიორგი მეფემ თავის სიცოცხლეშივე დასვა თამარი მეფედ, ისევე, როგორც როსტევეან მეფემ სიცოცხლეშივე გაამეფა თინათინი. ფარსადანსაც ასევე სწადია ხვარაზმმა ზესიძედ მოიყვანოს და სიცოცხლეშივე გადასცეს მას თავისი სამეფო. 3) ნესტან-დარეჯანს მამიდა დავარი ზრდის, თამარიც ხომ „მამიდასთან (რუსუდანთან) იზრდებოდა. 4) თამარი და მისი მომავალი საქმრო - დავით სოსლანი ერთად იზრდებოდნენ, როგორც ნესტან-დარეჯანი და ტარიელი. ავთანდილიც ახლოს იზრდება თავის მომავალ სატრფოსთან. 5) ბოლო, მეხუთე პუნქტთან მიმართებაში სილოვან ხუნდაძე აღნიშნავს, რომ „თამარმა, პირველად მართალია უცხოზე დაიწერა ჯვარი (გიორგი ბოგოლუბსკიზე) და აქ ანალოგი თითქოს ირღვევა, ვინაიდან ნესტანს უცხო არ შეურთავს, მაგრამ უცხოელებთან კავშირის ანალოგიით ისიც მისაღებია, რომ ნესტანის მშობლებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ხვარაზმმას შვილის სიძობა. მკვლევრის თქმით, გიორგი რუსის განდევნა შეიძლება ხვარაზმმას შვილის განდევნას

შევადაროთ. „უნებურათ შერთული საქართველოს მოაშორეს და თამარი ბოლოს მაინც საყვარელ ადამიანს შეუერთდა“ (ხუნდაძე 1921:179).

წერილის ბოლოს სილოვან ხუნდაძე ასკვნის, რომ „შეუძლებელია თუ ეს პოემა მართლა უცხოელ ავტორს ეკუთვნოდა, სრულიად შემთხვევით ამდენი მსგავსება ყოფილიყო თამარის ცხოვრების ისტორიული ფაქტებისა. „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ პოემობაში რომ რაიმე საფუძვლიანი ეჭვი გვეპარებოდეს სამარცხვინოც იქნებოდა მითვისება იმისა, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის. ასე წოდებული პლაგიატი - ლიტერატურული ქურდობა კერძო პირისთვისაც მეტად დამამცირებელია, მით უფრო დამამცირებელი იქნებოდა მთელი ერისთვის“ (ხუნდაძე 1921:182). სილოვან ხუნდაძის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადვილად ვერავის დაუთმობთ“ (ხუნდაძე 1921:183).

რაც შეეხება „სიუჟეტის ნასესხობის“ საკითხს, ხუნდაძე საუბრობს საქართველოს მეზობლობაზე აღმოსავლეთთან, კერძოდ, წერს, რომ სპარსეთთან საქართველოს დიდი და მდიდარი კულტურული კავშირები ჰქონდა და რადგანაც რუსთაველამდე სპარსულ ლიტერატურაში იყო მრავალი სამიჯნურო და სადევეგმირო თხზულება: „ვისრამიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“, „ბარამიანი“ და სხვა თხზულებები და რადგანაც შოთა რუსთაველს, ეჭვი არ არის რომ სპარსული მწერლობა ზედმიწევნით ექნებოდა გაცნობილი, სრულიად მისაღებია ის მოსაზრება, რომ რუსთაველს ერთი მათგანი (ან ყველა ერთად) მხედველობაში მიუღია და სიუჟეტით უსარგებლია და შემდეგ, თავისი პოეტური ფანტაზიითა და შემოქმედების მეოხებით ის სრულყოფილი პოემა შეუქმნია, რომელთანაც პროტოტიპი თავისი ღირსებით უკვე ახლოსაც ვერ მივა. ეს არც პოეტის ნიჭიერების დამამცირებელია და არც ქართველი ერის გრძნობების შეურაცხმყოფელი“ (ხუნდაძე 1921:186).

ხუნდაძე დაწვრილებით გვესაუბრება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების შესახებ. „შოთას ცხოვრების შესახებ ნამდვილი ისტორიული ცნობა და საბუთი არაფერი დარჩენილა და რაც ვიცით, ისიც მხოლოდ გადმოცემებით არის შემონახული“. შემდეგ მკვლევარს მოჰყავს ადგილები ტექსტიდან, სადაც რუსთველი თვითონ ასახელებს თავის წარმომავლობას: 1) „დავჯე რუსთველმა გავლექსე...“, 2) „მე რუსთველი ხელობითა...“, 3) „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“, 4) „ამირან დარეჯანის ძე

მოსეს უქია ხონელსა...“ „სახელწოდება რუსთველი ორჯერ წინასიტყვაობაშია მოხსენიებული, ორჯერ ბოლოსიტყვაობაში... თვით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რამდენჯერმე იხსენიებს თავის ფსევდონიმს: იგი თავის თავს რუსთაველს უწოდებს, რაიც ავტორის მხოლოდ საგაზრდილოს ნიშნავს. ამგვარ ფსევდონიმებს ძველად ხშირად ხმარობდნენ (მაგ.: ხონელი, შავთელი, თმოგველი და სხვა.) და დღესაც ხმარობენ ჩვენს მწერლობაში (მაგ.: ურბნელი, არაგვისპირელი, მღვიმელი, ფშაველა და სხვა.) (ხუნდაძე 1921:156).

სილოვანი გვამღვეს გეოგრაფიული ტერმინების განმარტებას, საუბრობს საქართველოში ორი რუსთავის არსებობის შესახებ. მკვლევრის თქმით, საშუალო საუკუნეებში მესხეთის რუსთავიც და ბოსტან ქალაქი რუსთავიც დიდი და დაწინაურებული კულტურული ცენტრები იყო, ამიტომ გადაჭრით იმის თქმა, თუ რომელი მხარის მკვიდრი იყო რუსთაველი, ძნელია.

რაც შეეხება სახელს შოთას, აქ ხუნდაძე ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ შოთა პირველად თამარის დროინდელ სიგელში (1190 წელს) არის ნახსენები. მეორედ შოთა (ართავაჩოს ძე) კი - „ქართლის ცხოვრებაში“.

რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად პირველად მოხსენიებულია „ზილიხანიანის“ ავტორის თეიმურაზ პირველის მიერ, რომელიც მე-16 საუკუნის დამდეგს ცხოვრობდა. შოთა რუსთაველს უფრო ვრცლად იხსენებს არჩილ მეფე თავის „გაბაასებაში“. გაბაასება საყურადღებოა იმიტაც, რომ აქ წერია, რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის გამო თამარ მეფისაგან შექება დაიმსახურა.

ამ და სხვა ბიოგრაფიული ცნობების შემდეგ სილოვან ხუნდაძე ეხება გადმოცემებს რუსთაველის შესახებ, შოთა ადრე დაობლებულა, ვინმე ბერს აღუზრდია, უსწავლია საქართველოში, რუსთავში, შემდეგ ტაო-კლარჯეთში - ტბეთის მონასტერში. შემდეგ საბერძნეთში გაუგზავნიათ სასწავლებლად ათონის მთაზე, მერე საქართველოში დაბრუნებულა, როცა აქ თამარის სახელი უკვე განთქმული იყო. თავისი ნიჭიერებით მას თამარისა და კარისკაცების ყურადღება დაუმსახურებია. სწორედ აქ სწვევია თამარის მშვენიერებით მოხიბლულს პლატონური (ზეციური, ღვთაებრივი) სიყვარული. გადმოცემის მიხედვით, მალე პოეტს პოემა დაუწერია და თამარისთვის მიუერთმევია, რისთვისაც ის დაუჯილდოვებიათ.

მეორე ლეგენდის მიხედვით, შოთა ვიღაც ქალს შეჰყვარებია, შოთას კი სხვა შეურთავს. ცოლს მოსამსახურე ზანგთან უღალატნია. დაწუნებულ ქალს შოთასთვის ნადიმში მიუკითხავს. განრისხებულ შოთას ცოლი, მსახური ზანგი და ამბის მიმტანიც მოუკლავს, ხოლო თვითონ სამშობლოდან გადახვეწილა, ჯვრის მონასტერს შეხიზვნია და დარჩენილი სიცოცხლე ბერობაში გაუტარებია.

სილოვან ხუნდაძის თქმით, „ამ ლეგენდასთან დაკავშირებულია მე-18 საუკუნის ეპისკოპოსის ტიმოთეს ცნობა, რომ ჯვრის მონასტრის კედელზე დახატული ყოფილა ქართველი დიდებულის სურათი, რომლის ქვეშაც წაწერილი ყოფილა „რუსთაველი“. მკვლევრის ფიქრით, ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენებული „მეჭურჭლეთუხუცესი შოთა“ ამ გადმოცემას ემყარება.

როგორც ვხედავთ, სილოვან ხუნდაძე მოცემულ ნარკვევში პოემის განხილვასთან ერთად რუსთაველის ბიოგრაფიასაც გვაწვდის. მართალია, ეს კვლევა ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა, თუმცა ახალი და ორიგინალური რუსთაველის შესახებ სილოვანს არაფერი უთქვამს.

სილოვან ხუნდაძის მეექვსე ტომი ეძღვნება დიდ ქართველ მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს. წიგნი გამოიცა 1919 წელს ქუთაისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბის მიერ. წიგნი შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან. I - ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია; II - ილიას წვრილი ლექსები (1. სამშობლო, 2. სოციალური საკითხები, 3. ტრფობა, 4. „აჩრდილი“, „დედა და შვილი“), „დიმიტრი თავდადებული“, „ვლადიკავკასიიდან ტფილისამდე“, „კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“, „სარჩობელაზედ“, „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ცხოვრება და კანონი“, „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, „აი, ისტორია“, „პოლემიკური წერილები“, „კრიტიკული წერილები“. წიგნი სრულდება საზოგადო დასკვნებით.

ნარკვევის დასაწყისში სილოვან ხუნდაძე გვესაუბრება ილიას არისტოკრატიული წარმომავლობის შესახებ. ჭავჭავაძის გვარს თავადიშვილობის ხარისხი მე-18 საუკუნეში ბოძებია. ამ გვარში ზოგი ბოლო დრომდე გლახების წოდებას ეკუთვნოდა. ილიას დედაც შთამომავლობით მაღალი წოდების წარმომადგენელი არ

ყოფილა. ხუნდაძე თვლის, რომ ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ ილია თავისი გრძნობითა და აზროვნებით დემოკრატიზმის მატარებელი იყო და მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც დამცველი იყო გლეხებისა. დასაწყისშივე არის მოთხრობილი ილიას მშობლების და მისი დაწყებითი განათლების შესახებ. ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი წიგნში ილიას პატარაობის აღწერას, მოჰყავს ამონარიდები მისი ავტობიოგრაფიიდან. დაწვრილებით მიმოიხილავს სილოვანი ილიას სტუდენტობის წლებს, მისი საქმიანობის ფართო სფეროს, ჟურნალ-გაზეთების დაარსების საქმეში ილიას გაწეულ შრომას, საბანკო საქმესთან დაკავშირებით გადადგმულ მის ნაბიჯებს. ილია 30 წელი მსახურობდა ბანკში და ამ ხნის მანძილზე ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა მისი განვითარებისათვის. აგრეთვე მსჯელობს მწერლის ხასიათის თავისებურებებზე, აღნიშნავს, რომ ის მძიმე ხასიათის კაცი იყო და ადვილად ვერ იტანდა სხვათა შემოწინააღმდეგებას. ის იყო კაცი, „რომელსაც ყოველგვარ სერიოზულ საქმეს ეკითხებოდნენ და ყველგან შეჰქონდა მას თავისი თვალსაჩინო წვლილი“ (ხუნდაძე 1919:8).

ბიოგრაფიული მომენტების აღწერის შემდეგ ს. ხუნდაძე გვესაუბრება ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. ხაზს უსვამს მის პრინციპულობასა და მტკიცე ხასიათს. „ილია საზოგადოთ მძიმე ხასიათის კაცი იყო და ადვილათ ვერ იტანდა სხვის ინიციატივასა და წინააღმდეგობას იმ საქმეში, რომელიც მას განსხვავებულად ესმოდა“ (ხუნდაძე 1919:9).

ილიას მრავალმხრივ მოღვაწეობაზე საუბრის დროს ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ილია განსაკუთრებული ენერგიით სალიტერატურო ასპარეზზე და ბანკში მუშაობდა, თუმცა საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის არცერთი სფერო არ დარჩენია ყურადღებამიუქცეველი.

აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ ხუნდაძე საუბრობს ილიას პუბლიცისტურ წერილებზე, რომელთა შინაარსი ეხება გლეხობის საკითხებს. საგულისხმოა ილიას წერილები, რომელიც მას თავისი მოურავისათვის, მოსე მემარნიშვილისათვის მიუწერია. ილიას აბრალებდნენ, რომ გლეხებს სასტიკად ექცეოდა და ისინი სძულდა, რაც სიმართლეს მოკლებული იყო და სილოვანი აღნიშნავს, რომ ილიამ ამის საპასუხოდ გამოაქვეყნა წერილი გაზეთ „ივერიის“ №68-ში



„ნუთუ“, სადაც აბათილებდა ბრალდებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამ თავის ბოლოს კი კრიტიკოსი მსჯელობს იმ ტრაგიკული ფაქტის შესახებ, როდესაც უგუნურმა მკვლელებმა მოკლეს ილია. „თოფის კონდახით შუბლი გაუტეხეს, მისი ერთგული მოსამსახურე იაკობიც მოკლეს და მისი მეუღლე საშინლათ ნაცემი, ცოცხალმკვდარი დააგდეს...“ (ხუნდაძე 1919:11).

იგი უმკაცრეს შეფასებას აძლევს ამ ტრაგიკულ ფაქტს და თვლის, რომ უმადურმა ქართველობამ ვერ მოუარა დიდ ილიას, ქართველი ხალხის უღირსმა შვილებმა სისასტიკე გამოიჩინეს იმ ადამიანის მიმართ, ვინც მთელი სიცოცხლე ამ ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძოდა.

ნარკვევში საუბარია ილიას მჭიდრო ურთიერთობებზე მაშინდელ მოწინავე ინტელიგენციასთან. პირველ ყოვლისა, აქ აკაკი წერეთელს ასახელებს და მათ იდეურ ერთიანობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ მერე და მერე ილიას და აკაკის შეხედულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს გაემიჯნა. საუბრობს ილიასა და ვანო მაჩაბლის ერთობლივ საზოგადოებრივ საქმიანობაზეც. წერს, რომ, მათ, ორივემ ერთად, ქვეყნისთვის ბევრი საჭირო და კარგი საქმე გააკეთეს. სწორედ ივანე მაჩაბლის ხელშეწყობითა და თანამშრომლობით გამოდიოდა ჟურნალი „ივერია“, ხოლო როდესაც ბანკის თავმჯდომარედ აირჩიეს ვანო, ისინი ორ ბანაკად გაიყვნენ და ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის ბრძოლა გაჩაღდა.

შემდეგი თავში განხილულია ილიას ლექსები. წიგნის ეს ნაწილი რამდენიმე ქვეთავისაგან შედგება. 1. სამშობლო, სადაც სილოვანს მოთავსებული აქვს ილიას „წვრილი“ (ხუნდაძე ასე უწოდებს - ნ. ბ.) ლექსები.

იგი ილიას ლექსებს რაოდენობის მხრივ ადარებს აკაკის ლექსებს და აღნიშნავს, რომ ილიას აკაკისთან შედარებით ცოტა დაუწერია. გამოყოფს ილიას ლექსების თემატიკას: სამშობლოს, სოციალურ ურთიერთობას და ტრფობის გრძნობას.

ამ ლექსებში პატრიოტული თემატიკაა გამოკვეთილი. სადაც ხუნდაძე ხედავს პლატონური სამიჯნურო ცეცხლით გულანთებულ და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ პოეტს, რომელიც თავისი თავდადებით იყო შეგნებული ჭირისუფალი ქართველი ხალხისა. განიხილავს ლექსებს: „ყვარლის მთებს“, „ჩემო კალამო“, „ჩემო

კარგო ქვეყანავ“, „მას აქეთ, რაკი“, სადაც ჩანს ილიას დიდი იმედი მომავალი თაობისადმი, გულისტკივილი აწმყოსადმი და უზომო სიყვარული ქართველი ერისა, აგრეთვე ის დიდი შინაგანი ძალა, რაც აძლევდა მწერალს შემართებას, სიტყვით, კალმით, საქმით ებრძოლა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. სილოვანი იმაზეც საუბრობს, რომ მწერალი მარტოობას უჩიოდა, რადგან საკუთარი გრძნობების და ფიქრების თანაზიარი ვერ ეპოვა ახალ თაობაში.

როგორც XIX საუკუნის ორ განუყოფელ ფიგურას - ილიას და აკაკის, სილოვანიც არ აცალკევებს და მათ იდეურ ერთობაზე საუბრობს. ორივეს ერთი მიზანი ამოდრავებდათ, საკუთარი შემოქმედებით ერის გამოფხიზლება, უკეთესი მერმისის მიება და გმირის დაბადება, რომელიც ილიასათვის ბაზალეთის ტბის ძირას აკვანში მწოლიარე ყმა იყო, ხოლო აკაკისათვის - ამირანისებური გმირი.

სილოვანი ცალკე მსჯელობს იმ თემაზე, რასაც ქართველი ქალის როლი და ადგილი ჰქვია ილიას შემოქმედებაში. კრიტიკოსი აქაც იმეორებს იმ მოსაზრებებს, რაც საყოველთაოდ იყო გამოთქმული ილიას ამ ტიპის ლექსების განხილვისას.

ს. ხუნდაძეს ცალკე საკითხად აქვს გამოყოფილი ილიას შემოქმედებაში სოციალური თემატიკა. აქ იგი პარალელურს ავლებს ნ. ბარათაშვილთან. საუბრობს შემდეგ საკითხებზე: ადამიანის დანიშნულების გააზრება, ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიკური და მორალური პრობლემები.

ილიას შემოქმედებაში ეს თემატიკა მწვავედ დგას ლექსებშიც და მოთხრობებშიც. თავისუფლება - პიროვნული, ეროვნული, ქვეყნის და ხალხის სამსახურში ყოფნა, - აი, უმთავრესი დანიშნულება ჩვენი ამქვეყნად მოვლინებისა. და მთავარი, შრომის დანიშნულება ადამიანის ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის სოციალურ თემატიკაზე დაწერილ ლექსებში მთავარი საკითხებია: თავისუფლება და შრომის ფასი. ს. ხუნდაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობს და ადამიანისათვის თავისუფლების წართმევა ზეცის წართმევასთან აქვს შედარებული.

კრიტიკოსს ილიას ამ ტიპის ლექსების განხილვისას მაგალითად მოჰყავს მამია გურიელის ლექსი „მოშია“ და გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“. უნდა აღინიშნოს, რომ სილოვან ხუნდაძეს ასეთი პარალელები ყველა ნარკვევში აქვს გავლებული და

შეიძლება ითქვას, ეს არის არსებითი სიახლე ამ სახელმძღვანელოებისა.

ილიას ლექსებში სოციალურ თემატიკაზე საუბარს ს. ხუნდაძე ამთავრებს იმით, რომ ილიასათვის შრომის, თავისუფლების, სიყვარულის წინააღმდეგ ბრძოლა ასოცირდება ბოროტებასთან სიკეთის ბრძოლისა, რამაც ასეთი შედეგები მოგვიტანა. მისი აზრით, ყველაზე დიდ საფრთხედ ილია რწმენის დაკარგვას თვლის და ღმერთს ქართველთა შეწევნას ევედრება („მამაო ჩვენო“).

შემდეგი ქვეთავი არის „ტრფობა“. აქ ხუნდაძე ილიას და აკაკის ლექსებს ადარებს ერთმანეთს და ამბობს, რომ ილიას აკაკისთან შედარებით ცოტა აქვს დაწერილი სიყვარულის თემატიკაზე. ღვთიური სიყვარულის გამოხატულებაში ილიას ის შოთა რუსთაველს ამსგავსებს („მაშინ დავტკბები“) (ხუნდაძე 1919:23).

ილიას სამიჯნურო ლექსებიდან იგი განსაკუთრებულ ადგილს უჩენს „ალაზანს“, რომელსაც საუკეთესო ნიმუშად თვლის, როგორც შინაარსის, ასევე ფორმის თვალსაზრისით.

ს. ხუნდაძე ცალკე გამოყოფს და განიხილავს პოემას „აჩრდილი“ და მას ქართველთა სულისკვეთების ანარეკლს უწოდებს. ხუნდაძე ყურადღებას ამახვილებს ილიას მიერ აჩრდილში დახასიათებული იმდროინდელი ქვეყნის მდგომარეობის აღწერით. მიუხედავად იმისა, რომ ილია აწმყოთი უკმაყოფილებას გამოხატავდა, პოემაში ნათლად ჩანს მისი რწმენა უკეთესი ხვალისდელი დღისა. მისი აზრით, ხვალისდელი დღის ბედნიერების საწინდარი არის „შრომის სუფევა“.

სილოვან ხუნდაძის აზრით, ილიას პოემა ყურადღებას იქცევს ღრმა აზროვნებითა და გრძნობიერი ადგილების სიუხვით. იგი გამოყოფს პოემის დასაწყისს, სადაც ბუნების სურათია აღწერილი. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ეს ადგილი ილიას ნასესხები აქვს რუსი პოეტის ლერმონტოვის „იზმაილ-ბეი“-დან. მაგრამ, პროტოტიპი უფრო შინაარსიანი და მხატვრულია (ხუნდაძე 1919:27).

სილოვანს ცალკე ქვეთავად აქვს გამოყოფილი პოემა „დედა და შვილი“, რომელიც შეფასებულია, როგორც დრამატული ქმნილება. „დედა და შვილს“ იგი აკავშირებს მის ლექსთან „ნანას“. ამ ლექსს იგი საოცარ სიმღერასაც უწოდებს.

ისტორიული პოემა - „მეფე დიმიტრი თავდადებულზე“ საუბრისას. ს. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ რაც ისტორიაში წერია თავდადებულზე, ილიას მისთვის არაფერი

მიუმატებია. მხოლოდ ერთგან არის ჩამატებული მწერლისგან, როცა ურდოში გამგზავრების წინ მეფე ხალხს ეთხოვება. მისი აზრით, ეს პოემა არც გარეგნული ფორმით არის საყურადღებო. ხუნდაძე ამ პოემას არამუსიკალურ ლექსს უწოდებს.

ილიას „მგზავრის წერილებს“, რომელსაც პირველად „ვლადიკავკასიდან თბილისამდე“ ერქვა, ს. ხუნდაძე კარგ სალიტერატურო ნაწარმოებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მასში ილიას ბევრნაირი ნიჭი და ღირსება გამოვლინდა.

ხუნდაძე ცალკე გამოყოფს ილიას მსოფლმხედველობრივ საკითხებს, სადაც სტუდენტობის წლების გამოყენებაზე, მცინვარისა და თერგის შეფასებაზე და მოხვევსთან შეხვედრაზეა საუბარი. მოცემულ ნაწარმოებებზე მსჯელობისას ხუნდაძე წარმოგვიდგება როგორც კრიტიკოს-შემფასებელი არა მარტო ილიას შემოქმედებისა, არამედ ზოგადად მისი საზოგადოებრივი საქმიანობისა.

შედარებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი „კაცია-ადამიანს“ განხილვას. ხუნდაძის აზრით, ეს მოთხრობა ილიამ გოგოლის "Старосвитские помящики"-ს გავლენით დაწერა. თუმცა, ასკვნის, რომ შინაარსითაც და გარეგნულადაც მასზე გაცილებით მაღლა დგას იგი. პერსონაჟთა დახასიათებაც პარალელებს ავლებს გოგოლის ნაწარმოებთან. გამოჰყოფს მსგავსება-განსხვავებებს. მისი აზრით, თუ გოგოლის გმირებს გულში სიყვარული და მშვიდობა აქვთ, იმავეს ვერ ვიტყვით ილიას გმირებზე, რომლებიც შურს და მტრობას ატარებენ გულით. ნაწარმოების განხილვისას მოჰყავს ტექსტიდან ნაწყვეტები და საუბარს აგრძელებს, იმ სავალალო შედეგებზე, რაც ბატონყმობამ მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

ცალ-ცალკე საუბრობს „გლახის ნაამბობის“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლებთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“, „სარჩობელაზედ“, „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“. ამ ნაწარმოებების განხილვის შემდეგ აკეთებს საგულისხმო დასკვნებს. „გლახის ნაამბობს“ ხელოვნურ ნაწარმოებს უწოდებს და არა ნამდვილი ცხოვრების სურათს. დიდი მნიშვნელობის ნაწარმოებად თვლის „კაკო ყაჩაღს“. „ილიას პოემებს შორის ფრიად მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოებია. აქ ბევრია პოეტური ღირსებით შემკული ადგილი: 1) ალაზნის ველის სურათი მთვარიან ღამეში; 2) მწყემსთა ყოფა-ცხოვრების აღწერა; 4) ზაქროსაგან ბატონთან შეტაკების მოთხრობა და კაკოსა და ზაქროს შორის ამით გამოწვეული

გაუგებრობა, კოლიზია, როგორც ძლიერი გრძნობის აღმძვრელი ადგილი...“ (ხუნდაძე 1919:46). „სარჩობელაზედ“ ყველაზე დაბალი შეფასება მისცა ხუნდაძემ - „სარჩობელაზედ“ ილიას მოთხრობებში ყველაზე სუსტი ნაწარმოებია - შინაარსითაც და სურათობითაც. მოთხრობაში მკრთალად არის დასურათებული ის მიზეზები, რომლებმაც ყმაწვილები საშინელი ბოროტმოქმედების გზაზე დააყენა და სახრჩობელამდე მიიყვანა.

„განდეგილზე“ კი ამბობს, რომ ის გერმანელი რომანისტის ებერსის ნაწარმოების "Homo sum"-ის გავლენით არის დაწერილი. აგრეთვე დასძენს, რომ ფლობერსაც აქვს მსგავსი ნაწარმოები და ემილ ზოლას „აბატ მურეს შეცოდება“ მსგავსია „განდეგილის“ თემატიკის.

დღევანდელი გადასახედიდან ვერ დავეთანხმებით სილოვანის შეხედულებებს, თითქოს ილია წინააღმდეგი იყოს ბერული ცხოვრებისა. ამ ნაწარმოებს იგი ზოგადად კარგ შეფასებას აძლევს და წერს, რომ ამ პოემამ თავისი საკაცობრიო დედააზრით, იდეით და გარეგანი გამოხატულებით ევროპელთა ყურადღებაც კი მიიქცია.

„ოთარაანთ ქვრივზე“ საუბრისას ს. ხუნდაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ოთარაანთ ქვრივის დახასიათებაზე. მისი შეფასებით, ოთარაანთ ქვრივი თავისი ქმედებით სცილდება ქართველი დედის საზღვრებს და მსოფლიო საკაცობრიო სახეს იღებს (ხუნდაძე 1919:53). ხუნდაძის აზრით, ოთარაანთ ქვრივი ბუნების შვილია, ხოლო არჩილი, კესო და გიორგი ავტორისაგან სულჩანაბერი არსებანი არიან. საუბრობს ნაწარმოების სხვადასხვა დეფექტებზე, თუმცა ამ დეფექტებს გადაფარავს ის დიდი ღირსებები, რომელიც მოთხრობას თან ახლავს (ხუნდაძე 1919:54).

ცალკე ქვეთავებადაა გამოყოფილი ილიას რამდენიმე კრიტიკული სტატია: „ცხოვრება და კანონი“, „სომეხთა მეცნიერებანი და ქვათა ღაღადი“, „აი, ისტორია“ „პოლემიკური წერილები“, „კრიტიკული წერილები“.

„ცხოვრება და კანონში“ სილოვანი ბატონყმობის მტკივნეულ თემებზე საუბრობს. აქ მისი შეხედულება ზუსტად ემთხვევა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის შეხედულებებს თავადაზნაურული ყოფის მანკიერი მხარეების წარმოჩენისას.

სილოვანის აზრით, ილიას პუბლიცისტური ნიჭი საუცხოოდ წარმოჩინდა სტატიაში „სომეხთა მეცნიერებანი და ქვათა ღაღადი“, რომლის მთელი ტექსტი

მიმართულია სამშობლოს წინააღმდეგ მოძულე პირებისადმი. თავის ამ წერილში ილია ნიკო მარის წინააღმდეგაც ილაშქრებს და მას იმაში ადანაშაულებს, რომ მარს „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან თარგმნის სჯეროდა. ილია ასევე პროტესტს უცხადებს იმ ადამიანებს, რომლებიც ამცირებენ საქართველოს წარსულს და მომავალსაც უქმნიან საფრთხეს. ხაზგასმითთ საუბრობს სომეხ მეცნიერთა იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც ქართული ენის დიდებული წარსულის დამცირებას ცდილობდნენ.

„აი ისტორია“ დაწერილია იმ წერილის გამო, რომელიც ი. ჯაბადარმა მოათავსა რუსულ ჟურნალში. ეს წერილი ფაქტიურად პასუხია იმ ცილისწამებაზე, რამაც "письма"-ში გაიჟღერა. ილია თავგამოდებული დამცველია ქართული ენის ისტორიისა და ღირსებისა.

სილოვანის შეფასებები იმ საჭირობოროტო საკითხების გარშემო ტრიალებს, რომელიც ილიას შემოქმედებაში წინა პლანზეა წამოწეული. უყურადღებოდ არ რჩება კრიტიკოსს თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კი მაშინდელი ქართული რეალობის სურათს ქმნიდა.

ილიას პოლემიკური წერილებიდან ს. ხუნდაძე ორს გამოარჩევს - კატკოვის და იანოვსკის წინააღმდეგ მიმართულთ. დედააზრი სტატიებისა ისაა, რომ ჯერ ბავშვმა მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოს საუბარი, შემდეგ კი არ აწყენს რუსულის ცოდნაც. პირიქით, რუსულის ცოდნა მეცნიერული განვითარებისათვის არის საჭირო.

ხუნდაძე პუბლიცისტურთან შედარებით, ილიას კრიტიკულ წერილებს ნაკლებად მნიშვნელოვან შეფასებას აძლევს და მათგან მხოლოდ რამდენიმეს გამოარჩევს, სადაც საუბარია ქართული ენიდან 5 ბგერის ამოღების აუცილებლობაზე, ასევე, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რომ მისი გმირები ხასიათებით, აღნაგობით, თვისებებით ნამდვილი ქართველები არიან.

ნაწარმოების ბოლოს იგი ერთგვარ შეჯამებას ახდენს ილიას შემოქმედებისას. „ილიას პატრიოტულ ნაწერებში იხატება მისი აღზნებული გრძნობა სამშობლო ქვეყნის სიყვარულისა. კრიტიკულ წერილებში არის სოციალური ხასიათის მასალაც. თავად ილია იბრძოდა პიროვნების გათავისუფლებისათვის“ (ხუნდაძე 1919:69).

ხუნდაძე საუბრობს ილიას განსხვავებულ სტილზე. ილიას ენის გარეგან ფორმას

იგი ტლანქს უწოდებს, რადგანაც სავსეა უმწი და უკანონო ფორმებით, მძიმე და ურიგოთ დაწყობილი ფრაზეოლოგიზმებით, არამუსიკალური რითმებით და დისჰარმონიული ლექსების ციკლით.

წიგნის დასასრულს კრიტიკოსი წერს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება იდეურად ენათესავება ვახტანგ ორბელიანის ლირიკას. აქ ხუნდაძეს ყურადღება არა აქვს გამახვილებული იმაზე, რომ ილია რეალისტი მწერალი იყო, ვახტანგი კი რომანტიკოსი და მათი ლექსების თემატური მსგავსებაც სათუთა.

თუმცა რიგი ხარვეზებისა, დასძენს კრიტიკოსი, ილიას არა მარტო შემოქმედება, არამედ ცხოვრებაც მისაბამ მაგალითად უნდა გავიხადოთ. ის იყო საუკეთესო შვილი მე-19 საუკუნის ქართველი ერისა, თავდავიწყებით მისი დარაჯი და დამცველი მოსული მტრისა. ხუნდაძე ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას აფასებს, როგორც დიდებული მწერლისა და პიროვნების უზომო ღვაწლს მშობელი ერის წინაშე. „თავისი წრფელი გრძნობით და ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობით ილიამ სამართლიანად დაიმსახურა სახელი დიდებული მწერლისა და მოღვაწისა“ (ხუნდაძე 1919:79). მოცემული შეფასება ნათელს ხდის ილის შემოქმედებისადმი სილოვანის პოზიციას.

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს VI ტომი სრულდება საზოგადო დასკვნით, სადაც ხუნდაძე ჩამოთვლის მის პოეტურ წარმოსახვაში ყველაზე ძლიერ მწერლებს და პირველ ადგილს ნიკოლოზ ბარათაშვილს აკუთვნებს XIX საუკუნის ლიტერატურაში. იგი მოკლედ განიხილავს ილიას და აკაკის შემოქმედებით თავისებურებებს, აკაკის ნიჰს ბუნებრივს უწოდებს, ილიას კი - ხელოვნურს. ხოლო შოთა რუსთაველზე ამბობს, რომ იგი უდიდესი მგოსანია.

სილოვან ხუნდაძეს საინტერესო ლიტერატურული გამოკვლევა აქვს დაწერილი აკაკი წერეთელზეც. ცხოვრებაში სილოვანი აკაკის ეპაექრებოდა, ცალკე კრიტიკული წერილებიც კი აქვს დაწერილი მისი მისამართით და აკაკის იმის გამო საყვედურობს, რომ მან ვაჟას ენა დაუწუნა. „იმდენი ვიფიქრე, ტვინი მეღრძო, მაგრამ ვერაფრით გავისიგრძეგანე, - „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, სულის ჩამდგმელო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო“ - ამ სიტყვების მთქმელმა, როგორ ვერ გაიგო, ვინ იყო ვაჟა“ (ხუნდაძე 1918:14). სილოვან ხუნდაძემ აკაკის კატეგორიულად არ მოუწონა ვაჟა-ფშაველას ენის მისეული შეფასება და სასტიკად

გაკრიტიკა იგი.

როგორც ცნობილია, რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს აკაკიმ დეპუტატობაზე კენჭი იყარა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, მაგრამ მარცხი განიცადა, რამაც დიდად აღაშფოთა მისი თაყვანისმცემლები. სილოვან ხუნდაძე, რომელიც სოციალ-დემოკრატების მოძულე იყო, უყოყმანოდ შეუერთდა აკაკის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს.

აკაკი წერეთელზე დაწერილ ნარკვევში სილოვან ხუნდაძეს მისი პოლიტიკური საქმიანობა ნაკლებად აქვს განხილული.

ნაშრომი იწყება აკაკის „ჩემ თავგადასავალზე“ საუბრით, სადაც კრიტიკოსის მიერ აკაკის ბავშვობა და ყრმობა შეფასებულია, როგორც სამირკველი მისი მომავალი საქმიანობისა.

ნაშრომის ამ ნაწილში ვრცლადაა მოტანილი ამონარიდები „ჩემი თავგადასავლიდან“, რომლის შეფასების დროს სილოვანი აკაკის პიროვნულ თვისებებს დეტალურად განიხილავს. როდესაც აკაკის მოსწავლეობის ხანაზე წერს, აქვეა შენიღბული კრიტიკა მაშინდელი ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკისა. სილოვანისთვის მიუღებელია ისეთი სასკოლო რეჟიმი, რომელიც მაშინ ქართულ სკოლებში იყო გაბატონებული.

ილია და აკაკი ორი განუყოფელი პიროვნება იყო. ისინი დაუღალავად იბრძოდნენ ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ. ზუსტად ასე აქვს შეფასებული სილოვანს მათი საზოგადოებრივი საქმიანობა. კრიტიკოსს შეფასებული აქვს მამათა და შვილთა ბრძოლის იდეურ-მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობა და მისი პოზიცია ერთპიროვნულად ემხრობა შვილთა თაობის პოზიციას.

აკაკის საზოგადოებრივ საქმიანობაზე საუბრის შემდეგ მასზე, როგორც მწერალზე ცალკე წერს. ასახელებს ჟურნალს „აკაკის კრებული“, რომელშიც საკუთარ შემოქმედებას ბეჭდავდა მწერალი. ეს თავი სრულდება აკაკის ფიზიკური აღწერით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით და ბოლოს გარდაცვალებით. „ადამიანთა შორის უნაკლო არავინ არის, აკაკიც არ იყო უნაკლო - და, რასაკვირველია, სხვებთან ერთად მის ნაკლულევანებასაც ეხებოდენ ხოლმე პრესაში“ (ხუნდაძე 1918:43).

სილოვანის აზრით, „ქართველი საზოგადოება აკაკის უმეტეს ნაწილაც



მორალურადაც და ნივთიერადაც სხვა მწერლებზე ბევრათ მეტი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა“ (ხუნდაძე 1918:46).

ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ხუნდაძე განიხილავს აკაკი ლექსებს: „ჩემი ბარათი“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „ჩემი სიმღერა“, „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“ და სხვა. ესენი ყველა საზოგადოებრივ საკითხებზეა აგებული, წერს ხუნდაძე.

სილოვანი ცალკე განიხილავს „საწყალ დარბაისელს“ და „ჩემს მეგობარს“, სადაც მისი აზრით პირადი და საზოგადო სატკივარი ერთად აქვს თავმოყრილი აკაკის. აქვე აღნიშნავს, რომ აკაკი გულდაწყვეტილია, იმიტომ რომ, საზოგადოებისაგან შესაფერის დაფასებას და სიყვარულს ვერ გრძნობს (ხუნდაძე 1918:50).

მეორე თავში სილოვანს განხილული აქვს აკაკის „მრავალფეროვანი ნაწერები“: წვრილი ლექსი, პოემა, დრამა, მოთხრობა, პუბლიცისტური წერილები და სხვა.

ხუნდაძის შეფასებით, XIX საუკუნის 60-იან წლებში იმიტომაც მოსინჯეს კალამი ჩვენმა მწერლებმა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი), რომ მაშინ ღარიბი იყო ჩვენი მწერლობა.

აკაკის ნაწერებიდან ხუნდაძის ინტერესის სფეროს ყველაზე მეტად „წვრილი ლექსები“ წარმოადგენს - ასე უწოდებს ის აკაკის პოეზიას: „პატარ-პატარა წვრილი ლექსებით გამოხატული ლირიკა - აი აკაკის სამეფო; დარანჩენ დარგებში იგი შედარებით სუსტია და მცირემნიშვნელოვანი“ (ხუნდაძე 1918:54).

„წვრილი ლექსების“ განხილვას იგი „ლამპარით“ იწყებს, რომელიც აკაკის 1856 წელს დაუწერია და ჟურნალ „ცისკარში“ დაუბეჭდავს.

აკაკის ლექსების უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებად სილოვანი ტკბილისა და მწარის, სატირალისა და სასაცილოს, თაფლისა და ნაღველის ერთმანეთში გარეკას თვლის. ღიმილი მის შემოქმედებას არსად არ ტოვებს, სამწუხაროშიც იღიმებაო, აღნიშნავს ხუნდაძე. „რუსი მწერლის გოგოლის არ იყოს, აკაკიც „ცრემლებს შორის“ იცინის ხოლმე“ (ხუნდაძე 1918:56).

ცალკე ქვეთავად გამოყოფს ხუნდაძე აკაკის იუმორისტულ-სატირულ ნაწარმოებებს და აღნიშნავს, რომ ამგვარი ფორმით წერა მის კალამს განსაკუთრებით ემარჯვება („ფარისეველი“, „აპელაციის მცოდნე“, პოემა-ზღაპარი „ნაცარქექია“, მოთხრობა „სიკვდილი“ და სხვ.).

სილოვანი აგრეთვე საუბრობს აკაკი წერეთლის ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებებზე, რომელნიც იმიტომ დაწერა მგოსანმა, რომ არსებული პოლიტიკური მდგომარეობა ემხილებინა. ასეთებია „ლამურა“, „ალექსი“, „გაზაფხული“, „ხარაბუზა და ფუტკარი“ და სხვ.

ხუნდაძე აქვე კრიტიკულადაც განიხილავს აკაკის ზოგიერთ ლექსს და დასძენს, რომ ისინი მოკლებულია პოეტურ ღირსებას და არც აზრით, არც გრძნობით და არც გარეგანი ფორმით არავითარ ყურადღებას არ იქცევს.

ხუნდაძე რამდენიმე ქვეთავს გამოჰყოფს აკაკის შემოქმედების განხილვისას. ესენია: 1) სამშობლოს სიყვარული; 2) თანამედროვე ქართველობა; 3) ადამიანთა ურთიერთობა; 4) ტრფობა; 5) ბუნება და პოეტი; 6) გლეხობა და სხვა.

საინტერესოდ განიხილავს საკითხს, რომელიც სამშობლოს თემატიკას ეხება აკაკის შემოქმედებაში. „ზოგიერთ ჰგონია, რომ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა დროებითი მოვლენააო და, საზოგადოთ, ცალკე ეროვნება, როგორც საკუთრებით ერთ-ერთი სახე, ოდესმე უნდა მოისპოს. ეს მოსაზრება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. შესაძლებელია კაცობრიობის ცხოვრების ბოლოუჭინარ გზაზე მრავალი ერი აღიგაოს პირისაგან ქვეყნისა, ან გადაგვარდეს, ფერი იცვალოს, მაგრამ კაცობრიობა მაინც იარსებებს სხვადასხვა ერის სახით“ (ხუნდაძე 1918:59).

მოცემული შეფასებების დროს ის თითქმის ახალს არაფერს ამბობს აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

სილოვან ხუნდაძე აკაკის შემოქმედებაზე საუბრის დროს აღნიშნავს, რომ „ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ეროტიული შინაარსის ლექსები ცოტა აქვთ. მათი ფიქრი და გონება ერთ სატრფოს მოუტაცია - და ეგ სატრფოა მათი საერთო სამშობლო „ბედკრული“ საქართველო (ხუნდაძე 1918:60).

სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი - აი, სამი ხანა, ხან მწარედ და ხან ტკბილად დამაფიქრებელი როგორც აკაკისა, ისე სხვა ჩვენი მწერალ მგოსნებისაცო, წერს ხუნდაძე. წარსულისა და აწმყოს სურათების შედარებისას, რომელსაც აკაკის ლექსებში ხედავს, სილოვანი წერს, რომ ასე არ შეიძლება, როგორც აკაკის აქვს - ან მარტო განდიდება წარსულისა და დაკნინება აწმყოსი და პირიქით. კარგი და ცუდი ყოველ დროში იყო და იქნება.

სილოვანი აკაკის შემოქმედების განხილვისას ასევე საუბრობს იმაზე, რომ აკაკი ნაციონალისტური კარჩაკეტილობის მომხრე არ იყო. მისი აზრით, თითოეულ ერს კავშირი აქვს მსოფლიოს სხვა ერებთან, თითოეულ ადამიანს კი მთელ კაცობრიობასთან. სამშობლო და სატრფო ისეა გაერთიანებული აკაკის ლექსებში, რომ ხშირად ვერ ვიტყვით, სინამდვილეში რომელ მათგანს უმღერის პოეტი.

„ნამდვილი სიყვარულის გრძნობა ბევრნაირათ ამოდრავებს ადამიანის სულსა და გულს - და აკაკის ლექსებშიც აღნიშნულია სიყვარულისაგან გამოწვეული სხვადასხვა მდგომარეობა სულისა“ (ხუნდაძე 1918:96).

აკაკის შემოქმედებაში სიყვარულზე საუბრის დროს სილოვანი წერს, რომ რუსთველისებური ტრფობა და გრიგოლ ორბლიანისებური რომანტიკა მის პოეზიაში ერთად გაისმა. ხუნდაძის აზრით, სიყვარული არის კავშირი მიწასა და ცას შორის, რომელსაც მშვენივრად გადმოგვცემს აკაკი ლექსში „სულიკო“. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ ამ ლექსში საუბარია ადამიანურ სიყვარულზე, რომელიც საუკუნო გრძნობაა და დედამიწის მერე საიქიოშიც - ზეცაშიც განაგრძობს არსებობას.

აკაკის პოეზიაში ხუნდაძე გამოყოფს ლექსებს, სადაც მწერლის შეხედულება კარგად ჩანს პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე. კრიტიკოსის შეფასებით, აკაკის თეორიულადაც და პრაქტიკულადაც გასიგრძეგანებული ჰქონდა ეს მისია და თავისი სიცოცხლის მანძილზე პირნათლად ემსახურებოდა ამ დიდ საქმეს. კარგად იცოდა, რომ პოეტის სამსახური ქვეყნის წინაშე დიდია და მისი სიტყვა მარად ერის საკეთილდღეოდ იყო მიმართული.

აკაკი წერეთლის მიერ გლეხობის საკითხებზე დაწერილ ლექსებში სილოვანი ფარტოდ დამკვიდრებულ იმ აზრს იზიარებს, რომლის მიხედვითაც აკაკი წინააღმდეგი იყო ბატონყმობის არსებობისა და რომ ღმერთმა ადამიანი თავისუფალი გააჩინა დედამიწაზე. სილოვანის შეხედულებით, ბატონყმობის ბორკილის დამსხვრევის შემდეგ გლეხმა არა მარტო სწავლა-განათლებისკენ, არამედ საზოგადოდ მოქალაქის სწორუფლებიანობისაკენაც გაიკაფა გზა. ამან კი ის შედეგი მოგვცა, რომ გლეხი სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა.

ხუნდაძის ამ ნარკვევში ცალკე ნაწილად არის გამოყოფილი აკაკი წერეთლის პოემები და მოთხრობები. მათზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ თუმცა ბევრ ადგილას

გამოსჭვივის აკაკის ჩვეულებრივი ნიჭი, პოეტური აღმაფრენა, მაგრამ მათ შორის „ერთიც არ არის იმისთანა, რომ მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდეს, ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის პოემები და მოთხრობები“ (ხუნდაძე 1918:128).

„ამ ჩვენს ორ მგოსანს თავთავისი დარგი აქვს, პოეტური შემოქმედებისა - და ერთი ერთში მეფობს, ხოლო მეორე - მეორეში, ისე რომ ამ დარგებში ისინი ერთმანეთს ვერ შეეცილებიან. აკაკი ძლიერი და მშვენიერია პატარა-პატარა ლირიკულ ლექსებში, ილია კი - მოზრდილ პოემა-მოთხრობებში (იქვე).

სილოვანი აკაკის ტემპერამენტის სიჩქარეს უწუნებს, ილიას შემოქმედების კი სიდინჯე მოსწონს. „აკაკი მზისა და მთვარის სხივებს, ელვის თვალწარმტაც ციურ კლავნილებს ცალი ხელით იჭერს, ხოლო ილია ისო ნავინივით უბრძანებს ცის მნათობებს: „შესდეგ, მზეო, და ნუ იძვრი, მთვარეო“ (ხუნდაძე 1918:128).

სილოვანს ცალკე აქვს განხილული აკაკის რამდენიმე პოემა. ესენია: „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, „კიკოლას ნაამბობი“, „ალექსი“, „ნაცარქექია“, „ორი ქართველი“, „ქუთათელის სიზმარი“, „გამზრდელი“, „გოგია მეჩონგურე“, „ბაში-აჩუკი“, „სიკვდილი“ და სხვა. ისტორიულ პოემებზე საუბრის დროს სილოვანი აღნიშნავს, რომ პატარა ერის და მათ შორის საქართველოს უბედურება ის არის, რომ თავისი საკუთარი ძალების იმედი არა აქვს და გარეშე მტრებისაგან გათავისუფლებას, შველასა და ხსნას მაინც კიდევ გარეშე ძალებისაგან მოელის (ხუნდაძე 1918:133).

სილოვან ხუნდაძე მოცემულ ნარკვევში ცალკე საუბრობს აკაკის დრამატული ნაწარმოებების შესახებ და აღნიშნავს, რომ პოემებში აკაკის ჩვეული ნიჭი არ გამოჩნდა. პატარა კახი, თამარ ცბიერი, მედეა - არცერთი საგულისხმო ნაწარმოები არაა.

საზოგადო დასკვნაში ს. ხუნდაძე წერს, რომ XIX საუკუნის ქართველ მგოსანთა შორის სამი პიროვნება იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. მათში პირველი ადგილი ნ. ბარათაშვილს ეკუთვნისო. შემდეგ ასახელებს ილიას და ბოლოს აკაკის. აკაკიზე და ილიაზე კი ასე წერს, რომ ორივე ესენი თავთავის სფეროში იყვნენ პირველხარისხოვანნი. ილია - პოემა-მოთხრობებში, აკაკი - წვრილ ლექსებში. გარდა შემოქმედებითი სხვაობისა, ილია და აკაკი საზოგადოებრივი საქმიანობითაც ზუსტად ერთნაირად არ შეიძლება შევაფასოთ. აკაკი მუდამ ხალხში ტრიალებდა და მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი, ცოცხალი სიტყვით აღვიძებდა ერს, ხოლო

ილიას „მოძრაობა და ხალხში ტრიალი ეძნელებოდა, იშვიათად მოგზაურობდა და ხალხი მას ისე ვერ იცნობდა, როგორც აკაკის“ (ხუნდაძე 1918:142). ხუნდაძე ილიას და აკაკის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი იყო, თუმცა, ეს ხელს სრულებითაც არ უშლიდა, თავის სახელმძღვანელოებში დადებითთან ერთად კრიტიკულადაც განეხილა მათი ნაწარმოებები.

ხუნდაძე ამ ნაკვეთს ბარათაშვილის, ილიას და აკაკის მოხსენიებით ასრულებს. მუხანათურს უწოდებს ბარათაშვილის და ილიას სიკვდილს, ხოლო აკაკისას - ბუნებრივს და ამბობს, რომ აკაკი შემოქმედებითად დაცლილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

1918 წელს ქუთაისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებულ სტამბაში გამოიცა სილოვან ხუნდაძის კიდევ ერთი სახელმძღვანელო „რაფიელ ერისთავი“.

ყველა მონოგრაფიული ნარკვევი, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაჩინო კორიფეებს ეძღვნება, იწყება ბიოგრაფიის მოთხრობით, „რაფიელ ერისთავიც“ პოეტის ბიოგრაფიით იწყება. მოთხრობილია მისი ოჯახური გარემო, მშობლები, დაწყებითი სწავლა-განათლება.

ის მონოგრაფიის დასაწყისშივე აღნიშნავს იმ ღვაწლს, რაც რაფიელ ერისთავმა, არა მარტო როგორც პოეტმა, არამედ როგორც ადამიანმა მოიპოვა ხალხში. „სადაც კი უცხოვრია პოეტს, თავისი კეთილშობილებით, ღმობიერი ხასიათითა და უწყინარი ცხოვრებით ყველგან კეთილი სახელი და ტკბილი ხსოვნა დაუტოვებია“ (ხუნდაძე, 1918:5).

1895 წლის 22 ოქტომბერს რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილე აღინიშნა, სილოვანიც მოიხსენიებს პოეტის ამ დღეს, როცა მთელმა ერმა იდღესასწაულა სულით და გულით და პოეტს ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობა მიულოცა.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაზე საუბრისას ხუნდაძე წერს, რომ გარდა ლექსებისა, იგი ცნობილია მწერლობის სხვა დარგებითაც. მათ შორისაა მოთხრობა „ნინო“, პიესა „ბიძიასთან გამოხმაურება“, სამეცნიერო ნაშრომი „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური“ ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“. რაფიელ ერისთავის რედაქციით გამოიცემოდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომელსაც დართული აქვს მისივე შენიშვნები.

რაფიელი ცნობილია აგრეთვე, როგორც კრილოვის იგავ-არაკების მთარგმნელი. თუმცა, ამ თარგმანს ხუნდაძე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და წერს, რომ ეს თარგმანი ბევრად უფრო დაბლა დგას თავისი ღირსებით, ვიდრე იმავე არაკების თარგმანი აკაკი წერეთლისა. აქვე აღნიშნავს, რომ რაფიელს პოპულარობა ხალხურმა ლექსებმა მოუტანა.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ იგი ქვეთავებად გამოყოფს რაფიელ ერისთავის შემოქმედებას და ასათაურებს მათ.

1) რაფიელ ერისთავის პოეტური ნაწერები. ამ თავის დასაწყისშივე მის ლექსებს გრიგოლ ორბელიანისას ადრის. 80-იან წლებამდე ის მხოლოდ ხორციელ სიყვარულს და ღვინოს უგალობდა, ხოლო 60 წლის როცა გახდა მგოსანი, აქედან უკვე მისი ლექსები სერიოზულ ხასიათს იძენს. თარგმნა უფრო ადრეული ასაკიდან დაუწყია და უმთავრესად ეროტიული შინაარსისაა - წერს სილოვანი. ესენი იყო: პუმკინი, ლერმონტოვი, გრეკოვი, მიცკევიჩი, ბერანჟე, ოგარევი და სხვები.

80-იანი წლებიდან დაწერილ მის ლექსებში სილოვანი გამოყოფს ორ მოტივს - სამშობლოს სიყვარული და მშობელი ხალხის ჭირ-ვარამი.

ცალკე ქვეთავადაა წარმოდგენილი „სამშობლო“. ხუნდაძე წერს, რომ რაფიელ ერისთავს პატრიოტული ხასიათის ლექსები ცოტა დაუწერია, თუმცა რაც აქვს, მათში სამშობლოსადმი ძლიერი სიყვარული გამოსჭვივის. სილოვანს განხილული აქვს ლექსი „დედაენა“, სადაც საუბრობს იმ პრობლემის შესახებ, რაც რუსეთის რეჟიმმა მოუტანა ქართულ ენას. სახელმძღვანელოს მოცემული ადგილი, სილოვანს წარმოგვიდგენს როგორც ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტს. მისი აზრით, პიროვნება ქვეყანასთან დაკავშირებულია დაბადებითა და აღზრდით, შთამომავლობით, საერთო ენით და ზნე-ჩვეულებით. ამ ყოველივე მოწყვეტა კი ადამიანის სულიერ კვდომას იწვევს.

სამშობლოს სიყვარულის ძლიერი გრძნობა გამოხატა რაფიელ ერისთავმა, - წერს ხუნდაძე. თუმცა საყვედურობს პოეტს იმაში, რომ მისი თვალსაწიერი სამშობლოს ცნების გააზრებისას ვერ ცდება ხევსურეთის სალი კლდეების ბუნებას, ბარად არსებული ქვეყანა მას სამშობლოდ ვერ აღუქვამს და მოჰყავს ლექსიდან („სამშობლო ხევსურისა“) მაგალითი:

ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,

სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია, -

არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია (ხუნდაძე 1918:11).

თუმცა, სამშობლოს სიყვარული კუთხურია, მაგრამ ჭეშმარიტია და სინამდვილის გამომხატველი, დასძენს ხუნდაძე.

დღევანდელი შეფასებით, სილოვანის შეხედულებებს აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით ვერ დავეთანხმებით, რადგან საკუთარი ადგილ-მამულიდან იწყება მშობლიური მიწის სიყვარული და ის იმავდროულად ქვეყნის სიყვარულსაც გულისხმობს. დრომ და თაობებმა რაფიელ ერისთავის ეს ლექსი ქვეყნის უზომო პატრიოტიზმის გამოხატულებად მიიჩნია და მას შესაფერისი ადგილი მიუჩინა ქართული ლიტერატურის საგანძურში.

დედისა და შვილის უანგარო, გულწრფელ, ამაღლებულ სიყვარულს შეადარა სილოვანმა სამშობლოს სიყვარული, რადგან ის იგივე ჩვენი დედაა, თავის ძუძუს გვაწოვებს და გვეაღვრება. საზოგადოდ, ამ ლექსისათვის მაღალი შეფასება აქვს მიცემული სილოვან ხუნდაძეს.

შემდეგ საუბრობს „ნეტა, რას სტირი, დედილო“ - ამ პატრიოტული ხასიათის ლექსზე, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი ქალის მონოლოგია გადმოცემული.

პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებებს შორის სილოვანი ასახელებს პოემას „ასპინძის ომი“, რომელსაც პოეტურ ღირებულებას უწუნებს, თუმცა იგი საყურადღებოა სამშობლოს სიყვარულის ძლიერი გრძნობის გამოხატვით.

ამ თავში მეორე ქვეთავად არის გამოყოფილი გლეხის ცხოვრება და ხალხოსნური მიმართულება საქართველოში. რაფიელ ერისთავის ამ მიმართულებით დაწერილი ლექსები ხალხის ყოველდღიური ცხოვრების გამომხატველია, - აღნიშნავს ხუნდაძე.

შემდეგ ქვეთავად აქვს - ხალხის ეკონომიური ჩაგვრის მიზეზები გამოყოფილი და ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში გამეფებულ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, გლეხთა გაუსაძლის მდგომარეობაზე და მათ თავდაუზოგავ შრომაზე („დედაბრის მოთქმა“). გაჭირვება და მატერიალურ საკითხებზე მუდმივი ზრუნვა თავად სილოვანსაც მძიმე ტვირთად აწვა მთელი ცხოვრება.

მოცემულ ქვეთავზე საუბრის დროს ხუნდაძის შეხედულებები ტრიალებს

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული საკითხის გარშემო. მისთვის სიკვდილთან შეხვედრა საშიშროებას არ წარმოადგენს. თუ მოსასვლელია, მაინც მოვა, მას ვერსად დაემალე. მაგალითისთვის „ვეფხისტყაოსნის“ სტროფს იმოწმებს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“.

„ტეტის მოთქმა“, „გლოვა“ და სხვა ლექსები ადამიანთა გაუტანლობაზე, სუსტის დაჩაგვრაზეა. ხუნდაძე ძველი რომაელების გამოთქმას იშველიებს: „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“.

შემდეგი ქვეთავია „ხალხის ნუგეში“. რომლის ქვემოთ მიწერილი აქვს - კეთილი მეზობლები, ღმერთი, მცირედით დაკმაყოფილების გრძნობა. რაფიელ ერისთავის დამოკიდებულებას მოცემული ლექსებით გლახობის საკითხისადმი, სილოვანი ნუგეშისათვის დაწერილად მიიჩნევს. ასახელებს ასეთ თემატიკაზე შექმნილ ლექსებს: „თინიას მამითადი“, „ბერუას ჩაფიქრება“, „ღმერთი დიდია“.

სილოვანი გრ. ორბელიანის „მუშა ბოჭულაძესთან“ აკავშირებს რაფიელის ერთ-ერთ ლექსს და საშველს სარწმუნოების ზედმიწევნით დაცვაში ხედავს.

რაფიელი ერისთავის ამ ტიპის ლექსები ბევრ რაიმეზე დააფიქრებს მკითხველს. უპირველეს ყოვლისა კი შევიგრძნობთ სიყვარულს მახლობელ ადამიანთა მიმართ.

„ხალხური კილო და ხალხის ზნე-ჩვეულება“ - აქ ხუნდაძე სხვადასხვა დიალექტზე დაწერილ ლექსებს განიხილავს. მაგ.: „ზამთარი“, „გაზაფხული“, „ზაფხული“, „რთველი“, „თინიას მამითადი“ და სხვა.

ხალხურ კილოზე დაწერილი და საყმაწვილო ლექსები ხუნდაძის აზრით შესანიშნავი და განსაკუთრებულია. მაგალითად მოჰყავს შემდეგი: „გაზაფხული“, „ალეზი“, „შვიდნი ვართ“, „ადდგომა“, „მიპატიჟება სასწავლებელში“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“.

„ჯერ შრომა, მერე ხტომა“ და „შვიდნი ვართ“ - ორივე რუსულიდან არის გადმოკეთებული, თუმცა ყმაწვილური აზრი და გრძნობა შესაფერისი ენით არის გამოთქმული და რაფიელ ერისთავი ასეთი ტიპის ლექსებში კარგად აჩენს საკუთარ შეხედულებებს (ხუნდაძე 1918:42).

შემდეგ თავში კრიტიკოსი რაფიელ ერისთავსა და რუს მწერალ კალცოვს ადარებს ერთმანეთს და ბევრს საერთოს ხედავს მათ შემოქმედებაში. უპირველეს ყოვლისა, მათ



სახალხო მგოსნობას ასახელებს. თუმცა, აღნიშნავს სილოვანი, რომ რეალური სინამდვილის აღქმასთან უფრო ახლოს რაფიელ ერისთავია, ვიდრე კალცოვი. ასევე განსხვავებულად აქვთ დახატული სოფლის ყოფა-ცხოვრებაში ქალ-ვაჟის სიყვარული რ. ერისთავს და კალცოვს. ორივე პოეტის შემოქმედებაზე საუბრისას, ყურადღებას ამახვილებს მათი ლექსების ხალხურობაზე, „ხალხური ენისაა და შაირსიტყვითაა გამოთქმული“ (ხუნდაძე, 1918:43). მათი შემოქმედების მსგავსება-განსხვავების შედარების შემდეგ კი წერს, რომ უპირატესობას ლექსის გამომსახველობით ძალაში რ. ერისთავს ანიჭებს.

ხალხური მარგალიტების არსებობაზე მიუთითებს ერისთავის ლექსებში. ხალხურია მისი ენა, შინაარსი, გარეგნობა, „კალცოვთან შედარებით, განათლებული ინტელიგენტის გრძნობა და გემოვნება ეტყობა“ (ხუნდაძე, 1918:45).

რაფიელ ერისთავის შემოქმედების განხილვის შემდეგ წიგნს ახლავს დამატება, სადაც სილოვანს თავისი გემოვნებით შეუკრებია რაფიელის ლექსები და „რჩეული ლექსები“ დაურქმევია. ეს ლექსებია: „ზამთარი“, „დედა-ენა“, „აღდგომა“, „ზაფხული“, „რთველი“, „სამშობლო ხევსურისა“, „ნეტა რას სტირი, დედილო?“, „ყანა“, „ქოროლი“ (ხალხური ლეგენდა), „ქალი - აყვანა“ (ლეგენდა), „თინიას მამითადი“, „სურათი“ (სოფლის ცხოვრებიდან), „თანდილას დარდი“, „ჩანაფიქრი“, „დედაბრის მოთქმა“, „წისქვილი“ (აზრი რუსულიდან), „გუთანი“, „ბერუას ჩაფიქრება“, „სესიას ფიქრები“, „ღამის მეხრე“, „ტეტიას მოთქმა“, „ბერუას ჩივილი“, „ალეზი“, (რომელიც დემეტრე კურდღელაშვილის ნაამბობზე დაუწერიაო), „მიპატიჟება სასწავლებელში“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „საბრუას სახლ-კარობა და შეძლება“, „რას შემომცქერი, მმოხილო?“, „გოგლა“, „მევენახის სიმღერა“, „ღმერთო დიდია, ღარიბო!“ „თედუა“, „შვიდნი ვართ“.

მოტანილ ლექსებს მოსდევს სიტყვების განმარტება, სადაც არა ალფავიტის, არამედ ლექსების მიხედვით არის მოცემული განმარტებები.

წიგნი სრულდება სარჩევით. ის მოიცავს 64 გვერდს, და სულ ბოლო გვერდზე არის შეცდომების გასწორება.

ბოლო გვერდზე გამოქვეყნებულია, რა დაიბეჭდა მისი წიგნებიდან და რა არის აწი მზად დასაბეჭდად. ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ

ორბელიანი, რაფიელ ერისთავი - დაბეჭდილია, დასაბეჭდია აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, შოთა რუსთაველი.

ყოველი ნარკვევის ბოლოს მწერლების ლექსები და მოთხრობებია მოტანილი, ეს, ჩვენი აზრით, სილოვან ხუნდაძის აღნიშნული სახელმძღვანელოების ლიტერატურულ ღირებულებას უფრო ზრდის. იმიტომ რომ, ეს წიგნები სკოლაში ყოველდღიურად გამოიყენებოდა. მოსწავლეები სწავლის პროცესში თეორიულ და პრაქტიკულ მასალას ერთად ეუფლებოდნენ და სასწავლო პროცესი უფრო მარტივი და საინტერესო იყო.

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების II ნაკვეთი ეძღვნება გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვას, რომელიც 60 გვერდისაგან შედგება და იწყება გრიგოლის ბიოგრაფიის აღწერით, სადაც სილოვანი გვიამბობს ორბელიანის წინაპრებზე, რომ ის იყო ერეკლე II-ის შთამომავალი და აქტიური წევრი 1832 წლის შეთქმულებისა. აქ მიმოხილული აქვს კრიტიკოსს ამ აჯანყების წარმოშობის მიზეზები და მასში გრიგოლის აქტიური ჩართულობა. გრიგოლთან ერთად სილოვანი ჩამოთვლის სხვა სახელოვან მამულიშვილებსაც (სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი, ფილადელფოს კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე) და მათ როლს ამ აჯანყებაში. მოხმობილია ფრაგმენტები შეთქმულების გაცემის შესახებაც. შემდეგ თანმიმდევრულად გვიამბობს ხუნდაძე გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს.

გრიგოლის პიროვნული ბუნების წარმოსაჩენად ნარკვევში საუბარია ორბელიანის ხასიათზე, მის დამოკიდებულებაზე ნათესავებთან. ხაზგასმით აღნიშნავს კრიტიკოსი, რომ გრიგოლი მატერიალურად ეხმარებოდა თავის მმიშვილებს (ზაქარეას და ილიას) და მის ზრუნვას ადარებს გაბრიელ ეპისკოპოსის საქციელს, რომელიც თავის ნათესავებს დიდ დახმარებას უწევდა. თუმცა, გაბრიელს გრიგოლი ვერ მიედრება, წერს სილოვანი, რადგან გაბრიელი ყველა ნათესავზე ზრუნავდა, გრიგოლმა კი დახმარების ხელი არ გაუწოდა დისწულს - ნიკოლოზ ბარათაშვილს. უპირატესობას ამ გადასახედიდან გაბრიელ ეპისკოპოსს აკუთვნებს, რადგან მან სიკვდილის შემდეგ, თავისი მემკვიდრეობა საზოგადოებრივი საქმის საკეთილდღეოდ დატოვა (მაგ.: ბახვის სკოლის მუდმივი ნივთიერი საშუალება),

გრიგოლს კი საზოგადოებისათვის არაფერი დაუტოვებია, თუმცა კი საკმაოდ დიდი სიმდიდრე ჰქონდა (ხუნდაძე 1917:7).

მამათა და შვილთა დაპირისპირებაში სილოვანი გრიგოლ ორბელიანის როლსა და ფუნქციაზე საუბრისას რაიმე მნიშვნელოვან სიახლეს არ ამბობს, იმეორებს იმ შეხედულებებს, რაც ზოგადად გავრცელებული და დამკვიდრებული იყო მაშინ ლიტერატურათმცოდნეობაში. განხილული აქვს გრიგოლის ლექსი „პასუხი შვილთა“. ამ პაექრობაში სილოვანი შვილთა პოზიციის გამზიარებელი და დამცველია.

ძალიან საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს გრ. ორბელიანის მთავრობის სამსახურში ჩადგომასთან დაკავშირებით: „პოეტმა ისე შეიყვარა და შეიტკბო მთავრობა, რომ უკანასკნელს ყველაფერი აპატია, დიდათაც დააჯილდოვა იგი ჩინებით და დიდი ნდობითაც აღჭურვა“ (ხუნდაძე 1917:9).

გრიგოლს სილოვანი ადანაშაულებს მთავრობის სიყვარულში, იმ მთავრობის, რომელიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა და ცარიზმის პოლიტიკის გატარებას ცდილობდა ჩვენს ქვეყანაში. შიგადაშიგ გრიგოლს ჰქონდა საწინააღმდეგო რეაქციები რუსი მოხელეებისადმი, თუმცა ამის ხმამაღლა თქმას ვერ ბედავდა, ასკვნის ხუნდაძე.

შემდეგ კრიტიკოსი საუბრობს გრიგოლის სიყვარულთან დამოკიდებულების შესახებ და წერს, რომ იგი სიყვარულში უბედური იყო, რადგან არ გაუმართლა და ვინც უყვარდა (ორბელიანის ასული სოფიო) სხვას მისთხოვდა და გრიგოლს შემდეგი სიყვარული აღარ სწვევია.

მეორე ნაწილი ნარკვევისა არის „ნაწერების მიმოხილვა“. დასაწყისშივე წერს ხუნდაძე, გრ. ორბელიანის ნაწერები იმავე მიმართულებისაა, როგორც ალ. ჭავჭავაძისა, ე. წ. ანაკრეონული მიმართულებისა და ე. ი. მათი შინაარსი შეიცავს სიყვარულსა და ქეიფს (ხუნდაძე 1917:11).

კრიტიკოსი გაკვრით ეხება გრიგოლ ორბელიანის მთარგმნელობით საქმიანობას და ასახელებს რუს მწერალ ჟუკოვსკის, რომლის ლექსებიც ქართულად გადმოითარგმნა ორბელიანის მიერ.

1832 წლიდან გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში საგულისხმო ლექსები იწერება, - აღნიშნავს სილოვანი. შემოქმედებაზე საუბრისას გამოყოფს მიმართულებებს: I -

პატრიოტიზმი („იარალის“, „სადღეგრძელო“); II - ბუნების აღწერა („ვინ არ შევსტრფით“); III - მიჯნურობა („სადამო გამოსალმებისა“); IV - ალტრუიზმი („მუშა ბოქულადე“).

პატრიოტულ თემატიკაზე საუბარს „იარალით“ იწყებს და ამ ლექსს უწოდებს საზღვარს ანაკრეონულსა და პატრიოტულ პოეზიას შორის. აქ მოთხრობილ ქართულ ლხინს დაწვრილებით მიმოიხილავს და დასძენს, რომ ომის წინ ლხინი ქართველი კაცისათვის ბუნებრივი მოვლენა იყო. ქართველებს ომი და ლხინი გვერდიგვერდ ჰქონდათ და ორივეს მშვენივრად ართმევდნენ თავს.

გრ. ორბელიანის პატრიოტიზმს ს. ხუნდაძე გადაჭარბებულს და გაზვიადებულს უწოდებს. აქვე მიუთითებს, რომ პატრიოტული საკითხების შეფასებაში ბარათაშვილი გაცილებით უკეთესია, ვიდრე გრიგოლი. ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი „სადღეგრძელო“. მასზე მსჯელობისას უპირველესად იმას წერს, რომ ის არც პოემაა და არც ლექსი, „სადღაც საშუალოა“ (ხუნდაძე 1917:16).

„სადღეგრძელოს“ ფორმის თვალსაზრისით ადარებს ჟუკოვსკის პოემას „თამადა“. აქ გადაიშალა გრ. ორბელიანის ნიჭი, მიმართულება და შეხედულება ცხოვრებაზეა (იქვე).

სამშობლოს სიყვარულის მიზეზად და საფუძვლად პოეტს მიაჩნია: დაბადება და აღზრდა, მშობელთა ალერსი და სამშობლო ქვეყნის ბუნების სიმშვენიერე.

ორბელიანს ქართველი ხალხი გაზვიადებულად ჰყავს დახასიათებული, იგი სხვა ერზე უმშვენიერესად ეჩვენება და ამაში სილოვანი ცუდს ვერაფერს ხედავს.

„ბუნების დახატვაში“ გრ. ორბელიანს ტოლი არა ჰყავს ჩვენს ლიტერატურაში“, - წერს სილოვანი (ხუნდაძე 1917:20). განთიადის აღწერაში, მსოფლიო ლიტერატურაში გრიგოლს ვერავინ შეედრება.

სიყვარულის გამოხატვაში გრიგოლის ლექსებს ხუნდაძე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით დაწერილად თვლის. წმინდა სიყვარულის გვერდით გრიგოლი წმინდა მეგობრობასაც განადიდებს და ამ ორი უკვდავი გრძნობის აღწერა გრიგოლს აახლოებს რუსთაველთან (ხუნდაძე 1917:22).

სილოვანი გრიგოლის შემოქმედებაში ორგვარ მიჯნურობას ასახელებს: ხორციელს და პლატონურს და მიუთითებს, რომ მის ლექსებს უფრო პლატონური

სიყვარულის ელფერი დაჰკრავს. „სადამო გამოსაღმებისა“ პლატონური სიყვარულის საუკეთესო ნიმუშია (იქვე).

„მუშა ბოქულადის“ დახასიათებისას ილია ჭავჭავაძის „მუშას“ უკავშირებს, ორივეგან მშრომელი ადამიანის ეკონომიკური მხარე არის ყურადღებამიქცეული, უნუგეშო მდგომარეობის გამო ცუდ ბედში ჩავარდნილზე წუხს ხუნდაძე. ხაზგასმით გამოჰკვეთს მუშას ტრაგიზმს, რომელსაც წართმეული აქვს სიმშვიდის, სიხარულის, სიყვარულის უფლება, უთანასწორობის პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია, რადგან ვინც შრომობს, ის წელგამართული ვერ ცხოვრობს, ხოლო უშრომელ შემოსავალს მიჩვეულნი მუშებს ზემოდან დასცქერიან.

ლექსის განხილვისას სილოვანმა მიუთითა იმაზე, რომ ადამიანის ფსიქოლოგია ასეთია, დაჩაგრულის მიმართ ცოტა თუ გამოხატავს თანაგრძნობას. „ამაზედ არის ნათქვამი: „ნეტარ არიან მორწმუნენიო“ (ხუნდაძე 1917:29).

ნარკვევის შემდეგი ნაწილია დამატება, სადაც მოთავსებულია გრიგოლ ორბელიანის საუკეთესო ნაწარმოებები: „იარალის“, „სადამო გამოსაღმებისა“, „სადღეგრძელო“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „მუშა ბოქულადე“.

ნაშრომი სრულდება შეცდომების გასწორებითა და სიტყვებით განმარტებით.

1918 წელს სილოვან ხუნდაძემ გამოსცა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების სერიიდან III ტომი - „ვახტანგ ორბელიანი“. ნარკვევი ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიული ცნობების მიმოხილვით იწყება, ისე, როგორც მისი დანარჩენი ყველა ნარკვევი. ხუნდაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამშობლოს სიყვარულის ამალღებული გრძნობა ოჯახში ჩაუნერგეს ვახტანგს. ხაზგასმით აღნიშნავს კრიტიკოსი, რომ ვახტანგ ორბელიანს 70 წლამდე რაიმე ღირებული არ შეუქმნია და მან პოეტური მოღვაწეობა 70 წლის ასაკიდან დაიწყო, გამორჩეული ლექსები მოხუცებულობაში დაწერაო (ხუნდაძე 1918:4).

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაზე საუბრისას, ის პარალელს ავლებს ვიქტორ ჰიუგოსთან. აქვე აღნიშნავს, ვახტანგი წარსულის მომდერალი პოეტია. იგი მხოლოდ წარსულის სურათების აღწერით შემოიფარგლება, რაც სილოვანის აზრით, პოეტის მაღალნიჭიერების საბუთად ვერ გამოდგება, მის შემოქმედებაში არ ჩანს ხალხის ჭირი და ლხინი, ავი და კარგი, ხალხის მრავალმხრივი ცხოვრება მიჩქმალულია.

ხუნდაძე წერს, რომ ვახტანგ ორბელიანი პირველხარისხოვან პოეტად ვერ ჩაითვლება და პოეტური ნიჭით ვერც გრ. ორბელიანს და ვერც ნ. ბარათაშვილს ვერ შეედრება. წარსულ დღეთა დიდების შთაგონებით და მწარე მოგონებით არის გამსჭვალული ვახტანგის თითქმის ყველა ლექსი და ძველი და ახალი დროის შედარების შემდეგ ძველთან შედარებით, აწმყოში უძლურებასა და უიმედობას ხედავს.

ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაზე საუბრისას, სილოვანი გამოჰყოფს რამდენიმე ლექსს, სადაც პატრიოტული სულისკვეთება კარგად გამოსჭვივის. მაგ.: „ნანგრევთა შუა ლამპარი“, სადაც ვახტანგი ამბობს, რომ წარსულ ნანგრევთა შორის ძლიერი ლამპარი ანათებს და განსაკუთრებული სიკაშკაშით კი ორი - თამარი და შოთა.

პესიმისტ რომანტიკოს პოეტად მოიხსენიებს ხუნდაძე ვახტანგ ორბელიანს და მიუთითებს, რომ გრ. ორბელიანთან, ამ მხრივ, მისი შედარება არც შეიძლება. თუმცა, ვახტანგსაც აწუხებდა საქვეყნო ტკივილები და მან, როგორც შეძლო ისე გადმოსცა ეს ყოველივე.

შემდეგი თავის არის „იმედი“. ქვეყნის მწარე სვე-ბედზეა აქ საუბარი. ქართველი ერის მონობაში ყოფნა მძიმედ აწვა გულზე საქართველოს და უგრძობიერეს შვილებს - მის მგოსნებს (ხუნდაძე 1918:11).

წარსული წყვილია იყო მოცული, აწმყო საზარელი, მაგრამ მაინც კიდევ იმედი უნდა გვექონოდა, რომ თამარისა და რუსთაველის სამშობლო აღორძინდებოდა და გაიფურჩქნებოდა:

არა, აჰყვავდეს იმედი,

გულს ვერ გამიტებს ჭადარა! (ხუნდაძე 1918:12).

ვახტანგ ორბელიანის ეს პოემა-ლექსი (ასე უწოდებდა სილოვანი ამ ლექსს - ნ. ბ.) „იმედი“ სილოვან ხუნდაძეს დაკავშირებული აქვს ი. ჭავჭავაძის „აჩრდილთან“. „აჩრდილში“ ხვალისდელი დღის უკეთესი მომავლის საწინდარია მოხუცის გამოჩენა კავკასიონის ქედზე, ხოლო „იმედში“ ასეთ ფუნქციას მშვენიერი ასული ასრულებს.

ვახტანგ ორბელიანისთვის გამორჩეულად საყვარელი მეფე იყო ერეკლე II. ამიტომაცაა მის შემოქმედებაში შოთას და თამარის გვერდით დიდი ადგილი აქვს

დათმობილი ერეკლე მეფესაც (ხუნდაძე 1918:13). სილოვანს ვახტანგ ორბელიანის შეხედულების სჯერა, რომ ხვალინდელი დღე შოთას, თამარის, ერეკლე მეფის სინათლით განათდება და ქვეყანა აღორძინდება. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ორივე ნაწარმოებს აკლია დამაჯერებლობა, არც ილიას „აჩრდილში“ და არც ვახტანგის „იმედში“ საქართველოს აღორძინების იმედი თვალსაჩინოდ არ არის დასაბუთებული (ხუნდაძე 1918:15).

„ნანგრევთა შუა ლამპარში“ - გულისტკივილია გამოხატული ორბელიანისა. ამ „ნანგრევებში“ მომავალი თაობა იჩაგრება, ღირებულებებით არ იზრდება. არადა, ლამპარი იმისთვის არსებობს, რომ მომავალ თაობებს გზა გაუნათოს და გზის სიზნელე გაუადვილოს. ადამიანი ლაპარად უნდა იქცეს. ეს ლამპარი მე-12 საუკუნიდან - გენიოსი შოთაა, თავისი შეუდარებელი პოემით. რაც არ უნდა სასოწარკვეთილი იყოს ქართველი, როცა „ვეფხისტყაოსანს“ წაიკითხავს, არ შეიძლება კვალად იმედით არ აღგეგზნოს გული და აღტკინებით არ წარმოთქვას: „შეუძლებელია შოთა რუსთაველის წარმოშობილი ერის მოკვდესო“! (იქვე).

მოცემული ნაწყვეტებიდან ვხედავთ, რომ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაზე საუბრისას, ორბელიანს, როგორც პატრიოტ ადამიანს და პოეტს, ისე მოიხსენიებს კრიტიკოსი.

სილოვანი დაწვრილებით წერს, ვახუშტის ლექსების თავისებურებებზე და მიუთითებს, რომ უმთავრესი მათში წარსულის თემატიკააო.

ცალკე აქვს გამოყოფილი ვახ. ორბელიანის სოციალურ თემატიკაზე შექმნილი ლექსები. ლექსში „დედოფალი“ კი ორბელიანი ქადაგებს, რომ მომავალი ჩვენი ქვეყნისა უნდა იყოს საკონსტიტუციო მმართველობა. ამგვარი მართვა-გამგეობა, პოეტის აზრით, იმიტომ არის სასურველი, რომ მმართველი ხალხს დაუახლოვდება, მის ჭირ-ვარამს გაეცნობა და მხოლოდ მათ კეთილდღეობაზე იზრუნებს.

დასასრულ, ს. ხუნდაძე გვესაუბრება ვახ. ორბელიანის პოეტურ ენაზე და წერდა, რომ მისი ენა არ იყო მრავალფეროვანი, ღრმა პოეტური შედარებებითა და მეტაფორებით სავსე, რაც მის მხატვრულ შემოქმედებას ჩრდილს აყენებს. აღნიშნულ შეფასებაში სილოვან ხუნდაძე თანამედროვე კრიტიკოსთა აზრებს იმეორებს, რადგან ვახტანგ ორბელიანის ლექსები მაშინდელ ლიტერატურათმცოდნეობაში ზუსტად ასე

იყო შეფასებული.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ ცალკე თავადაა დამატება, რომელშიაც შეტანილია ვახ. ორბელიანის რამდენიმე საუკეთესო ნაწარმოები: „ჯვარი ვაზისა“, „ნანრგევთა შუა ლამპარი“, „ობოლი“, „დედოფალი“, (რომელსაც ეპიგრაფად შოთა რუსთაველის სიტყვები აქვს წამძღვარებული „მიჯნურობას სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“), „იმედი“.

წიგნს ბოლოში ახლავს შენიშვნები და შეცდომების გასწორება.

ამრიგად, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაზე საუბარს, ს. ხუნდაძე ასრულებს შეჯამებით, რომ იგი იყო პასიური რომანტიზმის წარმომადგენელი და მის შემოქმედებაში ყველაზე ღირებული არის პატრიოტულ და სოციალურ თემატიკაზე შემქნილი რამდენიმე ლექსი. თუმცა, ყველაზე უფრო კალამი მას პატრიოტულ ლირიკაში უჭრიდა.

სილოვანი ვ. ორბელიანის შემოქმედების შეფასების ახალს არაფერს ამბობს, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ის ამ მიგნებებამდე საკუთარი გზით მივიდა და ეს ფაქტი მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს.

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოთა გამოცემით სილოვან ხუნდაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა იმხანად ქართული სახალხო განათლების განვითარებაში. თითოეული სახელმძღვანელო სტრუქტურულად ერთნაირადაა აგებული: წარმოდგენილია მწერლის ბიოგრაფია, მისი შემოქმედების ანალიზი და საზოგადო დასკვნა.

სილოვან ხუნდაძემ, გარდა აღნიშნული სახელმძღვანელოებისა, არაერთი სტატია უძღვნა ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვას. ყოველი მათგანი არის გამოხატულება მისი როგორც მწერლისა და კრიტიკოსის უანგარო და თავდაუზოგავი შრომისა მშობელი ერის წინაშე.



## თავი IV

### კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები

სილოვან ხუნდაძის ლიტერატურულ საქმიანობაში ცალკე უნდა გამოიყოს კრიტიკულ-პუბლიცისტური ნააზრევი, რომლებშიც კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება საზოგადოების ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხისადმი. ისინი გამოქვეყნებულია მაშინდელ პრესაში, მათი რაოდენობა ორ ასეულზე მეტია და თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში ქუთაისში მრავალი დასახელებისა და სხვადასხვა მიმართულების პერიოდული ორგანო გამოდიოდა.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ქუთაისის პრესის ყურადღების ცენტრში იდგა, მშობლიური ენა იყო. გაზეთის ფურცლებზე შუქდებოდა ქართული ენის შენარჩუნების, გავრცელებისა და სიწმინდის დაცვისადმი მიძღვნილი საკითხები.

საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა სახელმწიფო სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხი. მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა კატეგორიულად მოითხოვდა, რომ სასწავლებელს კურსდამთავრებულთათვის ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა მიეცა. სილოვან ხუნდაძე, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მაშინდელ პერიოდულ პრესაში ინტენსიურად დაიწყო სტატიების გამოქვეყნება, რომელთა უმრავლესობაშიც იგი გამოდიოდა ქართული ენის დამცველად და მოუწოდებდა ახალგაზრდობას, საფუძვლიანად შეესწავლათ მშობლიური ენა.

ს. ხუნდაძემ ბევრი რამ გააკეთა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის. სალიტერატურო ენის იმდროინდელ თეორეტიკოსთა შორის იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო, პრინციპული, თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწე იყო. მის მიერ დაბეჭდილი მრავალი სტატია წარმოადგენს კონკრეტულ სადავო საკითხთა მოგვარების მცდელობას და სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საყრდენ, ამოსავალ დებულებათა ჩამოყალიბებას.

ქუთაისურ პრესაში პერიოდულად იბეჭდებოდა ს. ხუნდაძის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები. მისი წერილების თემატიკა და ჟანრობრივი

შემადგენლობა აქტუალური და მრავალფეროვანი იყო: შინაური მიმოხილვა, სამეურნეო-ეკონომიკური საკითხები, აღზრდა-განათლების სისტემა, ლიტერატურული კრიტიკა, ქართული ენის საკითხები და სხვა.

გაზეთებში: „ივერია“, „სამშობლო“, „დროება“, „კვალი“, „სახალხო ფურცელი“ და სხვა გაბნეულია სილოვან ხუნდაძის საინტერესო მოსაზრებები ენის ნორმალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. გაზეთ „კვალს“ ცალკე განყოფილება ჰქონდა - „სასწორმეტყველო“, რომელშიც სამუშეოზე გამოჰქონდათ ჩვენს მწერლობაში შემჩნეული ენობრივი შეცდომები.

1894 წ. გაზეთ „კვალის“ 32-ე ნომერში დაიბეჭდა ს. ხუნდაძის წერილი „ახალი თუ ძველი ენა“, რომელიც სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითად პრინციპთა ჩამოყალიბების ცდას წარმოადგენდა. ავტორს აქ განხილული ჰქონდა სხვადასხვა საკითხი. ესენია: ენის ცვალებადობა, ენის სიმარტივე, მწერლის მიერ ნაწარმოებში კუთხური მეტყველების გამოყენება, უცხო სიტყვათა დამკვიდრების საკითხი, ბგერათა კეთილხმოვანება და სხვა.

ს. ხუნდაძემ გაზეთ „კვალის“ 1894 წ. 29-ე ნომერშიც გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა სტატია, სადაც გააკრიტიკა იაკობ გოგებაშვილი. აქ ყურადღება გამახვილებული იყო ჰაესა და სანის ხმარების შესახებ. ავტორი თვლის, რომ ჰაე ძველად უცხო ენების გავლენით შემოუღიათ, ხალხში კი ჰაე არ ისმის და მის შემცველ სიტყვებს გამოვთქვამთ, როგორც მაგალითად ხარი. კრიტიკოსი აქვე დასძენს, რომ დღევანდელ ქართულში ჰაეს გამოყენებაში სრული არევ-დარევაა. რაც შეეხება სანს, იგი კეთილხმოვანების თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ ზმნებში. მაგ.: უნდა იყოს მისცა, გასცა და არა მიცა, გაცა. საჭიროდ თვლის ხუნდაძე მის ხმარებას ცხრა თანხმოვნის წინ.

მეტად საინტერესოა 1832 წელს, ჟურნალ „ივერიის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნებული ხუნდაძის წერილი „ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში“, რომელიც სილოვანმა პოეტის 50 წლის იუბილეს მიუძღვნა. სტატიაში განხილულია გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება ისტორიულ ჭრილში. თუმცა, სანამ ორბელიანის ლექსებზე საუბარს დაიწყებდეს, კრიტიკოსი ეროვნული ცნობიერების ამაღლების შესახებ საუბრობს, ყველა ეროვნების წარმომადგენელმა უნდა იამაყოს თავისი

წარსულით, ქართველმა ქართველობით, ინგლისელმა ინგლისელობით. მშობლიურ ფესვებთან მოწყვეტამ მამულიშვილური სიყვარული არ უნდა გაანელოს. უნდა დავაფასოთ და წარმოვაჩინოთ ის ადამიანები, ვინც სამშობლოსთვის იღვწის, ვისთვისაც მამულის სიყვარული უპირველესი მოვალეობაა. ასეთ ადამიანთა რიცხვში აკაკისთან ერთად სილოვანი გრიგოლ ორბელიანს ასახელებს და აღნიშნავს, რომ ყველაზე უკეთ გრიგოლის პატრიოტიზმი მის ისტორიულ თემატიკაზე დაწერილ ლექსებში გამოვლინდა. „იარალი“ ამის საუკეთესო მაგალითია, სადაც სამშობლოს სიყვარულის ფონზე გაშლილია პოეტის სევდა, რომ იგი მისტირის ძველ დროს, როცა საქართველო იყო ერთიანი და თავისუფალი, როცა ხალხს რწმენა და ერთგულება დიდ ღირებულებად მიაჩნდა და მამულისათვის თავის განწირვა საამაყო იყო.

სილოვან ხუნდაძე ისტორიული წარსულის გაცოცხლებით, გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებით კავშირს ნიკოლოზ ბარათაშვილთან ხედავს და პარალელებს ავლებს მის „ბედი ქართლისასთან“. აქვე ასახელებს ისტორიულ კილოზე დაწერილ ნაწარმოებებს. ესენია: ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“, აკაკი წერეთლის „ბაგრატ დიდი“, რაფიელ ერისთავის „ასპინძის ომი“ და სხვები. ჩამოთვლილ ნაწარმოებებს ს. ხუნდაძე ისტორიულ თემატიკის დასაწყისად მიიჩნევს ქართულ ლიტერატურაში. აქვე წერს, რომ წარსულის იდეალიზაციას თავისი საფუძველი ჰქონდა და ის ნაკარნახევი იყო არსებული რეალობით. „თუ ახლანდელის ცხოვრების შემხედველს მიწყულდება გული ყოველისფრის არარაობით და ცრემლმოდენით ვიგონებ გორგასლანს, თამარს, რუსთაველს და სხვებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყოველისფერში ვითომც იმათ დროს შევნატრიდე, - არა, მე ამით მსურს, რომ ახლანდელ მომქმედ პირებს ჰქონდესთ იმათგვარი სული და გული, იმათგვარი ენერგია, იმათგვარი თავგანწირული მამულის სიყვარული“ (გაზ. „ივერია“ 1882:12).

ამ კრიტიკულ სტატიაში სილოვანს ასევე განხილული აქვს გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“. პოემის ისტორიულ პერსონაჟებზე საუბრის შემდეგ მოცემულია კრიტიკოსის დასკვნები, რომელიც საყურადღებოა, რადგან მასში ჩანს სილოვანის შეფასებები როგორც გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების მიმართ, ასევე მისი დამოკიდებულება წარსულისა და აწმყოს მთლიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნის წინსვლის ქვაკუთხედაა.

დასახელებული სტატიის მთავარი სათქმელი კი ის არის, რომ სილოვანისთვის ამდენი ნატვრა წარსულისა და უიმედო თვალთ ცქერა აწმყოსი, ქვეყანას სასიკეთოს ვერაფერს მოუტანდა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებიდან კი ზუსტად ეს გამოსჭვივის.

XIX ს-ის მიწურულს „ივერიასა“ და „კვალს“ შორის დიდი კამათი ატყდა ზმნის ფორმების აღვიარებ და ვაღიარებ გამო. კამათში მონაწილეობას იღებდნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სილოვან ხუნდაძე, კოტე დოდაშვილი, მეგრელი და სხვები. ამ საკითხს აკაკი წერეთელმა მიუძღვნა 3 წერილი, იაკობ გოგებაშვილმა - 10 წერილი, 17 ფელეტონი, გიორგი წერეთელმა - 4 წერილი, სილოვან ხუნდაძემ - 6 ფელეტონი.

1894 წ. გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა სილოვანის წერილი უცნაური სათაურით: „ვინ უნდა გამართოს სადილი?“ „მე ვიყავი მედიატორედ, - ამბობს სილოვანი, - კამათმა გამოარკვია, რომ გოგებაშვილი არ არის მართალი; რაკი თავიდანვე დათქმული იყო, რომ წაგებულმა სურამში უნდა გამართოს სადილი, ამიტომ ი. გოგებაშვილი ვალდებულია ეს პირობა შეასრულოს“ (გაზ. „კვალი“ 1894:43). ავტორი აქვე დასძენს: „მიგვიპატიჟოს სადილათ: და ჩვენ ჩვენი მხრით მოლხენას არ მოვაკლებთ: აკაკი შაირებით დაატკობს საზოგადოების სმენას, მე ჩანგურს დავუკრავ და ზედ დავამღერებ ჩვენებურათ - ძველებურათ“ (იქვე).

„კვალის“ პოზიცია სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის თაობაზე პირველ რიგში ს. ხუნდაძის და კ. დოდაშვილის დებულებებში გამჟღავნდა.

ს. ხუნდაძე ხშირად მართავდა პაექრობას ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ენობრივ ნორმებთან დაკავშირებით. მაგ.: გაზეთ „იმერეთის“ 1903 წლის პირველსავე ნომერში რუბრიკით „შინაური მტრები“ ავტორი დაუნდობლად აკრიტიკებს თავად ვლადიმერ მიქელაძეს, რომელსაც დაუწერია, „სილოვანი ილია ჭავჭავაძეს და გოგებაშვილს ენას უწუნებდაო და თვითონ ოღასყურული ქართულის მცოდნეაო“ (გაზ. „იმერეთი“, 1903:1). „რა უნდა ველაპარაკო იმისთანა ვაჟბატონებს, - წერს ს. ხუნდაძე, - რომელნიც სილოვანს ენის უცოდინარობას ეწამებიან და თვითონ კი თავის მკითხველებს ამგვარი „კარტულით“ უმასპინძლდებიან: „ზდანოვიჩმა ქარხნის კეთებას შეუდგა“, „მაგისანა“, „ამისანა“, „რომელშიდაც“ (იქვე). ს. ხუნდაძესა და ვლ.

მიქელაძეს შორის ასეთი მწვავე პოლემიკის საფუძველი გაზეთ „ფარის“ 1903 წლის №3-ში გამოქვეყნებულ წერილში „შინაური მიმოხილვა“ უნდა ვეძებოთ, იგი ხელმოწერილია ფსევდონიმით „ს“. წერილის დასაწყისში ავტორი ერის განვითარებაში მშობლიური ენის განსაკუთრებულ როლზე საუბრობს: „თითოეული ერის პროგრესულ წინსვლაში დედაენა განსაკუთრებულ როლს ასრულებს. თუ ენა იმდენად განვითარებულია, რომ ყოველი აზრი იმის საშუალებით სავსებით და ღამაზათ შეიძლება გამოხატო, მკითხველი მეტი ხალისით დაეწაფება ამგვარი ენით დაწერილ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთებს“ (გაზ. „ფარი“ 1908:3).

ს. ხუნდაძემ ჟურნალ „განათლებაში“ (1911, №9) დაბეჭდა წერილი „ქართული ენა“ და ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი რამდენიმე ენობრივი საკითხის სიზუსტეს. მაგ.: „კონტექსტში ენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს - „ისინი წავიდენ“, - „ცხვირში სისხლი წავიდენ“ როგორ უნდა გარჩიოთ? ძალიათ ადვილათ: თუ რომ ცხვირში სისხლის დენა გენატრებათ ან სიცხე მოგცესთ და ოფლი იდინოთ, მაშინ სისხლის დენასა და ოფლის მოდენაზე ილაპარაკეთ და თუ წასვლა-წამოსვლაზეა ლაპარაკი, იმედია მიხვდებით, რადგან ამის გაგებას დიდი სიბრძნე არ სჭირდება“ (გაზ. „განათლება“ 1911:9).

სილოვანის ასეთი ხასიათის წერილები ნათელს ხდის მის შეხედულებებს და დამოკიდებულებას ქართულ ენასთან. მისი აზრით, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია იბრძოდეს ენის უფლებებისათვის მანამ, სანამ იგი არ დაიკავებს ღირსეულ და კუთვნილ ადგილს სკოლაში, ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და საზოგადოდ ყველგან, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. გაზეთ „ფარის“ 1908 წლის მე-4 ნომერში დასტამბულ სტატიაში მაგალითად მოყვანილია ფრანგი მწერლის მისტრალის გამონათქვამი ენის შესახებ: „ვინც თავის ენას იცავს, მას ხელთ აქვს კლიტე, თავისი ბორკლის გამლები და თავისუფლების მიმნიჭებელი“ (გაზ. „ფარი“ 1908:4).

ქართული ენის საკითხებისადმი მიძღვნილი სილოვანის ერთ-ერთი სტატია „გაზეთი ივერია და მისი ენა“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „თეატრის“ 1886 წლის მე-14 ნომერში.

ავტორისათვის ამოსავალია დებულება: „ლიტერატურული ენა უნდა იყოს შეზავებული ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მშვენიერი ფორმებისაგან და სიტყვებისაგან“ (გაზ. „თეატრი“ 1886:14).

ავტორი ამბობს, „ამერიულ კილოს (იგულისხმება ქართლური) მეტი ადგილი სჭერია და უნდა ეჭიროს ჩვენს ლიტერატურულ ენაში, მინამ იმერულს, მაგრამ იმერული კილო, იმერული ელემენტი ისე აუცილებელია... როგორც თევზისათვის წყალი... იმერული კილო ამსუბუქებს ჩვენს ენას, აკვლევებს მას და პოეტურ სილამაზეს აძლევს“ (იქვე).

საინტერესოა გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე მოსე ჯანაშვილისა და სილოვან ხუნდაძის კამათი „ენის ზოგიერთი ცრუ ნორმების შემოდების შესახებ“, სადაც ისინი დაობდნენ იმ საკითხის გარშემო, რომ მწერალს უნდა ეწერა თუ არა კუთხური, პროვინციალური ენით, თუ მხოლოდ იმის უფლება ჰქონდა, ნაწარმოებები სალიტერატურო ენაზე დაეწერა.

XX საუკუნის მეორე ათეული წლების დამდეგს ი. გოგებაშვილსა და სილოვან ხუნდაძეს შორის დაიწყო გახმაურებული დავა ქართული ენის საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში, ქართული მართლწერის საკითხებში უკვე საკმაოდ ცნობილი იყო სილოვან ხუნდაძის ნაშრომები.

„სახალხო გაზეთში“ (1911 წ., №475) იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის სტატია - „პასუხი სილოვან ხუნდაძის წერილისა“. საპასუხო წერილი სილოვანმა დაბეჭდა გაზეთ „კოლხიდაში“ 1911 წლის №188, სათაურით „ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის ქართული ენა“. ამ პოლემიკაში მთავარი საკითხი ის იყო, იყო თუ არა მართებული სილოვან ხუნდაძის მართლწერა და გარჩევა მისი ნაწერების ავ-კარგისა.

ს. ხუნდაძე თავის პუბლიცისტურ წერილში - „მკვლევები და მცველები“, რომელიც ბროშურის სახით გამოაქვეყნა 1907 წელს, ილია ჭავჭავაძის დამცველად გამოდის და მიმართავს ილიას კრიტიკოს სოციალ-დემოკრატებს: „თამამად შემიდლია პირდაპირ გითხრათ თქვენ, ბ-ნო სოციალ-დემოკრატებო და გამოგიცხადოთ: დიახ თქვენ, თქვენ ხართ საქართველოს მტერნი. საქართველოში თქვენი „დიდებული მოძრაობა“ ქართველი ეროვნების უარყოფასა და ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში გამოიხატა“ (ხუნდაძე 1907:4).

ხუნდაძე ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის შეფასებისას შემოიფარგლა სოციალ-დემოკრატების მიმართ წაყენებული ბრალდებით. წერილში იგი მიუთითებს „პარტიულ სიძულვილზე“, რომელიც ილიას მკვლევლობის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. სოციალ-ფედერალისტებიც იყვნენ იმ პარტიის რიგებში, რომლებიც ილიას აკრიტიკებდნენ, რადგან ილია არ ემხრობოდა პარტიების მოწოდებას რევოლუციური მოქმედებებისაკენ.

1907 წელს სილოვანმა დაბეჭდა მისი მეორე ბროშურა: „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“, სადაც წერს, რომ „უპატრონო და სინდისზე ხელაღებულნი, იქამდისაც მივიდნენ, რომ მის თხზულებებს საჯაროდ სწვავდნენ, მის სურათებს გლეჯდნენ, სთხრემდნენ ყოველგან, სადაც კი თავიანთი ბინძური ხელი მიუწვდებოდათ...“ (ხუნდაძე 1907:3).

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის უდავოდ დიდმნიშვნელოვანი საქმე იყო „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთება 1886 წლის პირველი იანვრიდან. გაზეთის რედაქტორი და სულის ჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე იყო, რომელიც ენის საკითხებს ძალიან მტკივნეულად ეპყრობოდა როგორც თავის ნაწერებში, ისე სხვათა წერილებში, რომლებიც „ივერიაში“ იბეჭდებოდა. ის გარკვეულ ფორმებსა და გამოთქმებს ხმარობდა, რაც ყველას არ მოსწონდა. მაგალითად, სილოვან ხუნდაძემ ცხარე წერილი უძღვნა „ივერიის“ პირველ ნომერს (გათ. „თეატრი“, 1886 წ, №13), სადაც წერდა, რომ გაზვიადებული კილო, გაბერილი სიტყვები, რთული სიტყვები ანტონ კათალიკოსის მიზამვითაა გამოყენებული და ენას ართულებსო. „ივერია ძალიან ჰგავს ანტონს (კათალიკოსს) და კიდევ სესხულობს იქიდან სიტყვებსა და ასოებს“ (იქვე). უკმაყოფილოთა რიცხვში ნიკო ნიკოლაძეც ერია, რომელმაც „ივერიის“ პირველი ნომრის ენა გაარჩია და დაიწუნა.

ხუნდაძის ამ შეხედულებებს დაუპირისპირდა ი. ყიფშიძე და მათ უსაფუძვლო უწოდა, რაზეც სილოვანმა სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემის დანართში უპასუხა: „მე ვამბობ, რომ მეგრული და სვანური ენები, ქართული ენის შტოებია-მეთქი“ (ხუნდაძე 1917:34).

დედაენის მნიშვნელობაზე, ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე სილოვან ხუნდაძე უპირისპირდება ჯომუა ფიშმანის შემოთავაზებულ მოდელებს, რომელიც

შეურაცხყოფდა ქართული ენის ისტორიას. გაზეთ „იმერეთში“ (1912, 47-ე ნომერი) ამის თაობაზე სილოვან ხუნდაძე წერს: „ჯერ თვით ეს 1881 წლის ინსტრუქციაც იმგვარი შინაარსისაა, რომ საღ პედაგოგიურ მოთხოვნილებასთან ძალიან შორსაა...ნუ დაივიწყებენ, რომ დედაენის მნიშვნელობა ყოველი ადამიანისა და ყოველი ერისთვის განუსაზღვრელია და მისი ინტერესების ჩაგვრასა და შეფერხებას ერის შეგნებული ნაწილი ადვილათ ვერ შეურიგდება“ (გაზ. „იმერეთი“ 1912:47).

ს. ხუნდაძემ მდიდარი ენათმეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მან ქართველური დიალექტებისადმი საკუთარი დამოკიდებულება ნათლად წარმოგვიდგინა. იგი წერდა, რომ სვანურის და მეგრულის გრამატიკული ფორმები დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენდა (გეჯუა 2021:70).

1919 წელს, სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევისას, სპეციალურმა კომისიამ განიხილა ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“. აკ. შანიძის რეცენზიის საფუძველზე კომისიამ „დროებით ნებადართულად“ აღიარა ნაშრომი (გეჯუა 2021:72).

ყველა შენიშვნა, რაც კი გამოითქვა ხუნდაძის მისამართით ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, მან ვრცლად უპასუხა გაზეთ „სახალხო საქმის“ №706, №707,709 ნომრებში (1919 წ.).

საპასუხო წერილში ჩანს ს. ხუნდაძის მყარი პოზიცია ენობრივი ერთიანობის საკითხში. აქ იგი ეკამათება აკაკი შანიძეს. შანიძე წინააღმდეგი იყო „ქართულ გრამატიკაში“ მეგრულის და სვანურის მონაცემთა შეტანისა. სილოვანმა ამ შენიშვნას ვრცლად უპასუხა: „მეგრული და სვანური შტოებია ქართული ენისა და არა განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდნენ და დღესაც ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა... მე რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მომყავს დედა ქართულისა და მისი კილოების ნათესაური კავშირისა“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919:№709), (ხუნდაძე 1927:2).

1907 წელს ქუთაისში სილოვან ხუნდაძის ვრცელი შესავალი წერილითა და შენიშვნებით გამოიცა ილია ჭავჭავაძის პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და მთელი რიგი სხვა წერილები, რომლებშიც ზედმიწევნითაა განსჯილ-განხილული ესა თუ ის ნაწარმოები. ყოველ მათგანი თვალნათლივ



ადასტურებს, თუ რარიგ ზედმიწევნით იცნობდა მათი ავტორი როგორც ძველსა და ახალ ქართულ ლიტერატურას, საერთოდ, ისე მის ყველა მნიშვნელოვან ქმნილებას.

აქვე უნდა დავასახელოთ მისი წინასიტყვაობითა და რედაქტორობით გამოცემული ორტომეული, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს ეძღვნება. ორივე ტომს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, სადაც სილოვანის მიერ შეფასებულია ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

სილოვანის საოჯახო არქივში ინახება წერილები მისი უფროსი შვილისადმი - კუკურისადმი, რომელიც გარკვეული პერიოდი იდეურად დაახლოებული იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და ამის გამო საყვედურობს მას. კუკური ხუნდაძე ერთი პერიოდი ემხრობოდა მარქსისტულ ფილოსოფიურ შეხედულებებს. სილოვანი შვილის ასეთ საქციელს ყმაწვილური უმეცრებით ხსნის. „შენ მაშინ მოწაფე იყავ და მოჯადოებულ წრეში ჩაგითრიეს, სადაც დემოკრატთ მოგნათლეს“. სოციალიზმის მარქსისტული მოძღვრება სილოვანისთვის უსაფუძვლო და აბსურდია, ამიტომ შვილს ურჩევს, დროზე გამოერიდოს ამ გაუგებრობას.

ერთ-ერთი ასეთი წერილი დათარიღებულია 1917 წლის 6 მაისით. ეს წერილიც ასევე გამოუქვეყნებელია, სილოვანი შვილს სამომავლო გზას ულოცავს და რჩევა-დარიგებებს აძლევს: „შვილო კუკური! იმისთანა დროს, როგორც დღეს არის, ყოველი მოქალაქის სიცოცხლე, ბრძოლის ველზეა ის თუ სახლში, სასწორზეა დადებული, დღეისათვის სათქმელი ხვალისთვის არ გადაიდება, როგორც ეს მოსახერხებელია ნორმალურ დროს. ამიტომ მწადია ჩემი აღსარება გითხრა: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხეო და შენ ჩვენს შვილს კი მოგეთხოვება - მართალი, პატიოსანი, გულახდილი იყო. ქენი სიკეთე და ყოველივე შენი ნაბიჯით გაგვახარე, არასოდეს გახდე გარემოებათა მსხვერპლი, გახსოვდეს ოჯახი და მამული“. კუკური თავისი საქმიანობით დაუპირისპირდა მაშინდელ რეჟიმს და კიდევ შეეწირა მას. ძალიან მალე იგი რეპრესიების მსხვერპლი გახდა, 1937 წელს დახვრიტეს.

პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომია სილოვანის მიერ გამოცემული წიგნი „ჩემი აზრი და ფიქრები - აღსარება“ (1909 წ.), ქვესათაურით - „ჩემი თავგადასავალი სალიტერატურო ასპარეზზე“, სადაც შეჯამებულია ოცდაათწლიანი მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. შესავალში ავტორი გულისტკივილით წერს იმ უსამართლობის შესახებ,

რაც ახასიათებს ზოგიერთ ქართველ კრიტიკოსს, სილოვანი აღნიშნავს, რომ „დიახ, ჩვენში ჯერ კიდევ სამწუხაროთ შეგნებული, გულწრფელი, მიუდგომელი, - ერთი სიტყვით ჭემმარიტი კრიტიკა არ არსებობსო“ (1909:5). ავტორის აზრით, კრიტიკა უნდა იყოს საფუძვლიანი, სწორი, გულწრფელი და ჯანსაღი. დასაწყისშივე საუბრობს იგი გაზეთ „ივერიაში“ მათთან დაპირისპირების შესახებ და აღნიშნავს, რომ ის, რის გამოც დაუპირისპირდა მას გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში თავმოყრილი ერთი ჯგუფი, რომელსაც სილოვანი „ჯურის ხალხს“ უწოდებს, ისინი ენას უწუნებდნენ სილოვანს. პეტრე მირიანაშვილი, რომელმაც დაცინვისა და გაკილვის საგნად გაიხადა ხუნდაძის მიერ რუსულიდან ქართულად ნათარგმნი ერთი რომანსი (სიმღერა) „დაჰკრეს ბუკი და ნადარა - და თარგმანის ინიციატორიცა და მთარგმნელიც მასხარათ აგვიგდეს, ათასნაირი დამცინავი სიტყვით შეგვამკეს. ჩემი პოეტური ნიჭი და კალამი მიწასთან გაასწორეს“ (ხუნდაძე 1909:6), ასე საყვედურობს სილოვანი გაზეთ „ივერიის“ გუნდს.

ავტობიოგრაფიული ხასიათის ამ ნაწარმოებში ხუნდაძე აღნიშნავს, რომ მისი კალმისადმი კრიტიკული ქარცეცხლი არ განელეებულა, დროის გასვლის შემდეგაც მის ნაწერებს აღმაცერად უყურებდნენ.

საკუთარი ნაწერების საუკეთესო კრიტიკოსი თავად სილოვანია: „თქმა არ უნდა, ჩემს ნაწერებში ბევრია სუსტი, - მაგრამ, თამამათ შემოძლია ვსთქვა, - სასაცილო კი - არც ერთი“ (ხუნდაძე 1909:8).

სილოვანისადმი მძაფრი კრიტიკა არც შემდგომ წლებში განელეებულა და ყველაზე მეტად ამაზე წუხს პოეტი, რომ მისი შემოქმედებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეურაცხმყოფელი იყო. განსაკუთრებულ გულისწყრომას გამოთქვამს გაზეთ „ნაკადულის“ რედაქტორის - დემურიას ქვრივის მიმართ, მისი დაჟინებული თხოვნით მიიტანა რედაქციაში ლექსი „ქართველ მოწაფეებს“ და ტყუილად ელოდა თავის ლექსს პრესაში, არ დაუბეჭდეს, მიზეზი ის იყო, რომ არ ცვნიეს მოსწავლეებისათვის შესაფერისად. არადა, რამდენიმე ათეული წელი მასწავლებლად მუშაობდა სილოვანი და ბავშვებთან ურთიერთობა ნამდვილად შესაშური ჰქონდა.

სილოვანი ამ პუბლიცისტური ნააზრევში საუბრობს იმის შესახებაც, რომ რედაქციები შეგნებულად არ ბეჭდავდნენ მის ნაწარმოებებს. საცილად იგდებდნენ მის ლექსებს. ერთ შემთხვევას იხსენებს, 1907 წ. ივლისის თვეში მომხდარს. ქუთაისში

სტუმრად მყოფ სპარსელ ქართველებს ზეიმი და ვახშამი გაუმართეს. სილოვანს დაავალეს სტატია დაეწერა გაზეთ „ისარში“ გამოსაქვეყნებლად აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. წერილს თან ერთვოდა სილოვანის ლექსიც. არცერთი არ დაუბეჭდეს მას. რედაქციის ერთ წევრს, ილია ნაკაშიძეს ჰკითხა შემდეგ სილოვანმა მიზეზი, მან ასეთი მოკლე პასუხი გასცა: „სუსტად იცნეს შენი ნაწერი და იმიტომ არ დაუბეჭდიათო“ (ხუნდაძე 1919:13). ამ პასუხმა სილოვანი ძალიან აღაშფოთა და რედაქციას ცხარე წერილები მისწერა, თუ რა საფუძველი ჰქონდათ რედაქციებს, ასეთი პასუხი გაეცათ სილოვანისათვის.

ხუნდაძე წერს, რომ თავმოყვარეობა კი არ ალაპარაკებს, ან ტაშს და ხოტბას კი არ ითხოვს საზოგადოებისაგან, მაგრამ იმაზე კი გამოთქვამს გულისწყრომას, რომ „ადამიანის აზრებსა და გრძნობებს ულმობელ ჯალათებათ წინ უხვდებიან და გაბოროტებული ხელით შლიან, შხამის მორევში ახრჩობენ!“ (ხუნდაძე 1909:15).

რედაქციების მიმართ გულისწყრომაში სამართლიანია სილოვანი. მათ არ ჰქონდათ უფლება სტატიის თუ ლექსის არ დაბეჭდვისა, რადგან უტყუარი შემფასებელი არის მკითხველი საზოგადოება და ის განსჯის კრიტიკოს-მწერლის ავსა და კარგს.

ხუნდაძე „აღსარებაში“ ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დაუმსახურებელი უსიამოვნებანი მიუყენებიათ მისთვის სამწერლო ასპარეზზე.

ჟურნალ „მოამბეში“ თანამშრომლობისას „ქობულელის“ დაბეჭდვა სურდა სილოვანს, თუმცა „მოამბემ“ ის არ დაუბეჭდა, შემდგომ კი „კვალში“ გამოაქვეყნა. სილოვანი წერს, რომ რადგან „მოამბეში“ „ქობულელზე“ მდარე ლექსები იყო და ამ ლექსის დაუბეჭდაობა პირად უყურადღებობას დააბრალა, ამის გამო „მოამბის“ რედაქციას მკვახე წერილი მისწერა.

ქართულ მწერლობაზე საუბრის დროს „აღსარებაში“ აღნიშნავს ხუნდაძე, რომ ჩვენი მწერლობა პოეზიით მდიდარი და კრიტიკით ღარიბიო. სილოვანი იმაზეც წუხს, რომ მის ლექსებს ჭეშმარიტი შემფასებელი არ ჰყავდა. ერთ ფაქტს იხსენებს, როცა მისი ლექსი („მოგონება“) იაკობ გოგებაშვილმა თავის კრებულ „ხომლში“ შეიტანა, სილოვანის სახელი არ უხსენებია. ყველა ლექსს თავისი ავტორის სახელი მიუწერა, ხუნდაძეს კი ჭალადიდელის სახელი მიაწერა, როცა „ბუნების კარში“ შეიტანა 1906 წ.

სილოვანი ამაზე ძალიან გაბრაზებულია და თან იმასაც მიმხვდარა, რომ ამ ლექსსაც არ შეიტანდა გოგებაშვილი, რომ სცოდნოდა მისი იყო.

სილოვანი ჩამოთვლის გაზეთებს: „ივერიას“, „მოამბეს“, „კვალს“, „ნაკადულს“ - ყოველ მათგანს თითო „ქიშტი“ წაუკრავთო, დასძენს იგი. თუმცა, სილოვანს ეს არ აშინებს, იგი მზადაა სიცოცხლის ბოლომდე ემსახუროს სამშობლოს - კალმით, ღონით, ნიჭით, რაც კი ბუნებას მისთვის მიუცია.

„დროების“ რედაქციამ 1909 წლის 29 მარტის ნომერში სატირული შაირი უძღვნა სილოვანის ლექსს, რომელიც „დროების“ 73-ე ნომერში დაიბეჭდა. ამ სატირას სამართლიანად არ თვლის სილოვანი, სადაც მის ნაწერს მოიხსენიებენ, როგორც ნაჯღაბნს, რომელიც დაბეჭდვის ღირსი არ არისო. ასეთი და ამგვარი უსაფუძვლო კრიტიკა ბევრი დაუწერთ სილოვანის შემოქმედებაზე, რომელიც მისთვის ძალიან გულსატკენია. უსამართლო და უსაფუძვლო დაცინვას უწოდებს ამას და რედაქციას მოუწოდებს ასეთი „მოშხამვებისაგან“ თავი შეიკავოს.

ს. ხუნდაძის პუბლიცისტური წერილებიდან აღსანიშნავია ერთ-ერთი მათგანი სათაურით: „ვის უნდა თანაგრძნობა“. აღნიშნულ წერილში ავტორი ეხება მეტად აქტუალურ საკითხს. 900-იანი წლებისას - ინგლის-ბურების ომს. წერილში აშკარად იგრძნობა მწერლის მსოფლმხედველობა. იგი მკაფიოდ აკრიტიკებს გაზეთ „კვალს“, რომელიც მხარს უჭერდა ინგლისელებს. მწერალი მხარს უჭერს ამაყ ბურებს, რომლებიც იბრძოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ლექსების კრებულში სილოვანმა რამდენიმე კრიტიკული წერილი შეიტანა. ესენია: „ქუთაისური ოპოზიცია“, „თავად ალ. ჭავჭავაძის ლექსების განხილვა“ და სხვა.

საინტერესოა მისი წერილები გაზეთის რედაქტორებისადმი მიწერილი. 1882 წელს 18 მარტით დათარიღებულ წერილში სილოვანი თხოვს რედაქტორს, რათა მისი ლექსი გაზეთში დაბეჭდოს, ოღონდ ზუსტად ის, როგორც მან დაწერა და არა გადაკეთებულად. პეტერბურგიდანვე გამოგზავნილ წერილში იტყობინება, თუ რა ძვირად ფასობს იქ ქართული ენა, რომ ყოველგვარი ქართული იდევნება და პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტობას ისლა დარჩენია თავის უბეში შეიფაროს და გადაარჩინოს მშობლიური ენა.

1881 წლის 18 ნოემბრით თარიღდება გაზეთ „შრომის“ რედაქტორისადმი გამოგზავნილი წერილი, სადაც კვლავ ლექსის დაბეჭდვას ითხოვს და ნებართვას იღებს რედაქტორისაგან, რომ დაბეჭდვის შემთხვევაში ლექსში დატოვოს იმერული დიალექტები.

მწვავე პოლემიკის ნიმუშია სილოვან ხუნდაძის წერილი „უტიფარი შიკრიკი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „იმერეთის“ 1908 წლის პირველსავე ნომერში რუბრიკით „შინაური მტრები“. ავტორი დაუნდობლად აკრიტიკებს თავად ვლადიმერ მიქელაძეს, რომელსაც დაუწერია, „სილოვანი ილია ჭავჭავაძეს და გოგებაშვილს ენას უწუნებდაო - და თვითონ ოღასყურული ქართულის მცოდნეაო“. „რა უნდა ველაპარაკო იმისთანა ვაჟბატონებს, - წერს ს. ხუნდაძე, - რომელნიც სილოვანს ენის უცოდინრობას ეწამებიან და თვითონ კი თავის მკითხველებს ამგვარი „კარტულით“ უმასპინძლდებიან: „ზდანოვიჩმა ქარხნის კეთებას შეუდგა“, „მაგისანა“, „ამისანა“, „რომელშიდაც“... ზოგს ხუთსტრიქონიან ალმანახში ამდენ სიმახინჯგეს რომ კაცი ვერ შეამჩნევს, იმას განა ნება აქვს - ქართული ენის სიწმინდეზე ილაპარაკოს? იმას განა შეუძლია - ასწონ-დასწონოს, თუ სილოვანი რამდენათ სამართლიანათ უწუნებს ვისმე ენას?“ (ხუნდაძე 1908:3). ს. ხუნდაძესა და ვლ. მიქელაძეს შორის ასეთი მწვავე პოლემიკის საფუძველი გაზეთ „ფარის“ 1908 წლის №8-ში გამოქვეყნებულ წერილში „შინაური მიმოხილვა“ უნდა ვეძებოთ, იგი ხელმოწერილია ფსევდონიმით „ს“ (სილოვან სუნდაძის სახელის ინიციალია - ნ. ბ.). წერილის დასაწყისში ავტორი ერის განვითარებაში მშობლიური ენის განსაკუთრებულ როლზე საუბრობს: „თითოეული ერის პროგრესიულ წინსვლაში დედაენა განსაკუთრებულ როლს ასრულებს. თუ ენა იმდენათ განვითარებულია, რომ ყოველი აზრი იმის საშვალეებით სავსებით და ლამაზათ შეიძლება გამოხატო, მკითხველი მეტი ხალისით დაეწაფება ამგვარი ენით დაწერილ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთებს“ (ხუნდაძე 1908:4). იმის უტყუარ საბუთად, რომ რვა საუკუნის წინათ ქართული - ენა ისე დახვეწილი და პოეტური იყო, არაფრით ჩამოუვარდებოდა სპარსულს, ბერძნულსა და ლათინურ ენებს, ავტორი ასახელებს „ვისრამიანს“, „ამირან-დარეჯანიანსა“ და „ვეფსისტყაოსანს“. აქვე დამოწმებული აქვს პროფესორ დავით ჩუბინაშვილის სიტყვები: „ქართული ენა მე-12 საუკუნეში დამდოვრდაო“, ე. ი. სავსებით შემუშავდა და განმტკიცდაო. „მაგრამ ენა ცოცხალ

არსებასა გავს, - წერს ავტორი, - ერთ წერტილზე არასოდეს არ ჩერდება, - მოძრაობს, იფურჩქნება, წინ მიდის, თუ ხელს არაფერი უშლის, მაგრამ უკანაც იწევს, თუ დამაბრკოლებელი გარემოება წინ ელობება...“ (იქვე).

წარსულ საუკუნეებში ჩვენი ენა, ისტორიულ გარემოებათა მიხედვით, ხან წინ მიდიოდა (თამარის, აგრეთვე ვახტანგ VI-ის ეპოქა), ხან ქვეითდებოდა (მე-13 საუკუნიდან მე-18-მდე). ავტორს მიაჩნია, რომ მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 10-იან წლებამდე ქართულ ენას წინსვლა არ დასტყობია. თუმცა ახალმა დრომ ბევრი სახელოვანი ნიჭიერი პოეტი და მწერალი შვა, მათ ნაწერებში მაღალი პოეზიაც მოიპოვება, ღრმა აზრებიცა და კეთილშობილური გრძნობაც, მაგრამ ენა, ე. ი. აზრის გამოსახატავი ფორმა, მეტად შეუფერებელი, ხშირად დამახინჯებულიცაა. ასეთია პოეტ-მწერალთა ენა და საზოგადოების, მასის, უბრალო მოკვდავთა ენა ხომ „თვისი სიმახინჯით ჩაქვესკნელებულა...“ (ლექავა 1998:10). უთუოდ სახელოვან შემოქმედთა ასეთმა მკაცრმა შეფასებამ წარმოშვა ზემოხსენებული პოლემიკა. ამავე წერილში ავტორი ამხელს ინტელიგენციას, რომელმაც, თუ ქართულად იკადრა ლაპარაკი, „იმისთანა ენით დაგიწყებს საუბარს, რომ ყური თითით უნდა დაიცოთ“, თუ არა და - სულ არ ილაპარაკებს ქართულად, „უკეთ ვსთქვათ - ვერ ილაპარაკებს, რადგან მის გონებას აზროვნების სფეროში ქართულათ არ უმუშავია, მის ენას ქართულათ არ უვარჯიშებია“. ავტორი აქვე ასახელებს ინტელიგენციის ენობრივად გაუმართავი მეტყველების ნიმუშებს; „ჩვენ ყველას იმდენათ შეჩვეული გვაქვს სმენა მახინჯი ქართულისთვის, - წერს იგი, - რომ არაფრათ არ ვაგდებთ, როცა ინტელიგენტი იმერლისაგან გვესმის იმისთანა მარგალიტები, როგორც არის, მაგ.: „ლაპარაკი, იმგენმა წეიდენ, კაცმა წევიდაო“ და სხვა“, ან ამერლისაგან - „შაიდლება, აქამდისინ, ენასევი, წამიკითხნიაო და სხვ.“ (იქვე). ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად ავტორი საჭიროდ თვლის შეგნებასა და ენერგიას. „გარეშე მიზეზებს რათ ვასახელებთ, როცა იქ, სადაც თითქმის სავსებით დამოუკიდებელი ვართ, სრულ გულგრილობას ვიჩენთ ჩვენი ენისა და ჩვენი მწერლობის განვითარებასა და გავრცელებაში? აბა შევიხედოთ ჩვენს ოჯახებში, რა სურათებს ვხედავთ ჩვენ იქ?“.

წერილს დართული აქვს ლექსი, რომელიც კრიტიკულად ასახავს მაშინდელი ოჯახების ყოფას. „ქართულ ოჯახში გაბატონებულია უცხო ხალხის მოწყობილობა,

ჩაცმა-დახურვა, ცეკვა-თამაში, მღერა-მოლხენა“, სასაუბრო ენაც უცხოა. „უცხო წიგნები, ჟურნალ-გაზეთი ყოველნაირი აქ იშოვება.. დახეთ, რა რიგათ განათლებულან:

„ქართული წამლათ არ იპოება!“ ამ „ქართველთა“ განათლებულ წრეში იწვრთნება პაწია მამულიშვილი. „წინ წავა ჩვენი ენა, მწერლობა პროგრესიულათ, მაშ რა იქნება?!“ - ირონიულად ამთავრებს ავტორი (ხუნდაძე 1908:8). სილოვან ხუნდაძის ამგვარი პოზიციის საჩვენებლად მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გაზეთ „ფარის“ 1908 წლის №2-ში დაბეჭდილი ლექსი „ქართველ მოსწავლეებს“. ავტორი მიმართავს მომავალ თაობას: ცოდნით უნდა აღიჭურვოთ... სხვის ენაზე წერა-კითხვა, სხვისი ენით ყრმათ სწავლება!.. განა ისე შეგიძლიათ, თუ ჯერ არ იცით კარგათ მშობლიური ენა?!.. გარეთ მტერი რას დაგაკლებს, მაშ პირველათ დედაენა შინაურიც რომ არ გყავდეს, და სამშობლო შეისწავლეთ, მოემზადეთ, მოიცალეთ“. ლექსი დაწერილია 1906 წლის 9 ივნისს ქუთაისში. გაზეთ „ფარში“ (1908 წ., №4) გამოქვეყნებულ წერილში „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ საუბარია მშრომელ კლასთა ცხოვრებაში ენის მრავალმხრივ მნიშვნელობაზე.

„ენა გონებრივი განვითარების ცენტრალური იარაღია. მუშა მხოლოდ მაშინ იგნებს ყოველივე გარემოს, როდესაც მას საშვალება აქვს - სამშობლო ენაზე იკითხოს თუ სწეროს... მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება მისთვის უხილავი ხილია, როდესაც ყოველ ამას აწვდიან მისთვის გაუგებარ ენაზე“, - ვკითხულობთ წერილში. ავტორის აზრით, ენა მუშის ნივთიერი ცხოვრების სახსარიც კია: „იგი სამუშაოს, ჩვეულებრივ, იქ შოულობს, სადაც მის ენას გასავალი აქვს, ენა აძლევს მას საშუალებას, გამოუცხადოს სოლიდარობა მშობელი ქვეყნის მუშებს. ამიტომ მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მედგრად იბრძოლონ ენის უფლებისათვის მანამ, ვიდრე იგი არ დაიპყრობს თანაბარ ადგილს სკოლაში, ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და, საზოგადოდ, ყველგან, საშინაო ცხოვრების ნებისმიერ სფეროში“ (ხუნდაძე 1908:7). ამავე წერილში ფრანგული მწერლობიდან მოხმობილია პოეტ მისტრალის გამონათქვამი ენის შესახებ: „ვინც თავის ენას იცავს, მას ხელთ აქვს კლიტე, თავისი ბორკილის გამღები და თავისუფლების მიმნიჭებელი“ (იქვე).

სილოვან ხუნდაძის წერილი, რომელიც 1881 წლის 16 აპრილით არის დათარიღებული, კირილე ლორთქიფანიძისადმია მიწერილი, რომელიც გამოხატავს

ქართველი სტუდენტების საერთო სიხარულს იმის გამო, რომ ქუთაისში დაარსდა ახალი გაზეთი „შრომა“.

„გულით და სულით მოხარული ვართ, ყველა აქ მყოფნი ქართველები“ - წერდა ახალგაზრდული გატაცებით ს. ხუნდაძე, - რომ ჩვენს ქუთაისს ეღირსა გაზეთის გამოცემა და ნამეტნავათ მისთვის ვხარობთ, რომ ეგ არის ქართული გაზეთი“ (მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან 1981:56).

ს. ხუნდაძის წერილს თან ახლავს მისი სამი ლექსი: „მეგლი“, „მამლარი პოეტი“ და „მეხრე“, რომლებსაც ავტორი აგზავნიდა გაზეთ „შრომაში“ დასაბეჭდად.

გაზეთ „იმერეთის“ 1914 წლის მე-4 ნომერში სილოვან ხუნდაძემ დაბეჭდა სტატია, რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით. „შემცთარი აზრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. წერილი ღრმა და საფუძვლიანი რუსთველოლოგიური ნარკვევია. მასში მრავალი საკითხია წამოჭრილი. ზოგიერთ პრობლემაზე კრიტიკოსი ვრცლად ჩერდება, ალაგ-ალაგ კი საგულისხმო მინიშნებებს გვაწვდის. ს. ხუნდაძე თამამად შეედავა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობასთან დაკავშირებით ცნობილ მეცნიერს - ნიკო მარს, რომელიც თავდაჯერებით აცხადებდა - „შოთა რუსთაველი მხოლოდ მთარგმნელია, ლექსათ გარდამქმნელი რომელიღაც სპარსული სიწმინდისა (გაზ. „იმერეთი“ 1914:4). პუბლიცისტს მთელი ქართველი ერისათვის უდიდეს შეურაცხყოფად მიაჩნდა მეცნიერის სიტყვები და წერდა - „ამით ქართულ პოეზიას და ქართველი ერის სახელოვნებას უბრწყინვალესი მზე ჩამოშორდება“ (იქვე). სილოვანი „ერთობ ჰიპოთეტიურად“, რეალურ საფუძვლებს მოკლებულად და ალოგიკურად აღიარებდა მეცნიერის მოსაზრებას (თხილავა 2001:119).

სილოვანმა სხვადასხვა არგუმენტებზე დაყრდნობით გააბათილა მეცნიერის მოსაზრება. ჩვენ შევეცდებით, თანმიმდევრულად დავალაგოთ მისი შეხედულებები.

1. რუსთაველის სიტყვები - „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“, - „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაშია ნათქვამი და იმდენად, რამდენადაც პუბლიცისტს პოემის პროლოგი „მთლად ჰიპოთეტიურად“ მიაჩნდა, აკეთებდა ლოგიკურ დასკვნას - „არავინ იცის, რა ეკუთვნის იქ ავტორს და რა არა“.



2. სილოვანის აზრით, „შოთამ ამ ამბავს „სპარსული“ იმისთვის უწოდა, რომ პოემას მეტი ფასი დასდებოდა მკითხველის თვალში, ვინაიდან სპარსული მწერლობა მაღლა იდგა მაშინ“ (გაზ. „იმერეთი“ 1914:6).

3. კრიტიკოსი არც იმ ვერსიას გამორიცხავდა, რომ რუსთაველმა სპარსული ლიტერატურიდან „აილო“ პოემის სიუჟეტი და მასზე ააგო „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თამარის ცხოვრებასთან იყო შეფარდებული.

4. ხუნდაძემ „ვეფხისტყაოსნის“ განმქიქებელი ნ. მარის მსჯელობაში მთელისა და ნაწილის გაიგივების ტენდენცია შეამჩნია. მან ხაზგასმით შეახსენა მეცნიერს, რომ ფაბულა პოემის ნაწილს წარმოადგენდა მხოლოდ და მისი სადაურობით ნაწარმოების ეროვნულობა ვერ განისაზღვრებოდა.

სილოვანის მოსაზრებები მტკიცე და საფუძვლიანი იყო, მან შეძლო ნ. მარის იდეათა უკუგდება. მოწინააღმდეგის საბუთების მოხსნის შემდეგ კი კრიტიკოსმა საკუთარი თეზისის გასამაგრებელი არგუმენტიც მოიმარჯვა. პუბლიცისტი წერდა - „ბ-ნი მარის ჰიპოთეზა რომ მივიღოთ, ერთი დიდი უხერხულობა მაინც რჩება: ტაეპი „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ სრულიად განზე რჩება და წინა ტაეპებთან ლოლიკურათ გადაბმული და შეთანხმებული არ იქნება“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ს. ხუნდაძემ ხელი შეუწყო პოემის ორიგინალობის დასაბუთებას და ამით დიდი სარგებლობა მოუტანა მეცნიერებას.

გაზეთ „კოლხიდის“ ფურცლებზე დასტამბული ს. ხუნდაძის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები ყურადღებას იქცევენ კრიტიკოსის მამხილებელი ტონით, სადაც ავტორი დაუნდობლად კიცხავს ჩვენი ეროვნული ყოფისათვის იმხანად დამახასიათებელ ნაკლოვანებებს და ხმალშემართული იბრძვის მათ გამოსასწორებლად.

ს. ხუნდაძის პუბლიცისტური წერილების პოლემიკურ ტონს მეტ სიცხარეს მატებს გულმართალი კაცის მამხილებელი პოზიცია. მისთვის, როგორც პატრიოტისათვის, მხოლოდ ერთადერთი პრინციპი არსებობს: „მოყვარეს პირში უძრახე!...“ და თუმცა ამგვარ მხილებას მოწონებისა და გამამხნეველები შემახილების მაგივრად ძალზე ხშირად გაცხოველებული კამათი და ავტორის უმართებულო

შევიწროებაც სდევდა თან, სილოვანს ხუნდაძეს თავისი პრინციპებისათვის არასოდეს უღალატნია (ნიკოლეიშვილი 1982:199).

გაზეთ „კოლხიდაში“ გამოქვეყნებული წერილებიდან ყურადღებას იქცევს ენის სიწმინდის საკითხებზე დასტამბული მისი წერილები. როგორც ცნობილია, სილოვან ხუნდაძე თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი გრამატიკოსი იყო, ავტორი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებისა. მის წერილებში დასმულია მრავალი საჭირობოროტო საკითხი, იგი თანმიმდევრულად იცავს „თერგდალეულთა“ ენის ხალხურობის პრინციპს. გაზეთ „კოლხიდას“ 1911 წლის 24-ე ნომერში არის დაბეჭდილი მისი სტატია „განცხადებათა ენა“. ეს მასალა ტიპიური რეპლიკაა. იგი მოკლე შემახილს, შეკამათებას, მახვილ გამოსვლას გულისხმობს. ს. ხუნდაძე გაზეთ „თემის“ რედაქციას შენიშვნას აძლევს - განცხადებებს, მართალია, განმცხადებელი წერს, მაგრამ რედაქციამ გაუსწორებელ-გაუსალაშინებლად არ უნდა დასტამბოსო. წინააღმდეგ შემთხვევაში ენა ნაგვიანდება და ქართული მახინჯდებაო.

ს. ხუნდაძის მიერ გაჩაღებული ბრძოლა მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად კარგად გამოხატავს მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის სულისკვეთებას. ამიტომ იყო, რომ „კოლხიდის“ რედაქციამ ფართო ასპარეზი გაუხსნა დედაენის დამცველ ყოველ ჭირისუფალს საკუთარ შეხედულებათა გამოსათქმელად. გაზეთი ამასთან დაკავშირებით ხშირად მართავდა დისკუსიებს. მწერლის მიერ წამოწყებული ერთ-ერთი ასეთი პოლემიკის საგანი გახდა მისი ლექსი „ძაღლებიც გაგვირუსდნენ“, რომელსაც ზედიზედ მოჰყვა წერილების სერია - „კარტველი ქალები“. ამ სათაურით სტატიათა სერია 1911 წლის გაზეთ „კოლხიდას“ 73-ე ნომერში დაიწყო და მთელი წელიწადი ეს პოლემიკა არ შეწყვეტილა. ამ ცხარე დისკუსიის შემაჯამებელ სარედაქციო სტატიაში ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოიკვეთა გაზეთის ენობრივ-პატრიოტული პოზიცია: „ჩვენი ვალია თავგამოდებული ბრძოლა იმ საშინელი სენის გასაქარწყლებლად, რომ გაქრეს სურვილიც კი იმისა, ქართველმა ქართულად აღარ ილაპარაკოს“ (გაზ. „კოლხიდა“ 1911:7).

რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს წარმოადგენდა მშობლიური ენის სტატუსის შესუსტება, იმპერიაში შემავალი ერებისთვის მშობლიური ენის აღმოფხვრა არა მარტო სკოლაში, სასწავლო პროცესიდან, არამედ ოჯახშიც. რასაკვირველია,

აღნიშნული ფაქტი დიდ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდა ქალთა ცნობიერებაზე, რადგან ზოგიერთ ავტორთა აზრით, ქალები ბუნებით უფრო ლმობიერები არიან და სკოლაში არსებულ რეჟიმს სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ. მსგავსი კრიტიკიდან დაზღვეულნი არც მამაკაცები იყვნენ.

ამ დისკურსიაში მკაცრი კრიტიკით გამოირჩეოდა სილოვან ხუნდაძე. გაზეთის ფურცლებზე „კარტველი კალის“ სათაურის ქვეშ სილოვან ხუნდაძე ამატრახებდა ქართველ ქალებს და მათ უწინდელ დედათა სამაგალითო საქციელისკენ მოუწოდებდა: „სატირა, იუმორი, სარკაზმი და საზოგადოთ დაცინვითი კილო მწერლობაში სილოვანის მოგონილი არ არის - და ისეთ გონება დახშულთა და ფუქსავატ არსებათათვის, როგორც დღევანდელი ქართველი ქალების უმრავლესობაა, სილოვანის წერილის კილო სრულიად სამართლიანი და მნიშვნელოვანი გახლდათ, სამართლიანი - რადგან ფუქსავატი ყოფაქცევა მხოლოდ დაცინვის ღირსია, და მნიშვნელოვანი - რადგან ბნელ - გონებიანი ადამიანი მხოლოდ საგრძნობელი ჩხვლეტით შეიძლება გამოვადვიდით“ (გაზ. „კოლხიდა“, 1911:82).

გაზეთის მომდევნო ნომერში კი ვკითხულობთ: „ენის მხრითაც, უკაცრავათ, ქალებო, ნუ გავჯავრდებით - და ვიცნობ უმეტესობას ჩვენს აქაურ ქართველ ქალებს, მათის ქართულის ცოდნას, მათი წერის უნარს... დამწერი ქართველი ქალი თითებზე ჩამოსათვლელია, და რომელიც არის, მოაწერდა თავის საკუთარ სახელს ან და დარბაისელი - სამართლიანი სულაც არაფერს დასწერდა, რადგან მართლაც საპასუხო არაფერი იყო. უნდა გვესმინა და შეგვესმინა, ვინც „კარტველებად“ ვგრძნობდით თავს თუ გაუჩუმდება ქართველი ქალი სილოვანის შენიშვნას, ეს იმის ნიშანია, რომ მისი შენიშვნა არის სამართლიანი და იგი ეხება იმ ქალების ნაწილს, რომელსაც სილოვანმა „კარტველი კალები“ უწოდა. სილოვანის წერილი საყოველთაოდ ქართველ ქალებზე რომ დაწერილიყო, მაშინ, აუცილებლად ვიტყოდით, დაწერდით და ვუკიჟინებდით ავტორს „შემცთარი აზრისათვის“. ყველა ქალი არ „გაკარტველებულა“ უმრავლესობა საქართველოში ჯერ ქართველობს და თუ რამდენიმე „გაკარტველდა“ - ეს ნუ შეგაშინებთ, ბატონო სილოვან“ გაზ. („კოლხიდა“ 1911:83).

სილოვან ხუნდაძე და სხვა ავტორებიც გამართულ ქართულად მეტყველების უცოდინარობასთან ერთად, ქართველ ქალებს ჩაცმულობის გამოც აკრიტიკებდნენ, არ

მოსწონდათ შარვლები, შლიაპები, ღრმად ამოჭრილი კაბები მაშინ, როცა თავად ეროვნული სამოსის გარდა სამოქალაქო ტანსაცმელსაც ატარებდნენ.

გაზეთ „კოლხიდას“ 1911 წლის 156-ე და 157-ე ნომრებში კამათი გაიმართა სილოვან ხუნდაძესა და გრიგოლ ყიფშიძეს შორის. სადაც უმთავრესი საკითხი კვლავ ქართული ენის გარშემო ტრიალებდა. სილოვანი თავდამოდებით იცავდა ქართული ენის ერთიანობის პრინციპს: „სალიტერატურო ენა არც მარტო კახეთის, არც იმერეთის, არც ქართლის ენა არაა“ (გაზ. „კოლხიდა“ 1911:2).

გაზეთმა „ცხოვრების საქმემ“ 1911 წლის პირველივე ნომერში გააკრიტიკა „კოლხიდის“ ენა და სტილი. ს. ხუნდაძემ სტატია უძღვნა „ცხოვრების საქმეს“ - „ცხოვრების საქმის ჭორები“ და დაიცვა „კოლხიდას“ ენობრივი მხარე.

გაზეთ „კოლხიდის 1911 წლის №1 დაიბეჭდა სილოვანის კრიტიკული სტატია „ქართული ლექსიკონის გამო“. ინტელიგენციას გაუმართავს კამათი: რომელი ლექსიკონის გამოცემა დაეჩქარებინათ - დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულისა თუ წმინდა ქართული განმარტებითი ლექსიკონისა. ს. ხუნდაძის აზრით, ორივე საჭიროა, ოღონდ უფრო სასწრაფოა დ. ჩუბინაშვილის ძველი გამოცემა გავიმეოროთ, ხოლო წმ. ქართული ლექსიკონი კი დავაჩქაროთო (წერეთელი 1994:149).

ს. ხუნდაძე, როგორც ენათმეცნიერი, აგრეთვე როგორც სტილისტი და მოქართულე, ვერ ეგუებოდა ენისადმი უდიერ მოპყრობას. ამიტომაცაა, რომ „კოლხიდის“ ფურცლებზე ამ მხრივ დასტამბული კრიტიკული სტატიების უმრავლესობა სილოვანს ეკუთვნის. მას ამ საკითხზე პოეზიკის გამართვა მოუწია ი. გოგებაშვილთან, გრ. ყიფშიძესთან, ლ. ბოცვაძესთან, ნ. ლორთქიფანიძესთან. ზოგან კბილი გაჰკრა აკაკის, ილიას, ბარათაშვილ-ორბელიანის ენასაც. უმეტესი მისი მოსაზრება დღევანდელმა ენათმეცნიერებამ გაიზიარა, ზოგი კი - არა. გაზეთის 1911 წლის მესამე ნომერში სილოვანს ეკუთვნის სტატია „ქართული ენის სიწმინდე“. აქ განვითარებულია მართებული აზრი, რომ სალიტერატურო ქართული უნდა დაემყაროს არა ერთ რომელიმე დიალექტს, არამედ ყველასო.

გაზეთ „კოლხიდაში“ ს. ხუნდაძემ დაბეჭდა პოლემიკური სტატია - „თფილისის ქართველობა“. ამ წერილის მიზანდასახულობა, მისი პატრიოტული სულისკვეთება კარგად ჩანს თუნდაც ამ პატარა ამონაწერშიც: „გულზე ცეცხლი მეკიდება, როცა

კიკნაძისთანა (თფილისის წიგნის მაღაზიის პატრონი, რომელიც მხოლოდ რუსულ წიგნებს ყიდის, აქაოდა, ქართული არ იყიდებაო) ქართველს ვხედავ, რადგან კიკნაძეები მხოლოდ ანგარიშში ითვლებიან, ფაქტიურად რაოდენობას აღიდეგენ... ქართველს იმიტომ ხომ ვერ ვუწოდებ ვისმე, ძვირფასო მკითხველო, რომ მისი გვარი ძესა და შვილ-ზე ბოლოვდება“? (გაზ. „კოლხიდა“ 1911:8).

ქუთაისის პროგრესული საზოგადოებრიობის გამუდმებული ყურადღების საგანს საქართველოს ეროვნული ინტერესების ფხიზელი დაცვა წარმოადგენდა. გაზეთ „კოლხიდას“ ყოველი ნომრიდან ამ ინტერესების განსამტკიცებელი გაბედული მებრძოლი ხმები ისმოდა.

კრიტიკოსის აზრით, საქართველო უფლისაგან გამორჩეული ერია, ამიტომაც გაუძლო და გაუძლებს კიდევ მრავალ განსაცდელს, რადგან ქართული სული ამაყი და ძლიერია, მტკიცე და გაუტეხელია. ერს არსებობის საფრთხე ყველაზე მეტად მაშინ ექმნება, როცა ენას უგინებენ და რჯულს უბილწავენ (ხუნდაძე 1917:56).

სილოვან ხუნდაძე თავის მოვალეობად მიიჩნევდა გამოეფხიზლებინა ქართველი ერი და დაენახვებინა ის საფრთხე, რაც რუსეთისაგან გვემუქრებოდა. თავისი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებით ეს ნაწილობრივ მოახერხა.

1921 წელს ნიკო ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ ალმანახ „კრებულის“ პირველ ნომერში მოთავსებულია სილოვანის შესანიშნავი წერილი „ვაჟა-ფშაველას პოეზია“, სადაც ვაჟაზე დიდი სიყვარულით საუბრობს კრიტიკოსი.

ვაჟა სილოვანის უსაყვარლესი პოეტი და პიროვნება ყოფილა. ზემოხსენებულ წერილში განხილული და დახასიათებულია გენიალური მგოსნის პოეტური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშები, ნათლად არის წარმოსახული მათი ადგილი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის „ოქროს ფონდში“. აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ წერილის ავტორი იყო თავგამოდებული დამცველი ვაჟას ენისა, რაც შესანიშნავად აღნიშნა თავის მოგონებაში კონსტანტინე გამსახურდიამ.

საქართველოს მწერალთა საზოგადოებისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1928 წლის 12 თებერვლით თარიღდება, სილოვანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მისი შრომა დაუფასებელია, რომ ამ ხნის მანძილზე მას არაერთი წყენა და გულისტკენა შეახვედრეს, ხოლო საქებარი და სასიკეთო არაფერი გამოუმეტებიათ მისთვის, არც

ჟურნალ-გაზეთების ენით და არც პირადი მიმოწერით. მწერალთა კავშირის მისადმი დამოკიდებულება ნიჰილისტური იყო და ამას სილოვანი კარგად ხედავდა. თუმცა, მას კალამი არ დაუდევს, წლების მანძილზე ნაყოფიერად იღვწოდა როგორც პოეტურ სამყაროში, ისე კრიტიკა-პუბლიცისტიკაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მწერალთა კავშირის პოზიცია მისადმი სასიკეთოდ არასოდეს ყოფილა მომართული. დაუმსახურებელი შეურაცხყოფებით გულნატკენ პოეტს სჯერა, რომ მის ნაწერებს, მის მოღვაწეობას შთამომავლობა სამართლიანად შეაფასებს და შესაფერის ადგილს მიუჩენს ქართული კულტურის ისტორიაში. ამიტომაც, ამ წერილში უარს უცხადებს მწერალთა სახლს, რომელთაც მოიწადინეს, მას იუბილუე გადაუხადონ. მას არც სიცოცხლეში სურს ასეთი პომპეზურობა და სიკვდილის შემდეგაც იბარებს, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე დაკრძალონ. ამ წერილის დაწერიდან სამი თვის შემდეგ სილოვან ხუნდაძე გარდაიცვალა.

სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილი სილოვანი წერილები გამიზნულობით, არსითა თუ შესრულების მანერით, პოლემიკურია. იგი აქტიურად იბრძოდა „ერის გამრყვნელთა წინააღმდეგ“. მისთვის უცხო იყო დოგმატური დავა. კრიტიკოსი კამათოდა არა ყოფითი წვრილმანების, არამედ პრობლემების შესახებ, რომლებიც ერის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა. ამ ინტერესებიდან გამომდინარე, სილოვანი ავტორიტეტების წინაშეც კი არ იხევდა უკან - არც მათ კრიტიკასა და მხილებას ერიდებოდა. რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წინასაარჩევნო პერიოდში პუბლიცისტმა ისეთი დიდი ავტორიტეტის წინააღმდეგაც კი გაილაშქრა, როგორც აკაკი წერეთელი იყო - ბრალი დასდო მას ესდეკებთან ალიანსში.

ამდენად, სილოვან ხუნდაძემ თავისი კრიტიკული წერილებით საგულისხმო წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პუბლიცისტური აზროვნების განვითარების ისტორიაში. მისი კრიტიკულ პუბლიცისტური წერილები შინაარსის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

## ძირითადი დასკვნები

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

➤ სილოვან ხუნდაძე XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და 1928 წლამდე ნაყოფიერად იღვწოდა საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. იგი იყო მწერალი, საზოგადო მოღვაწე, აქტიური წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, მონაწილე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა თავისი დროის ქუთაისსა და მთელ დასავლეთ საქართველოშიც. იგი იმ პერიოდის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც მწერალი, არამედ გამოჩენილი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საგანმანათლებლო სისტემის გაეროვნულების საქმეში;

➤ სამეცნიერო ლიტერატურაში სილოვან ხუნდაძის, როგორც ლიტერატორისა და პოეტის, შესახებ არცთუ ისე ბევრი ნაშრომი მოიპოვება, რის გამოც მისი შემოქმედება სასურველ დონეზე დღემდე არაა შესწავლილი. წინამდებარე დისერტაციის უმთავრესი მიზანი ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის სწორედ ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა. ს. ხუნდაძის ლიტერატურული ნააზრევისადმი ინტერესს დღესდღეობით ის გარემოება წარმოადგენს, რომ მის ნაწარმოებებში ისტორიული სიმართლითაა ასახული და გაკრიტიკებული იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებები;

➤ მრავალფეროვანია ს. ხუნდაძის ლექსების შინაარსობრივი სამყარო, რომლის თემატიკა ამგვარად შეიძლება განვსაზღვროთ: პატრიოტიზმი, დიდაქტიკური და სატრფიალო მოტივები, მიძღვნილი ხასიათის ლექსები, პოეტისა და პოეზიის დანიშნულება, ბუნება, სოციალური მოტივი და სხვა;

➤ სამწუხაროდ, ს. ხუნდაძის შემოქმედებას პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით არ შეხებია ის სიახლეები, რითაც XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზია ხასიათდებოდა. ამისდა მიუხედავად, მისი ლექსების, პოემებისა და მოთხრობების შესწავლა ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით მაინც უსათუოდ აუცილებელია. ს. ხუნდაძის მწერლური მემკვიდრეობისადმი ინტერესს ამ

შემთხვევაში არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ იგი მტკიცებულად ეხმაურება თავისი ეპოქის მწვავე საზოგადოებრივ პრობლემებს. კერძოდ, ს. ხუნდაძის შემოქმედებაში გაშუქებულია ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც არა მარტო იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეპოქალური სინამდვილის შესასწავლადაა მნიშვნელოვანი, არამედ დღესაც რჩება ინტერესის საგნად;

➤ სილოვან ხუნდაძის პოეტური შემოქმედება პატრიოტულ-მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული პუბლიცისტური პოეზიაა, სადაც ავტორი დაუფარავად ამხელდა და უკომპრომისოდ ებრძოდა უსამართლობას, სიძუნწეს, სიხარბესა და ყველა იმას, ვინც ხალხისა და ქვეყნის სადარაჯოზე დგომის ნაცვლად პირადი კეთილდღეობისკენ მიისწრაფვოდა;

➤ სილოვან ხუნდაძის პოემები ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით იმითაა საინტერესო, რომ პოეტმა, როგორც თავისი დროის „გარემოების საყვირმა“, მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერით დასვა ის პრობლემები, რომლებიც იმდროინდელ საზოგადოებას აწუხებდა და ამით გამოეხმაურა ორი დიდი ეპოქის მიჯნაზე მცხოვრებ ადამიანთა ფიქრებსა და განწყობილებებს;

➤ სილოვან ხუნდაძის შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას დღესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რადგან იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარი მის ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში ბევრ საინტერესო მასალას იპოვის, სადაც ჩანს გულანთებული ქართველი მამულიშვილის, ქართული სკოლის მოამაგისა და მუხლჩაუხრელი საზოგადო მოღვაწის შეხედულებები, განცდები, პოზიცია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებისადმი. მისი შემოქმედება ეს არის ერთგვარი სურათი XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართული რეალური სინამდვილისა. აქედან გამომდინარე, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ს. ხუნდაძის შემოქმედების მთავარ დამახასიათებელ ნიშანს ქართველი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული და სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომა წარმოადგენს;

➤ სილოვან ხუნდაძის ლიტერატურულ საქმიანობაში ცალკეა გამოყოფილი მისი კრიტიკული ნააზრევი, რომელშიც კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება საზოგადოების ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხისადმი. მისი წერილები



გამოქვეყნებულია მაშინდელ პრესაში. მათი რაოდენობა ორ ასეულზე მეტია და თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სილოვან ხუნდაძემ არაერთი სტატია უძღვნა ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვას. ყოველი მათგანი არის მკაფიო გამოხატულება მისი, როგორც ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის, უანგარო და თავდაუზოგავი შრომისა ქართული მწერლობის მაღალპროფესიულ დონეზე შესასწავლად;

➤ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სილოვან ხუნდაძემ თავისი კრიტიკული წერილებით საგულისხმო წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პუბლიცისტური აზროვნების განვითარების ისტორიაში. მისი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები შინაარსის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ხუნდაძეს არ დარჩენია განუხილველი თითქმის არცერთი პრობლემატური საკითხი, რომელიც მაშინდელ საზოგადოებაში მწვავედ იდგა;

➤ სილოვან ხუნდაძის პუბლიცისტური წერილების პოლემიკურ ტონს მეტ სიცხარეს მატებს გულმართალი კაცის მამხილებელი პოზიცია. მისთვის, როგორც პატრიოტისათვის, მხოლოდ ერთადერთი პრინციპი არსებობდა: „მოყვარეს პირში უძრახე!...“ და თუმცა ამგვარ მხილებას მოწონებისა და გამამხნეველი შეძახილების მაგივრად ძალზე ხშირად გაცხოველებული კამათი და ავტორის უმართებულო შევიწროებაც სდევდა თან“ (ა. ნიკოლეიშვილი), სილოვანს ხუნდაძეს თავისი პრინციპებისათვის არასოდეს უღალატია.

➤ სილოვანის კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების უმეტესობა გამიზნულობით, არსითა და შესრულების მანერით, პოლემიკურია. იგი აქტიურად იბრძოდა „ერის გამრყვნელთა წინააღმდეგ“. კრიტიკოსი კამათობდა არა ყოფითი წვრილმანების, არამედ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ერის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა. ამ ინტერესებიდან გამომდინარე, სილოვანი ავტორიტეტების წინაშეც კი არ იხევდა უკან და არც მათ კრიტიკასა და მხილებას ერიდებოდა. რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წინასაარჩევნო პერიოდში პუბლიცისტმა ისეთი დიდი ავტორიტეტის წინააღმდეგაც კი გაილაშქრა, როგორც აკაკი წერეთელი იყო და მას ბრალი დასდო ესდეკებთან ალიანსში;

➤ სილოვან ხუნდაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანმა შესწავლამ ცხადყო მისი, როგორც გულმხურვალე პატრიოტის, დამოკიდებულება სამშობლო ქვეყნისადმი. კრიტიკოსის პუბლიცისტური წერილების პოლემიკური ტონი მაჩვენებელია ხუნდაძის მამხილებლური პოზიციისა. მან თავისი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილებით საგულისხმო წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ბოლო ათწლეულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტური აზროვნების განვითარებაში;

➤ სილოვან ხუნდაძეს იმ დროს მოუწია საზოგადოებრივ-ლიტერატურული საქმიანობა, როცა რუსი რეაქციონერი ჩინოვნიკები ქართულ ენას არასრულფასოვან ენად მიიჩნევდნენ და მასზე ლაპარაკსაც კი კრძალავდნენ. ამ პერიოდში დაბეჭდილი მისი ქართული სახელმძღვანელოები ჩვენს ახალგაზრდებს მშობლიურ ენაზე საგნის ათვისებას უადვილებდა. ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვასთან ერთად, ამ სახელმძღვანელოთა შექმნისას სილოვან ხუნდაძის მიზანს შეადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ჩაესახა სამშობლოსადმი სიყვარული, გაეღვიძებინა მათში ეროვნული თვითშეგნება. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იმდროინდელი ქართული საზოგადოების კულტურული და სულიერი ცხოვრებისა;

➤ სილოვან ხუნდაძის მიერ გადადგმულ ამ კეთილშობილურ ნაბიჯს, ჩვენი ახალგაზრდობისათვის შეექმნა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და სახელმძღვანელო, მშობელი ერისადმი წრფელი, წმინდა სიყვარული ედო საფუძვლად. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში საფუძვლიანად არის გაშუქებული მწერალთა ბიოგრაფია და შესაბამის ეპოქალურ მოვლენებთან მიმართებითაა გაანალიზებული მათი შემოქმედება;

➤ ანალიზის მაღალპროფესიული დონე თვალნათლივ მიგვითითებს ავტორის როგორც ლიტერატურათმცოდნეობით, ისე უზადო პედაგოგიურ ნიჭსა და ალღოზე, მის კვალიფიციურ მეთოდურ აზროვნებასა და მრავალმხრივ განსწავლულობაზე. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოთა გამოცემით სილოვან ხუნდაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა იმდროინდელი ქართული სახალხო განათლების განვითარებაში. თითოეული სახელმძღვანელო სტრუქტურულად ერთნაირადაა აგებული: წარმოდგენილია მწერლის ბიოგრაფია, მისი შემოქმედების საფუძვლიანი

ანალიზი და შემაჯამებელი დასკვნები;

➤ სილოვან ხუნდაძემ თავისი პრაქტიკული საქმიანობითაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. კერძოდ, იგი დაუღალავად იღვწოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების გაუმჯობესებისათვის. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია გავიხსენოთ მისი დაპირისპირება შავრაზმელ კორიჯკისთან. კორიჯკი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელი, ქართველების დიდი მოძულე. იგი 1914 წელს გამოაგზავნეს ქუთაისში არსებულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში მეთვალყურე-რევიზორად. კორიჯკისთან მისმა დაპირისპირებამ საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო, რადგან იგი უხეშად ერეოდა სასწავლო პროცესში და უდიერ დამოკიდებულებას გამოხატავდა მოსწავლეებისადმი. სილოვანმა გააპროტესტა ეს ფაქტი და გიმნაზიაში გამოცდების გასაკონტროლებლად მოსულ რუს მოხელეს მისთვის ჩამოსართმევად გამოწვდილ ხელზე ხელი არ ჩამოართვა. მან ამის გამო სამსახურიც კი დაკარგა, მაგრამ უკან არ დაუხევია. იგი ბოლომდე დარჩა თავისი პრინციპების ერთგული და ახალგაზრდა თაობისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაადგმევინა. მისი თაოსნობით არაერთი ნიჭიერი მოსწავლე გაიგზავნა უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად;

➤ საბოლოოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმას, რომ სილოვან ხუნდაძის შემოქმედებით მემკვიდრეობას დღესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარი მის ლექსებში, პოემებში, მოთხრობებსა და კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში არაერთ ისეთ მასალას იპოვის, სადაც ჩანს მგზნებარე ქართველი მამულიშვილის, ქართული სკოლის მოამაგისა და მუხლჩაუხრელი საზოგადო მოღვაწის კრიტიკული პოზიცია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებისადმი. ასე რომ, ამავდროულად მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნააზრევი იძლევა ერთგვარ სურათს XX საუკუნის დასაწყისის ქართული რეალური სინამდვილისას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ლ. *ხუნდაძე სილოვან, პედაგოგი, ლიტერატორი, პუბლიცისტი, 1860-1928*. თბილისი, 1939 წ.
2. ატოს ჟ. ქართული თეატრი ქუთაისში, (ს. ხუნდაძის ღვაწლი), გაზ. „ცნობის ფურცელი“, №28, 16 ნოემბერი, ქუთაისი, 1896 წ. გვ. 2-3.
3. ახვლედიანი გ. სილოვან ხუნდაძის გარდაცვალების გამო, ჟურ. „ქართული მწერლობა“, №6-7, თბილისი, 1928 წ. გვ. 220-224.
4. ახვლედიანი მ. *ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე*, ქუთაისი, 2009 წ.
5. ახვლედიანი მ. პედაგოგი, მწერალი, მამულიშვილი (სილოვან ხუნდაძის შესახებ), ჟურ. „განთიადი“, №3-4. ქუთაისი, 2002 წ. გვ. 182-185.
6. ახვლედიანი მ. სკოლა-გიმნაზიის პედაგოგები: სილოვან ხუნდაძე. ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შრომები, ქუთაისი, 2009 წ. გვ. 208-219.
7. ახვლედიანი მ. პედაგოგი, მწერალი, მამულიშვილი (სილოვან ხუნდაძის შესახებ), ჟურ. „განთიადი“, №3-4. ქუთაისი, 2002 წ. გვ. 182-185.
8. ბაკურაძე ნ. სილოვან ხუნდაძის ესთეტიკური მრწამსის ზოგიერთი საკითხი, აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. ტ.VII (II), ქუთაისი, 2006 წ. გვ. 3-7.
9. ბაკურაძე ნ. სილოვან ხუნდაძის მსოფლმხედველობრივი საკითხები, აწსუ, ჰუმანიტარული ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. N 9. ქუთაისი, 2007 წ. გვ. 29-31.
10. ბაკურაძე ნ. სილოვან ხუნდაძის შემოქმედება, აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ VII (II), ქუთაისი, 2005 წ. გვ. 31-36.
11. ბაკურაძე ნ. სილოვან ხუნდაძე, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი (გაზეთ „კოლხიდაში“ გამოქვეყნებული წერილების მიხედვით). აწსუ, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია, V, ქუთაისი, 2023 წ.
12. ბაკურაძე ნ. სილოვან ხუნდაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, აწსუ, მე-

- 18 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები - XVIII“, ქუთაისი, 2023 წ.
13. ბაკურაძე ნ. სილოვან ხუნდაძის ეროვნული მრწამსი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, აწსუ, 13-14 ოქტომბერი. ქუთაისი, 2023 წ.
14. ბაკურაძე ნ. სილოვან ხუნდაძე როგორც ქართული მწერლობის მკვლევარი (ნარკვევების „შოთა რუსთაველისა“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ მიხედვით). აწსუ, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები, ნაწილი I, 22. 05. ქუთაისი, 2023.
15. ბარათაშვილი ს. *საქართველოს ისტორია*. ნათარგმნი სილ. ხუნდაძის მიერ. ნაკვ. I-III. ქუთაისი, 1895-1913.
16. ბაქრაძე დ. ბ-ნ სილოვანებს (პასუხი გაზ. „ივერიაში“ მოთავსებულ ს. ხუნდაძის წერილზე, ქუთაისის ბანკის არჩევნების შესახებ. გაზ. „ივერია“, №238, 5 ნოემბერი, თბილისი, 1899 წ. გვ. 3-4.
17. ბახტაძე ილ. სახელმძღვანელო სოფლისა და ქალაქის „ადვოკატები“, „რჩევა მოძმისა მიმართ“ და გამოცანა მის შესახებ, გაზ. „ივერია“, №24, 3 აპრილი, თბილისი, 1886 წ. გვ. 3.
18. ბელტი დ. ჭია-ჭუა კალმოსანი, გაზ. „თემი“, №94, 22 ოქტომბერი, თბილისი, 1912 წ. გვ.3.
19. ბრეგაძე დ. სილოვან ხუნდაძის წერილები იაკობ გოგებაშვილისადმი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 13. ქუთაისი, 1955 წ. გვ. 337-358.
20. გაბუნია ა. სილ. წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „ივერია“, №2, 3 იანვარი, თბილისი, 1903 წ. გვ.3.
21. გაგუა ვ. *სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში*. თბილისი, 1974 წ.
22. გაგუა ვ. *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება*. თბილისი, 1979 წ.

23. გეჯუა ვ. *მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი*, დისერტაცია, თბილისი, 2020 წ.
24. გოგებაშვილი ი. პასუხი ბატონს სილოვანს (კამათი აკ. წერეთელთან ქართული ენის საკითხებზე), გაზ. „ივერია“, №176, 18 აგვისტო, თბილისი, 1894 წ. გვ. 1-3.
25. გოშაძე მ. *აკაკი წერეთლისა და ხომლეღის პოლემიკური ურთიერთობის ისტორიიდან კრ-ში*, ჟურნალისტისკის ისტ.-თეორიის და ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1978 წ. გვ. 334-340.
26. გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1901-1920). ჟურ. „საისტორიო მოამბე“, №41-42. თბილისი, 1980 წ.
27. გვეტაძე ო. სილოვან ხუნდაზის პოეზია, ლიტერატურული წერილები, ქუთაისი, 1993 წ.
28. გრიგალაშვილი ნ. თანამდევნი სული, გაზ. „24 საათი“, №107, 22 მაისი, თბილისი, 2010 წ. გვ.10-11.
29. დადიანი ნ. არჩილური შვიდ-თავი (საამდროო ამოცანები). გაზ. „ივერია“, №207, 29 სექტემბერი, თბილისი, 1891 წ. გვ. 2.
30. დიასამიძე გრ. სილოვან ხუნდაძის საპასუხოთ, იქვე: სილოვან ხუნდაძის პასუხი, გაზ. „კოლხიდა“, №46, 25 მაისი, ქუთაისი, 1911 წ. გვ.1-2.
31. დვალიშვილი ლ. სილოვან ხუნდაძე „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობისა და „საგაზრდილოს“ პრობლემის შესახებ. აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შრომები, ტ. XII. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 78-84.
32. დვალიშვილი ლ. *ილია ჭყონიას ცხოვრება და შემოქმედება*, ქუთაისი, 2006 წ.
33. დოდაშვილი ვ. ქართული ენა I (ს. ხუნდაძის ახალი წიგნი - „სალიტერატურო ქართული“, ივერიაში, ქართული ენის შესახებ წერილების წერის განჩარხვა), გაზ. „ივერია“, 161, 31 ივლისი, თბილისი, 1902 წ. გვ. 3.
34. ზექალაშვილი რ. სილოვან ხუნდაძის „სალიტერატურო ქართული“, ჟურ. „განთიადი“, №5, თბილისი, 1991 წ.

35. თავბერიძე ე. ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები გაზეთ „კოლხიდას“ ფურცლებზე, აწსუ, ქართველური მემკვიდრეობა, №20, ქუთაისი, 2016 წ. გვ. 99-105
36. თავდგირიძე ნ. როგორი სწავლა-განათლება არის საჭირო ჩვენთვის? (პასუხად ბ.ბ. სილ. ხუნდაძეს და დ. ა. ნაზაროვს), გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1645, 18 ნოემბერი, თბილისი, 1901 წ. გვ. 1.
37. თოფურია ა. სილოვან ხუნდაძისა და ვ. ბარნოვის ქართული ლიტერატურის გაკვეთილების კონსპექტები, „ქართული მეთორიკური აზროვნების ისტორია“, ნაწ. 1. თბილისი, 1969 წ. გვ. 208-220.
38. თომამვილი დ. წინაპართა სახეები, ილია ჭავჭავაძე, სილოვან ხუნდაძე, იროდიონ ევდომვილი, ჟურ. „მნათობი“, №11-12. თბილისი, 2001 წ. გვ. 88-95.
39. თხილავა ე. პოლემიკა სილოვან ხუნდაძესა და აკაკი წერეთელს შორის, ჟურ. „განთიადი“, №5-6. თბილისი, 2001 წ. გვ. 138-143.
40. თხილავა ე. გაზეთი „იმერეთი“ (1912-1915), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისერტაცია, თბილისი, 2001 წ.
41. ინაური ვ. სილოვან ხუნდაძის კრიტიკული ნააზრევი, „ჩემი აზრი და ფიქრები, თბილისი, 2013 წ. გვ. 52-57.
42. კაციტაძე დ. სილოვან ხუნდაძე და წიწამურის ტრაგედია: ისტორიული წარსულიდან, გაზ. „სახალხო განათლება“, 15 თებერვალი. თბილისი, 1989 წ.
43. კიკვაძე ალ. სილოვან ხუნდაძე, გაზ. „კომუნისტური შრომა“, 15 აპრილი. სოხუმი, 1980 წ.
44. კვანტალიანი ლ. „სილოვან ხუნდაძის გრამატიკული მემკვიდრეობა“, ჟურ. „განთიადი“, №5. ქუთაისი, 1981 წ. გვ.168-171.
45. კუბლაშვილი კ. სილოვან ხუნდაძე და ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ზოგი საკითხი, წიგნი: *ს. ხუნდაძის გამოკვლევა „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“*. ქუთაისი, 1982 წ.
46. ლეჟავა ლ. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი მეთერთმეტე, „მეცნიერება“, თბილისი, 1998 წ. გვ. 6-53.

47. ლომაძე მ. პეტერბურგიდან საქართველომდე, სოლომონ დოდაშვილის, პლატონ იოსელიანის, სილოვან ხუნდაძის შესახებ, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, №8, თბილისი, 1988 წ. გვ. 46.
48. ლომიძე გ. ნაციონალ-ფედერალიზმის ნამსხვრევების წინააღმდეგ: სილოვან ხუნდაძის მოსაზრებები. ჟურ. „პროლეტარული მწერლობა“. N1-2. იანვარი-თებერვალი. თბილისი, 1932 წ. გვ.183.
49. ლეკვეიშვილი შ. საფუძველს უყრიდა დიდი საქმის დასაწყისს. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22 აპრილი, თბილისი, 1961 წ.
50. მანსვეტაშვილი ი. *მოგონებანი*. თბილისი, 1936 წ.
51. მასალები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981 წ.
52. მარჯანიშვილი მ. სილოვან ხუნდაძე ემიგრანტის მოგონებაში. აწსუ, ქართველური მემკვიდრეობა, №20. ქუთაისი, 2016 წ. გვ.153-158.
53. მარჯანიძე ი. აქეთურ-იქეთური (ფელეტონი), გაზ. „კვალი“, №6. ქუთაისი, 1903 წ. გვ. 89-90.
54. მებუკე გ. სილოვან ხუნდაძე, გაზ. „ქუთაისი“, 8 ივნისი, ქუთაისი, 1963 წ.
55. მეტრეველი რ. *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება*. თბილისი, 1982 წ.
56. მეძველია თ. სილოვან ხუნდაძის ბიოგრაფია, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები ტ. XXXIV, ქუთაისი, 1971 წ. გვ. 372-382.
57. მეძველია თ. სილოვან ხუნდაძის პატრიოტული ლირიკა, საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ისტორია-ფილოლოგიის სერია, ტ. 2. ქუთაისი, 1976 წ. გვ. 217-225.
58. მეგრელიძე ი. *რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა*, ტ. III, მეცნიერება, თბილისი, 1982 წ.



59. მიქაუტაძე რ. ქუთათური პრესა და ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლა XX საუკუნის 10-იან წლებში, აწსუ, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XII. ქუთაისი, 2008 წ. გვ. 200-206.
60. მიქაუტაძე მ. სილოვან ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“, აწსუ, ქართველური მემკვიდრეობა, N20. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 173-179.
61. მიქაძე გ. სილოვან ხუნდაძის ეპიტაფია, ჟურ. „მწიგნობარი“, გვ. 92-95. თბილისი, 2003 წ.
62. ნიკოლეიშვილი ა. *ნაკადები*, ქუთაისი, 1982 წ.
63. ნიკოლეიშვილი ა. გ. ქუჩიშვილის ეროვნული მრწამსი, (1917-1921 წლები), საქართველოს ბიბლიოთეკა, №2 (91), სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი. თბილისი, 2023 წ. გვ. 28-36.
64. ნიჟარაძე მ. *ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება 1909-1917 წლებში*, ქუთაისი, 2005 წ.
65. ობოლაძე უ. „ქართული სკოლის დიდი მოამაგე“. ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, №10, თბილისი, 1970 წ.
66. სალინაძე რ. „სილოვან ხუნდაძე და სალიტერატურო ქართული“, ჟურ. „მოამბე“, აწსუ, №1, ქუთაისი, 1996 წ. გვ. 30-34.
67. სარალიძე ს. „სილოვან ხუნდაძე“, გაზ. „ჭიათურის მადაროელი“, 15 აპრილი, ჭიათურა, 1980 წ.
68. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI, თბილისი, 1979.
69. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 157, აღწ. 1, საქმე 430 (1895-1896).
70. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწ. 27, საქმე 3167 (1915).
71. სახოკია თ. „ბ-ნ სილოვან ხუნდაძის წერილის გამო“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2020, 21 დეკემბერი, 1902 წ. გვ. 2.
72. სილოვანი, თხზ. წიგნი I, ლექსები, ქუთაისი, 1914 წ.
73. სილოვანი, თხზ. წიგნი II, პოემები და მოთხრობები, ქუთაისი, 1912 წ.
74. სილოვანი, ლექსი, კრებული „ცდა“, №2. ქუთაისი, 1890 წ.

75. სილოვანი, გაზ. „ივერია და მისი ენა, გაზ. „თეატრი“, №13,14. ქუთაისი, 1886 წ.
76. სილოვანი, ქართული ენის სიწმინდე, გაზ. „კოლხიდა“, №9. ქუთაისი, 1911 წ. გვ.2-3.
77. სილოვანი, გიორგიძის ჩიქორთული, გაზ. „კვალი“, №35, ქუთაისი, 1894 წ. გვ. 13-15.
78. სილოვანი, ჩემი ქართული გრამატიკა, გაზ. „სახალხო განათლება“, №25. ქუთაისი, 1919 წ.
79. სილოვანი, აღსარება, ქუთაისი, 1909 წ.
80. სილოვანი. *ბაირონი. ჩაილდ-ჰაროლდი.* (თარგმანი სილოვანისა). ქუთაისი, 1925 წ.
81. სსრცსა ქუთაისის ფილიალი, ფ. 9. საქ. 1717.
82. სსრცს არქივი, ფ. 162, არქივი 1, აღწერა 1.
83. ტყეშელაშვილი ს. სილოვან ხუნდაძე დიალექტური ლექსიკის შესახებ. აწსუ, ქართველური მემკვიდრეობა, №20. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 243-247.
84. ურუშაძე ლ. *სილოვან ხუნდაძე - უდიდესი პედაგოგი და მამულიშვილი,* თბილისი, 2014 წ.
85. ურუშაძე ლ. მასალები სილოვან ხუნდაძის ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, ჟურ. „საისტორიო ვერტიკალები“, თბილისი, 2007 წ. გვ. 39-45.
86. ქაჯაია ვ. „სილოვან ხუნდაძე - 100 წლისთავი“, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 29 აპრილი, თბილისი, 1960 წ.
87. ქსსა, ფონდი 1717, ფურცელი 44.
88. ქსსა, ფონდი 1717, ფურცელი 54.
89. ქსსა, ფონდი 1717, ფურცელი 55.
90. ქსსა, ფონდი 1717, ფურცელი 57.
91. ქსსა, ფონდი 1717, ფურცელი 58.
92. შამელაშვილი რ. ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გაზ. „სტალინელი“, 30 ოქტომბერი, ქუთაისი, 1959 წ.

93. შანიძე გ. სილოვან ხუნდაძე: (საზოგადო მოღვაწე), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15 მაისი, თბილისი, 1970 წ.
94. ჯიქია გრ., კვიციანი პლ. სახელოვანი ქართველი პედაგოგი. ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, №10, თბილისი, 1970 წ.
95. წერეთელი დ. გაზეთი „კოლხიდა“ (1911-1913 წლები), გამომცემლობა „მოწამეთა“, ქუთაისი, 1994 წ.
96. ჭარაია პ. ქართული ენა და ქართული მართლწერა, ჟურ. „მოამბე“, №9. თბილისი, 1895 წ.
97. ჭრელაშვილი სტ. ხომლელის (რომანოზ ფანცხავას) მიერ ს. ხუნდაძის ლექსების გარჩევა. გაზ. „ივერია“, №190, 5 სექტემბერი, თბილისი, 1893 წ. გვ. 1-3.
98. ჭეიშვილი მ. სილოვან ხუნდაძის სახელმძღვანელოები, აწსუ, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XX. ქუთაისი, 2016 წ. გვ. 318-322.
99. ხაბეიშვილი ს. საპროტესტო წერილები, პროტესტი ს. ხუნდაძისა და „იმერეთის“ რედაქციის მიმართ აკაკი წერეთლის შეურაცხყოფის გამო, გაზ. „წარსული არჩევანი“, №1. ქუთაისი, 1912 წ. გვ. 15.
100. ხახანაშვილი ა. სალიტერატურო ქართული, სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა, გაზ. „კვალი“, №18. ქუთაისი, 1901 წ.
101. ხმალაძე პ. სილოვან ხუნდაძის ანდერძი, გაზ. „ქუთაისი“, 9 დეკემბერი, ქუთაისი, 1970 წ.
102. ხუნდაძე სილ. *თხზულებანი*, ტ. I. ქუთაისი, 1914 წ.
103. ხუნდაძე სილ. *თხზულებანი*, ტ. II. ქუთაისი, 1926 წ.
104. ხუნდაძე ს. *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ნიკოლოზ ბარათაშვილი*, ნაწ. 1-ელი, ქუთაისი, 1914 წ.
105. ხუნდაძე ს. *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, გრიგოლ ორბელიანი*, ნაწ. მე-2, ქუთაისი, 1917 წ.
106. ხუნდაძე ს. *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ნაწ. მე-3, ვახტანგ ორბელიანი*, ქუთაისი, 1918 წ.
107. ხუნდაძე ს. *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ნაწ. მე-4, რაფიელ ერისთავი*, ქუთაისი, 1918 წ.

108. ხუნდაძე ს. *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, აკაკი წერეთელი, ნაწ. მე-5*, ქუთაისი, 1918 წ.
109. ხუნდაძე ს. *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ილია ჭავჭავაძე, ნაწ. მე-6*, ქუთაისი, 1919 წ.
110. ხუნდაძე ს. *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები, შოთა რუსთაველი, ნაწ. მე-7*, ქუთაისი, 1921 წ.
111. ხუნდაძე ს. *პოემები*, ქუთაისი, 1926 წ.
112. ხუნდაძე ს. ახალი ამბავი (სილ. ხუნდაძის მიერ შედგენილი ქართული ზმნები), გაზ. „ივერია“, №34, 13 თებერვალი, 1892 წ. გვ. 1-2.
113. ხუნდაძე ს. ახალი ამბავი (ქუთაისის გიმნაზიაში კურსდამთავრებულთა წასვლა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში. გაზ. „დროება“, VIII, №166, 1830 წ. გვ. 2-3.
114. ხუნდაძე ს. *ქართული გრამატიკა*, გამომცემლობა „მერანი“, ქუთაისი, 1919 წ.
115. ხუნდაძე ს. *სალიტერატურო ქართული*, გამოკვლევა, ქუთაისი, 1901 წ.
116. ხუნდაძე ს. *ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები*, ქუთაისი, 1927 წ.
117. ხუნდაძე ს. *ქართული ენის სისწორე: ქართულ პრესაში არასწორი ენობრივი ფორმების გამოყენება-დამკვიდრების შესახებ*, თბილისი, 1921 წ.
118. ხუნდაძე სილ. *ილია ჭავჭავაძის სახსოვრად*, ქუთაისი, 1907 წ.
119. ხუნდაძე სილ. *მკვლევლები და მცველები*, ქუთაისი, 1907 წ.
120. ხუნდაძე სილ. პასუხის პასუხი, (დ. ბაქრაძეს და ა. წერეთელს), ჟურ. „მოამბე“, №1. თბილისი, 1900 წ.
121. ხუნდაძე ს. საპროტესტო წერილები, გაზ. „ახალი არჩევანი“, №1. ქუთაისი, 1912 წ. გვ. 12.
122. ხუნდაძე ს. მცირე შენიშვნა ჩემი „ქართული გრამატიკის გამო, გაზ. „ივერია“, №137. თბილისი, 1903 წ. გვ. 3.
123. ხუნდაძე ს. გაზეთ „ივერიის“ რედაქციის საყურადღებოდ, გაზ. „კვალი“, №44, ქუთაისი, 1894 წ. გვ. 5.

124. ხუნდაძე ს. ბ-ნი კლდიას მსჯელობის გამო, გაზ. „ივერია“, №174. თბილისი, 1903 წ. გვ. 2.
125. ხუნდაძე ს. ქართული თუ ქართლური ენა, გაზ. „სახალხო საქმე“, №856. გვ.3. ქუთაისი, 1929 წ.
126. ხუნდაძე ს. ახალი თუ ძველი ენა, გაზ. „კვალი“, №32. ქუთაისი, 1994 წ. გვ. 7.
127. ხუნდაძე ს. აკაკის ხსოვნას, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, №7, 15 თებერვალი, თბილისი, 1915 წ. გვ. 13-14.
128. ხუნდაძე ს. მწარე ფიქრები, გაზ. „მწყემსი“, №11-12. თბილისი, 1894 წ. გვ. 8.
129. ხუნდაძე ს. თანამეკალმეებს: (ახალწლის გამო), გაზ. „კვალი“, №1. ქუთაისი, 1896 წ. გვ. 6-7.
130. ხუნდაძე ს. კრწანისის ბრძოლა: (ასი წლის მოხსენების გამო), გაზ. „კვალი“, №40. ქუთაისი, 1895 წ. გვ. 11-12.
131. ხუნდაძე ს. კრიტიკა და კრიტიკანობა, გაზ. „კოლხეთი“, №1. ქუთაისი, 1923 წ. გვ. 57.
132. ხუნდაძე ს. ცხოვრების საქმის ჭორები, გაზ. „კოლხიდა“, №14. 15 აპრილი, ქუთაისი, 1911 წ. გვ. 2.
133. ხუნდაძე ს. ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ, ჭილაძის სტამბა. ქუთაისი, 1907 წ.
134. ხუნდაძე ს. წერილი „ივერიის“ რედაქციის მიმართ, გაზ. „ივერია“, №28, 6 თებერვალი, თბილისი, 1900 წ. გვ. 3.
135. ხუნდაძე ს. პასუხი კვალს“, გაზ. „ცნობის ფურცელი, №2049, 24 იანვარი, თბილისი, 1903 წ. გვ.3-4.
136. ხუნდაძე ს. კიდევ სათავადაზნაურო სასწავლებელში მომხდარ ინციდენტის გამო, ჟურ. „ციკარი“, №8, თბილისი, 1907 წ. გვ.4-5.
137. ხუნდაძე ს. ქართველებს, გაზ. „ივერია“. №295. 25 დეკემბერი, თბილისი, 1904 წ. გვ.2.
138. ხუნდაძე ს. ჩემი აზრი და ფიქრები, ქუთაისი, 1901.
139. ხუნდაძე ს. ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ჟურ. „ქართული მწერლობა“, №11-12, თბილისი, 1927 წ. გვ. 256-258.

140. ხუნდაძე ს. გაზაფხული, (გაულებსავი პოეზია), გაზ. „კვალი“, №16, ქუთაისი, 1894 წ. გვ. 1-2.
141. ხუნდაძე ს. მოხსენება სახალხო განათლების მინისტრს, გაზ. „სახალხო საქმე“, №88, ქუთაისი, 1919 წ.
142. ხუნდაძე ს. გაზ. „ივერიის“ რედაქციის საყურადღებოდ, (კამათი გიორგიძესთან), გაზ. „კვალი“, №44. ქუთაისი, 1894 წ. გვ. 5-7.
143. ხუნდაძე ს. გემის დაღუპვა (პოემა), გაზ. „კვალი“, №37, გვ. 5-8, №38. ქუთაისი, 1894 წ. გვ. 10-11.
144. ხუნდაძე ს. გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე (ლექსი), გაზ. „დროება“, IV. №72. ქუთაისი, 1883 წ. გვ. 1.
145. ხუნდაძე ს. დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო. (მისი სახელობის ფონდის დაარსების საჭიროება). გაზ. „ივერია“, №124, 15 იანვარი, თბილისი, 1891 წ. გვ. 1-2.
146. ხუნდაძე ს. ევსტასი მჭედლიძის სახსოვრად (ლექსი), გაზ. „დროება“, V. 15. №100, თბილისი, 1885 წ. გვ. 1.
147. ხუნდაძე სილ. დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის 50 წლის იუბილეს გამო. (ლექსი), გაზ. „ივერია“, №168, 5 აგვისტო, თბილისი, 1890 წ. გვ. 1.
148. ხუნდაძე ს. ვაჟა-ფშაველას პოეზია, ჟურ. „კრებული“, №11, თბილისი, 1921 წ. გვ. 313-336.
149. ხუნდაძე ს. ვინ უნდა გამართოს სადილი? პასუხი ბ-ნ ი. სიმონიძეს (კამათის დასასრული ავ. წერეთელსა და ი. გოგებაშვილს შორის. სიტყვა „აღვიარებ“-ის შესახებ. გაზ. „კვალი“, №39. ქუთაისი, 1894 წ. გვ. 7-8.
150. ხუნდაძე ს. თანამოკალმეებს, (ლექსი), ახალწლის გამო, გაზ. „კვალი“, №1. ქუთაისი, 1896 წ. გვ. 6-7.
151. ხუნდაძე ს. თბილისს (ლექსი)“, გაზ. „კვალი“, №18, ქუთაისი, 1895 წ. გვ. 4-5.
152. ხუნდაძე ს. თოთოლას სიზმარი. (მოთხრობა), ჟურ. „ჯეჯილი“, №3. თბილისი, 1895 წ. გვ. 17-25.
153. ხუნდაძე ს. ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებში, პოეტის 50 წლის იუბილეს გამო. გაზ. „ივერია“, №12, თბილისი, 1882 წ. გვ. 98-114.

154. ხუნდაძე ს. მეგობარი, (ლექსი), გაზ. „კვალი“, №6. ქუთაისი, 1893 წ. გვ. 3.
155. ხუნდაძე ს. მეზობლები, სურათი სოფლის ცხოვრებიდან, მოთხრობა. გაზ. „ცდა“, №2. თბილისი, 1890 წ. გვ. 181-190.
156. ხუნდაძე ს. ვინ უნდა გამართოს სადილი: პასუხი ბ-ნი ი. სიმონიძეს. გაზ. „კვალი“, №39, ქუთაისი, 1894 წ. გვ.7-8.
157. ხუნდაძე ს. ქართული ლექსიკონი, გაზ. „კვალი“, №8, ქუთაისი, 1895 წ. გვ. 5.
158. ხუნდაძე ს. რა არის ფედერაცია?, გაზ. „სახალხო საქმე“, №26. 15 აგვისტო, თბილისი, 1917 წ. გვ. 3.
159. ხუნდაძე ს. იაკობ გოგებაშვილი გვთხოვს გამოვაცხადო, გაზ. „გრიგალი“, №8. გვ.3. 19 სექტემბერი, თბილისი, 1906 წ.
160. ხუნდაძე ს. მოძმეო! გული რომ მეწვის, ქართველი მეფის ერეკლეს დროისაგან (ლექსი), გაზ. „ცდა“, №3, თბილისი, 1891 წ. გვ. 151-156.
161. ხუნდაძე ს. მოჩუბარიძის სახსოვრად (ლექსი), გაზ. „კვალი“, №4. ქუთაისი, 1894 წ. გვ. 14.
162. ხუნდაძე ს. მოგონება (ლექსი), გაზ. „დროება“, VII. 1. №138, თბილისი, 1880 წ. გვ. 2.
163. ხუნდაძე ს. მცირე შენიშვნა საყურადღებო საგნის შესახებ. (ი. გუტენბერგის დაბადების 500 წლის აღსანიშნავად ქ. მაინტში განზრახულ გამოფენაში მონაწილეობა. გაზ. „ივერია“, №243, 11 ნოემბერი, თბილისი, 1899 წ. გვ. 2.
164. ხუნდაძე ს. მცირე შენიშვნა ჩემი „ქართული გრამატიკის“ შესახებ, გაზ. „ივერია“, №137, 13 ივნისი, თბილისი, 1904 წ. გვ. 3.
165. ხუნდაძე ს. ნესტორ თავდგირიძე, (ნეკროლოგი). წერილი ქუთაისიდან, გაზ. „ივერია“, №101, 19 მაისი, თბილისი, 1893 წ. გვ. 3.
166. ხუნდაძე ს. ნ. ბარათაშვილის სახსოვრად, (ლექსი), გაზ. „ივერია“, 24 აპრილი, №85, თბილისი, 1893 წ. გვ. 3.
167. ხუნდაძე ს. პასუხი „კვალს“ (კამათი გარეშე მეთვალყურესთან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სხდომების საკითხზე და მარჯანიძესთან ქართული ენის ფორმების შესახებ), გაზ. „ცნობის ფურცელი“. ფ. №2049. 24 იანვარი, თბილისი, 1903 წ. გვ. 3-4.

168. ხუნდაძე ს. ცხოვრების საქმის ჭორები, გაზ. „კოლხიდა“, N 14. 15 აპრილი, ქუთაისი, 1911 წ. გვ. 2.
169. ხუნდაძე ს. ხალხის ძმობილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქუთაისი, 1920 წ.
170. ხუნდაძე ს. ქართული ენის სისწორე: ქართულ პრესაში არასწორი ენობრივი ფორმების გამოყენება-დამკვიდრების შესახებ, 12 თებერვალი, თბილისი, 1921. გაზ. „სახალხო საქმე“, N 1051. გვ. 3.
171. ხუნდაძე ტრ. *ქუთაისის გიმნაზიის ისტორიიდან*, თბილისი, 1976 წ.
172. ხუნდაძე გ. გამოსათხოვარი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 10-16 სექტემბერი, 2004 წ. გვ. 15.
173. შენგელია ნ. *ქუთაისის პერიოდული პრესის ისტორიიდან*, ქუთაისი, 2006 წ.
174. შენგელია ნ. სილოვან ხუნდაძე და გაზეთი „კოლხიდა“ 1911 წელს, ჟურ. „მოამბე“, ქუთაისის საერო ინსტიტუტი „გელათი“, №3, ქუთაისი, 1998 წ. გვ. 3-4.



ճանարտ

Եզրույթներ ձեռագրեր. Եզրույթներ  
 պահված շատերը հարկային [անդրադարձնելով  
 Եզրույթներին, 1937-8 թվականի պրոպագանդային շարժե-  
 րան - հրատարակելու] օրինակները փո-  
 սույնից. ինչ որ տեսնում եմ ներքին Խորհրդային  
 կազմակերպության պատճեններում ~~այս օրինակը~~  
 այս ~~օրինակը~~ պահված շատերը մեծ Լ. - թ. Եզրույթ-  
 անոցի վրա ~~հարկային~~ ինչ ~~որ~~ ... ~~պատճեններ~~  
 1917 թ. 6/5



Չեղձիկի օրինակները  
 Չեղձիկի օրինակները և կարևորագույն ծառայողների  
 օրինակները - ինչ որ տեսնում եմ ներքին Խորհրդային  
 կազմակերպության պատճեններում ~~այս օրինակը~~  
 այս ~~օրինակը~~ պահված շատերը մեծ Լ. - թ. Եզրույթ-  
 անոցի վրա ~~հարկային~~ ինչ ~~որ~~ ... ~~պատճեններ~~  
 1917 թ. 6/5



სილოვან და პატუ ხუნდაძეები  
ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად



სილოვანის ქალიშვილი ფატი ხუნდაძე მეგობრებთან ერთად





სილოვან ხუნდაძე, სილოვანის ვაჟი კუკური ხუნდაძე, პიპინია მიქელაძე  
და მათი მეგობრები



სილოვან ხუნდაძე  
ქალიშვილთან და  
შვილიშვილებთან ერთად



სილოვან ხუნდაძე  
ოჯახთან ერთად



სილოვან ხუნდაძე

Երևանի քաղաքում. Երևան  
 պատմական թանգարանի [Ն. Բ. Բախչյանի  
 Երևանի, 1937-8 թթ. պատմական թանգարանի  
 հիմնադրամատչելի] Երևանի քաղաքում գրա-  
 ստեղծություն. իմ և իմ հարսի միջև ընդհանուր  
 հարաբերությունը Երևանի պատմական թանգարանի  
 պատմական պատմության մասին 1.-րդ հատված-  
 ան ընդհանուր հարաբերությունները... Երևանի  
 1917 թ. 6/5

Մեր հարսը չէր ունենում իր սեփական  
 տանը, որտեղ կարող էր ապաստանվել...  
 ինչպե՞ս էր հարսը կարողանում հարսնա-  
 կանության ժամանակ ապաստանել...  
 ինչպե՞ս էր հարսը կարողանում հարսնա-  
 կանության ժամանակ ապաստանել...  
 ինչպե՞ս էր հարսը կարողանում հարսնա-  
 կանության ժամանակ ապաստանել...  
 ինչպե՞ս էր հարսը կարողանում հարսնա-  
 կանության ժամանակ ապաստանել...  
 ինչպե՞ս էր հարսը կարողանում հարսնա-  
 կանության ժամանակ ապաստանել...  
 ինչպե՞ս էր հարսը կարողանում հարսնա-  
 կանության ժամանակ ապաստանել...







48 Ulysses 13 AM

21 13.  
Columbus was born

1.

When you're a boy

And you're a boy, and you're a boy,  
And you're a boy, and you're a boy,  
And you're a boy, and you're a boy.

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

And you're a boy, and you're a boy,

~~1062~~

2173/1062

~~14~~

18<sup>21/45</sup>

Ձեզ հարգելի նշանակությամբ  
Թ. Յաննիսյան Թանգարանում ծրագրով

Կազմակերպության շտաբում, Ձեր նշանակությամբ 22 ԼՅԺՄԻՆԻ, ՅՅՈՒՆԵՍԿՈ, թո՛ղ Ձեր նշանակությամբ, հարգելի Նասուր-Աբուսալե կազմակերպության, Վ. Եղիշյանի կողմից ներկայացված ծրագրի մասին, հաստատվելու և հարգելի Նասուր-Աբուսալե կազմակերպության շտաբում, հետագայում ունենալու հարգելի Նասուր-Աբուսալե կազմակերպության մեջ ձեր նշանակությամբ Մ. Կարգիսյանի մասնակցությունը:

Հարգելի Նասուր-Աբուսալե կազմակերպության  
ընդհանուր ղեկավար Ե. Ա. Եղիշյան

1151-2

2173/1151<sup>2</sup>

2

ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი

სახეგადგობა.

მოწყალეო ხელმწიფავ,

თავად *ილია*!

წევრი დამხმარებელი  
*სიციან ძე ბუბიაძე*

*22* თებერვალი 1887 წ.

ქ. ქუთაისი.

თქვენის სურვილის თანახმად, თქვენ  
შერიცხული ბრძანებით ქართველთა  
შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის  
სახეგადგობის *ქ. ბუბიაძე* წევრად  
1887 წლიდან. წევრი *ქ. ბუბიაძე*,  
წესდების § 7 მეორე მუხლის ძალით,  
მოკალა წარმოუდგინოს სახეგადგობის  
გამგობას უკველ წლივ *22* მანეთი.

ამის მისევე.თ, თქვენსევე ითვლება  
*81-87* წლის შემოსატანი საწევრო  
ფული *140* მანეთი. სახეგადგობის  
განხილვის თანახმად, რომელიც დადგე-  
ნილ იქმნა 1885 წელსა ოქტომბრის  
22 დღესა, და სახეგადგობას გამ-  
გობას მონდობილობით უმორჩილესად  
გთხოვთ მიბრძოთ ამა 1887 წელს  
შემოსატანი საწევრო ფული *თუ* მან.  
და ამასთანავე წინა წლების შესავსებად  
*12* მან. სულ *32 (არქივის მით)*  
მანეთი, რომლის ძაღებისთანავე თქვენ  
მოგერთმევით ხემგან ჯეროვანი კვი-  
ტანცია.

წევრი დამხმარებელი *სიციან ბუბიაძე*

2173/1059  
3h. 21

Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ, յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ

Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ  
Եւ Նճարաւ Երկու յճարաւ

Յարգած Բարձրագոյն

Ստորագրում  
Լ. Գ. Երկու

19 11 03  
VIII

- His suggestion! Was he  
 to have been? With some suggestion,  
 he was given the suggestion, the  
 and the suggestion: the suggestion to  
 all suggestion, to the suggestion  
 and suggestion. The suggestion  
 and the suggestion suggestion...  
 suggestion suggestion? The suggestion  
 suggestion suggestion suggestion -  
 suggestion to suggestion, suggestion to  
 suggestion suggestion suggestion...  
 suggestion suggestion, suggestion  
 suggestion suggestion suggestion!!

